კვირის პალიტრა
მზე
N3(188) 15/I.-21/I.2004. ფასი 60 თ.

„არ მინდა, დედამისი ოდესმე გამოჩნდეს...“

გუგულის ბუდე — ბავშვი სხვა ოჯახში

ქალებისათვის — დაფიქრდით, სანამ ფეხზე ფეხს გადაიდებდეთ...

„ვარდების ბიჭების“ ახალი სამიზნე — საირმის გორაზე აშენებული სასახლეები

სასიძო „ღამის შოუდან“ — დათო ილურიძე სიდედრს დედას არ დაუძახებს

აჩუქეთ თქვენს შვილს



თანამგზავრი
ვნნ ღლის მანძილზე

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№3 (188)
15 - 21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2004
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲐᲛ ᲑᲘᲫᲘᲐᲛ ᲐᲛᲘᲢᲐᲢᲝᲡ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲐᲘᲬᲝᲜᲐ-ᲓᲐᲘᲬᲝᲜᲐ
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ 6
ᲡᲐᲡᲘᲫᲝ
● „ᲨᲔᲛᲘᲫᲣᲚᲔᲑ? ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ“ 8
● „ᲕᲘᲜᲪ ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲑᲔᲕᲠ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲝᲕᲣᲬᲧᲝᲑ“ 9
ᲗᲐᲕᲓᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ
ᲒᲐᲖᲐ ᲑᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲪᲐᲠᲘᲔᲚ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ“ 11
ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐ
ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲣᲑᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲡᲐᲠᲬᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ 13
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
● „ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲝ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲣᲠᲘᲐ...“ 15
● 76 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ 16
● „ᲑᲝᲒᲑᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲠᲐ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲐ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ...“ – ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲘ 17
ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ
ᲐᲮᲐᲚᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲜᲘᲐᲙᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲑᲐᲖᲐᲜᲝᲨᲘ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ 18
ᲛᲐᲠᲩᲘᲔᲚᲘ
„ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲐᲓᲬᲔᲕᲡ ᲙᲣᲚᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲡ“... 20
ᲗᲔᲛᲐ
ᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ 22
ᲥᲐᲚᲘ ᲡᲐᲭᲔᲡᲗᲐᲜ
ᲐᲮᲐᲚᲑᲔᲓᲐ ᲛᲫᲦᲝᲚᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲪᲐᲚ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲩᲣᲡᲢᲡ ᲘᲪᲕᲐᲛᲓᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ ᲙᲘ – ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲡ 25
ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲘ
„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ – ᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ „ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲡ“? 26
ᲡᲐᲖᲚᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ
„ᲓᲣᲠᲣᲯᲘᲡ“ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ, ᲙᲐᲠᲜᲐᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ... ᲡᲔᲥᲡᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ 28
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲠᲐᲓᲐ ᲓᲐᲒᲘᲛᲐᲚᲝᲗ ᲓᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ...“ 30

ᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ

ᲛᲔᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠ „ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲘᲠᲗᲐᲜ“ ᲐᲡᲔᲗ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲨᲔᲕᲔᲡᲬᲐᲠᲘ: ᲮᲐᲚᲮᲘᲗ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲠᲒᲣᲚᲣᲚ ᲬᲠᲔᲨᲘ 40-42 ᲬᲚᲘᲡ, ᲥᲐᲚᲑᲐᲒᲝᲜᲘ ᲘᲓᲒᲐ, ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲕᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲘᲚᲘ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲪᲠᲔᲛᲚᲘᲐᲜᲘ ᲰᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲐᲩᲔᲩᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲛ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲒᲐᲥᲠᲐ...

22

„ᲕᲘᲜᲪ ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲑᲔᲕᲠ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲝᲕᲣᲬᲧᲝᲑ“

ᲐᲚᲑᲐᲗ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲛᲔᲝᲯᲐᲮᲔᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡᲔᲗ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲥᲪᲔᲕ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲪ ᲒᲐᲡᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲪᲝᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲧᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

9

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ!

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲘᲥ ᲠᲐᲪ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲐᲕᲒᲘᲫᲔ – 99% ᲚᲔᲡᲑᲝᲡᲔᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ „ᲡᲐᲞᲐᲢᲐᲝᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜ �თᲣ ᲐᲠᲐ, ᲘᲡᲔᲗ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲔᲑᲘ.

28

ᲜᲘᲜᲝ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲪᲐᲚ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲩᲣᲡᲢᲡ ᲘᲪᲕᲐᲛᲓᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ ᲙᲘ – ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲡ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲤᲣᲭᲓᲐ „ᲖᲐᲠᲘᲐᲓᲙᲘᲡ“ ᲠᲔᲚᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲙᲣᲛᲣᲚᲐᲢᲝᲠᲡ ᲢᲔᲜᲘᲡ. ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲡᲐᲪᲝᲑᲘ ᲘᲧᲝ, ᲗᲐᲜ ᲛᲘᲕᲓᲘᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜ, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲡ ᲕᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲝᲓᲘ; ᲣᲪᲔᲑ, ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ – ᲕᲐᲘᲛᲔ, ᲛᲐᲛᲐ, ᲕᲩᲔᲠᲓᲔᲑᲘ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲕᲘᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑ-ᲛᲔᲗᲔᲥᲘ!..

25

პერსონა

„რომ არა ჩემი ტრადიციები, ცხოვრების თანამგზავრად მხოლოდ ქართველს ავირჩევდი...“ 32

დღესასწაული

ნათლისღება 34

ტაძარი

„...ამ სიხარულის გამო მოვიწევდი ეკლესიისკენ“ 35

ფავორიტები

ბიბუ – ყოველთვის თავმდაბალი სუპერვარსკვლავი 36

სპორტული მოზაიკა 39

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ბომონდი 46

ავტო 48

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-მემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 50

კონსულტაცია

როგორ განვასხვავოთ ნამდვილი და ყალბი დოლარი? 50

შეუცნობელი

თქვენი დაბადების დღე 52

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 53

საკითხავი ქალებისათვის 54

იუმორი 56

ჯანმრთელობა

- სასიცოცხლოდ აუცილებელი 57
- პროსტატის ადენომა 58
- როცა ბავშვი მორიდებულია 59
- დაავადების ახალი მხარეები 59

ჰოროსკოპი

კვირის (19-25 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

კადრს მიღმა

ჰოლივუდური ტემპით გადაღებული, ევროპული დონის ქართული ფილმი 62

ტესტი

მათთვის, ვინც დაოჯახებაგე ფიქრობს 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„რომ არა ჩემი ტრადიციები, ცხოვრების თანამგზავრად მხოლოდ ქართველს ავირჩევდი...“

ჩემი საქმრო ჩეჩენი მებრძოლია. როდესაც ის მის თავს გადახდენილ კოშმარებს მიყვება, გაოგნებული ვრჩები. საერთოდ, ძალიან აზიზი პიროვნებაა, თუმცა, „საფილტრაციო ბანაკში“ ყოფნისას, თერთმეტდღიანი შიმშილობის შემდეგ, თაგვი შეუჭამია...

32

„ივერია“ მოსკოვს მიემგზავრება ნახავს თუ არა პუტინი „ფიროსმანს“?

როდესაც რუსებმა „ჩხიკვთა ქორწილის“ დადგმა გადაწყვიტეს, მათ უფლება მიეცათ, რომ სიმღერები რუსულად შეესრულებინათ. რაც შეეხება „ფიროსმანს“ – ქართულად ვმღერით, მაგრამ წინ წავუმძღვარებთ თითოკუპლეტიან ანოტაციებს.

26

სპორტსმენი გოგონები შიშვლდებიან

ცნობილმა გერმანელმა ბობსლეისტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიუზი ერდმანმა საკუთარი თავის ახალ ამპლუაში გამოცდა გადაწყვიტა და „პლეიბოის“ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა, რაშიც გვარიანი თანხაც გამოიმუშავა. სხვათა შორის, დღეს „სპორტული ნუდიზმით“ უკვე ვეღარავის გააკვირვებ...

39

თავისუფალი თემა

მაკას და კახას წასვლის შემდეგ, ირაკლის და გვანცას ხმა კარგა ხანს აღარ ამოუღიათ. ბოლოს, ხელი წაავლო მას ირაკლიმ და მთელი ძალით დაქაჩა. – აბა, ახლავე დაჯექი! მე სიტყვებს ჰაერზე არასოდეს ვისვრი! რაკი ვთქვი, ცოლი მომყავს-მეთქი, ესე იგი, მართლა მომყავს! ასე რომ, დავიწყოთ...

42

ამ ბიძიამ ამიტატოს

XX საუკუნის მშვიდობიანი 70-იანი წლები იდგა, როცა რეჟისორმა ლევან ხოტივარმა, თითქოს გულმა უგრძნოო, კუდიანი ნათელმხილველივით, გადაიღო ფილმი („მხიარული რომანი“), რომლითაც თითქმის იწინასწარმეტყველა დღევანდელი ამბები და წინასწარ, საქვეყნოდ მოგვჭრა თავი ქართველებს – ჩვენში ცოცხალი ადამიანების გატაცება ხდებაო... ხომ გახსოვთ, ტელევიზიის მეშვეობითაც რომ ეძებდნენ გულდათუთქული მამიდები და მამა იპოლიტე შინიდან გასულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ეკა ბერიძეს, რომელსაც ფეხზე „ჩიკოკიტატას“ ფეხსაცმელი ეცვა?!.

მაშინ ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოხედა გოგონას სამივე პატრონს: გოგონა გამომძალველებს კი არა – შეყვარებულსა და მის ძმაკაცს გაუტაცებია. მაგრამ გავიდა ათწლეულები და „ლეკიანობამ“ მაინც მოიკიდა ჩვენში ფეხი, თანაც საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ ვინმე უცხოელმა ბანკირმა ან ბიზნესმენმა გაიჭაჭანა საქართველოში, არ გაახარეს: ჯერ ესპანელები გაიტაცეს, მერე – ბრიტანელი, მერე კიდევ – არაბი და რა ვიცი, კიდევ ვინ?! მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ბოლოს და ბოლოს, თუ მათი ქვეყნები არ დაიშურებდნენ ფულს თავიანთი რჩეული შვილებისთვის, ჩვენ რაღა გვენაღვლებოდა?! მაგრამ ქართველთა ღირსება საბოლოოდ მაშინ შეილახა, როცა თავგასულმა კრიმინალებმა უცხოელებს „უშვეს ხელი“ და ახლა უკვე ქართველ ბანკირს მიადგნენ. და რომ არა ახალი ძალები, რომლებსაც ზოგი ხატოვნად „ვარდების ბიჭებს“ უწოდებს, ვინ იცის, რამდენ ხანს ვიქნებოდით ასე, ღირსებააყრილები...

ეს მხოლოდ ერთ-ერთი იმ უბედურებათაგანია, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაგვიტოვა. მაგრამ ჩვენმა ტაშნაკრავმა „ვარდ-რევოლუციამაც“ გაგვიჩინა პრობლემები, რომელიც ნოემბრამდელ „მშვიდ ვითარებაში“ ისევე არ გვეკითხებოდა, როგორც ტიკრიტის სოროში დამალულ სადამ ჰუსეინს თბილისის საკრებულოზე ხუთჯვრიანი დროშის აფრიალება-არაფრიალების გარშემო ატეხილი დავა-კამათი...

ჯერ, „იმ ერთადერთი, უცვლელის“ შემცვლელის ასარჩევად, ლამისაა, მთელი ჯარი დადგა რიგში და ძველი ქართული პრინციპით – „თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამა“ – მოქმედების ახალი მაგალითი გვიჩვენა. ჩავვარდით საგონებელში – როგორ ავირჩიოთ ყველაზე ღირსეული-თქო? – მაგრამ გვიშველა იმ „მგელმა“, რომელმაც ნოემბერში, შემოურბინა საქართველოს, შემოუძუნძულა ყოფილ ლენინის მოედანს თბილისში და რუსთაველის მოედანზე ჩამოხდა...

ერთი თავის ტკივილი მოვიშორეთ და ახლა, „კრიმინალურ-ჰოსპიტლური“ ეპიდემია დაიწყო: ხან ერთ ყოფილ „გენერალს“, ხან მეორეს რაღაც მილიონებს ედავებიან, ისინი კი, ზოგი „კარდიოლოგიას“ ირჩევს, ზოგი „ნევროლოგიას“, ზოგი – ზღვისპირა კურორტსა და ზოგი კიდევ – უცხო ქვეყნის ლეგიონს...

ახლა იმაზე გვამტვრევინებენ თავს – ეს რა ღლაპებს ნიშნავენ მინისტრებად? „შკოლებად“ ხომ არ უნდათ, აქციონ სახელმწიფო მართვის ორგანოებიო?!. მერე რა, რომ ერთი, „დიდი სარაიდან“ (ამის მთქმელი ქვეყნის პარლამენტს გულისხმობს!..), დღეს მყარად მოკიდებული ტერმინით რომ ვთქვათ – კურირებდა ე.წ. ძალოვნებს, მეორემ კი, პატარა რეგიონს შემოურბინა და თურქი მძღოლების ერთი-ორი „გასართობი ცენტრი“ მიხურა?!.

რიგიანად ვერ მოვასწარით ამ პრობლემის „გადაჭრა“ და ახლა, „ვარსკვლავბიჭუნას“ ახალ საცხოვრისზე ატეხილმა დისკუსიამ წაიღო ტვინი: ზოგი ამბობს – ცოდოა „გაი“, რატომ წაართვეს „სახლიო“?!. ზოგი კიდევ – რა ამბავია? – ორი სართული ერთ კაცს რად უნდა, თანაც – მის გალესვა-„მალიარკაზე“ მილიონები იხარჯება, ისტორიული ავლაბრული ეზო კი, სულ ეკალ-ვარდებით უნდა გაავსოსო...

ამდენი თავსატეხი გაგონილა, ხალხო? ამ გაჭირვებულ ადამიანებს ეს გვინდოდა კიდევ?! კი, ბატონო, ნოემბერში „ვარდების ბიჭები“ გვეუბნებოდნენ (რა თქმა უნდა, ლამაზი სიტყვებისთვის) – რევოლუციასაც ხალხი „აკეთებს“ და მის მერეც, თვითონ უნდა მართოს ქვეყანაო, – მაგრამ დაიჯერა ვინმემ? სად გაგონილა, ამხელა ტვირთი აჰკიდო უბრალო მოკვდავს?! ადრე, ამ მხრივ მაინც ვიყავით ბედნიერად – ყველაფერზე ის ბიძია (თუ ბაბუა) ზრუნავდა, დიდ დარბაზში შეკრებილი თავისი მრავალრიცხოვანი „მრევლითურთ“ – ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სულ ხელში ატატებულს დაგვატარებდა... არა, ბატონო, დაგვანებეთ თავი! ნუ გვაწუხებთ ზედმეტი საზრუნავით! დაგვიბრუნეთ სიმშვიდე! მინდა, ისევ ამ ბიძიამ ამიტატოს!..

პროვოკატორი

„ვფლობთ ინფორმაციას, რომ შესაძლოა, მირცხულავა გაიქცეს“

— *ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს კვლავ ბადრაგის დარაჯობს. პროკურატურაში აცხადებენ, რომ ეს უკანონო გადაწყვეტილებაა. რა ინფორმაციას ფლობს თქვენი უწყება მირცხულავას შესაძლო მიმალვასთან დაკავშირებით?*

გიორგი ბარამიძე, *შინაგან საქმეთა მინისტრი:*

— არავითარ უკანონობასთან საქმე არა გვაქვს. იმ საავადმყოფოში, სადაც დავით მირცხულავაა მოთავსებული, ბადრაგი ოფიციალურად დგას და მისი მოხსნა არც იგეგმება, რადგან ჩვენ ვფლობთ ოპერატიულ ინფორმაციას, რომ შესაძლოა, მირცხულავა გაიქცეს. სამართალდამცავები არ დავუშვებთ, რომ ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ან სხვა დამნაშავეებს ათასი მაქინაციის გამოყენებით შეეძლოთ გაპარვა, რათა თავი აარიდონ კანონის მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. უკვე მოკვლეული დოკუმენტაციის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ მირცხულავას დიდი „წვლილი“ მიუძღვის ენერგეტიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შექმნაში. სწორედ მისი ბრალია, რომ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველოში ენერგოდეფიციტია. ჩემთვის გაუგებარია, რატომ ატყდა აჟიოტაჟი მირცხულავას წინააღმდეგ გამოძიების დაწყების გამო. ცალკეული პირები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მისთვის ხელის ხლება არ უნდა გაგვებედა და მირცხულავასაგან პოლიტიკურად დევნილის სახეს ქმნიან. იმედი მაქვს, რომ შესაბამისი უწყებები სათანადოდ იმუშავებენ და უახლოეს მომავალში ჩადენილი ქმედებების გამო, იგი სხვა დამნაშავეებთან ერთად ციხის კედლებში მოიხდის სასჯელს. ვისაც რამდენი სურს, იმდენი ილაპარაკოს, ჩვენ არც ბადრაგს მოვხსნით და არც გაქცევის საშუალებას მივცემთ მას. ■

„ეს იყო ერთი კაცის საბჭო, „ჯიბის“ პრეზიდიუმითა და პრესსამსახურით“

— **ამბობენ, თამაზ ნადარეიშვილის გადადგომის შემდეგ, გამორიცხული არ არის, მისი პოსტი თქვენ დაიკავოთ...**

ვახტანგ ყოლბაია, *აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:*

— აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ჩემს დანიშვნას სრულიად გამოვრიცხავ, რადგან მე ვარ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე და ვაპირებ საქართველოს პარლამენტის წევრობას. რაც შეეხება თამაზ ნადარეიშვილის გადადგომას — ეს იყო ლოგიკური შედეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ატარებდა. დღეს თვით არძინბას გარშემოც ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, სადაც კრიტიკული გამოსვლები არ იკრძალება, ჩვენ კი, ბოლო დღემდე ვერ მივაღწიეთ განსხვავებული პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო პრაქტიკულად, პოლიტიკურ პროცესებში ვერ მონაწილეობს, მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობების განაწილების ფუნქციაღა შემორჩა. ეს იყო ერთი კაცის საბჭო, „ჯიბის“ პრეზიდიუმითა და პრესსამსახურით... ნადარეიშვილის გადასაყენებლად ხმათა სათანადო რაოდენობის შეგროვება არ გაჭირდა. უახლოეს მომავალში დაინიშნება ახალი არჩევნები, ნადარეიშვილს კი, რიგითი დეპუტატობის უფლებას არავინ წაართმევს. ■

„უახლოესი ორი კვირის განმავლობაში სიტუაცია უნდა გამოსწორდეს“

— *მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, მოსახლეობას უწყვეტად მიეწოდებოდა ელექტროენერგია, რის შედეგადაც ქვეყანაში არსებული მარაგი ამოიწურა და ამას მკაცრი გრაფიკის შემოღება მოჰყვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ელოდება თუ არა ენერგეტიკის სამინისტრო, შექმნილი კრიზისიდან გამოსასვლელად, დონორი ქვეყნებიდან დახმარებას?*

მამუკა ნიკოლაიშვილი, *სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი:*

— 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ჩვენი უწყება თითქმის საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. არც ერთ კომპანიას, რომელიც ჩვენს ენერგობაზარზე მოქმედებს, უფლება არ ჰქონდა ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდებისა, რადგან ეს მოქალაქეთა უსაფრთხოებას ეჭვქვეშ დააყენებდა. შემდეგ იყო მოსახლეობისათვის განსაკუთრებულად საყვარელი დღესასწაული — ახალი წელი, რასაც საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვა. ყოველივე ამან ენერგოსექტორში სერიოზული პრობლემები წარმოშვა. იძულებული გავხდით, რეგიონებში სამსაათიანი გრაფიკი დაგვწესებინა. გასული წლებისაგან განსხვავებით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მოსახლეობამ ზუსტად იცოდეს, რა დროს მიიღებს დენს. ეს არ უნდა იყოს ღამის საათებში — ე.ი. იმ დროს, როცა ადამიანს ელექტროენერგია არაფერში სჭირდება. რაც შეეხება დედაქალაქს — უახლოესი ორი კვირის განმავლობაში სიტუაცია უნდა გამოსწორდეს. დარწმუნებული ვარ, შევძლებთ იმას, რომ თბილისის მოსახლეობას უწყვეტი ელექტროენერგია ჰქონდეს. ამისათვის რესურსები უნდა მოვიზიდოთ დონორი ქვეყნებიდან. აუცილებელია თანხების მოზიდვაც. მეორე ეტაპზე კი, სამოქმედო პროგრამა, რომელსაც დონორ ქვეყნებთან ერთად შევიმუშავებთ, უპირობოდ უნდა შესრულდეს. კრიზისიდან გამოსასვლელად სერიოზულ დახმარებას გვპირდება გერმანული ბანკი, მაგრამ ამ ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც პარლამენტმა უნდა მოახდინოს, ვერა და ვერ მოხერხდა საკანონმდებლო ორგანოში კვორუმის არარსებობის გამო, არადა, ეს გახლავთ უმნიშვნელოვანესი კრედიტი, რომელიც 45 წელზეა გაწერილი, თანაც, მასში გრანტის ელემენტებიცაა. მოსალოდნელია სხვა დახმარებებიც. ასე რომ, ძალების მაქსიმალური მობილიზების შემთხვევაში, პრობლემებიც გადაწყდება. ■

„დღემდე გრძელდება თანამდებობების ადამიანებზე მორგება“

— ახალი მთავრობიდან წამოსული ყველა ინიციატივა თქვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა, მათ შორის, გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტის შემოღების თაობაზე და ეს მაშინ, როცა „ტრადიციონალისტები“ წლების მანძილზე, საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნას მოითხოვდით. რატომ ეწინააღმდეგებით დღეს საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას?

აკაკი ასათიანი, *„ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი:*

— „ტრადიციონალისტები წლების განმავლობაში მოვითხოვდით, საკონსტიტუციო ცვლილებების გზით, საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნას, რადგან საქართველოსათვის, როგორც ევროპული ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის, აუცილებელია მართვის მოდელის შეცვლა. როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ასევე ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნების მაგალითი გვიდასტურებს, რომ საპრეზიდენტო მმართველობა არ ამართლებს და იგი ანომალიურ სიტუაციებს იწვევს ხოლმე. თუმცა, მოცემულ სიტუაციაში, მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ საკონსტიტუციო ცვლილებებისა. პირველ რიგში, დიდი უპასუხისმგებლობაა იმის მტკიცება, რომ 28 მარტამდე შემოღებული იქნება სრულყოფილი მინისტრთა კაბინეტი. ქვეყნის მართვის მოდელის შეცვლას წინ უნდა უსწრებდეს შრომატევადი და ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, თუ გვინდა, რომ ქმედუნარიანი სისტემა შეიქმნას. ესენი კი, იმ თამაშით არიან დაკავებულნი, რომელიც მოსახლეობის ინტერესებს არ ემსახურება. სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება პერსონიფიცირების პროცესი — თანამდებობების ადამიანებზე მორგება, რამაც განაპირობა წინა ხელისუფლების კრახი. სააკაშვილსა და ჟვანიას ჰგონიათ, რომ ეს არის ურთიერთნდობის შენარჩუნების მექანიზმი. ასეთი აზროვნება შევარდნაძის გამოზრდილ ლიდერებს ინერციით მოსდევთ. უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ისინი ან რადიკალურად შეიცვლიან მიდგომას ცალკეული საკითხებისადმი, ან 2005 წელს, ქვეყანაში დადგება კიდევ ერთი კრიზისი, რომლის შემდეგ საზოგადოება საბოლოოდ გამოფხიზლდება. ■

„მეშინია, აჭარაში უბედურება არ დაატრიალონ“

— აჭარის ტერიტორიაზე „კმარას“ წევრები გააქტიურდნენ. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, გამორიცხული არ არის, ავტონომიურ რესპუბლიკაშიც „ვარდების რევოლუციის“ სცენარი განმეორდეს. როგორია თქვენი პროგნოზი — შესაძლებელია თუ არა ცენტრსა და რეგიონს შორის გამწვავებული ურთიერთობის ფონზე კომპრომისის მონახვა?

გურამ შარაძე, *პარლამენტის წევრი:*

— ძალა, რომელიც აჭარაში დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობს, „სოროსის ფონდიდან“ და სხვა ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტებით ფინანსდება. მათ მილიონები მიიღეს იმისათვის, რომ შევარდნაძე ჩამოეგდოთ, ახლა კი, მეორე გრანტი გადაეცათ, აბაშიძის რეჟიმის დასამხობად. მათ დაფინანსების საფასურად აიღეს ვალდებულება, რომ აჭარის ტერიტორიაზე სიტუაციას გამწვავებენ და შეასრულებენ კიდეც, თუ ხელისუფლებამ მათი შეჩერება არ მოინდომა. სააკაშვილი აცხადებს, რომ ის გრანტებით მოსული პრეზიდენტი არ არის. თუ მართლა ასეა, მე მოვუწოდებ მას, კარგად დაფინანსებული, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებთან და „კმარასთან“ მჭიდრო თანამშრომლობისგან თავის შეკავებას. აჭარასთან ურთიერთობის დარეგულირებაში ერთი წამით დაგვიანება არ შეიძლება!.. რამდენიმე დღის წინ მოვისმინე პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს დანიშნული ღონისძიებების შესახებ. ჩემი განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია გეგმის იმ ნაწილმა, რომლის მიხედვითაც სააკაშვილი, გელათში კურთხევის შემდეგ, თბილისში ჩამოსვლამდე, ფოთსა და ბათუმში გაივლის. იგი სრულიად საქართველოს პრეზიდენტია და კონსტიტუციის მიხედვით აჭარაში შესვლას ვერავინ დაუშლის, მაგრამ მეშინია, იქ „კმარელებთან“ და ავანტიურისტებთან ერთად უბედურება არ დაატრიალოს. მე ვურჩევ, ამ განზრახვაზე უარი თქვას, რადგან ბათუმთან ურთიერთობის დარეგულირება უფრო დიპლომატიური სვლებით უნდა განხორციელდეს. ეს არ უნდა იყოს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გამოწვევა. ვარდებით შესვლაზე კი, საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. აბაშიძე არ არის ის ლიდერი, რომელსაც ულტიმატუმის ენით უნდა ველაპარაკოთ. სურვილის არსებობის შემთხვევაში კი, კომპრომისის მიღწევა შესაძლებელია. ■

„მერებისა და გამგებლების თანამდებობა ბუტაფორია არ უნდა იყოს“

— როგორც პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის წარმომადგენელს, რა პოზიცია გაქვთ გამგებლებისა და მერების არჩევითობასთან დაკავშირებით?

გადრი ხატიძე, *მაჟორიტარი დეპუტატი:*

— ჩვენი კომიტეტი მხარს უჭერს მერებისა და გამგებლების არჩევითობას, რომლის პარალელურად, უნდა დაიწყოს ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პროცესი, რაც ფუნქციების გადანაწილებას გულისხმობს. მერებისა და გამგებლების არჩევითობა ეფექტური იმ შემთხვევაში იქნება, თუ ადგილობრივ ხელისუფლებას მიეცემა ბიუჯეტი რეალური შემოსავლებით, იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს. რეგიონის ადგილობივ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ეკონომიკური ბერკეტები, რათა ეს თანამდებობა ბუტაფორიული ხასიათის არ იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ არჩევნებს მეორე მოჰყვება, ამომრჩეველი კი რეალურ შედეგს ვერ დაინახავს. ამასთან ერთად, უნდა გაირკვეს ტერიტორიული მოწყობის საკითხი. უმოკლეს ვადებშია გადასაწყვეტი, რაინებად იქნება დაყოფილი ჩვენი ქვეყანა თუ რეგიონებად. ეს არცთუ ისე მარტივი პრობლემაა, მაგრამ სხვაგვარად იმ ყოფით პრობლემებსაც ვერ გადავწყვეტთ, რომელიც მოსახლეობას აწუხებს, თანაც უშუალო კავშირშია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან. ასე რომ, მხოლოდ მერებისა და გამგებლების არჩევით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული პრობლემები ვერ მოგვარდება. ეს უნდა იყოს ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ერთმანეთის პარალელურად განხორციელდება. ■

ახალი ხელისუფლების ძველი და ახალი კადრები

ლელა ჭანკოტაძე

„ვარდების რევოლუციის“ ეიფორიიდან გამოსვლის პროცესი იოლი რომ არ იქნება, ამას ახალი ხელისუფლების განცხადებებიც ადასტურებს, კერძოდ ისეთი, რომლის თანახმადაც, სისტემური ცვლილებების გატარებამდე, ყველა თანამდებობის პირი „დროებით რეჟიმში“ იმუშავებს და დღეს დანიშვნა-მოხსნის პროცედურებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. აქედან გამომდინარე, ინაუგურაციის შემდეგ, საქართველოს ახალარჩეულ პრეზიდენტს პირველ რიგში, სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება მოუწევს. როგორც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები საჯაროდ აცხადებენ ხოლმე, კადრების შერჩევის მთავარი კრიტერიუმი, ადამიანის პროფესიონალიზმი და პატიოსნება იქნება. კულუარული ინფორმაციით, ფინანსთა მინისტრად ზურაბ ნოღაიდელი დარჩება, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრად სავარაუდოდ, გიორგი კარბელაშვილი დაინიშნება, ჯანდაცვის მინისტრად — ლადო ჭიპაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრად — კვლავ თედო ჯაფარიძე, უშიშროების საბჭოს სავარაუდო მდივნად ვანო მერაბიშვილს ასახელებენ, კონტროლის პალატის თავმჯდომარეობა კობა დავითაშვილს მოუწევს; თანამდებობას შეინარჩუნებს ვალერი ხაბურძანია, რასაც ვერ ვიტყვით, დავით კირვალიძეზე; კულტურის მინისტრი, ლაშა ბაქრაძე შეიძლება გახდეს, განათლების მინისტრი კი — გოკა გაბაშვილი. კულუარული ინფორმაცია ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ირაკლი ოქრუაშვილის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ დადასტურდა. საინტერესოა, რა ელოდება ძველ კადრებს, რომლებსაც წლების მანძილზე ქვეყნის დღევანდელი პრეზიდენტი კორუფციაში ადანაშაულებდა?.. ძველი და ახალი კადრებისა და საკადრო პოლიტიკის თავისებურებების შესახებ პოლიტოლოგებს, პოლიტიკოსებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ვესაუბრეთ.

ირაკლი შენგელია:

— როცა საკადრო პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ჯერ პრეზიდენტის ინაუგურაცია არ ყოფილა. პრეზიდენტი ალბათ, სერიოზულ ცვლილებებს განახორციელებს. მინდა იმედი ვიქონიო, რომ გარკვეული ცვლილებები აუცილებლად მოხდება; სხვანაირად იმას, რაც დღეს ხდება, საკადრო პოლიტიკას ვერც დავარქმევთ...

— მოსალოდნელია თუ არა, რომ მაღალ თანამდებობებზე აღმოჩნდნენ ძველი კადრები — კერძოდ ის პოლიტიკოსები, რომლებიც ახლა ოპოზიციაში იმყოფებიან?

— ამაზე მიხეილ სააკაშვილი არ წავა. ასეთი რამ შეუძლებელია.

— ხომ არ გგონიათ, რომ მინისტრების პორტფელები ზედმეტად ახალგაზრდა ადამიანებმა ჩაიბარეს?

— დასანანია, რომ ჩვენში ჯერ მინისტრად ინიშნებიან და შემდეგ სწავლობენ ხოლმე მინისტრობას. სამწუხაროდ, ახლა მთავარ ღირსებად დასავლეთში მიღებული განათლება და ახალი ხელისუფლების ერთგულება ითვლება, — ე.ი. სახელისუფლებო თანამდებობებს მხოლოდ პრეზიდენტის გუნდის წევრები იკავებენ. მოსალოდნელია, რომ საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით „ნაციონალებსა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ შორის კონფლიქტი წარმოიშვას, რაც ნამდვილად არ იქნება სასიკეთო და ქვეყნისათვის მძიმე შედეგებით შეიძლება დასრულდეს. უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი შეიძლება, არც იყოს საჭირო. მე ყოველთვის ვაცხადებდი, რომ პრემიერ-მინისტრი ზუსტად ისევე სჭირდება საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებს, როგორც ურემს — მესამე თვალი. პრემიერ-მინისტრის არსებობას გამართლება მხოლოდ საპარლამენტო რესპუბლიკისა და კონსტიტუციური მონარქიის დროს აქვს — ყველა სხვა სისტემაში ის დამატებითი ტვირთია ხელისუფლებისთვის.

გივი ბოლოთაშვილი:

— როცა მოდის ახალი ხელისუფლება, მას მოჰყავს თავისი გუნდი და ამაში გასაკვირი არაფერია. ასეთ შემთხვევაში, ძველი პატიოსანი კადრები იჩაგრებიან. ეს ითქმის ხელისუფლების ქვედა ეშელონებზე, რომლებიც ძირითადად, საქმის მწარმოებლები არიან და ხშირად, პოლიტიკურ თამაშებში არ მონაწილეობენ. როცა მოდის ახალი მინისტრი და მას მოჰყავს თავისი კადრები, გუნდი, რომელიც მეგობრებითა და ძმაკაცებით არის დაკომპლექტებული, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ასე მოიქცა ახალი იუსტიციის მინისტრი. დემოკრატიული არჩევნების შედეგად, როცა უცხოეთში იცვლებიან მინისტრები, ისინი ხელუხლებლად ტოვებენ იმ კადრებს, რომლებიც სამინისტროში წლების განმავლობაში მუშაობდნენ. მაგალითად: ინგლისში, თუ იცვლება საგარეო საქმეთა მინისტრი, ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა შეიცვლება, რადგან ამ სამინისტროში საშუალო და ქვედა რგოლის მუშაკები განაგრძობენ საქმიანობას. ამიტომაც მივიდა პეტრე მამრაძე რევოლუციის მეორე დღეს სამსახურში.

— თქვენი აზრით, რა მოხდება ინაუგურაციის შემდეგ, კადრების გადანაწილების თვალსაზრისით?

— ქვეყანაში ძირითადია საგარეო საქმეთა მინისტრის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების თანამდებობები. მე მგონია, რომ ეს წამყვანი მინისტრები აღარ შეიცვლებიან. შეიძლება, შინაგან საქმეთა მინისტრმა, გია ბარამიძემ დავით თევზაძე შეცვალოს, რადგან ნატოს სტანდარტებით, თავდაცვის მინისტრი სამოქალაქო პირი უნდა იყოს. ცხადია, არ უნდა დაუკარგონ დავით თევზაძეს ის დიდი შრომა, რომელიც წლების მანძილზე გასწია. მას წესით, გენერალური შტაბის უფროსობა უნდა შესთავაზონ. სამწუხაროდ, თამაშგარე მდგომარეობაში, ბევრი ნიჭიერი კადრი აღმოჩნდება, თანამდებობაზე კი — ბევრი უცოდინარი... 3000 თანამდებობაა დასაკავებელი — ეს უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატია. საერთოდ, ხელისუფლება რატომ არის ხოლმე სუსტი? რატომ დასუსტდა ედუარდ შე-

ვარდნაძე? იმიტომ, რომ ხალხსა და მთავრობას შორის არ იყო მოქნილი, შუალედური რგოლი – აპარატი, რომელიც წარმართავს სახელმწიფოს ცხოვრებას. როცა ეს შუალედური აპარატი მომპალია, მაშინ წყდება კავშირი ხელისუფლებასა და ხალხს შორის, რაც კრიზისის მიზეზი ხდება. 3000 ჩინოვნიკი ძალზე ძნელი სამართავია და ამიტომ, სულ იარსებებს იმის საშიშროება, რომ ხელისუფლება ხალხს მოსწყდება. ადამიანს არ უნდა სჭირდებოდეს თავისი გასაჭირის გამო პრეზიდენტამდე მიღწევა – პრობლემებს ის შუალედურ რგოლში უნდა აგვარებდეს. ამ რგოლის ერთ-ერთი ნათელი წარმომადგენელი გახლავთ ირაკლი ოქრუაშვილი.

გიორგი არველაძე:

– ირაკლი ოქრუაშვილმა მთელი თავისი მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ ის არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია აქტიური ნაბიჯების გადადგმა, შეუძლია ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, რადგან არ უშინდება კლანებსა და დაჯგუფებებს. ის დგას საქართველოს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. სწორედ მისი მსგავსი ადამიანი უნდა ყოფილიყო გენერალური პროკურორი... პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავისი უფლებამოსილების განხორციელებას 25 იანვრიდან, ინაუგურაციის შემდეგ შეუდგება. რა თქმა უნდა, ის იქნება ხელმძღვანელი და წარმმართველი ქვეყნის საკადრო პოლიტიკისა, მაგრამ ჯერჯერობით საუბარი კონკრეტულ სახელებსა და თანამდებობებზე ძალზე ნაადრევია. საკადრო პოლიტიკის გეგმა ჯერ არ არსებობს. თუმცა უკვე ცნობილია, რომ დანიშვნები მოხდება პიროვნების დამსახურების, პრინციპებისა და უნარის მიხედვით: მხოლოდ ღირსეული კანდიდატურები დაინიშნებიან პოლიტიკურ თანამდებობებზე – რაიმე სხვა პრინციპით დანიშვნები არ მოხდება და საუბარი „ნაციონალურ-დემოკრატიულ“ მთავრობაზე ცოტა გადამეტებულია...

ელიზბარ ჯაველიძე:

– „ვარდების რევოლუცია“ ჩემში თავიდანვე დიდ ეჭვს იწვევდა, რომ ის იყო მიმართული არა სისტემის დასანგრევად, არამედ სავარძლების მოპოვებისა და გადანაწილებისთვის. ეს ეჭვი გამიმართლდა. ახალგაზრდობის დაწინაურებას მივესალმები, მაგრამ არა იმ ნიშნით, როგორითაც ეს დღეს ხდება. კადრების შერჩევის დროს, უმთავრესი უნდა იყოს პროფესიონალიზმი, განათლება, ზნეობრივი კრედო ანუ წესიერება. აუცილებელია გამოცდილება, რომელიც ასაკთან ერთად მოდის. დღევანდელი დანიშვნები კი, გაუგონარი მკრეხელობაა: მხოლოდ პარტიულ პრინციპზე დაყრდნობით ინიშნებიან თანამდებობებზე, თანაც გადამწყვეტია ის, თუ ვინ როგორი ხმით ყვიროდა მერიის აივნიდან.

— კონკრეტულად ვინ გყავთ მხედველობაში?

– ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელმაც დააქცია ქართული ფინანსები, ახლა მხსნელად მოგვევლინა. ეს ძალიან გაუგებარია. ის ზურაბ ჟვანიას მეგობარი გახლავთ და ალბათ, მინისტრად ამის გამო დაინიშნა. ჩემთვის გაუგებარი იყო ედუარდ შევარდნაძის საკადრო პოლიტიკაც. მოგეხსენებათ, ფინანსთა სამინისტრო ქვეყნის ხერხემალია, შევარდნაძე კი ნიშნავდა გამოუცდელ ახალგაზრდა კადრებს. გაუმართლებელი იყო, ფინანსთა მინისტრად, როგორც მიხეილ ჭკუასელის, ასევე ზურაბ ნოღაიდელისა და მირიან გოგიაშვილის დანიშვნა. სახელმწიფო აზროვნებისთვის მიუღებელი გახლდათ ის განცხადებები, თითქოს ორი წლის მინისტრობის განმავლობაში, ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ადამიანს ღრმა ცოდნა უნდა ჰქონდეს, რომ მინისტრად დაინიშნოს. იგივე ხდება დღესაც. გია ბარამიძეს არავითარი გამოცდილება არა აქვს იმ სფეროში მუშაობის, რომელშიც მინისტრად დაინიშნა. ამიტომაცაა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ იმით გამოიჩინა თავი, რომ ყაყაჩოს თესლს წვავს. გაუგონარია გენერალურ პროკურორად ირაკლი ოქრუაშვილის დანიშვნა, რომელმაც თავი გამოიჩინა ბორდელების დარბევით. მესმის სააკაშვილის – ოქრუაშვილი მისი თანაგუნდელი და მეგობარია, სურს, რომ გვერდით ერთგული კაცი ჰყავდეს, მაგრამ თუ ამ გზით ივლის ახალი ხელისუფლება, მცირე ხანში, ამას სავალალო შედეგი მოჰყვება. ამგვარი საკადრო პოლიტიკით საქართველოს დანგრევა და გაცამტვერება დაჩქარდება.

თინა ხიდაშელი:

– როცა საკადრო პოლიტიკაზე ვიწყებთ საუბარს, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრის თანამდებობას უნდა შევეხოთ. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ საკონსტიტუციო ცვლილელების გატარების და პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღების. საამისოდ ბევრი მიზეზი მაქვს – პირველ რიგში, ის, რომ ამ პარლამენტს არავითარი უფლება არა აქვს, გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი და საკონსტიტუციო რეფორმა გაატაროს, რადგან ის დისკრედიტირებული, არაპოპულარული და საზოგადოებისგან აბსოლუტურად მოწყვეტილია. საყურადღებოა ისიც, რომ პრეზიდენტი ხალხმა აირჩია და არავის აქვს უფლება, საზოგადოების ნდობით მანიპულირება მოახდინოს და არჩევნების შემდეგ პასუხისმგებლობა მოიხსნას. პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღება კი, სხვა არაფერია, თუ არა პრეზიდენტის მხრიდან საკუთარი თავისთვის პასუხისმგებლობის არიდება. ამასთანავე, მგონია, რომ ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა – ე.ი. საპარლამენტო რესპუბლიკისკენ გადახრილი ქვეყანა, ცეცხლთან თამაშს მოასწავებს, რადგან ჩვენ არ ვიცით, როგორ იმუშავებს ეს მოდელი კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში. დროა, დასრულდეს ის პერიოდი, როცა კონსტიტუციას ვარგებდით კონკრეტულ პოლიტიკურ რეალობას. კონსტიტუციის ცვლილება ქვეყნისთვის ფუფუნებაა, რადგან მის განხორციელებას და კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას მინიმუმ, წელიწადნახევარი სჭირდება.

— პრეზიდენტს თუ აძლევს ხელს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღება?

– ჩვენ დავაკანონებთ განტევების ვაცს პრემიერ-მინისტრის სახით, რომელზეც პრეზიდენტი მუდმივად შეიხოცავს ხელს, თავად კი, ყოველთვის გმირად დარჩება, რადგან არაფერზე არ იქნება პასუხისმგებელი. ამისთვის ვაყენებთ თავდაყირა კონსტიტუციას, შესაბამისად კი მთელ ქვეყანას? ედუარდ შევარდნაძე სულ ამბობდა: ცუდი კონსტიტუცია გვაქვს და შევცვალოთო. გამოდის, რომ მართალი ყოფილა, რადგან ახალი ხელისუფლებაც იმავეს აკეთებს და იმეორებს. არადა, ფაქტებით დადასტურდა, რომ ყოფილი პრეზიდენტი ცდებოდა.

ჟიული ბერუაშვილი, *ისტორიკოსი:*

– ჩემთვის გასაგებია, რომ მიხეილ სააკაშვილისგან ხალხი ითხოვს საკადრო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებების განხორციელებას. ხალხს აღიზიანებს ნებისმიერი ძველი სახე, რადგან საკუთარ სიდუხჭირეს მათ უკავშირებს. ჩემთვის ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ზურაბ ნოღაიდელის დამტკიცება, მოულოდნელიც იყო და მიუღებელიც. ძველი კადრები უნდა ჩამოსცილდნენ ხელისუფლებას, მაგრამ ხელუხლებელი უნდა დარჩეს ის ხალხი, რომელიც გამოცდილებით და ცოდნით გამოირჩევა და თავის საქმეს შესანიშნავად გაართმევს თავს ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში, მაგალითად: ლევან ალექსიძე, პეტრე მამრაძე, თედო ისაკაძე, დავით თევზაძე. რაც შეეხება მინისტრის თანამდებობაზე ახალგაზრდების დანიშვნას, ეს მაღიზიანებს. ასევე ვერ მოვიწონებ ირაკლი ოქრუაშვილის გენერალურ პროკურორად დაწინაურებას. მე კობა დავითაშვილი მერჩია...

■

„შემიძულებ? უფრო შემიყვარდები“

ვიდრე „სასიძოს“, ირაკლი იმნაიშვილის სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გაგაცნობთ, მინდა, მკითხველებს ერთი თხოვნით მივმართო: როდესაც „სასიძოს“ გამოეხმაურებით, „მესიჯის“ ბოლოს, გთხოვთ მიუთითოთ, რომ ნომერი, რომ-ლიდანაც მას აგზავნით, ეკუთვ-ნის მამას, ძმას, ქმარს... დიახ, ნუ გაგიკვირდებათ: აღმოჩნდა, რომ ჩემს რესპონდენტებს გათხოვილი ქალები და ცო-ლიანი მამაკაცებიც ეხმაურებიან. მე კი, ასეთ დროს, უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდები ხოლმე. ისევე, როგორც ირაკლის თაყ-ვანისმცემელთან... ირაკლიმ ყველა „მესიჯი“ წაიკითხა და არჩევანი ერთ-ერთ გოგონაზე შეაჩერა. დავრეკე იმ მობილურის ნომერ-ზე, საიდანაც „მესიჯი“ მივიღე და აღმოჩნდა, რომ სწორედ მისი ქმრის ტელეფონზე დამირეკავს. ასე რომ, ნურც თქვენს თავს ჩააყენებთ უხერხ-ულ სიტუაციაში, ნურც — მე.

მარი ჯაფარიძე

ახლა კი ვნახოთ, როგორი არჩევანი აქვს „სასიძოს“.

„ირაკლი, ძალიან, ძალიან მიყვარხ-არ. ვგიჟდები, შენ რომ გხედავ ეთერში. მე შენთან მეგობრობა მინდა და შენთან ერთად სურათის გადაღება. როგორ მოვახერხო? მანონი“.

„ხმას არ გამცემ? მოვალ, მოგე-სალმები. ზურგს შემაქცევ? მოვ-ალ, შენ წინ დავდგები. გამექცევი? უკან დაგედევნები. შემიძულებ? უფრო შემიყვარდები“; მარი, ძალიან გთხოვ, ეს ლექსი გამოაქვეყნე. ირაკ-ლის კი ჩემი ტელეფონის ნომერი მიე-ცი. შეხვედრაც არ მინდა. უბრალოდ, დამირეკოს. გაფიცებ ყველაფერს, არ დამაღალატო. მხოლოდ მისი ხმის გაგ-ონება მინდა. თუ უნდა, „დაფარული“ ნომრით დარეკოს. მარი, ასე ჯერ არავისთვის არაფერი მითხოვია. გემუ-დარები. ლულუ“.

„მარი, მაგარი „სასიძო“ შეგირჩე-ვია. ვფიქრობ, ყველაზე კარგად მე გამიგებს, რადგან ერთი პროფესია გვა-ქვს. აი, ხომ ხედავ, უკვე „საპატარ-ძლოც“ გამოჩნდი. რუსუდან ლ.“

„ირაკლი, ძალიან მიყვარხარ. 8-საა-თიან „მზერას“ მხოლოდ იმიტომ ვუყურებ, რომ შენ დაგინახო... და კიდევ... „ბრელოკივით“ ცხვირი სულაც არ გაქვს. მიყვარხარ. თიკო“.

„ირაკლი, დღეს ძალზე წარმატებუ-ლი ეთერი გქონდა და სულაც არ გაქვს „ბრელოკივით“ ცხვირი. ეს „მესიჯი“ სხვანაირად არ მიიღოთ, უბრალოდ, მე-გობრულია და მეტი არაფერი. ყველას გილოცავთ ახალ წელს. მიყვარხართ. ქეთი“.

„კარგი ხარ, ბიჭო, კარგი ხარ...“ მიუხედავად მაგ შენი „ბრელოკივით“ ცხვირისა, ძალიან სიმპათიური და საყ-ვარელი ვინმე ხარ. ***მინდა გითხრა: იასამანი სულია შენი, შენ — ჩემი სურვილი. გაზაფხული ხარ შენ და ჩემი წყურვილი. ან ჩემი „სამარე“ ხარ, ან ჩემი „სავანე“ ხარ.*** ხათო“.

„ირაკლი, შენ ჩემთვის აღმოჩენა ხარ, რადგან მე და შენ ერთ წელს, თვესა და რიცხვში ვართ დაბადებულნი. ღმერთმა დაგლოცოს. თამუნა“.

„ირაკლის — ვარ 27 წლის, საშუ-ალოზე დაბალი, მკერდსავსე — 3/4 *(ეს რას ნიშნავს, ვერ მივხვდით. — ავტ).* შავგვრემანი, ვნებიანი ქალიშვილი. ვცხ-ოვრობ გლდანში, ოროთახიან ბინაში, მიშენების პერსპექტივით“.

„ირაკლი, გამარჯობა. ძალიან მინდა შენთან მეგობრობა. არა იმიტომ, რომ პოპულარული ადამიანი ხარ, უბრალოდ, კარგი ტიპი ხარ და ძალიან მომწონხ-არ. როგორც შენი მეგობარი ამბობს, კარგი ბუნების ადამიანიც ყოფილხარ. მერი“.

„იკა, ძალიან გიხდება, პირდაპირ ეთერში კოსტიუმის ქვეშ ჯინსი და ბოტასები რომ გაცვია. ძალიან კარგი ბიჭი ხარ. „ბურატინო“ ტიპი. კარგად, იაკო.“

„ირაკლის მინდა ვუთხრა, რომ ძალიან უხდებოდა „კლეჩატი“ პერანგები. მა-შინ უფრო ბუნებრივი იყო.

„სხვაც რომ გიყვარდეს, მე ჩემს სიყვარულს

მაინც ვერადსროს ვერ დავივი-წყებ,

ღმერთს შევთხოვ შენთვის ბედ-ნიერებას,

მე კი ჩემს ბედზე ტირილს დავიწყებ“.

„მარი, ირაკლის უთხარი, რომ თუ ჩემზე იფიქრებს, მეც მოვეფერები“.

„მარი, „სასიძოსთვის“ „მესიჯს“ პირველად გწერ. ინტელექტუალურმა და გონიერმა ირაკლიმ ძალიან დამაინ-ტერესა. საქმიანი, სასიამოვნო გარეგნო-ბის, ბუნებრივი გოგო თუ დააინტერე-სებს, დამეკონტაქტეთ. სასიამოვნო ნაც-ნობობა ჩემი ჰობია. იქნებ, ირაკლისიც?“

ჩვენი მკითხველები გულგრილნი არც ირაკლის მეგობრის მიმართ დარჩნენ და მის სახელზეც მოვიდა გამოხმაუ-რებები:

„ანდრო, შენ რატომ არ ჩანხარ? შენი სურათი რატომ არ დაბეჭდე? გვაინტერესებს, ვინ ხარ. გული მიგრძნობს, შენც „კაი“ ტიპი იქნები. ლელა“.

„ეს ირაკლი ხომ კარგი, მაგრამ ამ ანდროს რაღა უნდა, ვერ გავიგე. ბარემ მისი სურათიც დაგებეჭდათ. ირაკლი, ისე, სურათიდან მთლად „გადამრიე“ არ ხარ, მაგრამ არც მთლად ცუდი. მოკ-ლედ, ვიღაცას აუცილებლად მოატყუებ. „საპატარძლოს“ რომ შეხვდები, მეგობარი არ დაგავიწყდეს. აბა, კარგად, გისურვებ წარმატებებს. ხ. ხვ.“

„დაქალები, თათული და მანჩო ისურ-ვებდნენ ირაკლისა და ანდროს გაცნობას. ვართ კარგი გოგონები. გარდა ფიზიკური მომხიბვლელობისა, გამოვირჩევით საინ-ტერესო ბუნებით. იმედი გვაქვს, ბიჭები ჩვენით დაინტერესდებიან.“

მოკლედ, როგორც ჩანს, ირაკლისთან ერთად ბედი მის მეგობარსაც ეხსნება... მივესალმებით. „ხანუმას“ საქმეც სწორედ ეს არის. დემოგრაფიულ პრობლემებს მაინც გადავჭრით... ■

მარი ჯაფარიძე

დათო ილურიძე (უკანა პლანზე): „ხშირად დავდივარ სანადიროდ და...

"ვინც შემიყვარდება, ბევრ სიურპრიზს მივუფყრიდ"

დღევანდელი ჩვენი „სასიძო“ დათო ილურიძე გახლავთ. დიახ, დიახ, ეს სწორედ იმ ბენდის ხელმძღვანელია, რომელიც „ღამის შოუს“ ბლანჟეიან წამყვანს (გვარს არ დავასახელებ) ჰყავს ამოჩემებული და ეხუმრება ხოლმე. ჰოდა, ერთ გადაცემაში დათომ ამ „ხუმარა“ ბიჭს ასე უთხრა: ეს ბენდი, ჩემო დათო, ქათმებისთვის, ინდაურებისთვის და შენთვის არ არისო...

დათოს შესახებ მის მშობლებსაც გავესაუბრეთ. მამა – ***ბატონი ომარი*** *ისტორიკოსი გახლავთ,დედა –* ***ქალბატონი თამარი*** *კი, გელოვანებისა და გიორგობიანების შთამომავალი, ინგლისური ენის სპეციალისტია. საოცრად თბილი და კარგი მშობლები ჰყავს ჩვენს „სასიძოს“, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დათოს, დედისა და მამის ქებით გაწონებთ. თავადაც არანაკლები ღირსებებითაა შემკული და ამაში თქვენც დარწმუნდებით. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის ფაქტი, რამაც ყველაზე მეტად გამაოცა. როგორც ბატონმა ომარმა გვითხრა, მუსიკალური ბენდის ხელმძღვანელს არანაირი მუსიკალური განათლება არ გააჩნია და თურმე, ნოტებსაც ვერ ცნობს...*

— დათო, ზოდიაქოთი ვინ ხარ?

— მშვილდოსანი გახლავართ, მაგრამ ასტროლოგიური პროგნოზების მაინცდამაინც არ მჯერა.

— რამდენი წლის ხარ?

— 31-ის.

— რატომ ხარ უცოლო?

— რა ვიცი, ვერ მოვიცალე დასაოჯახებლად. შესაძლოა, იმიტომაც, რომ არ გამოჩნდა ისეთი გოგონა, რომელიც შემიყვარდებოდა და ამ ნაბიჯს გადამადგმევინებდა.

— ოჯახში ამის გამო საყვედურებს არ გეუბნებიან ხოლმე?

— კი, ამ ბოლო დროს უფრო ხშირად მსაყვედურობენ, მაგრამ რას მეუბნებიან, ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

ქალბატონი თამარი:

— საერთოდ, ამ საკითხზე არასოდეს ვსაყვედურობდით ხოლმე, მაგრამ ამ ბოლო დროს მამამისს გაუჩნდა პრეტენზიები.

ბატონი ომარი:

— კაცო, შენ ჩემ მაგივრად რატომ

...260-კილოგრამიანი ტახიც მყავს მოკლული“

პასუხობ? შვილიშვილი მინდა და ვუსაყვედურებ, აბა, რას ვიზამ? მაგრამ მისი მინუსი იცით, რა არის? შეყვარებული არ ყოფილა არასდროს. წინათ, ჩვენ ვუშლიდით ცოლის მოყვანას, რადგან პატარა იყო. ახლა თვითონ აღარ მოჰყავს. უცებ გაგვიფრინდა დრო, არ გვეგონა, ამ ასაკამდე უცოლოდ თუ მიაღწევდა, მაგრამ ჩვენი გვარის მამაკაცებს გენში გვაქვს ცოლის გვიან მოყვანა. ვფიქრობ, ესეც გარკვეულ როლს თამაშობს.

— დათო, შენი კარგი თვისებები გაგვიმხილე...

— პირველ რიგში, ალბათ ის, რომ ძალიან მიყვარს ჩემი მეგობრები და ერთგულებაც შემიძლია. არ მიყვარს ტყუილი... არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ ძალზე მიმნდობი ვარ. ამის გამო, ხშირად იმედგაცრუებული ვრჩები ხოლმე.

— თვითკრიტიკა თუ გეხერხება?

— ხანდახან ძალზე ნერვიული ვარ. ადვილად ვფეთქდები, მაგრამ სამაგიეროდ, შემიძლია, თუ ვინმეს ვაწყენინებ, მე თვითონ შემოვირიგო.

— ბოლმიანი ხარ?

— კი. ვაღიარებ, რომ ვარ, მაგრამ წყენისთვის სამაგიეროს არავის გადავუხდი. შესაძლოა, არც ვაგრძნობინო, რომ მეწყინა.

— თუ გაწყენინეს, რით შეიძლება შენი გულის მოგება?

— ამისათვის საკმარისია, ბოდიში მომიხადონ, მაგრამ თუ ბოდიშს რაიმე სიურპრიზსაც მოაყოლებენ, ხომ მთლად უკეთესი.

— ბუზღუნაც ხომ არა ხარ?

— კი. ბუზღუნაც ვარ. თუ რაიმე არ მომეწონება, მაშინვე ბუზღუნს ვიწყებ ხოლმე.

ქალბატონი თამარი:

— ჯუჯღუნი ძალიან უყვარს. მამამისი ამის გამო „ბატონ ლუკას“ ეძახის...

— დათო, მოწესრიგებული ადამიანი ხარ?

— არა. ხომ იცით, მამაკაცების ამბავი? ამ ბოლო დროს თითქოს მივეჩვიე წესრიგს, მაგრამ შინ მაინც სულ ჩხუბია იმის გამო, რომ ტანისამოსს აქეთიქით ვყრი... მიუხედავად ამისა, შინიდან მოუწესრიგებლად გამოსვლა არ მიყვარს. სუფთად და კოხტად უნდა ვიყო გამოწყობილი. თუ რაიმე არ მაკმაყოფილებს, იმ დღეს ვერც ერთ საქმეს ვერ ვაკეთებ.

„შენ ჩემ მაგივრად რატომ პასუხობ? შვილიშვილი მინდა და ვსაყვედურობ, აბა, რას ვიზამ?“ (დათო ილურიძის მშობლები)

— როგორ გოგონას ისურვებდი მეუღლედ?

— ვერ გეტყვი, არ ვარ ჩამოყალიბებული ამ მხრივ, მაგრამ ალბათ სასურველია, კარგი, მეოჯახე გოგონა იყოს.

— ქალბატონო თამარ, თქვენ როგორ რძალს ისურვებდით?

— ვისთანაც ჩემი შვილი თავს ბედნიერად იგრძნობს, ჩემთვის სასურველი რძალიც სწორედ ის იქნება.

— დათო, ოჯახის წევრების აზრს თუ გაუწევ ანგარიშს, ცოლის მოყვანის დროს?

— რა თქმა უნდა. ახლა ისეთ ასაკში ვარ, რომ ყველაფერს ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცოლი პირველ რიგში, ჩემთვის მომყავს და არა სხვისთვის.

— გარიგებაზე რა აზრის ხარ?

— ცუდი აზრის ნამდვილად არ ვარ და არც კატეგორიული წინააღმდეგი იმის, რომ კარგი გოგო გამირიგონ.

— როგორი ხარ, როცა შეყვარებული ხარ?

— სკოლის ასაკის შემდეგ სერიოზული გრძნობა არ მწვევია, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ისიც გატაცება ყოფილა. უფრო მოგვიანებით, სხვადასხვა ობიექტის მიმართ სიმპათიები მქონია, მაგრამ სერიოზული ნაბიჯი რომ გადამედგა, ისეთი არა... თუ ვინმე შემიყვარდება, ვფიქრობ, ძალიან ბევრ სიურპრიზს მოვუწყობ...

— განათხოვარ ქალს თუ მოიყვან ცოლად?

— ალბათ კი. თუ შემიყვარდება, მოვიყვან, მაგრამ ნაკლებად სასურველია, ასეთი ქალი შემიყვარდეს.

ქალბატონი თამარი:

— მე არ გავუწევ წინააღმდეგობას, თუ დათო გადაწყვეტს, რომ ცოლად განათხოვარი გოგონა მოიყვანოს. მართალია, გოგონა არ მყავს, მაგრამ რომ მყოლოდა და არ გამართლებოდა, ხომ შევუწყობდი ხელს, რომ მეორედ გათხოვილიყო?

არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ ძალზე მიმნდობი ვარ

ბატონი ომარი:

— მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგან მაინც კავკასიელები ვართ და სულ ტყუილად ვიბრალებთ ევროპელობას, მაგრამ ვთვლი, რომ შეგუება მაინც შეიძლება. გააჩნია, როგორი გოგო იქნება. რა დააშავა, თუ ერთხელ არ გაუმართლა და მერე ჩემი შვილი შეუყვარდა?

— დათო, სითბოს გამოხატვა თუ შეგიძლია?

— მე რომ მეფერებიან, მიყვარს, მაგრამ არ ვიმჩნევ ხოლმე. მე კი სიყვარული უზომოდ შემიძლია, მაგრამ სითბოს გამოხატვა არა.

ბატონი ომარი:

— რას ამბობთ, კაცო, ფული უნდა გადავუხადო, რომ ერთხელ მაკოცოს...

— დათო, ნასვამი როგორი ხარ?

— თუ დავლევ, მერე შინ მივდივარ და ვიძინებ. მოლხენა მიყვარს. თუ განწყობა მაქვს, ვმღერი და ვცეკვავ. თუ არა და, მოვიტყუები, საჭესთან ვზივარ-მეთქი და არ დავლევ.

ქალბატონი თამარი:

— როდესაც ნასვამი ბრუნდება შინ, მაშინ ცდილობს, მოგვეფეროს და სითბო გამოხატოს.

— დათო, გაბრაზების დროს გინება თუ გჩვევია?

— კი, ვიგინები ხოლმე, მაგრამ ჩემი მეგობარი გოგონების ყურს უხეშად არ ხვდება. სხვისგან შესაძლოა იუცხოონ, ჩემგან — არა.

— ჯენტლმენი ხარ?

— წესით, ყველა მამაკაცი ჯენტლმენი უნდა იყოს, მაგრამ ხანდახან ჩემს საქციელზე რომ დავფიქრებულვარ, მივმხვდარვარ, რომ გოგონასთან ისე მოვიქეცი, როგორც ძმაკაცთან...

— ეჭვიანი ხარ?

— კი. ძალიან ეჭვიანი ვარ. შესაძლოა, საფუძველიც არ მქონდეს და მაინც ვიეჭვიანო.

— საინტერესოა, სიდედრს დედას დაუძახებ?

— ვფიქრობ, რომ არა. ალბათ სახელით მივმართავ. ბევრ ჩემს მეგობარს კარგი სიდედრი ჰყავს, მაგრამ დედას არ ეძახის. ისეთ შემთხვევასაც გავიხსენებ, როდესაც სიდედრის მიმართ არასასიამოვნო აზრიც გამოუთქვამთ და ყველანი დავთანხმებივართ. ახლა უფრო მეგობრული სიდედრები არიან, რადგან ახალგაზრდა ასაკში ხდებიან სიდედრები და სიძეებთან ურთიერთობაც კარგად გამოსდით.

— ბედისწერის გჯერა?

— კი. მჯერა. თუ რაიმე საქმეს წამოვიწყებ და არ გამომივა, ვთვლი, რომ ასეთი იყო ღვთის ნება და ამიტომ გული ძალიან არ მწყდება.

— მძინარა ხარ?

— კი. ვინაიდან გვიან ვიძინებ, დილით ადრე ადგომა მიჭირს ხოლმე. ახლა ვმუშაობ და ვცდილობ, ისეთ დროს გავიღვიძო, არ დამაგვიანდეს.

— სად მუშაობ?

— ახალგაზრდობის საქალაქო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ვარ.

— მუსიკალური ბენდი დიდი ხნის წინ შექმენი?

— ჩვენ ვაპირებდით ორკესტრის ჩამოყალიბებას ტექნიკურ უნივერსიტეტში. დაემთხვა და როცა დათო გოგიჩაიშვილმა და ირაკლი კაკაბაძემ შე-

მოგვთავაზეს გადაცემაში მონაწილეობა, უარი არ გვითქვამს. გადაცემას ბევრი ადამიანი უყურებს და მეც მომწონს მასში მონაწილეობა.

— **წამყვანი რომ გეხუმრება ხოლმე, არ გწყინს?**

— თავიდან, თითქოს მიუღებლად მომეჩვენა, მაგრამ შემდეგ მივეჩვიე. მთავარია, ხუმრობა უკბილო არ იყოს. ჩვენი ბენდი გადაცემის შემადგენელი ნაწილია და წამყვანს ამოჩემებული ვყავართ.

— **ჰობი გაქვს?**

— კი. ნადირობაა ჩემი ჰობი. ხშირად დავდივარ სანადიროდ და 260-კილოგრამიანი ტახიც მყავს მოკლული.

ბატონი ომარი:

— დათო ათი წლის იყო, როდესაც პირველად სანადიროდ წავიყვანე. პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ვმუშაობდი და იქაურ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, სერიოზულ საზოგადოებაში უწევდა ნადირობა.

— **ქალბატონო თამარ, იქნებ დათოს ბავშვობა გაიხსენოთ?**

— 4-5 წლის იყო, როდესაც გავიგეთ, რომ თურმე თავის თანატოლებთან ერთად საფოსტო ყუთებიდან გაზეთებს იპარავდა, ყიდდა და იმ ფულით სიგარეტს ყიდულობდა. შემდეგ, სკოლაში, დამრიგებელმა მითხრა: თითქმის ყველა მისი თანაკლასელი ბიჭი სიგარეტს ეწევა, მაგრამ დათოსთვის არასოდეს შემინიშნავს, მწეველი რომ იყოსო. ომარმა უთხრა: მაგან სიგარეტის მოწევას თავი 6 წლის ასაკში დაანებაო.

ბატონი ომარი:

— თუ აცივდებოდა, ბავშვებს სკოლაში აღარ ვუშვებდი ხოლმე. რატომ უნდა წასულიყო? გაყინულიყო იმის გულისთვის, რომ ორი გვერდით მეტი წაეკითხა? ამას ჯობდა, შინ ყოფილიყო თბილად და მე წავაკითხებდი, თუ საჭირო იქნებოდა. საერთოდ, ნიჭიერი ბავშვი იყო, თუმცა — უნებისყოფო. რომელ წრეზეც შევიყვანეთ, არსად ერთ თვეზე მეტი არ გაჩერდა. ძალიან მიკვირს, მუსიკოსობა რომ არ მოსწყინდა ამდენი ხნის განმავლობაში. თანაც, არანაირი მუსიკალური განათლება არ მიუღია და ნოტებსაც კი ვერ ცნობს...

აი, ასეთია დათო ილურიძე. ვისაც მასთან დაკონტაქტება სურს, „დამიმესიჯეთ“ ან დამირეკეთ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. მე კი დათოსა და მის ოჯახს დაველაპარაკები თქვენს ღირსებებზე.

■

ზაზა ბეგაშვილის ცვეული ბზა და ცარიელ ამოდენაზე ჩაცარცვული „ამინდი“

ხათუნა ჯავახიშვილი

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე — ზაზა ბეგაშვილი 38 წლისაა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. მუშაობდა პარტიულ თანამდებობებზე. შემდეგ, როცა ეროვნული მოძრაობის მომძლავრების შედეგად, კომუნისტური რეჟიმი სრულიად გაკოტრებული აღმოჩნდა, დატოვა სამსახური და გარკვეული დროის განმავლობაში, ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც სამშენებლო ბიზნესს მიჰყო ხელი. საკუთარ თავს მისცა პირობა, რომ არასდროს დაბრუნდებოდა პოლიტიკაში და ამ პირობას 7-8 წელი იცავდა. მაგრამ ერთ დღეს, შალვა ნათელაშვილმა დაარწმუნა იმაში, რომ პოლიტიკაში უნდა დაბრუნებულიყო. „დაუფიქრებლად ამოვუდექი მხარში შალვას და ხუთი წლის განმავლობაში, ხელფასი, ერთი თეთრიც არ ამიღია და არც მომითხოვია. ჩემი მოსკოვური დანაზოგი მეყო საცხოვრებლად. შემდეგ სულზე მომისწრო თბილისის საკრებულოს წევრობამ — 400-ლარიანი ხელფასით შესაძლებელია, ოჯახი არჩინო“, — გვითხრა ბატონმა ზაზამ, თუმცა მისი ცხოვრების გზაზე ამ დროს, მოულოდნელად, მოსახვევი გამოჩნდა: მას ლეიბორისტული პარტიის დატოვება მოუხდა. „ეს არ იყო ჩემი სურვილი, ეს იყო პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება. თბილისის საკრებულოს წევრობა ჩემთვის თვითმიზანი არ იყო. მე რეალური საქმის კეთება მინდოდა, შემდეგ კი, კვლავ პოლიტიკიდან წასვლას ვაპირებდი“. კიდევ ერთი „მოსახვევი“: მოულოდნელად, მიხეილ სააკაშვილმა შესთავაზა, „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციას ჩასდგომოდა სათავეში. მორიგი „მოსახვევის“, უფრო სწორად — უკვე „რევოლუციური რყევების“ შედეგად, ზაზა ბეგაშვილმა ჯერ მიტინგების წამყვანის მძიმე მისია იტვირთა, ბოლოს კი, თავისი არაორდინარული წინამორბედის, აწ უკვე საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი სავარძელიც დაიკავა...

— **ბატონო ზაზა, სულ რამდენიმე დღეა, რაც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი დაიკავეთ, თანაც ისეთი კოლორიტული ფიგურის შემდეგ, როგორიცაა მიხეილ სააკაშვილი... როგორ გრძნობთ თავს?**

— არანაირი სიამოვნება ამ თანამდებობის დაკავებას ჩემთვის არ მოუტანია. სამი დღეა, ერთი წუთი არ მიძინია, რადგან უამრავი პრობლემა დამხვდა აქ — დაწყებული ელემენტარული წესრიგითა და დისციპლინის საკითხებით, დამთავრებული ზოგიერთი მუშაკის არაკომპეტენტურობით და უვიცობითაც კი... ეტყობა, ბევრმა ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რომ ერთი ცეკას მდივანი კი არ შეუცვლია მეორე ცეკას მდივანს, არამედ მოხდა რევოლუცია... ადამიანებს, რომლებიც ამ მოვლენებს წარმართავდნენ, ხალხი დაუნდობელ ბრძოლას და სწრაფ მოქმედებას სთხოვს. ამისთვის კი, ძალიან

დიდი ძალისხმევაა საჭირო. 30 წლის მანძილზე, ძალზე ბევრი პრობლემა დაგროვდა, რომლის გადაწყვეტასაც სჭირდება არა უბრალოდ მუშაობა, არამედ თავგანწირული შრომა. თუ საკრებულოსა და მერიაში ვერ მოვახერხეთ ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც თავს გადადებს და კრიზისიდან თბილისის გამოყვანას შეძლებს, ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

— თქვენ თქვით, რომ საზოგადოება მოითხოვს დაუნდობელ ბრძოლას და სწრაფ ქმედებას, რომელიც ზოგიერთი პირის დასჯასაც გულისხმობს. რამდენად შესაძლებელია ამის განხორციელება თბილისში, სადაც ნახევარი ქალაქი ლამისაა, ერთმანეთის მეგობარი და ახლობელია?

— მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ძალიან ბევრი მეგობარი, ნათესავი და ახლობელი მყავს აქ. მაგრამ ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება ადამიანების მიმართ საკრებულოს კედლებს მიღმა მთავრდება. ახლა ვიწყებთ ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ და თუ ჩემი ახლობელი და ნათესავი აღმოჩნდება კორუფციაში გარეული, განსაკუთრებით ულმობელი სწორედ მათ მიმართ ვიქნები. ჩვენ გვინდა, რომ გაიზარდოს პენსიები, პედაგოგებს მივცეთ ხელფასი. გვინდა, დავიწყოთ მუნიციპალური პროგრამა ახალდაქორწინებულთათვის, დავეხმაროთ მიწისძვრით დაზარალებულებს. ამ ყველაფერს დიდი ბიუჯეტი სჭირდება, რომელიც ამჟამად მიზერულია. თუ იმ უამრავი წყაროდან, რომლითაც ივსება ბიუჯეტი, ფული არ შემოვა, ჩავთვალოთ, რომ ეს ყველაფერი, რასაც ჩვენ ხალხს ვპირდებით, არ შესრულდება. მაქვს მე იმის უფლება, რომ ჩემს მეგობარს ვუთხრა — ნუ გადაიხდი გადასახადს-მეთქი?!. ხაზინა ცარიელია და ამავე დროს, ვხედავთ გაზულუქებულ სახეებს — საქალაქო სამსახურების უფროსებს, მათ მოადგილეებს, რომლებიც აშკარაა, ხელფასზე არ ცხოვრობენ, რადგან როცა ხელფასი 90-120 ლარი გაქვს, მეეჭვება, შეძლო უცხოური ავტომანქანის ყიდვა... სიმდიდრის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, თუ ადამიანს აქვს ბიზნესი და ამ გზით იშოვა ფული. მაგრამ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდა და ხელფასის გარდა, სხვა შემოსავალი არ ჰქონია, როგორ დააგროვებდა დიდ ქონებას? მაღიზიანებს კაცი, რომელსაც არც ბიზნესი ჰქონია ოდესმე, არც უწვალია ჩემსავით — პირდაპირ მიადგა სახელმწიფო ბიუჯეტს და დაიწყო იქიდან ფულის მოპარვა, ააშენა სასახლეები. ყველამ იცის, რა ხდება საირმის გორაზე. ვაპირებ, ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ავიდე და ვნახო, ვისი სახლებია იქ, რომელია მათ შორის ბიზნესმენის, რა შემოსავალს იძლევა მისი ბიზნესი და როგორ იბეგრება... ყველამ იცის, რომ იქ ძირითადად, ჩინოვნიკების სასახლეებია, შეიძლება, მაქსიმუმ მეხუთედი იყოს ბიზნესმენების. ერთი, ცნობილ ფეხბურთელს ეკუთვნის და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს! ნიჭიერი, შრომისმოყვარე კაცია და დაიმსახურა. მაგრამ იმის შეგუება, რომ ჩვენი და ჩვენი მშობლების ხარჯზე, პენსიების ხარჯზე ვიღაც ნაძირალებმა პირადი ცხოვრება მოიწყონ და მერე ლიმუზინების ფანჯრებიდან გვიცქირონ „აღმატებული“ პიროვნებებივით, ცოტა ძნელია. ისინი ჩვეულებრივი ქურდბაცაცები არიან, რომლებიც ციხეში უნდა იყვნენ...

— რამდენიმე სიტყვით გაგვაცანით თქვენი ოჯახი...

— ერთი ჩვეულებრივი თბილისური ოჯახის შვილი ვარ. არა ვარ მდიდარი, გაზულუქებული ოჯახიდან გამოსული ადამიანი. მამაჩემი პროფესიით ინჟინერია, დედა — ეკონომისტი. ისეთ სახლში ვიზრდებოდი, რომელსაც ფანჯრები მიწის ზევით არ ჰქონდა. ყოველთვის მშურდა ჩემი კლასელების, რომელთა სახლების ფანჯრებიდან რაღაც ჩანდა. ჩემი ოცნება იყო, მქონოდა სახლი, რომლის ფანჯრებიდანაც ულამაზესი ხედი გადაიშლებოდა. მშობლების მადლიერი ვარ იმისთვის, რომ შრომისმოყვარეობა, პატიოსნება და წესიერება ჩამინერგეს... მყავს რვა წლით უმცროსი ძმა, რომელიც შვილივით გავზარდე და ამ პოლიტიკის გადამკიდე, დიდი ხანია, არ მინახავს... ჩემი მეუღლე — ნელი ბეგაშვილი, პროფესიით მხატვარია. გვყავს ორი ქალიშვილი — ათი წლის თეა და სამი წლის ეკა.

— ახლა სად ცხოვრობთ? საოცნებო სახლი შეიძინეთ?

— როცა მოსკოვიდან ჩამოვედი, მაშინ ვიყიდე წერეთლის გამზირზე ბინა, რომლის ფანჯრიდან საოცრად ლამაზი ხედი იშლება. მაგრამ ახლა, ბაზრობები ისე გვიახლოვდება, რომ მეშინია, ეს ხედიც არ გაგვიფუჭდეს... ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ახდეს ყველა თბილისელის, ყველა წესიერი ადამიანის ოცნება — ქვეყანაში იყოს ღირსეული გარემო და ნორმალური პირობები... დავინტერესდი თბილისში მშენებარე კორპუსებით. თურმე, მათი უდიდესი ნაწილი ნაყიდი აქვთ ბობოლა ჩინოვნიკებს თავიანთი შვილებისთვის, რომლებიც ჯერ 2-3 წლისანები არიან: მამიკოებმა წინასწარ იზრუნეს — როცა გაიზრდებიან, გამზადებული ექნებათ... მინდა, რომ მერია და საკრებულო დაეხმაროს ახალდაქორწინებულებს, უკიდურესად მძიმე საბინაო პირობებში მცხოვრებ ადამიანებს. ამის განსახორციელებლად საჭიროა ძლიერი ბიუჯეტი, რომელიც კორუმპირებული ადამიანებისგან ამოღებული თანხებითაც უნდა შეივსოს.

— ნოემბრის მიტინგების უცვლელ წამყვანად მოგვევლინეთ. ალბათ რთულია, ხანგრძლივი დროის

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შეისწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

მანძილზე ამდენი ხალხის ყურადღების მიპყრობა...

— გარეთ უამრავი ადამიანი იდგა, საკრებულოს ოთახიც გავსებული იყო. აივანზე გაიტანეს მიკროფონი და ჩემთვის გავიფიქრე — რა ცოდვაა ის კაცი, ვინც ახლა უნდა გავიდეს და ხალხს დაელაპარაკოს-მეთქი: ძნელია მრავალათასიან მასასთან კონტაქტის დამყარება, ამას მართლაც, რაღაც განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება. მიშა სააკაშვილმა თქვა — მიტინგებს ზაზა წაიყვანსო. თავიდან — ის „ვიღაც ზაზა“ შემეცოდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მე ვყავდი მხედველობაში... „კურტკა“ გავიხადე, აივანზე გავედი და... ალბათ განგების ნება იყო, რომ ყველაფერი ასე აეწყო. ჩემი ბევრი მეგობარი, ექიმია და ამბობდნენ, რომ სამედიცინო პრაქტიკაში არ არსებობს პრეცედენტი, რომ 15 დღის განმავლობაში კაცი გამუდმებით გაჰყვიროდეს და ხმა არ ჩაეხლიჩოს... მთელი ამ ხნის განმავლობაში, ხმა მართლა არ დამიკარგავს. მაგრამ როდესაც ტელეეკრანზე დავინახე, რომ თვითმფრინავი მიფრინავდა (რეპორტაჟი იყო აეროპორტიდან), ვიფიქრე — შევარდნაძე გაფრინდა-მეთქი, — და სიხარულისგან გული წამივიდა. ბარამიძემ ჩამჩურჩულა, — შევარდნაძე არა, ივანოვი მიფრინავსო, — და ისევ მოვეგე გონს... მერე, როცა ეს ყველაფერი დამთავრდა, ისე ცუდად ვიყავი, რომ ერთი კვირა ფეხზე ვეღარ ვდგებოდი — ხმაზე ხომ, ზედმეტია ლაპარაკი. მეგობარმა (გენერალმა) ამიხსნა — ამ მდგომარეობას ომის სინდრომს ეძახიან: როცა იბრძვი, ვერაფერს გრძნობ, მაგრამ დადგება თუ არა გამარჯვების ჟამი — ყველაფერი ერთდროულად შემოგიტევს და წაგაქცევსო... ქვიშის საათი რომ ჩამოიცლება, ზუსტად ისე ვიყავი დაცლილი... სხვათა შორის, ბოლოს, საოცარი ამბავი მოხდა. მიტინგი რომ დამთავრდა, ხალხი რატომღაც საკრებულოსკენ წამოვიდა. ღამეა, შევარდნაძე გადამდგარია, ზეიმი იწყება. აქ მიკროფონი აღარ გვქონდა. აივანზე გავედი, ხალხს მიკროფონის გარეშე ველაპარაკებოდი და მასაც ესმოდა ჩემი. მერე შევამოწმე: ერთხელ ღამით, ძმაკაცი დავაყენე საკრებულოს აივანზე, თავისუფლების მოედანზე გავედი და ვთხოვე — დამიძახე-მეთქი. ვერაფერი გავიგონე. იმ ხალხს კი ესმოდა, მე რას ვამბობდი და ტაშს მიკრავდა. ეტყობა, ასეთ დროს, რაღაც კავშირი მყარდება ადამიანებს შორის და ესმით შენი — მიმიკის, ჟესტების მეშვეობით...

■

პრეზიდენტის უბნელებს მალე სარფიანი წინადადებებით მიმართავენ...

როგორც ცნობილია, უკვე დაიწყო ახალი საპრეზიდენტო რეზიდენციის სარემონტო სამუშაოები. ავლაბრელები ერთმანეთს პრეზიდენტის დამეზობლებას ულოცავენ და თუ მისი დანაპირები გამართლდა, შეიძლება, პრეზიდენტის უბნელებიც დაირქვან. თუმცა, საპრეზიდენტო რეზიდენციად ქალაქის ავტოინსპექციის შენობის გადაქცევას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც არგუმენტებად იმ ადგილას აღმოჩენილ ძველ სამარხებსა და რესტავრაციისთვის საჭირო დიდ თანხას ასახელებენ. თბილისის მთავარი არქიტექტორი ირაკლი როსტომაშვილი პირადად ხელმძღვანელობს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, ამიტომაც საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებში გასარკვევად მას მივმართეთ.

ემა ტუხიაშვილი

— ბატონო ირაკლი, ალბათ მანამდე, სანამ პრეზიდენტი ამ შენობაზე შეაჩერებდა არჩევანს, თქვენც მოგმართავდათ საკონსულტაციოდ, არა?

— დიახ, მისგან მივიღე დავალება, რომელშიც ნათლად იყო განსაზღვრული ის პირობები, რაც სამთავრობო რეზიდენციას უნდა დაეკმაყოფილებინა. კატეგორიული მოთხოვნა იყო ბატონი პრეზიდენტისგან, რომ ეს შენობა ყოფილიყო, ასე ვთქვათ, ხალხთან ახლოს — ანუ მჭიდროდ დასახლებულ უბანში. გასათვალისწინებელი იყო დაცვის პრობლემა — შენობა უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების გარკვეულ ნორმებს. სასურველია აგრეთვე, რომ ერთი მხრივ, კარგი ხედი იშლებოდეს რეზიდენციიდან და მეორე მხრივ, თვით რეზიდენციაც კარგად ჩანდეს ქალაქის სხვადასხვა წერტილიდან... პრეზიდენტმა ასევე წამოგვიყენა პირობა, რომ შენობის რესტავრაციას მინიმალური ხარჯი დასჭირვებოდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი, როდესაც ბატონ მიშას რეზიდენციისთვის ეს შენობა შევთავაზე.

— დიდი მითქმა-მოთქმა სწორედ ხარჯთან დაკავშირებითაა ატეხილი. ტყუილ-მართალში ხომ არ გაგვარკვევთ?

— არ ვიცი, საიდან მოიტანეს ციფრი — ორმოცდაათი მილიონი, რომელიც ვითომდა მოხმარდება პრეზიდენტის რეზიდენციის შეკეთებას, მაგრამ მოგიყვანთ ერთ მარტივ მაგალითს: როდესაც მე კერძო ბიზნესში ვსაქმიანობდი, ჩვენს ფირმას შეუკვეთეს „ივერთბანკის“ შენობის შეკეთება (ახლა იქ „მრეწველების“ ოფისია განთავსებული). ამ ოფი-

სის ინტერიერის მოპირკეთებისას გამოვიყენეთ მარმარილო, ჭედური მეტალი და სხვა. სარემონტო სამუშაოები სულ 800 ათასი დოლარი დაჯდა. მომავალ საპრეზიდენტო რეზიდენციაში ასეთი მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალების გამოყენებას არ ვაპირებთ. ამ შენობის საერთო ფართი 2000 კვადრატული მეტრია – ის ფართით ვერაფრით შეედრება საირმის ქუჩაზე ახალაშენებულ ზოგიერთ სახლს. „გაის“ უფროსის კაბინეტი, რომელიც ბატონმა მიშამ თავისთვის შეარჩია, ჩემს სამუშაო ოთახზე გაცილებით პატარაა!..

— საცხოვრებელი ფლიგელი თუ იქნება გათვალისწინებული პრეზიდენტის ოჯახისთვის?

– ბატონ მიხეილს სჭირდება ამ შენობაში ღამის გასათევი. თქვენთვის ალბათ არ არის ცნობილი მისი სამუშაო რეჟიმი. სულ მალე დარწმუნდებით, რომ მის ოთახში სინათლე 24 საათის განმავლობაში იქნება ანთებული და ეს ძალზე სიმბოლური იქნება ჩვეულებრივი ადამიანებისთვის.

— ჰოლანდიური ყვავილების ბაღებსა და შადრევნებზე რას გვეტყვით?

– არანაირი ჰოლანდიური ყვავილების ბაღები არ გაშენდება, მაგრამ მოტოციკლეტების ავტოფარეხებს აუცილებლად დავანგრევთ და თუ ეზოში რამდენიმე კვიპაროსს დავრგავთ და კოინდარს დავთესავთ, ამით განა დაშავდება რამე?

— ამ შენობის ქვეშ არსებული სამარხების საკითხი თუ გაქვთ შესწავლილი?

– აღა-მაჰმად ხანის შემოსევამდე, ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა ელიტური საცხოვრებელი ზონა, ხოლო რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, ამ ტერიტორიაზე სამხედრო დანიშნულების ობიექტების აშენება დაიწყო. აღნიშნული შენობა, როგორც ჟანდარმერიის კუთვნილება, 1835 წელს აშენდა. ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თუკი ვინმეს ჩამოახრჩობდნენ, შემდეგ ჟანდარმერიის შენობის სარდაფში დამარხავდნენ... საერთოდ, თბილისის ეს ტერიტორია ისტორიული ზონაა და მთაწმინდის გამგებლად ჩემი მუშაობის პერიოდში, სარემონტო-საკომუნიკაციო სამუშაოების დროს, ხშირად შეგვხვედრია ადამიანის ძვლები და საყოფაცხოვრებო ნივთები. ბატონ ნათელაშვილს, რომელიც ამბობს, რომ ეს შენობა ჩვენმა წინაპრებმა ააშენეს, მინდა ვუთხრა, რომ ჩემმა წინაპრებმა კახეთში, კერძოდ – პანკისის ხეობის საზღვარზე 300-400 წლის წინ, მტრებისგან დასაცავად „როსტომაანთ ციხე“ ააშენეს, ჟანდარმერიის შენობა ნამდვილად არ აუშენებიათ... რაც შეეხება სამარხებს – თუ პრეზიდენტის რეზიდენციის რეკონსტრუქციის დროს აღმოჩნდება ადამიანის ძვლები, ჩვენ მათ ამოვიტანთ, ვაკურთხებინებთ და სათანადო პატივს მივაგებთ, შესაძლებელია, საძმო სასაფლაოც მოვაწყოთ.

— მართალია, რომ მშენებლობას სამშენებლო კომპანია „აქსისი“ აწარმოებს?

– არა, ბატონო, საიდან მოიტანეთ?! თანაც, იმასაც მბრალებენ, რომ ამ კომპანიის დამფუძნებელი ვარ. მინდა გითხრათ, რომ მე გახლავართ კომპანია „არსის“ დამფუძნებელი – 1988 წელს, ხოლო 1998 წელს სახელმწიფო სამსახურში გადმოვედი. ყველა ღონეს ვიხმარ, რომ კომპანია „არსს“ ამ პროექტთან არანაირი შეხება არ ჰქონდეს... ამ პროექტზე მუშაობენ სპეციალური საპროექტო ჯგუფები და ძირითადი აქცენტი გადატანილია ინტერიერზე – მაგალითად, იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ბრიფინგების ოთახი და ა.შ. შენობის ფასადი არ შეიცვლება, მხოლოდ შეიღებება, აუცილებლად ღია ფერებში.

— რა ბედი ელის იმ ოჯახებს, რომლებიც პრეზიდენტის რეზიდენციის მეზობლად აღმოჩნდებიან?

– სამშენებლო კომპანიებს ინტერესი გაუჩნდებათ ამ ტერიტორიების მიმართ და მოსახლეობას სარფიანი წინადადებებით მიმართავენ... რასაკვირველია, გაიზრდება ფასები ბინებზე. მოსალოდნელია, რომ ამ ტერიტორიაზე გადმოსვლა სხვადასხვა ქვეყნის საელჩომაც მოინდომოს...

■

„საბრალდებო დასკვნა ტენდენციურია

არ შეიძლება, განსასჯელებზე მის მიხედვით ვიმსჯელოთ“

ბაქარ და ბესიკ დევდარიანები სამსჯავროს წინაშე მძიმე ბრალდებით — ადამიანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისთვის წარდგებიან. პროკურატურა მათ 2003 წლის 13 მარტს ლენტეხის რაიონის სოფელ უახუნდერში მომხდარ მკვლელობაში ადანაშაულებს. ბრალდების თანახმად, ბაქარ დევდარიანი თავისი ნაცნობის, ტარიელ ონიანის სიტყვებმა — „თავი რად ჩამოგიგდია, შე კრეტინო?“ — გაანაწყენა და მისი მოკვლა განიზრახა. ორივენი ნასვამები იყვნენ. საქმის მასალების მიხედვით, მათ სოფელ უახუნდერის მკვიდრის გასვენების შემდეგ, ქელეხის სუფრაზე დალიეს ალკოჰოლური სასმელი. დაკრძალვაზე იმყოფებოდა ბესიკ დევდარიანიც, რომელიც პროკურატურის ინფორმაციით, ბაქარ დევდარიანს განზრახვის სისრულეში მოყვანისას დაეხმარა.

იმავე საღამოს, დაახლოებით 10-ის ნახევრისთვის, ტარიელ ონიანს ერთ-ერთი სახლის ღობესთან ბაქარ დევდარიანი ისევ შეხვდა და ზემოთ მოყვანილი სიტყვების გამო მას ჩხუბი დაუწყო. ამის შემსწრე მეზობელმა — დათო ონიანმა ისინი გააშველა კიდეც, თუმცა სწორედ იმ მომენტში, მათ ბესიკ დევდარიანი და გელა არობელიძე მიუახლოვდნენ. ბაქარის სიტყვების მიუხედავად — საკმათო არაფერი არისო, — ბესიკი ტარიელ ონიანს მივარდა და დაუყვირა — იცი, ვისთან გაქვს საქმე?! მეც დევდარიანი ვარო! — და ხელი სტაცა მას, მერე დაავდო და თოვლში ჩახრჩობით დაემუქრა. მეზობელმა, დათო ონიანმა შეძლო მათი გაშველება, მაგრამ შემდეგ, დავარდნილ ტარიელ ონიანს ბაქარ დევდარიანი სწვდა. ჩხუბისას ტარიელი ბაქარს ზემოდან მოექცა. ამის დანახვაზე, ბესიკმა ბაქარის დახმარება გადაწყვიტა, დანა მოიმარჯვა და ტარიელს პირდაპირ ზურგში ჩაარტყა. დავით ონიანმა მისი შეკავება მოახერხა, სამაგიეროდ, ჯაყვა ახლა ბაქარმა ამოიღო და ტარიელს, ჯერ კიდევ მის ქვეშ მოქცეულმა, 10 ჭრილობა მიაყენა. მაშინ, დანის დაკეცვის დროს ხელის მტევანზე დაზიანებები თავადაც მიიღო. მძიმედ დაჭრილი ტარიელ ონიანი ლენტეხის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ იგი ოპერაციამდე გარდაიცვალა.

პროკურატურის ინფორმაციით, ბაქარ დევდარიანი, ისევე, როგორც ბესიკ დევდარიანი, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ბაქარი 2003 წლის 24 მაისს დაიკავეს, ბესიკი კი, მანამდე — 18 მარტს თავად გამოცხადდა სამართალდამცავებთან. ის მაშინვე არ დაუკავებიათ. გამომძიებლის თქმით, ბესიკ დევდარიანმა სცადა, დანაშაული ბაქარისთვის გადაებრალებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე, 19 აპრილს ის აიყვანეს.

ბაქარ დევდარიანმა წინასწარი გამოძიების დროს, დაკითხვისას თავი დამნაშავედ არ ცნო. „...ტარიელმა ხელი, რომელშიც ჯაყვა მეჭირა, ძირს დამარტყმევინა. ჯაყვა გადაიკეცა და ამ დროს ხელი გამეჭრა, დანაც გამივარდა ხელიდან და მას შემდეგ ის არ მიძებნია. ონიანს დანა ან სხვა იარაღი არ ჰქონია. ჭრილობები ონიანს მხოლოდ მაჯისა და ბარძაყის არეში მივაყენე. სხვა ადგილებში ვინ დაარტყა მას დანა, არ ვიცი...“ — აღნიშნა ჩვენებისას. „გამომძიებას ვემალებოდი, რადგან არ მინდოდა, მკვლელობა მარტო მე დამბრალებოდა,“ — განუცხადა ბაქარმა სამართალდამცავებს დაკითხვისას. მისივე თქმით, აწ გარდაცვლილი ტარიელ ონიანი უბრალოდ, მისი ნაცნობი იყო. ონიანი მეზობელ სოფელში — ლუჯიში ცხოვრობდა.

რაც შეეხება ბესიკ დევდარიანს — პროკურატურის ინფორმაციით, ყველა დაპირისპირებისა და ჩვენებისას იგი აღნიშნავდა, რომ ტარიელ ონიანს ყველა ჭრილობა მხოლოდ ბაქარ დევდარიანმა მიაყენა და მას მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია.

ბესიკ დევდარიანი, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან:

„თავს დამნაშავედ არ ვცნობ... 2003 წლის 13 მარტს თანასოფლელის — ბურმან ონიანის გასვენებაზე ვიყავი და დავლიე ალკოჰოლური სასმელი... სუფრაზე გავიცანი გურიიდან ჩამოსული გელა არობელიძე. გასვენებიდან მასთან ერთად წავედი სასაფლაოს მიმართულებით... გზაზე, ნოდარ ონიანის სახლის ღობესთან, ბაქარ დევდარიანისა და ტარიელ ონიანის კამათს შევესწარი. მათთან მივედი და ტარიელს ვკითხე — ვინ ხარ-მეთქი? — შენ ვინ გეკითხება, მე ვინ ვარო?! — მიპასუხა და დედა შემაგინა. მაშინ მას საყელოში ჩავავლე ორივე ხელი და ვუთხრი — იცი, ვისთან გაქვს საქმე?! მეც დევდარიანი ვარ-მეთქი!.. ჩხუბისას მიწაზე წავაქციე, მაგრამ ამ დროს, დათო ონიანი გვაშველებდა. ტარიელს გავშორდი თუ არა, მასთან ბაქარმა დაიწყო ჩხუბი. დავინახე, როგორ ჩაარტყა დანა მან ტარიელს ზურგში, ორჯერ თუ სამჯერ... ამის შემდეგ, ბაქარი თავის სახლში წავიყვანე, მაგრამ იქ არ გაჩერდა, იძახდა — დღეს თუ არ მოკვდა, ხვალ მინც მოვკლავო, — და წავიდა. მე მის სახლში დავრჩი. იქიდან გასულმა შევიტყვე ტარიელ ონიანის გარდაცვალების შესახებ“.

ბესიკ დევდარიანმა სამართალდამცავებს განუცხადა, რომ ჩხუბის დროს, არც დანა და არც სხვა რაიმე იარაღი არ ჰქონია.

საქმის მასალების მიხედვით, მომხდარ მკვლელობას ორი თვითმხილველი — დათო ონიანი და გელა არობელიძე ჰყავს. გამომძიებამ ორივე მათგანი დაჰკითხა. დათო ონიანმა ბესიკ დევდარიანის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა:

„2003 წლის 13 მარტს, შინ სტუმრად მყავდა ჯარის ამხანაგი — ტარიელ ონიანი. პატარა სუფრა გავშალეთ, მაგრამ მას თითქმის არაფერი დაულევია. დაახლოებით საღამოს 10-ის ნახევარი იქნებოდა, როცა სუფრიდან ადგა და გარეთ, სოვარეტის საყიდლად გავიდა. მეც გავყევი. ღობესთან მთვრალი ბაქარი შეგვხვდა... ბესიკი და გელა მოვიდნენ. ბესიკმა ტარიელს ჩხუბი დაუწყო... ყველაფერი რამდენიმე წუთში მოხდა. ბესიკმა ჩაარტყა ტარიელს დანა...“

რაც შეეხება გელა არობელიძეს, მისი ჩვენება დათო ონიანის სიტყვებს ეწინააღმდეგება. ამის გამო, პროკურატურამ მას ცრუმოწმე უწოდა.

გამომძიებამ არც ბესიკ დევდარიანის ჩვენებები გაიზიარა. ამ ფაქტს უარყოფითად აფასებენ მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები — სოსო ბარათაშვილი და მალხაზ ჯანგირაშვილი.

მალხაზ ჯანგირაშვილი:

„პროკურატურის მიერ საბრალდებო დასკვნაში წარმოდგენილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება. საბრალდებო დასკვნა ძალზე ტენდენციურია და არ შეიძლება, განსასჯელებზე, განსაკუთრებით, ბესიკ დევდარიანზე მის მიხედვით ვიმსჯელოთ. ამას საქმის მასალებში არსებული უამრავი უზუსტობა და წინააღმდეგობა მოწმობს. სასამართლო პროცესის მსვლელობისას, ჩვენ გამოძიების მიერ დაშვებულ თითოეულ უკანონობაზე დეტალურად გავამახვილებთ ყურადღებას“.

ადვოკატები აღნიშნავენ, რომ კომენტარს დეტალებზე, მოგვიანებით გააკეთებენ. აღნიშნული საქმის არსებითი განხილვა მომავალ კვირაში დაიწყება. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ ვინ დაიცავს პროცესზე ბაქარ დევდარიანის ინტერესებს. თუკი მომავალ სხდომაზე ის კერძო ადვოკატს არ წარმოადგენს, მაშინ მის დამცველზე თავად სასამართლო იზრუნებს.

■

76 წლის კაცს ნათესავის მკვლელობაში აღანაშაულებენ

76 წლის ილია მანგოშვილს უზენაესი სასამართლო ნათესავი ქალის განზრახ მკვლელობისა და სამი ადამიანის მკვლელობის მცდელობისთვის ასამართლებს. პროკურატურის ბრალდებით, მარტოხელა მოხუცმა მეზობლად მცხოვრები ბიძაშვილის ოჯახის აწიოკება და მათი ამოხოცვა 130 ლარის გამო გადაწყვიტა.

მეგი ცანავა

ტრაგედია სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში, გასულ ზაფხულს – 2003 წლის 22 ივნისს დატრიალდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ცალლულიანი სანადირო თოფით შეიარაღებულმა ილია მანგოშვილმა ჯერ 28 წლის დავით მანგოშვილის მიმართულებით დაიწყო სროლა, შემდეგ კი თოფი საკუთარ ბიძაშვილს, დავითის მამას – ზაურ მანგოშვილს დაუმიზნა. გასროლილ ტყვიებს ორივე გადაურჩა, ისევე, როგორც მათ გვერდით მყოფი მეზობელი – თემურ მღებრიშვილი. მაგრამ ამ ამბავს უსისხლოდ მაინც არ ჩაუვლია. ზაურ მანგოშვილს საფანტი სხეულის რამდენიმე ადგილას მოხვდა, ხოლო მისი მეუღლე – 58 წლის მარინე კრაწაშვილი მიღებული ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა.

„სროლის დაწყების მომენტში, ჩემი ცოლი ეზოში, სკამზე იჯდა და კარტოფილს ფცქვნიდა. ჩვენი ოჯახის არც ერთი წევრი იმ საღამოს ასეთ ამბავს არ ელოდა. იმ დღეებში ილიასთან არანაირი უთანხმოება არ მოგვსვლია, არც გვიჩხუბია. რას წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამის ჩადენა შეეძლო? მოხუცი კაცი ვარ და ხომ გესმით, ამ წლებში ჩემთვის მეუღლე რამდენს ნიშნავდა? მან კი, აჯგა და მომიკლა. ყველას გვიყვიროდა – მოგკლავთო! თოფი რომ დამიმიზნა, ვთხოვე – არ ისროლო-მეთქი, – მაგრამ ჩემი არ შეისმინა: ტყვიებს მეც მესროდა და ჩემს შვილსაც... უნდოდა, ყველა ამოვეხოცეთ“, – ამბობს დაზარალებული **ზაურ მანგოშვილი** და ბიძაშვილის უმკაცრესი სასჯელით დასჯას მოითხოვს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სიღნაღის რაიონულ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს აღიძრა. თუმცა, ეჭვმიტანილის დაკავება მაშინვე ვერ მოხერხდა. დაზარალებულისა და პროკურატურის ინფორმაციით, ილია მანგოშვილი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა და რამდენიმე დღის მანძილზე, მის კვალს ვერსად მიაგნეს. ბოლოს, 2003 წლის 8 ივლისს, ის პოლიციამ დააკავა.

ილია მანგოშვილმა პროკურატურის ბრალდებებში თავი დამნაშავედ არ ცნო. გამოძიებამ მისი ჩვენება არ გაიზიარა და სამი მძიმე მუხლით წაუყენა ბრალი. საქმის მასალების თანახმად, ილია მანგოშვილი სოფელ ბოდბისხევში მარტო, ბიძაშვილის ოჯახის მეზობლად ცხოვრობდა. მუხედავად იმისა, რომ ახლო ნათესავები იყვნენ, წლების მანძილზე ერთმანეთთან უთანხმოება ჰქონდათ. იყო პერიოდი, როცა მათ შორის ურთიერთობა აღდგა, ერთმანეთის ოჯახებში დადიოდნენ კიდეც, თუმცა, ამას მაინც ფორმალური სახე ჰქონდა მიღებული.

შემთხვევამდე დაახლოებით 4 წლის წინ, ილია მანგოშვილმა ბიძაშვილის შვილს – დავითს „კამაზის“ შესაკეთებლად ფული ასესხა. დავითი ნაწილ-ნაწილ უბრუნებდა ვალს, ბოლოს, 130 ლარი დარჩა გადასახდელი. ილია მანგოშვილი დიდხანს ელოდა ამ თანხას; თავიდან უკმაყოფილებას აშკარად არ გამოხატავდა, მაგრამ ბოლო დროს, უკვე კატეგორიულად მოითხოვდა ფულის დაბრუნებას. ამის გამო დავითთან და მის ძმასთან – გიასთან ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი.

2003 წლის 22 ივნისს, დღის მეორე ნახევარში, სახლიდან გამოიტანა ცალლულიანი, 15-კალიბრიანი „ზა“ მოდელის სანადირო თოფი, დაჯდა თავისი სახლის ღია შესასვლელში მდგარ საწოლზე და, როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, ბიძაშვილის ოჯახზე შურისსაძიებლად ხელსაყრელ მომენტს დაელოდა. დაახლოებით ხუთის ნახევრისთვის, მან გზაზე მიმავალი დავითი შენიშნა. ამ უკანასკნელს ოდნავ მოშორებით თავისი „კამაზი“ ჰყავდა გაჩერებული და მის შესაკეთებლად მიდიოდა. დავითის გასაღიზიანებლად, ილია მანგოშვილმა მიწისკენ ისროლა ტყვია და თან ხმამაღლა, მის გასაგონად დაიძახა – მაინც ვერ გაგიმეტეო! დავით მანგოშვილი მაშინვე მამასთან მივიდა და უთხრა – ილიამ მესროლა, არ დაგვხოცოს, შინ წავიდეთო. მათ თან წაჰყვა მეზობელი – თემურ მღებრიშვილი, რომელიც დავითის მანქანის შეკეთებაში ეხმარებოდა.

შინ მისულებს, ეზოში ზაურ მანგოშვილის მეუღლე – მარინე კრაწაშვილი დახვდა. გამოძიების დასკვნით, ილია მანგოშვილმა, ყველა ერთად თავმოყრილი რომ დაინახა, გადაწყვიტა, განზრახვა სისრულეში მოეყვანა. თოფში, ქარხნული წესით დამზადებული ისეთი ვაზნა ჩადო, რომლის ჭურვებს (საფანტს) ადამიანის მოკვლა შეეძლო და დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან ეზოში მყოფთა მიმართულებით სროლა დაიწყო. დავით მანგოშვილმა და თემურ მღებრიშვილმა მოასწრეს, სახლის პირველი სართულისთვის შეეფარებინათ თავი და ამით ჭურვებს გადაურჩნენ. მარინე კრაწაშვილი მძიმედ დაიჭრა, ძირითადად – თავის არეში; ზაურ მანგოშვილს ჭურვები ცხვირის, მარცხენა ლოყისა და ზურგის არეში მოხვდა, თუმცა, საბედნიეროდ, სიკვდილს გადაურჩა. მისი მეუღლე სიღნაღის რაიონულ საავადმყოფოში, შემდეგ კი – თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. მიღებული დაზიანებებისგან იგი 24 ივნისს გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მარინე კრაწაშვილის სიკვდილის უშუალო მიზეზი, თავში მოხვედრილი ჭურვების შედეგად განვითარებული, თავის ქალის ღია ტრავმა აღმოჩნდა.

2003 წლის პირველ ნოემბერს, ილია მანგოშვილს პროკურატურამ საბოლოოდ წარუდგინა ბრალი. მაშინ მან ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა, თუმცა დასძინა, რომ პირველ ოქტომბერს მის მიერ მიცემულ ჩვენებაში სრული სიმართლე იყო აღწერილი.

სიმართლეს ალბათ სასამართლო დაადგენს და შესაბამის განაჩენსაც გამოიტანს. მანამდე კი სხდომებზე, როგორც პროცესის მონაწილე მხარეები ვარაუდობენ, ბევრი აქამდე გაურკვეველი დეტალი გამოიკვეთება. ამჟამად განსასჯელი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი – შალვა შავგულიძე გამოძიების მიერ დაფიქსირებულ ფაქტებს კატეგორიულად უარყოფენ. ადვოკატი პროკურატურის მიერ დაშვებულ არაერთ პროცესუალურ დარღვევაზე საუბრობს და იმასაც აღნიშნავს, რომ გამოძიებამ მუხლები არასწორად დააკვალიფიცირა.

სასამართლო კოლეგიამ დაზარალებული და რამდენიმე მოწმე უკვე დაჰკითხა. მათ, ძირითადად, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები გაიმეორეს. რაც შეეხება მომავალ სხდომას, ამჯერად მოწმეები დაცვის მხარემ უნდა წარადგინოს.

2003 წლის პირველ ოქტომბერს, **ილია მანგოშვილი** ბრალდებულის სახით დამატებით დაიკითხა. აი, რას წერს იგი ამ ჩვენებაში:

„მეუღლე დაახლოებით 35 წლის წინ გარდამეცვალა. მისი დაღუპვის შემდეგ, სოფელს ვერ მოვშორდი, მარტო ვცხოვრობდი. მატერიალურად არ მეჭირდა, რადგან შვილები მეხმარებოდნენ. ქალიშვილი თბილისში ცხოვრობს, ხოლო ვაჟი, თავის ცოლშვილთან ერთად – ქალაქ სოჭში.

ჩემი ნათესავი – ზაური „კამაზის“ მძღოლი იყო და რუსეთში დადიოდა სამუშაოდ. 1970 წელს, რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში ავარია მოუხდა, რის შედეგადაც ცალი ფეხი მოჰკვეთეს. მაშინ მის სანახავად ვერ წავედი და ძალიან გამინაწყენდა. ამასობაში გია და დათოც გაიზარდნენ, ისინიც ცუდ დამოკიდებულებაში იყვნენ ჩემთან. დროდადრო მირიგდებოდნენ, მაგრამ შემდეგ ისევ იწყებდნენ ჩემს შევიწროებას. თავიანთ ავტომანქანას განგებ ისე აყენებდნენ, რომ ჩემს ეზოში შესასვლელი გზა ჩამკეტვოდა.

დაახლოებით 4 წლის წინ, ნოემბერში, ტრაქტორით შინ ბურვაკები მივიყვანე. სახლამდე ვერ მივედი, რადგან გზაზე დათოს მანქანა გაეჩერებინა, თანაც – შესაკეთებლად დაეშალა. ვუსაყვედურე – მანქანა მაინცდამაინც აქ რატომ დაშალე? ხომ იცი, გზა მეკეტება-მეთქი! – მან კი მიპასუხა – სხვაგან ტალახიაო. სწორედ მაშინ მითხრა – ავტომანქანის შესაკეთებლად ფული მასესხეო. ვასესხე 310 ლარი. ორი დღის შემდეგ, ზაური მოვიდა და მანაც მთხოვა თანხა. მას 250 ლარი ვასესხე. ზაურმა 3 თვეში დამიბრუნა ვალი, დათო ნაწილ-ნაწილ მიხდიდა – ხან 10-ს, ხან 20 ლარს მაძლევდა. ბოლოს, გადასახდელი დარჩა 185 ლარი. როცა ვეუბნებოდი – ვალი დამიბრუნე-მეთქი, – მპასუხობდა – არ მაქვსო, – ან სულაც, უარით მისტუმრებდა.

8-9 თვის წინ, ზამთრის პერიოდი იყო, როცა მე, დათო და გია ზემო ბოდბეში ქეიფის შემდეგ, მანქანით შინ ვბრუნდებოდით. მაშინ კიდევ ერთხელ ვთხოვე დათოს ვალის დაბრუნება, მან კი ჩხუბი დამიწყო, გიაც დაეხმარა. ჩხუბის დროს, სახეში გამარტყეს ხელი, ცხვირიდან სისხლი წამომივიდა; ჩამომაგდეს მანქანიდან. ამასობაში ზაურიც მოვიდა, მაგრამ მას ჩემთვის ხელი არ გაურტყამს. შინ ფეხით მივედი.

22 ივნისს, საღამოს, სანამ მზე ჩავიდოდა, გარეთ რკინის საწოლზე ვიჯექი და ჩემს ძველ სანადირო თოფს ვწმენდდი. სწორედ მაშინ ჩამოიარა გზაზე დათომ. მივაძახე – ფული დამიბრუნე-მეთქი. – მომიბრუნდა და უხეშად მიპასუხა – ფული არა, ის არ გინდაო?! – თან შემაგინა. გავბრაზდი და მის შესაშინებლად თოფიდან მიწისკენ გავისროლე, მერე კი დავუყვირე – ვერ გაგიმეტე-მეთქი.

დაახლოებით ერთ წუთში, ზაურმა და დათომ თავიანთი ეზოდან დამიწყეს გინება და ყვირილი – სულერთია, მოგკლავთო! თოფი ისევ ხელში მეჭირა. გაბრაზებული ვიყავი და მინდოდა, ორივენი შემეშინებინა. ისევ მიწისკენ ვისროლე. ვერ წარმოვიდგენდი, თუ საფანტი ვინმეს მოხვდებოდა. ყვირილის ხმა რომ გავიგონე, შემეშინდა და იქიდან პირდაპირ ჯემალ მოლაშვილთან მივედი, თოფიც თან წავიღე. სროლის დროს, ეზოში ზაურისა და დათოს მეტი არავინ დამინახავს...“

ამ ჩვენებას კატეგორიულად უარყოფს დაზარალებული. ზაურ მანგოშვილის თქმით, შვილის ვალის შესახებ არაფერი იცოდა.

ზაურ მანგოშვილი:

„ამ ვალის შესახებ პირველად იმ დღეს გავიგე. მაშინ დამიძახა ილიამ – დათო ფულს არ მიბრუნებს, კარგი შვილი არ გაგიზრდიაო. 28 წლის შვილის მოქმედებებს მე ვერ გავაკონტროლებდი, თავად კი, ვალის შესახებ არაფერი უთქვამს. პირადად მე, ილია მანგოშვილთან სადავო არაფერი მქონდა“.

■

„გოგბერაშვილმა რა ჩაიდინა, არ ვიცი, მაგრამ გია და ბენიამინი უდანაშაულონი არიან“ – აცხადებს ვაშაკიძის ნათესავი

გენერალ-ლეიტენანტის – გია ვაშაკიძისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებამ უზენაეს სასამართლოში შეკრებილი, ვაშაკიძის ახლობლების აგრესიული რეაქცია გამოიწვია. ვაშაკიძის ნათესავები აცხადებენ, რომ ის უკანონოდაა დაპატიმრებული და თამაზ მაღლაკელიძის გატაცებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. თავად ვაშაკიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ უშიშროების ექსმინისტრთან – იგორ გიორგაძესთან ის თავისი წარმოშობის გამო დააკავშირეს: გიორგაძეც და ვაშაკიძეც სამტრედიელები არიან. რაც შეეხება მაღლაკელიძის გატაცებას, ვაშაკიძემ განაცხადა, რომ ამ ადამიანის შესახებ მან ბოლო დროს, ტელეეკრანიდან შეიტყო, პირადად კი არ იცნობს და არც სადმე შეხვედრია.

მიუხედავად ამისა, პროკურატურა თავის პოზიციაზე მყარად დგას. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ვაშაკიძის უკანონო პატიმრობაზე მსჯელობა წარმოუდგენელია, რადგან გამოძიებას მის და დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა მიმართ რეალური მტკიცებულებები უკვე აქვს.

გია ვაშაკიძის, ბენიამინ სანებლიძისა და ელდარ გოგბერაშვილის სისხლის სამართლის საქმე 5 მუხლითაა აღძრული. ესენია: ადამიანის გატაცება, უკანონოდ მძევლად პირის აყვანა, ყაჩაღობა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება და პოლიციის თანამშრომელთათვის წინააღმდეგობის გაწევა.

ვაშაკიძესთან ერთად, მისი ახლობლები ბენიამინ სანებლიძესაც ექომაგებიან, მაგრამ ნაკლებ კეთილგანწყობას გამოხატავენ ელდარ გოგბერაშვილის მიმართ.

ნათელა ვაშაკიძე, გია ვაშაკიძის ნათესავი:

„ბენიამინი სრულიად შემთხვევით მოხვდა ამ გაუგებრობაში. იმ დღეს, სტუმრად იყო გიასთან ჩამოსული, გატაცების შესახებ მან, ისევე, როგორც გიამ, არაფერი იცოდა. ამ დროს, პოლიციამ ისიც აიყვანა; ისიც თანამზრახველად და თანამონაწილედ გამოაცხადეს. რაც შეეხება გოგბერაშვილს, მან რა ჩაიდინა, არ ვიცი. კრიმინალია,

წარსულში რამდენჯერმეა ნასამართლევი, იქნებ, რაიმე მართლაც დააშავა, მაგრამ სანებლიძე და ვაშაკიძე ნამდვილად უდანაშაულონი არიან.

გიამ მთელი ცხოვრება პატიოსნად გაატარა. ჯერ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო, შემდეგ, აფხაზეთის ომის დროს, ოჩამჩირეში იბრძოდა. ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი პიროვნული თვისებებითა და საქმის სიყვარულით და ამის გამო მთავრობამ მოსკოვში სასწავლებლად გააგზავნა. მაღალჩინოსანი სამხედრო უნდა გამოსულიყო და სამოღვაწეოდ საქართველოში დაბრუნებულიყო. დაბრუნდა, მაგრამ დაპირებები დაპირებებად დარჩა – სამსახურიც არ აღირსეს. შეიძლება, ამის გამო განაწყენდა კიდეც, მაგრამ შურისძიება და დანაშაულის ჩადენა მას არასოდეს შეეძლო. ერთი რამ ფაქტია, იმის გამო, რომ ის სხვა ბანაკში აღმოჩნდა, მისი პოლიტიკური დევნა დაიწყეს“.

■

მსჯავრდებულთა თანადგომამ ამბროლაძე პატიმრობისგან ვერ იხსნა

კანონიერი ქურდის — ზაზა ამბროლაძის დაპატიმრებას უზენაეს სასამართლოში პროცესების ჩაშლა მოჰყვა. 12 იანვარს სისხლის სამართლის საქმეთა პირველი ინსტანციის კოლეგიათა მიერ 5 სასამართლო სხდომა იყო დანიშნული, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შემდგარა. მიზეზი, თბილისის №5 საპყრობილის პატიმართა გაფიცვა გახლდათ. გაფიცულთა შორის, უზენაეს სასამართლოში წარსადგენი განსასჯელებიც იყვნენ.

როგორც გაირკვა, პატიმრები ამ პროტესტით, ზაზა ამბროლაძესა და ზოგადად, კანონიერ ქურდებს უცხადებდნენ სოლიდარობას. თუმცა, თავად ამბროლაძე სამთვიანი წინასწარი პატიმრობისგან ამ თანადგომამ ვერ იხსნა. თერჯოლის რაიონულმა სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ამის გამო ზაზა ამბროლაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა — ლალი აფციაურმა უკმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, რომ სასამართლოს დადგენილებას აუცილებლად გაასაჩივრებს.

ზაზა ამბროლაძეს პროკურატურამ ცეცხლსასროლი იარაღის, კერძოდ — ავტომატის უკანონო შეძენა-შენახვის მუხლით დასდო ბრალი. ამასთან დაკავშირებით აფციაური აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს ავტომატი პოლიციელებმა განგებ ჩაუდეს. „*აშკარაა, რომ სასამართლომ მთავრობის მითითების შედეგად დააკანონა უკანონობა*“, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ლალი აფციაურმა.

სხვათა შორის, არსებობს ვერსია, რომ ამბროლაძეს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის — თამაზ მაღლაკელიძის გატაცებასთანაც აქვს კავშირი. ადვოკატი ამას კატეგორიულად უარყოფს, სამართალდამცავები კი, არც ადასტურებენ და არც უარყოფენ; როგორც თავად აცხადებენ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კომენტარისგან თავს იკავებენ. ■

ახალწლის ღამის ინციდენტები, მანიაკების ზარები და საავაზანოში გაჩენილი ბავშვი

ახალი წლის ღამე დიდი ზარზეიმით აღინიშნა დედაქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე. უამრავი ადამიანი იყო გამოსული, რათა სანახაობისთვის თვალყური ედევნებინა. მაგრამ ალბათ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ იქვე, მათ გვერდით, მოზეიმე ადამიანებმა ძალზე სერიოზული ტრავმა მიიღეს. ამის შესახებ „სასწრაფო დახმარება 03“-ის საშუალებით შევიტყვეთ. ცენტრის გამგემ, ქალბატონმა ვარდო ყიფიანმა 31 დეკემბრის ღამით მომხდარი სხვა საინტერესო შემთხვევებიც გაიხსენა. ჩემი მათთან სტუმრობის დროს კი, „03“-ის თანამშრომლებმა, შინ დაბადებულ ბავშვსა და დედასაც აღმოუჩინეს დახმარება.

მარი ჯაფარიძე

— ქალბატონო ვარდო, დავიწყოთ იმით, თუ რა მოხდა რუსთაველის გამზირზე ახალი წლის ღამეს...

— საშინელი ჭყლეტა იყო და ბევრმა ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო. მაგრამ ყველაზე ცუდი ფაქტი „იმელის“ შენობასთან მოხდა. მოგეხსენებათ, იქ მიწისქვეშა გადასასვლელია. ჰოდა, იმისათვის, რომ გზის მოპირდაპირე მხარეს მიმდინარე მოვლენები კარგად დაენახათ, ბევრი ადამიანი ჩასასვლელი კიბის პარაპეტზე ავიდა; ერთ-ერთ მათგანს ფეხი დაუცდა და კიბეზე დავარდა; ვარდნისას, მის გვერდით მდგომს მოეჭიდა და ისიც გადაიყოლა; მეორემ — მესამე, მეოთხე და სულ 7 ადამიანი, საკმაოდ დიდი სიმაღლიდან, საფეხურებზე დაეცა. მათ შორის იყო 30 წლის მამაკაციც და 14 წლის ბავშვიც. ძალზე მძიმე დაზიანებები მიიღეს. უმეტესობას წვივის ძვლის მოტეხილობა აქვს. 18 წლის გოგონამ კი, ხერხემლის მძიმე ტრავმა მიიღო... მოზეიმე ადამიანებს შორის ბევრი ნასვამი გახლდათ. ერთ-ერთი მათგანი, 20 წლის ახალგაზრდა, ავტობუსის სახურავზე ასულა და იქიდან გადმოვარდნილა... ინციდენტები მხოლოდ რუსთაველის პროსპექტზე როდი მოხდა. მაგალითად, ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრები მამაკაცი თავისი საცხოვრებელი კორპუსის კიბეზე დაგორდა. როგორც ჩანს, ნასვამი გახლდათ, თავი ვერ შეიკავა, ფეხი დაუცდა და ამის შედეგად, მრავალი მოტეხილობა შეემთხვა. უჩვეულო ამბავი შეემთხვა ერთ ქალბატონს. ის 45 წლის გახლავთ, ქვრივია. მეუღლის სიკვდილის შემდეგ, მეზობელ კაცთან ჰქონია ურთიერთობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, საყვარელს მისი თავიდან მოშორება განუზრახავს და შეხვედრებზე უარს ეუბნებოდა. ახალი წლის დილას კი, განაწყენებული ქალბატონი ყოფილ საყვარელს შინ მისდგომია, შეკამათების დროს კაცს ხელი უკრავს და ქალი კიბეზე დაუგორებია...

ქალბატონ ვარდოსთან საუბარი დამთავრებული არ გვქონდა, რომ „სასწრაფო დახმარების“ ცენტრში მშობიარესთან მყოფი ბრიგადა დაბრუნდა. წინასწარ, რაციით გადმოსცეს — ბავშვი დაბადებული დაგვხვდა და სამშობიაროში მიგვყავსო. ბრიგადის ექიმს, ბატონ თამაზ კიკვაძეს ვთხოვე, მოეთხრო,

რა მოხდა და ამასთანავე, სხვა კურიოზული შემთხვევებიც გაეხსენებინა.

— როდესაც დასახელებულ მისამართზე მივედით, ბინაში 5-6 ქალბატონი დაგვხვდა. მშობიარე იწვა და საბანი ჰქონდა გადაფარებული. საბანი რომ გადავწიეთ, ახალშობილი იქვე, ქალის ფეხებთან ეგდო — დიახ, სწორედაც რომ ეგდო, რადგან როგორც დაიბადა, ასევე, ხელუხლებელი დაგვხვდა. ჭიპლარშემოხვეული იყო და ჭყაოდა. ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ როდესაც ვიკითხეთ — ცოტა ადრე რატომ არ გამოგვიძახეთ-თქო? — გვიპასუხეს — არ ვიცოდით, ორსულად თუ იყო, გვეგონა, მოიწამლა და მუცელიც ამიტომ სტკიოდაო... ბავშვს პირველადი დახმარება აღმოვუჩინეთ, დედასთან ერთად სამშობიაროში გადავიყვანეთ და ახლა, ორივე თავს მშვენივრად გრძნობს... რამდენიმე წლის წინ კი, ასეთი ამბის მომსწრე გავხდი: გამოგვიძახეს მშობიარესთან. როდესაც მისამართზე მივედით, კარი ღია დაგვხვდა. შევედით, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმის. საიდანღაც, ძალზე შორიდან ბავშვის ტირილის სუსტი ხმა მოგვესმა. ხმას მივყევით და აღმოჩნდა, რომ ქალმა საბაზანოში იმშობიარა, ქმარმა კი იმიტომ მიუტოვებია, რომ ახალშობილი, მესამე გოგო ყოფილა... დავინახეთ, რომ ბავშვი ტაშტში აგდია... დენი არ იყო, უკუნ სიბნელეში გაჭირვებით გავარჩიეთ პაწია, რომელიც ძლივს სუნთქავდა... როგორც იქნა, ოჯახის ერთ-ერთი წევრი გამოჩნდა და სანთელიც მოიტანა. შინ მხოლოდ ერთი სანთელი ჰქონიათ. გავაგზავნეთ ზეწარზე, სანთელიც თან წაიღო და ისევ სიბნელეში დავრჩით... მოკლედ, ძალზე ვიჯახირეთ, მაგრამ ბოლოს, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

კოლეგებისგან მსგავსად, ბევრი აქვს გასახსენებელი „03“-ის მთავარ ექიმს, ბატონ **დავით გველესიანს:**

— მახსოვს, მოხუცი კაცის დასახმარებლად გამოგვიძახეს. მაშინ „03“-ის ერთ-ერთი ფილიალის მთავარი ექიმი გახლდით და ხანდახან, ვმორიგეობდი კიდეც. ავადმყოფი, თავადური წარმოშობის, გვარად გოკიელი გახლდათ. რომ მივედით, კარი დაკეტილი დაგვხვდა, გასაღები კი შიგნიდან იყო მორგებული. ჭუჭრუტანიდან გასაღებს მივაწექით, ჩამოვაგდეთ, შემდეგ როგორღაც კარი გავაღეთ და აღმოჩნდა, რომ მოხუცი უკვე გარდაცვლილიყო. კარგა ხანს მოგვიწია იქ ყოფნა. დაღლილი, სკამზე ჩამოვჯექი და ოთახს თვალი მოვავლე. იქაურობა სავსე იყო ძვირფასი ნივთებით. დავრეკეთ მერიაში და ვაუწყეთ, რომ ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით და ბინას ასე უპატრონოდ ვერ მივატოვებდით. ამ კაცს წელზე რაღაც, ბანდაჟისმაგვარი ქამარი ეკეთა. თურმე, შიგ ოქროს მონეტები ჰქონდა ჩაკერებული და სულ თან დაატარებდა, რომ არავის მოეპარა... მაშინ მადლობა გამომიცხადეს ამის გამო. მაგრამ ახლა გავიხსენებ ერთ შემთხვევას, როდესაც ავადმყოფი სიკვდილს გადავარჩინეთ და ოჯახის წევრები უკმაყოფილონი დარჩნენ... ის მხცოვანი და ამავე დროს, საკმაოდ მდიდარიც გახლდათ. როდესაც მივედით, მივხვდით, რომ უიმედო ავადმყოფი იყო და ამქვეყნად ვეღარ მოვაბრუნებდით, მაგრამ ჩვენი ვალი მაინც მოვიხადეთ და დახმარება აღმოვუჩინეთ. ამ დროს, ოჯახის წევრები სამზარეულოში ისხდნენ და ქელეხის სამზადისს შესდგომოდნენ, თან, ქონებას ინაწილებდნენ... მოხუცმა ჯერ თვალები დაახამხამა, შემდეგ თვალი გაახილა და ცოტა ხანში, საწოლზე წამოჯდა კიდეც. ახლაც მახსოვს მისი შთამომავლების უკმაყოფილო სახეები...

ბატონ დავითთან საუბრის შემდეგ, სადისპეტჩეროსაც ვეწვიე, სადაც არანაკლებ საინტერესო ამბები შევიტყვე. ***ჩილია ალიევა*** *1973 წლიდან მუშაობს „03“-ის ოპერატორად და, ბუნებრივია, 30 წლის მანძილზე, ბევრი რამის მომსწრეა:*

— ხომ ხედავთ — ზარები არ წყდება. აქ მთელი დღის განმავლობაში, ასეთი ხმაურია, მაგრამ მე უკვე მივეჩვიე. ყველაზე მეტად ნერვებს მანიაკები მიშლიან.

— როგორ? თქვენთან მანიაკებიც რეკავენ?

— დიახ. მოგეხსენებათ, 112 ის ნომერია, რომელზეც მობილური ტელეფონით შეიძლება ჩვენთან დაკავშირება; ზარი უფასოა, ჰოდა, უამრავი მოცლილი რეკავს — ძირითადად, პატიმრები. უწმაწურ სიტყვებს გვეუბნებიან, სატელეფონო სექსს გვთავაზობენ... ზოგი, არ გეგონოთ, ყურმილს რომ დაუკიდებ, გაჩერდება — გულს შეგიღონებს რეკვით!.. ერთხელ, ისე გავმწარდი, თავი ვერ შევიკავე და დავწყევლე: შენ არ გეღირსოს „სვაბოდა“, შენ ამოწყდი, შე ასეთო, შე ისეთო-მეთქი! — მაგრამ ესეც არ ჭრის.

ჭიპლარშემოხვეული იყო და ჭყაოდა. ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ...

— იქნებ, საინტერესო შემთხვევები გაიხსენოთ.

— ყოფილა შემთხვევები, როდესაც ქალებს დაურეკავთ და უთქვამთ: მიშველეთ, შინ სტუმრად საყვარელი მყავდა, დაიღუპა და იქნებ, ისე მოახერხოთ, რომ სკანდალი თავიდან ამარიდოთო... ერთხელ, გამოძახებაზე გავიდა ბრიგადა. ავადმყოფი ძალზე ლამაზი, ახოვანი მამაკაცი იყო, რომელიც მანქანაში, საჭესთან იჯდა. წნევა გაუზომეს, მაგრამ ვერ დაითანხმეს, რომ სამედიცინო დაწესებულებაში წაეყვანათ. ბოლოს ექიმმა სთხოვა — ვენაში მაინც გაგვაკეთებინე წამალიო. არაფრის დიდებით არ ანებებდა მათ პერანგის სახელოს აწევას — მე თვითონ, ქირურგიის ინსტიტუტში ვმუშაობო... ბოლოს, ექიმმა თავისი მაინც გაიტანა და მკლავი გააშიშვლებინა. აღმოჩნდა, რომ მთელი კიდური დაკაწრულ-დასისხლიანებული ჰქონდა. თავი იმით იმართლა — ცოლთან ჩხუბი მომივიდაო, — მაგრამ ღმერთმა იცის, რის გამო იყო ასე...

აი, ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებში უწევთ მუშაობა ექიმებს, რომლებსაც ერთი სურვილი აქვთ: ცოტა ავადმყოფი და ბევრი ფული!.. ახდენოდეთ ეს ოცნება.

■

2004 წელი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული იქნება! — აცხადებს ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა. მოსალოდნელია ავარიების, აგრესიულობის, სამხედრო კონფლიქტების პროვოცირება და ექსტრემისტული ქმედებები. შესაძლებელია, გამწვავდეს ეკონომიკური პრობლემები, რომელიც წლის მეორე ნახევარში მოწესრიგდება... როგორ გაართმევს თავს ამ რთულ წელიწადში მის წინაშე მდგარ ამოცანებს ახალი პრეზიდენტი? რა როლს შეასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა ცნობილი ფიგურები? თავის პროგნოზებს გვიზიარებს ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა:

„დაძაბულობა გაზაფხულის დასაწყისში მიაღწევს კულმინაციას“...

ლელა ჭანკოტაძე

– 2004 წელი პოზიტიური იქნება ჟურნალისტებისთვის, მწერლებისა და მოდის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის. ამ უკანასკნელთ ვურჩევ, მაიმუნს რომ ასიამოვნონ, უპირატესობა მიანიჭონ ისეთ ქსოვილებს, რომელშიც ლურჯი, შავი, ყავისფერი, მწვანე და ნაცრისფერი ჭარბობს. მომგებიანია ექსტრავაგანტური ვარცხნილობა. შესაბამისად, ცხოვრების სტილიც უფრო მხიარული უნდა აირჩიონ. ნუ მოერიდებიან თავგადასავლებს, რისკსა და ცვლილებებს... იმავეს ვერ ვურჩევ პოლიტიკოსებს. მათთვის საკმაოდ რთული და დაძაბული პერიოდი დაიწყო. მაიმუნის წელიწადში საგრძნობლად მოიმატებს ავანტიურისტული ქმედებისა და ცრუინფორმაციების გავრცელების შემთხვევათა რიცხვი. მოსალოდნელია სახელმწიფო სახსრების პირადი მიზნებისთვის გამოყენების მცდელობები. ამიტომ პოლიტიკოსებსა და სამართალდამცავებს განსაკუთრებული ყურადღება და სიფხიზლე მართებთ. რთული დრო დაუდგება თავად პრეზიდენტს. მას რამდენჯერმე ჩააგდებენ გამოუვალ მდგომარეობაში, ხშირად წაუყენებენ ულტიმატუმს. მაგრამ მიუხედავად ასეთი ზეწოლისა, ქვეყანა ჩიხში მაინც არ მოექცევა, პირიქით – წლის ბოლოს, აღმავლობაც კი დაიწყება.

— დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება პრაქტიკულად ხომ არ დადგება დღის წესრიგში?

– ჩათვალეთ, რომ სააკაშვილს აფხაზეთი უკვე „ჯიბეში უდევს“. ეს ტერიტორია იოლად და უმტკივნეულოდ დაგვიბრუნდება. ცხადია, სხვა ქვეყნის, დახმარებით.

— უფრო კონკრეტულად თქვით, რას გულისხმობთ?

– დიდი და ძლიერი ქვეყანა აფხაზეთში თავის ჯარს შეიყვანს, რასაც იქიდან რუსეთის ჯარის გაყვანა მოჰყვება. გაფორმდება დიდი ხელშეკრულება, აფხაზეთი გუბერნია გახდება და ისევ ჩვენს დაქვემდებარებაში შემოვა – დაახლოებით ისე, როგორც ახლა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაა.

— სამაჩაბლოშიც იგივე ხომ არ მოხდება?

– აფხაზეთი სანამ არ დაბრუნდება, მანამ სამაჩაბლოს დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მას შემდეგ, რაც ლტოლვილები აფხაზეთში თავიანთ სახლებში დაბრუნდებიან, სამაჩაბლოს პრობლემაც გადაწყდება.

— როდის შეიძლება, ამ ოცნების ასრულებას ველოდოთ?

– ჩემი ვარაუდით, ეს მაიმუნის წლის დასასრულს მოხდება. ზუსტად არ შემიძლია გითხრათ, დეკემბერში დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს თუ ეს პროცესი 2005 წლის მარტამდე გაგრძელდება. მართალია, ჩემი სიტყვები ახლა დაუჯერებლად გეჩვენებათ, მაგრამ გირჩევთ, დაიჯეროთ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო უკვე დაბრუნებულია...

— როგორ განვითარდება მოვლენები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში?

– აჭარაში სერიოზული ძვრები უკვე დაწყებულია. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ „ხავერდოვანი რევოლუცია“ სულ მალე, იქაც იფეთქებს, თუმცა, ისეთი უმტკივნეულო არ იქნება, როგორიც თბილისში იყო. ძალზე დაძაბული და ქაოსური დღეები გველის. დაძაბულობა გაზაფხულის დასაწყისში მიაღწევს კულმინა-

ციას.

— რა ბედი ეწევა ასლან აბაშიძეს?

— ის თავის ოჯახთან ერთად გაიხიზნება, მაგრამ ეს მაშინ მოხდება, როცა მას ყოველგვარი იმედი გადაეწურება და საკუთარი მოსახლეობა დაუპირისპირდება. მალე აჭარას საპროტესტო გამოსვლების ტალღა გადაუვლის. საა-კაშვილი ერთიანი საქართველოს პრეზიდენტი გახდება.

— როგორ გადაწყდება იგორ გიორგაძის საკითხი?

— ის კიდევ უფრო გააქტიურდება. მისგან მტრის ხატს ქმნიან და ეს მთლად უსაფუძვლო არ არის. ახალი ხელისუფლებისთვის ის მართლაც საშიშია. ახალ ხელისუფლებასთან საერთო ენას ვერ გამონახავს, ამიტომ ჯერჯერობით მის დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. თუმცა, მისი ოჯახი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, შვილები ნერვიულობენ და კატეგორიულად სთხოვენ დაბრუნებას.

— თქვენი ვარაუდით, კიდევ რა საინტერესო ფაქტები დაფიქსირდება 2004 წელს?

— გარდაცვლილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ნეშტს საქართველოში გადმოასვენებენ. მისი მკვლელობის საქმე გაიხსნება.

— დაპატიმრებები გაგრძელდება?

— საბრალდებო სკამზე კიდევ რამდენიმე ცნობილი ადამიანი მოხვდება. დაპატიმრებების მხრივ, „აქტიური“ იქნება მარტის დასაწყისი.

— მოსალოდნელი ხომ არ არის, რაიმე საშიშმა ვირუსმა შემოაღწიოს საქართველოში?

— არა. არც ატიპური პნევმონია და არც რომელიმე სხვა ამოუცნობი ვირუსი ჩვენში არ გავრცელდება. ამ მხრივ, ნერვიულობის საფუძველი არა გვაქვს. სამაგიეროდ, ბევრი ადამიანი დაავადდება გრიპით. თუმცა, ეს ეპიდემიაში არ გადაიზრდება.

— სტიქიური უბედურებები თუ გველოდება?

— მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი წელი მთელ მსოფლიოში სწორედ სტიქიური უბედურებების სიმრავლით იქნება გამორჩეული, საქართველოში მსგავსი არაფერი მოხდება. უფრო სწორად, არც ერთი ბუნებრივი კატაკლიზმი მსხვერპლით არ დასრულდება.

ახლა კი, დაპირებისამებრ, ცნობილი ადამიანების „პერსონალურ პროგნოზებს“ შემოგთავაზებთ.

„ნინი ბადურაშვილს შეუძლია, ბედს მიენდოს და ცხოვრებით დატკბეს“

— ეს წელი ნინისთვის ბედნიერების მომტანი იქნება. წარმატებული და მხიარული წელი ელოდება. ნაყოფიერი და განუმეორებელი დღეები ამ წელს, მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს წლად აქცევს. ნინი თავისი ცხოვრების თანამგზავრს შეხვდება. ის, ვინც 2004 წელს მის გულს დაიპყრობს, მისი ბედისწერა გახდება.

— ეი. ნინი გათხოვდება?

— არა, უბრალოდ, გაიცნობს და შეიყვარებს იმ მამაკაცს, რომელზეც მომავალში გათხოვდება და რომელიც მის ცხოვრებას ძალიან გაალამაზებს. ნინის შეუძლია, თამამად წავიდეს რისკზე. ეს მისი წელია, შეუძლია, ბედს მიენდოს და ცხოვრებით დატკბეს. ბევრი სამუშაო და ბევრი სიხარული ელოდება. წლის მეორე ნახევარი მისთვის შედარებით უფერული და პრობლემური იქნება, მაგრამ ცუდი არაფერი მოელის.

„თამუნა ამონაშვილი ნამდვილ ქალურ ბედნიერებას მოიპოვებს“

— 2004 წელი თამუნა ამონაშვილის მთელ ცხოვრებას შეცვლის. მის ოცნებებს ფრთები შეესხმება, ის ნამდვილ ქალურ ბედნიერებას მოიპოვებს. მისთვის განსაკუთრებით იღბლიანი, წლის ბოლო აღმოჩნდება და სერიოზული ცვლილებებიც მაშინ ელოდება. მიუხედავად იმისა, რომ ფორტუნა მის მხარესაა, დამშვიდებას და მოდუნებას მაინც არ ვურჩევ, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება, ბედნიერება ხელიდან გამოაცალონ, როგორც ეს რამდენჯერმე უკვე მოხდა. გასაოცარია, მაგრამ მას მტრები ჰყავს, რომლებიც ჯერ ისევ ილესავენ კბილებს... თამუნას შანსი მიეცემა, მტრებისგან გათავისუფლდეს. ის ამ შანსს გამოიყენებს.

„დათო ხუჯაძე ხსნას სექსუალურ კავშირებსა და აზარტულ თამაშებში პოვებს“

— დათოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება. წარუმატებლობა და პრობლემები მხოლოდ ახალი წლის პირველ ნახევარში ექნება. ამჟამად დათო დაბნეულია, ცოტა შეშინებული და გამორიცხული არ არის, დეპრესიაშიც ჩავარდეს. მაგრამ მისი დაბნეულობა დიდხანს არ გასტანს. დათო ხსნას სექსუალურ კავშირებსა და აზარტულ თამაშებში პოვებს. ეს შეუწყობს ხელს ცუდი გუნება-განწყობილების გამოკეთებას. წლის მეორე ნახევარში, დათო ენერგიული ჩანს და ცდილობს, აქტიურად დაბრუნდეს ესტრადაზე, სადაც მას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდება. გამორიცხული არ არის, რომ დათომ ცოლი შეირთოს და 2004 წლის მონაპოვრად სწორედ ოჯახის შექმნა ჩათვალოს. ხიფათი და უსიამოვნებები მაისიდან უკვალოდ გაქრება. მატერიალური თვალსაზრისით, ეს წელი მისთვის კრიზისული აღმოჩნდება. ■

ნაშვილები ბავშვები

მარი ჯაფარიძე

გასულ ზაფხულს, მეტროს სადგურ „წერეთლის გამზირთან“ ასეთ ამბავს შევესწარი: ხალხით გარშემორტყმულ წრეში 40-42 წლის, კარგად ჩაცმული ქალბატონი იდგა, ხელში ჩვრებში გახვეული ჩვილი ეჭირა და თვალცრემლიანი ჰყვებოდა, როგორ მიაჩეჩა ხელში უცნობმა ახალგაზრდა გოგონამ და თვითონ სადღაც გაქრა... ამასობაში, ჩვილი ატირდა. ქალებმა ინიციატივა გამოიჩინეს – ბავშვი ჩამოართვეს, დაუნანავეს, შემდეგ მიიხედ-მოიხედეს და გაოცებულები დარჩნენ, როცა დაინახეს, რომ ეს ქალბატონიც სადღაც გამქრალიყო... მერე ვიღაცამ თქვა: ეს ქალი ბაზრობაზე დადიოდა, ბავშვს 50 ლარად ყიდდა და ქალებმა გამოაგდესო... ვიღაცამ ისიც თქვა – მისი შვილიშვილია, გოგო შინ ამშობიარა და ჩვილი თავიდან მოიშორესო... იქვე ერთი ახალგაზრდა ქალი იდგა, შეჯგუფულ ხალხს მიუახლოვდა და თქვა: თორმეტი წელია, შვილის მოლოდინში ვარ, მაგრამ ვერ ვეღირსე; მადლი ქენით, ეს ბავშვი მე მომეცით და გავზრდიო... სიტყვის უთქმელად მიაწოდეს პაწია. ქალმა მზრუნველად მოხვია ხელი, გულზე მიიკრა და თვალცრემლიანი, იქაურობას გაშორდა. ჯერ ნელა მიდიოდა; შეკრებილ ხალხს რომ გაშორდა, ისე გაიქცა, თითქოს ეშინოდა, არავის წაერთმია... მერე ვიღაცამ დაიძახა – აგერ, ის (პირველი) ქალი, სად დგასო! – თითი ერთ-ერთი კორპუსისკენ გაიშვირა და მამაკაცები გინებგინებით გაიქცნენ მისკენ. ყველამ დავინახეთ, როგორ მოსწყდა ქალი ადგილს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა... დღესაც არ ვიცი, ჩვილი, გოგო იყო თუ ბიჭი, მაგრამ დარწუნებული ვარ, საიმედო ხელში აღმოჩნდა და ყურადღებაც არ მოაკლდება...

ეს ამბავი ტელესერიალის სიუჟეტს უფრო ჰგავს, მაგრამ ჩვენს რეალობაში მსგავსი ფაქტი საკმაოდ უხვად მოიძებნება. ხშირია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო, მშობელი დედა „მოპარული“ სიყვარულის ნაყოფს თავიდან იშორებს და მას შვილის მომლოდინე ცოლ-ქმარი ეპატრონება; გადის წლები და საიდუმლო მაინც გაცხადდება ხოლმე... გაშვილებული ბავშვები და გამზრდელი მშობლები კი, ძალზე მტკივნეულად განიცდიან ამ ამბავს. საიდუმლოს გამჟღავნებას ხშირად, დიდი ცხოვრებისეული დრამა ან ტრაგედიაც კი მოჰყვება. სწორედ ამიტომ კრძალავს ამ ქმედებას კანონი....

ერთმა ქალბატონმა რედაქციაში ასეთი წერილი გამოგვიგზავნა:

„ჩემი შვილის გული ორი დედის სიყვარულს დაიტევს“

„სულმოუთქმელად ვკითხულობ „გზის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილებს. მეც, წლების განმავლობაში ვებრძოდი თავს, ახლა კი გადავწყვიტე, გამოვამზეურო ჩემი ფარული ტკივილი. 21 წლის გავთხოვდი. 17 წელი უშედეგოდ ვიბრძოლე, რომ შვილი მყოლოდა. მუდმივმა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო – შვილს ვერ ვეღირსე. არადა, სიგიჟემდე ვნატრობდი დედობას... 1975 წლის 14 ივნისს, კახეთის ერთ-ერთი ლამაზი ქალაქის სამშობიაროში დაიბადა ბავშვი, რომლის დედა (სვანეთიდან ჩამოსული ახალგაზრდა ქალი), მძიმე მშობიარობის გამო, ერთი თვე და 21 დღე იწვა სამშობიაროში. მისგან იზოლირებულად, ამდენივე ხანი დაყო პატარა ბიჭმაც, რომელსაც სამადლოდ, ხან ვინ აწოვებდა ძუძუს, ხან – ვინ. ამის შემდეგ, პატარა, უსუსური ბიჭი ჩემი გახდა. ის გურჯაანის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გავზარდე. ბავშვმა ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. მე და ჩემი მეუღლე სიხარულით მეცხრე ცაზე დავფრინავდით... 18 წლის იყო ჩვენი ბიჭი, როდესაც უკურნებელმა სენმა მეუღლე წამართვა. დავრჩით მე და ჩემი შვილი მარტო, დიდ მწუხარებასთან. ამის შემდეგ სულ მალე, ბიჭმა გაიგო, რომ „აყვანილი“ იყო. ეს დიდი ტრავმა მარტომ გადაიტანა, რადგან დამწუხრებულ დედას გამიფრთხილდა და გული არ მატკინა. ერთი წლის შემდეგ, ახლობლისგან შევიტყვე, რომ ჩემს შვილს ყველაფერი სცოდნია და ამ ტკივილს ჩემგან მალულად ატარებდა. გული მომეწურა: თურმე, რა დიდსულოვანი და მოსიყვარულე შვილი მყოლია... არ მინახავს უფრო დიდი სიყვარული და პატივისცემა დედა-შვილს შორის, ვიდრე ჩვენ გვაქვს. ვერც ერთი დედა ვერ მიიღებს შვილისგან იმდენ სითბოს, რამდენსაც მე ვიღებ. ახლა მას უკვე ცოლ-შვილი ჰყავს, მაგრამ ჩვენი ურთიერთსიყვარული არ განელებულა. მისი დიდი და მგრძნობიარე ბუნების გამო, მე უფრო მეტად ვიტანჯები, რადგან დარწმუნებული ვარ, მას აინტერესებს თავისი ნამდვილი მშობლების ვინაობა, მაგრამ ჩემი სიყვარულის გამო, დუმილს ამჯობინებს. როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ გულს მატკენს... მე მჯერა, რომ ჩემი შვილის დიდი გული იოლად დაიტევს ორი დედის სიყვარულს. სწორედ ამიტომ გწერთ ამ წერილს – იქნებ, მან მიაღწიოს მის დედამდე ან ნათესავებამდე, რომლებიც თბილისში საკმაოდ მრავლად ჰყავს. იქნებ, მიხვდნენ, როგორ განიცდის ჩემი შვილი და მისი ნახვა მოიწადინონ. ვფიქრობ, საკმაოდ მრავლად მოვიყვანე ფაქტი, რომელიც დედას გაახსენებს საკუთარ წარსულს. თუკი ისინი ერთმანეთს შეხვდებიან, მე დამშვიდებული წავალ იმ ქვეყნად, ჩემს მეუღლესთან...“*

ალბათ დამეთანხმებით, რომ იშვიათ მოვლენასთან გვაქვს საქმე – გამზრდელი დედა თავისი შვილის ბიოლოგიურ დედას ეძებს, რომ შვილს ტკივილი დაუამოს... თუ ამოიცნობთ საკუთარ თავს, გთხოვთ, შეგვეხმიანოთ; პირობას გაძლევთ, რომ თქვენს ვინაობას მხოლოდ წერილის ავტორს შევატყობინებთ...

„შანსს ვაძლევ, გაზრდილი შვილი დაიბრუნოს...“

მეორე ამბავი, რომელიც გვინდა მოგითხროთ, ახალგაზრდა ქალბატონმა

მოვიყვა. ის დედამთილს ეძებს. ინგამ ჩემს მობილურ ტელეფონზე „მესიჯი“ გამომიგზავნა.

„მარი, იქნებ დამეხმაროთ, – მწერდა იგი. – ჩემი მეუღლე ნაშვილებია. მან ერთი წლის წინ შეიტყო ამის შესახებ და საშინლად განიცდის... იქნებ, „გზის“ საშუალებით დედამთილი მაპოვნინოთ? ინგა“.

ამის შემდეგ, ინგას დავუკავშირდი და აი, რა მიამბო მან:

– ვიცოდი, რომ ჩემი მეუღლე ნაშვილები იყო, მაგრამ ვდუმდი, რადგან მისთვის ეს ამბავი საიდუმლო იყო. შარშან, ჩემი მეუღლე ეზოში, მეზობელ მამაკაცებთან ერთად იდგა, როდესაც მათ ხანში შესული კაცი მიუახლოვდა და იკითხა – ესა და ეს ოჯახი სად ცხოვრობს? ერთი შვილი ჰყავდათ, აყვანილი, ახლა უკვე დიდი იქნებაო (ჩემს დედამთილ-მამამთილს კითხულობდა)... ჩემი მეუღლე თვალებგაფართოებული უყურებდა. კინაღამ გაგიჟდა... იმის შემდეგ ვეღარ ვცნობ... ჯერ ნამდვილი დედის სახელის გაგონებაც არ უნდოდა, დაიწყო სმა, დარდს გულში იკლავდა... მერე აზრი შეეცვალა, იმ ქალთან შეხვედრის დიდი სურვილი გაუჩნდა. მეუღლისგან მალულად დავიწყე ძებნა. ვიყავი იმ სამშობიაროშიც, სადაც ის დაიბადა...

— ამის შესახებ დედამთილ-მამამთილს ჰკითხეთ?

– არა, იმ დროისთვის, უკვე ორივე გარდაცვლილი გახლდათ. ვიცოდი, რომ შვილის აყვანაში მეზობლის ქალი დაეხმარა, რომელიც იმ სამშობიაროში მუშაობდა. სამწუხაროდ, ეს ქალბატონიც გარდაცვლილია... ჩემი მეუღლე დაიბადა 1960 წლის 23 ან 24 აპრილს, კობის (ახლანდელი ხორავას) ქუჩაზე მდებარე სამშობიაროში. დედამისი მაშინ 18-19 წლის გოგონა იყო, შეყვარებულმა მიატოვა. იგი გვარად ოთარაშვილია და საგარეჯოში ცხოვრობდა. გოგონა იძულებული ყოფილა, შვილი დაეტოვებინა, თუმცა ამ ამბავს ძალზე განიცდიდა, სულ ტიროდა. როდესაც ბიჭი უნდა წაეყვანათ, ძლივს მოუგლეჯიათ მისთვის მკერდიდან. თურმე სულ მოსთქვამდა – ამის შესახებაც მეზობელი ქალისგან ვიცი...

— წეღან თქვით, რომ სამშობიაროში იყავით მისული და დამატებით ცნობებს ეძებდით...

– დიახ, მაგრამ იქ არქივში არ შემიშვეს – მითხრეს, რომ 1960 წლის არქივი განადგურებულია... შემდეგ, სხვადასხვა წყაროს მეშვეობით დავადგინე ოთარაშვილის გვარის ყველა ქალის მისამართი, ვინც მაშინ თბილისში ცხოვრობდა და იმ დროს, დაახლოებით 18-19 წლის იყო. ასეთი სულ 12 აღმოჩნდა... შემდეგ, ერთ-ერთ მათგანს შინ ვეწვიე, მაგრამ უარით გამომისტუმრეს... მივხვდი, რომ ასე კარდაკარ ძებნა შედეგს არ მომიტანდა. იცით, ვფიქრობ, რომ შესაძლოა, ამ ქალმა ოჯახი შექმნა და მისი წარსული უცნობია მეუღლისა და ნათესავებისთვის, მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ამ ინტერვიუს წაიკითხავს და შვილისკენ გული არ გამოუწევს?! შესაძლოა, ნანობს კიდეც და არა აქვს საშუალება, შვილი მოძებნოს. მე შანსს ვაძლევ, გაზრდილი შვილი დაიბრუნოს. სწორად გამიგეთ – არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს ამბავი გონებიდან არ ამომდის, გამუდმებით ამაზე ვფიქრობ. ეს ქალი თითქმის ყოველღამე მესიზმრება – ხან ჩემს მეუღლეს ეფერება, ხან ჩემს შვილებს... ორი შვილი მყავს, ქალ-ვაჟი, 13 და 11 წლის. არავინ იცის, რა ხდება, ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსე. არ მინდა, რაღაც საშინელება დატრიალდეს ჩვენს თავს...

ვფიქრობ, მდლიან საქმეს გავაკეთებთ, თუკი ჩვენი ჟურნალის მეშვეობით დედაშვილს შევახვედრებთ... ყველაფერი კი ღვთის ნებაა – ვნახოთ, რა მოჰყვება ჩვენს მცდელობას. ახლა კი ამბავი მესამე.

„დედობის ტკბილი გრძნობა პირველად ნატომ მაგრძნობინა...“

როდესაც ამ თემაზე მუშაობა დავიწყე, გონებიდან არ ამომდიოდა ერთი თბილისური ოჯახი, რომლის ამბავიც ჩემთვის დიდი ხანია, ცნობილი იყო. ამ ოჯახს ორი შვილი ჰყავს, ერთი მათგანი კი, ნაშვილებია... კარგა ხანს ვერ ვბედავდი მათთან სასაუბროდ მისვლას, რადგან ოჯახის წევრები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი საიდუმლო აბსოლუტურად გაუმჟღავნებელი გახლდათ. ბოლოს, გამბედაობა მოვიკრიბე და ვესტუმრე. საუბრისას დიასახლისს შევაპარე – ვიცი, თქვენი უფროსი შვილის ამბავი და დიდი სურვილი მაქვს, დაწვრილებით მიამბოთ-მეთქი. აი, რა მოვისმინე მისგან:

– ცხრამეტი წლის ვიყავი, როდესაც სიყვარული მეწვია, სულ მალე გავთხოვდი კიდეც. თორმეტი წელი უშედეგოდ დავდიოდი ექიმებთან, მაგრამ შვილი არა და არ მეღირსა. ოთარი (მეუღლე) მამშვიდებდა – მთავარია, შენ მყავდე კარგად, შვილი კი აუცილებლად გვეყოლებაო... ერთ საღამოს, ოთარს გულის შეტევა დაემართა და სასწრაფოდ საავადმყოფოში დავაწვინეთ... ორი დღის შემდეგ, მისმა ძმაკაცებმა დამიმარტოხელეს და მკითხეს – წინათ თუ ყოფილა შემთხვევა, გულს შეეწუხებინოსო? – არა-მეთქი, ვუპასუხე. ოთარის ნერვიულობის მიზეზი მათ გამიმხილეს: აღმოჩნდა, რომ ჩემს მეუღლეს სხვა ქალთან შვილი შესძენია; ისინი წინასწარ ყოფილან მოლაპარაკებულები, რომ ბავშვს ჩვენ გავზრდიდით და დედა არასდროს მოიკითხავდა. ოთარი მთელი 9 თვის განმავლობაში თურმე, ყოველდღე აპირებდა ჩემთვის ამის თქმას, მაგრამ ვერ ბედავდა. ახლა კი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ქალმა იმშობიარა, დღე-დღეზე სამშობიაროდან უნდა გამოწერილიყო, ოთარი კი კვლავ ვერ ბედავდა ჩემთვის ამის გამხელას; ნერვიულობის გამო, გულმა უმტყუნა.

— თქვენ როგორი რეაქცია გქონდათ?

– ოთარის ძმაკაცები რომ გავისტუმრე, ცოტა ხნით ჩამოვჯექი, რომ მომეფიქრებინა, როგორ მოვქცეულიყავი... რატომღაც ჩიტის ბუდეზე ფიქრი ამეკვიატა... არ მინდოდა, გუგულივით მოვქცეულიყავი, რომელიც სხვის ბუდეში ტოვებს თავის ბარტყს (ჩემი ქმრის შვილი თავიდანვე ჩემს შვილად აღვიქვი). ამიტომაც, მაშინვე ფული ვისესხე, წავედი და ჩვილისთვის საჭირო ყველა ნივთი ვიყიდე. შინ დიდი ფუთებით დავბრუნდი. გავიკითხე, რომელ სამშობიაროში იწვა ის ქალი და ბავშვი მე თვითონ გამოვიყვანე. იქიდან კი, ჩვილიანად, მეუღლესთან საავადმყოფოში წავედი. მეორე შეტევა მაშინ მიიღო

ოთარმა, ბავშვით ხელში რომ დამინახა... არაჩვეულებრივი გოგონა იყო, ისეთი „დაბრაწული“ ლოყები ჰქონდა, ფუნთუშას ჰგავდა... მოკლედ, ცხოვრება თავისი გზით წავიდა. ბავშვმა ოჯახში მხიარულება და ხალისი შემოიტანა... მის ჩასახვასა და სხვა ასეთ მომენტებზე არასოდეს გვილაპარაკია... გოგონა სამი წლის იყო, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. სიხარულით ცას ვეწიეთ... კვლავ გოგონა შეგვეძინა. მაგრამ სამი თვის პაწია დაგვეღუპა. წარმოიდგინეთ, როგორ განვიცადეთ ეს უბედურება... მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ბიჭი შეგვეძინა. ახლა ორი შვილი მყავს – ნატო და ბიძინა. ღმერთმა დამიფაროს, რომ ისინი ერთმანეთისგან გამოვარჩიო და რომელიმე უფრო მეტად მიყვარდეს! დედობის ტკბილი გრძნობა პირველად ნატომ მაგრძნობინა. მის სიყვარულში ვერავინ შემეცილება...

— მაგრამ ერთ დღეს, მშობელმა დედამ ნატოსთან შეხვედრა რომ მოინდომოს?

– ამაზე მეც ხშირად მიფიქრია... ქუჩაში ნატოსთან ერთად ყოფნისას, ბევრჯერ უკან მიმიხედავს – ვინმე ჩუმად ხომ არ მოგვდევს და ნატოს ხომ არ უთვალთვალებს-მეთქი?.. არ ვიცი, მომავალში რა იქნება. წარმოდგენაც კი არ მინდა იმისა, რომ ოდესმე, ის ქალი გამოჩნდება. იმის არ მეშინია, ვაითუ, ნატომ მიმატოვოს და მასთან გაიქცეს-მეთქი – უბრალოდ, არ მინდა, ბავშვს გული ეტკინოს. ის 15 წლისაა და ახლაც ჩემ გვერდით იძინებს. ამას წინათ, სტუმრად ვიყავით წასულები. მასპინძლები „იტალიურ“ ეზოში ცხოვრობენ. იქ შემზარავ ამბავს შევესწარით: ერთი ქალი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა 16 წლის ბიჭს, რომელსაც მისი ქალიშვილი ჰყვარებია; ბოლოს მიაძახა – ისიც არ იცი, ვისი ნაბიჭვარი ხარ, ვისი გაგდებული ლეკვი და ჩემს შვილს აღარ მიეკარო!.. ეს ბიჭი თურმე, ნაშვილები ყოფილა და სწორედ მეზობელი ქალისგან, იმწუთას შეიტყო ეს ამბავი... შინიდან გაიქცა, რამდენიმე დღით სადღაც გადაკარგულა. შემდეგ შევიტყვე, რომ დაბრუნებულა და მშობლებისთვის ბოდიში მოუხდია... ამ ინციდენტის შემდეგ, ნატომ უამრავი შეკითხვა მომაყარა – რატომ არის ნაშვილები? უყვარს დედა? მეორე დედა? ახლა მოძებნის ნამდვილ დედას? რას ეტყვის? – ერთი სიტყვით, კინაღამ გამაგიჟა ამ შეკითხვებით. მე ვცდილობდი, თავი ამერიდებინა მისი შეკითხვებისთვის, რადგან პასუხს ვერ ვპოულობდი. რამდენიმე დღის შემდეგ კი, მისი საწერი მაგიდის დალაგებისას წავაწყდი მისი ხელით დაწერილ ამბავს სათაურით: „რატომ აშვილებენ ბავშვებს?“ პატარა მოთხრობა დაუწერია, თავისი ფანტაზიით კი, ისეთი ამბავი შეუთხზავს, რომელიც წვეთი წყალივით ჰგავს მისას...

„მინდა ვიცოდე, ვინ არის ჩემი ნამდვილი მამა...“

ეს ამბავი კი, საკუთარ თავზე 21 წლის გოგონამ მოგვითხრო. ნინომ ჯერ „მესიჯი“ გამოგზავნა, შემდეგ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა.

– გავიზარდე ექიმების ოჯახში. ძალიან მოსიყვარულე და კეთილშობილი დედ-მამა მყავს. 18 წლამდე ისე გავიზარდე, ეჭვიც არ შემპარვია, რომ ისინი ჩემი ნამდვილი მშობლები იყვნენ. ისევე მტუქსავდნენ და მსჯიდნენ, როგორც სხვა ბავშვებს – თავისი მშობლები, ისევე მეფერებოდნენ და მანებივრებდნენ... 18 წლის რომ გავხდი, მამამ დაბადების დღეს, რესტორანში გრანდიოზული ზეიმი მომიწყო. დარბაზიც კი საგულდაგულოდ მოართვევინა. წინასწარ მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა იქაურობა, ამიტომ შუადღისას, როდესაც სალონში თმა მოვიწესრიგე, პირდაპირ რესტორანს მივაშურე... მომსახურე პერსონალი ფუსფუსებდა. ამ დროს, ყური მოვკარი, ერთ-ერთი ქალი მეორეს როგორ ეუბნებოდა: ...თანაც, ნაშვილები ჰყოლიათ, წარმოიდგინე, თავისი შვილი რომ იყოს, მაშინ რაღას იზამდაო?! – ვისზე ამბობთ, ქალბატონო, იმ გოგოზე, ვისი დაბადების დღეც არის-მეთქი? – ვკითხე. – შენ ვინ ხარო? – შემიბრუნეს კითხვა. – „სტაიანშიკის“ ძმისშვილი ვარ-მეთქი... ჰოდა, ყველაფერი დაწვრილებით მიამბეს. მათთან მამაჩემის ძველ, დიდი ხნის წინანდელ პაციენტს უმუშავია და ჩემი ამბავი მისგან სცოდნიათ...

— კონკრეტულად რა გიამბეს?

– ეს გოგო მამიდებს გაუშვილებიათ, მამამისი სწორედ იმ სამშობიაროში მუშაობდა, სადაც გოგონა დაიბადა და იშვილაო... თავქუდმოგლეჯილი გამოიქეცი იქიდან. იმ საღამოს და მომდევნო ორი დღის განმავლობაში, შინ არ გამოვჩენილვარ. ჩემი დაბადების დღე ლამის გლოვის დღედ გადავუქციე ჩემს მშობლებს. ჩემს მეგობართან ვიყავი წასული და ბალიშში თავჩარგული, ვტიროდი... შემდეგ ნანა დეიდამ (მეგობრის დედამ) ჩემგან მალულად დაურეკა მამას და ჩემი ადგილსამყოფელი შეატყობინა. მომაკითხეს. მამა რომ დავინახე, ჩავეხუტე და ვეხვეწებოდი – არ მიმატოვო, ხელი არ მკრამეთქი!.. რატომღაც მეგონა, რომ სიმართლის შეტყობის შემდეგ, ჩემს მშობლებს აღარ ვენდომებოდი...

— მშობლებმა რა გიამბეს?

– აღმოჩნდა, რომ ჩემს ნამდვილ დედასა და მამას ძალიან ჰყვარებიათ ერთმანეთი, მაგრამ რძალს ვაჟის ოჯახი არ ღებულობდა; ცოლ-ქმარს ცალკე დაუქირავებიათ ბინა და სიამტკბილობაში ცხოვრობდნენ... დედა ჩემზე მშობიარობას გადაჰყოლია; არ ვიცი, მამაჩემიც თანახმა იყო თუ არა, მაგრამ მამიდებს გადაუწყვეტიათ, გავეშვილებინე. ექიმისთვის დახმარება უთხოვიათ. ჩემს შეძენილ მშობლებს 10 წელი არ ჰყოლიათ შვილი. იმ ექიმს, მაშინვე მამისთვის უთქვამს – არ ინანებ, მშვენიერი წყვილის სიყვარულის ნაყოფია და გირჩევ, წაიყვანო და გაზარდოო... აი, ასე მოვხვდი შესანიშნავ ოჯახში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არანაკლებ მოსიყვარულე და თბილი ადამიანები იქნებოდნენ ჩემი ნამდვილი მშობლებიც. ვეძებ მამას. თუ ისე მოხდა, რომ მან იცოდა ჩემი გაშვილების ამბავი, ამ შემთხვევაშიც, ჩათვალოს, რომ უკვე ვაპატიე, ხოლო თუ მოატყუეს და ისე გამასხვისეს, ახლა გაიგოს, რომ ცოცხალი ვარ...

— შენმა გამზრდელმა მშობლებმა თუ იციან, რომ ნამდვილ მამას ეძებ?

– კი, იციან. ისინი ამის წინააღმდეგნი არ არიან. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე მათ მივატოვებ ან აღარ მეყვარება – უბრალოდ, მინდა ვიცოდე, ვინ არის ჩემი ნამდვილი მამა. იქნებ, მას ყოველდღიურად ვხვდები კიდეც!.. მისი გვარი ლობჟანიძეა. ის და მისი მეუღლე „ნაძალადევის“ მეტროსთან, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ...

ბუნებრივია, ყველა ადამიანს სურს, იცოდეს, სადაა მისი ფესვები. მაგრამ საკუთარი წარსულის მოულოდნელად შეტყობისას, ზოგიერთი, აუხსნელი აგრესიით განიმსჭვალება ხოლმე ბიოლოგიური ან შეძენილი მშობლების მიმართ. საბედნიეროდ, აქ მოთხრობილი შემთხვევებიდან, არც ერთს არ ჰქონია მსგავსი შედეგი, პირიქით – ჩვენს პერსონაჟებს სურთ, თავიანთ ბუნებრივ მშობლებს დაუკავშირდნენ. თუ ჩვენი მკითხველებიდან ვინმეს, ამ კეთილ საქმეში ხელშეწყობა შეეძლება, მისი მადლიერნი ვიქნებით ჩვენც და ჩვენი რესპონდენტებიც... ■

ახალბედა მძღოლი ნინო იოსელიანი ცალ ფეხზე ჩუსტს იცვამდა, მეოხეზე კი - გამოსასვლელ ფეხსაცმელს

ნინო იოსელიანი ჯერჯერობით, ახალბედა მძღოლთა რიგს მიეკუთვნება, თუმცა, ერთი წლის განმავლობაში მას საავარიო სიტუაცია არც ერთხელ არ შეუქმნია. საჭესთან ნინო ფრთხილი და მობილიზებული ყოფილა, მართვა კი, ამერიკაში ცხოვრების დროს უსწავლია.

ნინო ჯავახიშვილი

— ნინო, რამდენი ხანია, რაც მანქანას მართავთ?

— ერთი წელია, რაც საკუთარი მანქანა მყავს, მართვა კი, რამდენიმე წლის წინ, ამერიკაში ვისწავლე, ავტომატური მართვის მანქანაზე. ამიტომაც, აქ ჩამოსულს, მაშინ ნასწავლი არაფერში გამომადგა. საქართველოში ყველას ისე დაჰყავს მანქანა, როგორც სურს. ამერიკაშიც ისე რომ მოძრაობდე, როგორც ჩვენს გზებზე მოძრაობენ, ყოველ წუთს შეიძლება, ვიღაცა დაგეჯახოს და მანქანიანად გაგჭყლიტოს...

— ამერიკაში არ გიჭირდათ მანქანის მართვა?

— მანქანის მართვა აქ უფრო ძნელია, ვიდრე ამერიკაში, რადგან აქ მოძრაობის წესებს ყველა არღვევს. იმ სკოლაში, სადაც ვსწავლობდი, ავტომობილის მართვის კურსებიც იყო. საერთოდ, თეორია უფრო ადვილია — წიგნს წაიკითხავ და მოძრაობის წესებს დაიზეპირებ, პრაქტიკა — სულ სხვაა. ამერიკაში ყველაფრით უფრო შეზღუდული ხარ, ვიდრე აქ — მაგალითად, „პარკინგის“ დროს, არ შეიძლება, ოდნავ მაინც გადასცდე მანქანის გასაჩერებლად გავლებულ ხაზებს და ამის გამო, კარგა ხანს ვწვალობდი ხოლმე, მანქანა რომ დამეყენებინა. საქართველოში ამ მხრივ პრობლემა არა გაქვს — როგორც გინდა, ისე დააყენებ. საკუთარი მანქანა ამერიკაში არ მყავდა, ინსტრუქტორთან ერთად მისი მანქანით დავდიოდი. ამერიკაში ძალზე ადვილია მანქანის მართვა — წესებს თვითონ



მაშინ უფრო მეშინია და სულ ასეთ ფრაზებს გავიძახი ხოლმე — „ნელა იარე, გთხოვ!“

თუ არ დაარღვევ, არანაირი საფრთხე არ გემუქრება. აქ კი, რომც არ დაარღვიო, სხვები გიყებივით დადიან და არ იცი, საიდან რა ხიფათი მოგელის. იქ ნასვამიც იშვიათად მიუჯდება ვინმე საჭეს. კურსებზე რომ დავდიოდი, გვიჩვენებდნენ ვიდეოკლიპებს, რომელიც ცხადყოფდა, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა სიმთვრალეს. ისეთი საშინელი კლიპები იყო, გული გაგისკდებოდა...

— მაინც, რა იყო ასეთი?

— მაგალითად: მეგობრები დროს სატარებლად მიდიან მანქანებით; დალევენ, კარგადაც მოილხენენ, მაგრამ უკან დაბრუნებისას, ავარია მოუხდებათ და გართობა ტრაგიკულად მთავრდება... ეკრანზე ისეთი შემზარავი სურათები გადაგეშლებოდა, ამ კლიპების ნახვის შემდეგ, სულელი უნდა ყოფილიყავი, რომ ნასვამი მისჯდომოდი საჭეს... იქ ბავშვებს სკოლაში სწავლის პერიოდიდანვე უჩვენებენ მსგავსი შინაარსის უამრავ ფოტომასალას, რითიც სიფრთხილის გრძნობას უნერგავენ.

— შენც გეშინოდა და ნასვამი არ ჯდებოდი საჭესთან?

— ძალიან მეშინოდა და მეშინია ახლაც. ნანახი ფოტო და ვიდეომასალა ისე ჩამრჩა გონებაში, რომ ერთი ჭიქაც რომ დავლიო, დაძაბული ვზივარ საჭესთან. სიმთვრალისა და დაუდევრობის გამო ბევრს ტრაგიკულად დაუმთავრებია სიცოცხლე. ადამიანს თუ ჭკუა აქვს, მართლა არ უნდა მიუჯდეს საჭეს ნასვამი.

— ძალიან ფრთხილი მძღოლი ყოფილხართ. სისწრაფეც არ გიყვართ?

— სისწრაფე მიყვარს. საერთოდ, აზარტული ვარ და რისკი დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ზოგჯერ, როცა თავს ველარ ვაკონტროლებ, შეიძლება, ძალიან სწრაფად მივქროდე, თუმცა ყოველთვის მახსოვს, რომ ეს სახიფათოა. სისწრაფის გამო შიშის გრძნობა არასდროს გამჩენია.

— როდესაც საჭესთან სხვა ზის და თქვენ — გვერდით, მაშინ როგორ გრძნობთ თავს?

— მაშინ უფრო მეშინია და სულ ასეთ ფრაზებს გავიძახი ხოლმე — „ნელა იარე, გთხოვ!“ „სად მიგეჩქარება?!“ „იცოდე, მანქანიდან გადავალ!“

— ავარიაში თუ მოხვედრილხართ?

— ახალბედა მძღოლი ვიყავი. ჩემ წინ მიდიოდა მანქანა, რომლის საჭესთანაც ქალი იჯდა. მოულოდნელად, ძრავა ჩაუქრა, „სტოპები“ არ აინთო და პირდაპირ დავეჯახე; მე კიდევ სხვა დამეჯახა... უმეტეს შემთხვევაში, ავარია, უკან მომავალი მანქანის მძღოლს ჰბრალდება, მაგრამ რა ჩემი ბრალი იყო, როდესაც წინა მანქანის მძღოლს ძრავა ჩაუქრა?!. ჩემი ბრალი მხოლოდ ის იყო, რომ წინ მიმავალ მანქანასთან ზედმეტად ახლოს ვმოძრაობდი.

— ამერიკიდან დაბრუნებულს, ვინ გასწავლათ მანქანის მართვა?

— ჯერ ჩემი მეგობარი მასწავლიდა, მერე მართვის კურსებზეც დავდიოდი... თავიდან, ფეხსაცმლის ქუსლის გამო შემექმნა პრობლემა — ყოველთვის მეჭედებოდა ან „სცეპლენიეს“, ან მუხრუჭის პედალზე, ამიტომ მერე, მანქანაში ჩაჯდომისას

ტელევიზიის წინ
გაფუჭდა „ზარიადკის“ რელე...

ჩუსტებს ვიცვამდი. პირველად „შევროლე-კავალერი“ მყავდა. „ავტომატიკის“ მართვისას, მხოლოდ ერთ ფეხს ხმარობ, ამიტომ ცალ ფეხზე ჩუსტი მეცვა, მეორეზე — ჩვეულებრივი ფეხსაცმელი. ბევრჯერ დამვიწყებია კიდეც ეს, მანქანიდან გადმოსულვარ და მერეღა გამხსენებია, რომ ცალ ფეხზე ჩუსტი მეცვა... დროთა განმავლობაში, ეს პრობლემაც დავძლიე და ახლა საჭესთან თავისუფლად ვგრძნობ თავს.

— **ამჟამად რა მანქანა გყავთ?**

— ორკარიანი „ჰიუნდაი“. სამი-ოთხი თვის წინ შევიძინე. მიყვარს პატარა, სპორტული მანქანები. მომწონს „აუდი ტე-ტე“ და მინდოდა მისი ყიდვა, მაგრამ რადგან ორ კაცზე მეტი ვერ ეტევა, ოჯახის წევრებმა პროტესტი გამოხატეს — მარტო შენ ხომ არ ივლი იმ მანქანითო?! — და გადამფიქრებინეს. „ჰიუნდაიში“ გაჭირვებით, მაგრამ 5 კაცი მაინც ჯდება.

— **პოლიციელებთან კარგი ურთიერთობა გაქვთ?**

— ამერიკაში პოლიციელები ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ დგანან, მაგრამ უბრალოდ სიჩქარეს რომ მოუმატო, ამასაც კი შეამჩნევენ და ან ოფიციალურად დაგაჯარიმებენ, ან საბუთებს ჩამოგართმევენ, საქართველოში კი, ყოველი ფეხის გადადგმაზე დგანან და ყველას აჩერებენ — განურჩევლად იმისა, დააშავა რაიმე თუ არა, 2-3 ლარს გამოართმევენ და გაუშვებენ...

— **ფული თქვენთვისაც გამოურთმევიათ?**

— ვერ მოგატყუებთ — არასდროს დამირღვევია მოძრაობის წესები-მეთქი, — მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო, რომ ქალებს იშვიათად აჩერებენ და ფულსაც იშვიათად სთხოვენ. ჩემთვის არასდროს წაურთმევიათ ფული.

— **ოჯახის წევრებისგან შენიშვნებს ხშირად იმსახურებთ?**

— თავიდან, მშობლები ყოველდღე მაფრთხილებდნენ — ნინო, სწრაფად არ იაროო. ახლა აღარ მაწუხებენ — იციან, რომ გიჟივით არ დავქრივარ და გულდამშვიდებულები არიან. როცა შინ გვიან მივდივარ, ამის გამო წუხან და სულ მეუბნებიან — ეცადე, სახლში ადრე დაბრუნდეო.

— **მანქანის მოვლა თუ გიყვართ?**

— პროფილაქტორიუმში ყოველთვის მამაჩემს ან მის მძღოლს მიჰყავს მანქანა. გასარეცხად კი, თვითონ მიმყავს ხოლმე. ჩემი მანქანის სალონი ძალიან მოუწესრიგებელია. სადაც კი პატარა უჯრაა, ყველგან სუნამოს ან კრემის ტესტი მაქვს ჩადებული, უკან კი, სავარძლის თავზე, ყოველთვის რაღაც ქაღალდები და დოკუმენტები მიყრია. ზოგჯერ ვხუმრობ — მანქანა ჩემთვის ოფისიცაა-მეთქი.

— **შუა გზაზე თუ გაგფუჭებიათ მანქანა?**

— ასეთი შემთხვევა ყოფილა. ტელევიზიის წინ გაფუჭდა „ზარიადკის“ რელე, რომელიც აკუმულატორს ტენის. ქუჩაში საცობი იყო, თან მივდიოდი და თან, ტელეფონით მამაჩემს ველაპარაკებოდი; უცებ, ყვირილი დავიწყე — ვაიმე, მამა, ვჩერდები, მანქანას ვეღარ ვიმორჩილებ-მეთქი!.. პანიკაში ჩავვარდი. იქიდან მამაჩემი მეუბნებოდა — დამშვიდდი და ესა და ეს მოიმოქმედეო... მოკლედ, მოვახერხე მანქანის გზიდან გადაყვანა და დავმშვიდდი. მალე, მამაჩემის მძღოლი მოვიდა და ჩემი მანქანა პროფილაქტორიუმში წაიყვანა. მახსოვს, მაშინ გვარიანად შევშინდი, რადგან უსუსურად ვიგრძენი თავი...

— **საცობების დროს, როგორი რეაქცია გაქვთ? უწმაწურ სიტყვებს ხომ არ ამბობთ ხოლმე?**

— *(იცინის)* არა, გინებას ვერ ვიტან. ჩემს ბუნებაში არ ჯდება. ზოგჯერ, გაბრაზებულს მითქვამს — გამოშტერებულიმეთქი!.. საცობში მოხვედრის დროს, მშვიდად ვზივარ ან ვცდილობ, სხვა გზით, პატარ-პატარა ქუჩებით გავძვრე და გზა გავაგრძელო... ■

მაია კახიძე

18 იანვარს, ანსამბლი „ივერია“ მოსკოვს მიემგზავრება. თითქმის ათწლიანი პაუზის შემდეგ, ის მიუზიკლით — „ფიროსმანი“ — წარდგება იქაური მაყურებლის წინაშე. როგორც შევიტყვეთ, 20-21 იანვარს დანიშნულ სპექტაკლზე ბილეთების გაყიდვა საკონცერტო დარბაზ „როსიის“ სალაროში კარგა ხნის წინ შეწყდა. რუსეთის დედაქალაქში „ფიროსმანის“ ჩვენება კი, ერთი წლის წინ გადაწყდა და პროექტის მომზადებაც დასასრულს მიუახლოვდა. გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, მომავალ გასტროლებზე სასაუბროდ რამდენიმე „ივერიელს“ ვესტუმრე.

თემურ წიკლაური:

— ფიროსმანი იმდენად დიდი, მიუწვდომელი და ღრმაა, რომ მის წვდომას ჩემი სიცოცხლე ნამდვილად არ ეყოფა. ჩემთვის, უბრალო მოკვდავისთვის, ეს კაცი ამოუხსნელი საოცრებაა...

— **ვისი მიწვევით მიემგზავრება „ივერია“?**

— მოსკოვში ცხოვრობს ერთი საოცარი ადამიანი — ვლადიმერ ჯანჯღავა, სოხუმელი კაცი, რომელიც ქართული კულტურის დიდი დამფასებელია (ჩემი სოლო კონცერტიც მან დააფინანსა). ის არა მხოლოდ მე, არამედ ბევრ ადამიანს უდგას მხარში. „ივერია“ რომ განსაკუთრებულად უყვარს, ამის მტკიცებას არ შევუდგები, ისედაც ნათელია ყველაფერი. 21-ში „ფიროსმანს“ რომ ვითამაშებთ, 22-ში ჩემი დაბადების დღეა. ვლადიმერ ჯანჯღავასაც 22-ში აქვს დაბადების დღე და გადავწყვიტეთ, ერთად აღვნიშნოთ... სულ 45 ადამიანი მივემგზავრებით თბილისიდან.

— **ნუგზარ, შენ კარგა ხანია, მოსკოვში ხარ და ვერნადსკის პროსპექტზე მდებარე ცირკში დადგმულ „ჩხიკვთა ქორწილში“ თამაშობ. როდის ჩამოხვედი თბილისში?**

ნუგზარ კვაშალი:

— რამდენიმე დღეა, „ფიროსმანის“ რეპეტიციები გვაქვს და ყველა „ივერიელმა“ თავი ერთად მოვიყარეთ. „ჩხიკვთა ქორწილი“ კი მართლაც, კარგი სპექტაკლი გამოვიდა. 600 მსახიობი მონაწილეობს, შესანიშნავი კოსტიუმებია, ცოცხალი ფრინველები, ალექსანდრე ბასილაიას დიდებული სიმღერები... მე, ისევე, როგორც ქართულ დადგმაში, ამჯერადაც ბუს როლი მომანდვეს. კიდევ კარგა ხანს

„ივერიის" მოსკოვს მიუმგზავრება

ნახავს თუ არა პუტინი «ფიროსმანს»?

ფიროსმანი იმდენად დიდი და ღრმაა, რომ მის წვდომას ჩემი სიცოცხლე ნამდვილად არ ეყოფა

– 5 თვე გაგრძელდება ეს მიუზიკლი და მეც კვლავ მოსკოვში ყოფნა მომიწევს.

— **„ფიროსმანზე" რას იტყვი, ღელავ?**

– პასუხისმგებლობა დიდია, მაგრამ ჩვენ, „ივერიელებს" არაფრის გვეშინია... „ფიროსმანის" ყველა კოსტიუმი მთლიანად შეიცვალა, განახლდა საორკესტრო არანჟირება, სპექტაკლის მონაწილენიც შემოგვემატნენ. იცით, ფრიდონ სულაბერიძე მიიღებს მონაწილეობას მიუზიკლში. ამ გენიალურმა მოცეკვავემ უარი არ გვითხრა და თავისი განუმეორებელი მიხრა-მოხრით ნიკალას სულს გააცოცხლებს სცენაზე... თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ იმ საუკუნეშიც არ გვაკლდა სხვა რესპუბლიკებში მაყურებელთა სიყვარული და პატივისცემა და ახლაც დავიპყრობთ „როსიას". საკონცერტო დარბაზ „როსიაში" გამოსვლა ძალზე პრესტიჟულია, 4 ათასი მაყურებელი ეტევა ამ დარბაზში!.. ჩავარდნა არასდროს გვქონია და ვფიქრობ, არც ახლა გვექნება.

— **თუ იცი, პრეზიდენტ პუტინსაც ხომ არ დაპატიჟებენ თქვენი მოსკოველი მასპინძლები?**

– დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი რომ მოვა ჩვენს სპექტაკლზე, ამის თქმა ახლავე შემიძლია. ისე, არც პუტინის მოსვლაა გამორიცხული.

ვახტანგ ტატიშვილი:

– უნდა მოვიდეს პუტინი, აბა, არ უნდა მოვიდეს?! დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგად ახსოვს ქართული.

— **ვინ გითხრა?**

– ყველამ იცის, კასპში რომ გაიზარდა. ისე, ცოდოა, ხომ იცი – ჩვენი ნახვით მაინც მოესიყვარულება საქართველოს... მეც მოვესიყვარულები ჩემს შვილიშვილებს: ჩემი გოგო, სიძე და სამი შვილიშვილი ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან, ჩემ მძახლებთან... სხვათა შორის, ისეთი გრიმი შემირჩიეს, მგონი, ვერავინ მიცნობს სცენაზე. პოლიციელი ვარ, ხომ იცი და წესრიგს იქაც დავიცავ... ჰო-ჰო, რა სპექტაკლს ნახავენ მოსკოველები!..

ჯემალ ბაღაშვილი, *მიუზიკლ „ფიროსმანის" ლიბრეტოს ავტორი და დამდგმელი რეჟისორი:*

— **როგორი განწყობით მიემგზავრებით მოსკოვში?**

– ძალიან კარგი განწყობა მაქვს. მღელვარებით კი მართლაც, ვღელავთ: საკონცერტო დარბაზ „როსიაში" გავმართავთ „ფიროსმანს" და ეს თავისთავად, უპრეცედენტო შემთხვევაა – თითქმის ყველა ერიდება ამ უშველებელ დარბაზში მიუზიკლის დადგმას. თავის დროზე, ორი კვირა, ანშლაგები გვქონდა, როცა „ჩხიკვთა ქორწილი" ჩავიტანეთ მოსკოვში და ახლაც, ისევ შევალთ „როსიაში" მიუზიკლით. სხვათა შორის, ჩვენი ჩასვლის დღეს, „ჩხიკვთა ქორწილის" მე-100 სპექტაკლი გაიმართება. ბილეთები მზადაა ჩვენთვის და მთელი შემადგენლობით დავესწრებით. ვფიქრობ, საუცხოო ფაქტია ისიც, რომ ერთი ანსამბლის – ჩვენი „ივერიის" მიერ შექმნილი ორი მიუზიკლი ერთდროულად იქნება ნაჩვენები მოსკოვში.

— **„ფიროსმანში" სიმღერები რუსულად შესრულდება?**

– არა. როდესაც რუსებმა „ჩხიკვთა ქორწილის" დადგმა გადაწყვიტეს, მათ უფლება მიეცათ, რომ სიმღერები რუსულად შეესრულებინათ. რაც შეეხება „ფიროსმანს" – ჩვენ, ბუნებრივია, ქართულად ვმღერით, მაგრამ წინ წავუმძღვარებთ თითოკუპლეტიან ანოტაციებს, რომელსაც წამყვანი – ნუგზარ კვაშალი წაიკითხავს (პოეტ იური რიაშენცევის ბრწყინვალე თარგმანია). ვოკალი უმაღლეს დონეზე იქნება, ქორეოგრაფია, ქართული სურნელი იტრიალებს სცენაზე და ქართველიც და არაქართველიც დაინახავს, რომ ეს ფიროსმანის საკადრისი მიუზიკლია... სხვათა შორის, იმავე ცირკში უკვე „არგონავტების" დადგმის პროექტიც მზადდება. მეტსაც გეტყვით – ალექსანდე ბასილაია და „ჩხიკვთა ქორწილის" დამდგმელი ჯგუფი რუსეთის სახელმწიფო პრემიაზე არიან წარდგენილნი – „ჩხიკვთა ქორწილი" წლის საუკეთესო პროექტად აღიარეს. 25 წლის წინ შექმნილ მიუზიკლს დღესაც საუკეთესოდ აღიარებენ მოსკოვში. ეს ალბათ, თავისთავად ძალზე მეტყველი ფაქტია... იქიდან დაბრუნებული, საგაზაფხულო „იუმორინის" მომზადებას გავაგრძელებ. ვმუშაობ პროექტზე – „მღერიან მომღერლები". ის დრო დადგა, როცა საჭიროა, მაყურებელს აუხსნა, ვინ მომღერალია და ვინ – არა...

■



ის დრო დადგა, როცა საჭიროა, მაყურებელს აუხსნა, ვინ მომღერალია და ვინ – არა...

უნდა მოვიდეს პუტინი, აბა, არ უნდა მოვიდეს?!

„დურუჯის“ მეკარე ფეხბურთის, კარნავალის და... სექსის ქვეყანაში

გოჩა ალადაშვილი, ყოფილი მეკარე და ყვარლის „დურუჯის“ ყოფილი მწვრთნელი, უკვე 8 წელია, რაც საქართველოში არ ყოფილა. 1993 წელს ის წავიდა მოსკოვში და დაამთავრა მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა, შემდეგ მოსკოვის ფიზიკური კულტურის აკადემიაში დაიცვა დისერტაცია, მერე კი ბრაზილიელი მეგობრების — ანტონიო კარლოს გომესის და ედრონ პალომარესის მიწვევით, ჩავიდა ბრაზილიაში და პარნას შტატის დედაქალაქში, კურიტიბაში ქალთა და მამაკაცთა გუნდებს ავარჯიშებს. პარალელურად ამავე ქალაქში ფიზიკური კულტურის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. ამასთანავე, ბრაზილიის ქალთა ნაკრების მწვრთნელია. სწორედ მის მიერ მომზადებულმა საფეხბურთო ნაკრებმა 2001 წელს, ჩინეთში ჩატარებულ მსოფლიო უნივერსიადაზე პირველი ადგილი მოიპოვა. გოჩა ალადაშვილი ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ მას.

გოჩა ლადაშვილი ამასთანავე, ბრაზილიის ქალთა ნაკრების მწვრთნელია

ნანა ქიბიშაური

— ბატონო გოჩა, როგორ გრძნობთ თავს ფეხბურთის ქვეყანაში და როგორი იყო პირველი შთაბეჭდილებები?

— ბრაზილია მართლაც ფეხბურთის, კარნავალებისა და სექსის ქვეყანაა. იქ ყოველწლიურად უამრავი ტურისტი ჩადის და არც ისეთი ღარიბი ქვეყანაა, როგორიც შეიძლება შორიდან მოეჩვენოს ადამიანს. ის 26 შტატისგან შედგება. ყველა შტატს აქვს თავისი ავტონომია და მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ქვეყნებს შორის. ქალაქი კურიტიბა, სადაც მე ვცხოვრობ, ბრაზილიის სამხრეთში მდებარეობს. იქ უამრავი ევროპელია და ჩემთვის ის გარემო, რაც იქ არის შექმნილი, აბსოლუტურად მისაღებია. ვცხოვრობ ქირით, მეუღლესთან ერთად და გასულ წელს მივიღე „მწვანე ბარათი“. სამი წლის შემდეგ შემიძლია მოვითხოვო მოქალაქეობის მიღება, მაგრამ ამას ალბათ არ გავაკეთებ, რადგან მინდა, საქართველოს მოქალაქედ დავრჩე. ბრაზილიაში უცხოელები კარგად გრძნობენ თავს. მაქვს კარგი პერსპექტივა, თავისუფლად ვფლობ პორტუგალიურ ენას და ვფიქრობ, გამოვიყენებ იმ შანსს, რასაც ეს ქვეყანა სთავაზობს ფეხბურთზე შეყვარებულ ადამიანს.



ბრაზილიის მამაკაცთა ნაკრების მიერ მოპოვებული მსოფლიო თასი

— თქვენ მიერ მომზადებულმა ქალთა ნაკრებმა მსოფლიო უნივერსიადაზე პირველი ადგილი დაიკავა წესით, იქ ცნობილი პიროვნება უნდა იყოთ...

— კი, იმ შტატში, რომელშიც ვცხოვრობ, მიცნობენ. ქუჩაში მესალმებიან, თუმცა „ვარდების რევოლუციამდე“ მაინც ყველას რუსი ვეგონე, რადგან საქართველოს შესახებ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ნოემბრის მოვლენების შემდეგ კი ყველა მეკითხებოდა — ეს რა ქენით, მოგვიყევი საქართველოზეო. როცა მიშა სააკაშვილი ნახეს ტელევიზიით, ჩემი მეგობრები მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ — ეს რა ენერგიული ახალგაზრდაა, პრეზიდენტი გახდება, დასანანია, რომ ფეხბურთელი არ არისო... ასეთი სინანული ჩემთვის გასაგებია. იქ ხომ ყველაფერი კარგი — ფეხბურთს უკავშირდება. ფეხბურთით თენდება და ფეხბურთით ღამდება. ეს არის ქვეყანა, რომელიც ფეხბურთომანიითაა შეპყრობილი. როცა ვთხოვე — რუსს ნუ მეძახით-მეთქი, ასეთი შედარება მოვიშველიე: „ეს ჩემთვის ისეთივე საწყენია, ბრაზილიელს რომ უთხრან, — არგენტინელი ხარო“ — აი, ამით გავაგებინე. ბრაზილიელები არგენტინელებს ისევ და ისევ ფეხბურთის გამო ვერ იტანენ და ეს დაპირისპირება გაგრძელდება მანამდე, ვიდრე დედამიწაზე ფეხბურთს ითამაშებენ. ბრაზილიაში ოჯახში ბიჭი რომ დაიბადება, პირველი საჩუქარი, რასაც მშობლები იღებენ, არის ბურთი. წამოიზრდება თუ არა ბავშვი, მამამისი მისთვის თავისი საყვარელი გუნდის ემბლემიან მაისურს ან კეპს ყიდულობს. ფეხბურთომანიით ქალებიც არიან შეპყრობილნი. იქ სასწაული ხდება. საყვარელი გუნდის წაგების შემდეგ ქალები ისტერიკაში ვარდებიან. „კურინტიბის“ „ფერბის“ ან „ატლანტიკო პარანაისის“ თამაშის შემდეგ, პოლიცია გულშემატკივრებს 2-3 კილომეტრის მანძილზე აცილებს, რადგან იცის, რომ სხვადასხვა გუნდის მაისურიანი ხალხი ერთმანეთს რომ შეხვდეს, იმ დღეს უამრავი კრიმინალური შემთხვევა მოხდება.

— ბრაზილიელები მხოლოდ ფეხბურთში არიან მაგრები, თორემ განათლებისა და კულტურის დონე

იქ ძალიან დაბალი ყოფილა. ეს რომ ასეა, იმ ინტერვიუებიდანაც ჩანს, რომელსაც ბრაზილიელი ფეხბურთელები აძლევენ ჟურნალისტებს.

— იმ ფეხბურთელების უმრავლესობას, ჩვენ მსოფლიო ვარსკვლავებს რომ ვუწოდებთ, 3-4 კლასის განათლება აქვს, მაგრამ გამოდის, რომ თუ შენი საქმის ნამდვილი პროფესიონალი ხარ, კარგად იცხოვრებ. ბევრმა კლუბმა კონტრაქტი გაუფორმა ჟურნალისტებს იმისათვის, რომ მათ კამერის წინ ქცევა და ლაპარაკი ასწავლონ ფეხბურთელებს. ამ მომსახურებისთვის პრესის წარმომადგენლებს საკმაოდ სოლიდური თანხაც შესთავაზეს. ეს აუცილებელი იყო, უკმაყოფილო ფეხბურთელები კამერების წინ ყვიროდნენ ხოლმე — „შენი დედა!" და დაინახავდნენ თუ არა მათკენ მიმართულ მიკროფონს, სასქესო ორგანოების აღმნიშვნელ სახელებს გაიძახოდნენ. ცუდ დღეში იყვნენ მსაჯები. ცნობილი ფეხბურთელებიდან, ვისაც მე შევხვედრივარ, კაკა ყველაზე განათლებული ბიჭია და ხალხსაც ძალიან უყვარს. სწორედ განათლების დეფიციტის ბრალია ის, რომ ბევრმა ცნობილმა ფეხბურთელმა კარიერის დამთავრების შემდეგ უკიდურეს სიღატაკეში იცხოვრა. ყველაზე ჭკვიანი პელე აღმოჩნდა, მისი სახის გამოჩენა სარეკლამო აბრებზე მილიონები ღირს. ბრაზილიაში დღესაც ბევრი ამბობს, რომ გარინჩა უფრო კარგი ფეხბურთელი იყო, ვიდრე პელე, მაგრამ გარინჩა გალოთდა და სიღატაკეში მოკვდა. პელე კი, დღეს ცნობილი ბიზნესმენია და მის პოპულარობას არაფერი მოჰკლებია. რონალდო, მიუხედავად იმისა, რომ 3 კლასის განათლება აქვს, მსოფლიო ჩემპიონია. რივალდო და კაკა ძალიან პოპულარულები არიან ბრაზილიაში, მე შევხვედრივარ მათ. რომარიოზე კი ამბობენ (და ასეც არის), რომ თავის თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს, ძალიან არის გაამაყებული და ბრაზილიაში ამის გამო არ უყვართ. სხვები თავმდაბლები არიან და უფრო მეტი სიმპათიითაც სარგებლობენ. ბრაზილიაში ჟურნალისტებს, განსაკუთრებით მათ, ვინც სპორტის თემას აშუქებს ძალიან დიდი უფლებები აქვთ. ისინი ყოველდღიურად აშუქებენ ამ ვარსკვლავების პირად ცხოვრებას — ვინ ვის უღალატა, ვინ ვისთან ნახეს, ვინ ვისი საყვარელია... რონალდო ცოლს რომ გაეყარა, ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მოკლედ, ბრაზილია ღელავს იმის გამო, რომ რონალდოს ჯერ პირველმა ცოლმა — სიუზანმა უღალატა, შემდეგ მეორე ცოლმა. უბრალოდ, ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების მიმართ არის ინტერესი გაზრდილი, თორემ ბრაზილიაში ყველა ერთმანეთის საყვარელია. ეს თავისუფალი სექსის ქვეყანაა. ჩვეულებრივი მოვლენაა 5-ჯერ, 10-ჯერ გათხოვება, დღეში 3 პარტნიორის გამოცვლა. ძალიან ტემპერამენტიანი ხალხია და ქუჩა თუ ტრანსპორტი ერთმანეთს ჩახუტებული წყვილებით არის სავსე.

— თუ ასეთი ამბავია, თქვენი მეუღლე არ ეჭვიანობს? ქალთა ნაკრების მწვრთნელი ხართ და თუ ბრაზილიურ ტემპერამენტს სპორტული აზარტიც მიემატა და რომელიღაც გოგონას სამიზნედ იქეცით...

— თავიდან რომ ჩავედით, ჩემი მეუღლე გაოცებას ვერ ფარავდა, სადაც გაიხედავდა, ყველგან ხვევნა-კოცნა იყო გაჩაღებული. ყველა ქუჩის კუთხე „დაკავებული" იყო წყვილებით და ისიც გაოცებული მეჩურჩულებოდა: გაიხედე, იქით გაიხედე, რა ხდებაო! ახლა მიეჩვია, თუმცა, როგორც ყველა ქალი, ზოგჯერ ალბათ ისიც ეჭვიანობს, მაგრამ ზომიერების ფარგლებში ეს ასატანია. რაც შეეხება ფეხბურთელ ქალთა ნაკრებს, იქ ფართოდ არის გავრცელებული ლესბოსური კავშირები და ეს პრობლემა ძალზე მწვავედ დგას ბრაზილიაში. ქალთა ფეხბურთი შეიძლება ამ სენმა დაღუპოს. ჩამოდიან ადამიანები, რომელთაც სურვილი აქვთ, თავიანთი კაპიტალი ქალთა ფეხბურთში დაბანდონ, მაგრამ როდესაც იგებენ, რა ხდება იქ, უკანვე მიდიან. როგორც მამაკაცები, ისე ჩხუბობენ ქალები ერთმანეთში სასურველი პარტნიორის მოსაპოვებლად. შავგვრემანებს ქერა გოგონები მოსწონთ და პირიქით, ქერები შავგვრემან გოგონებზე „ნადირობენ". თავიდან რომ მივედი და გავიგე, იქ რაც ხდებოდა, გავგიჟდი — 99% ლესბოსელია. ეს არის ბრაზილიური ფეხბურთის უბედურება, ისინი ამ ურთიერთობას „საპატაოს" უწოდებენ. მწვრთნელი ამ ურთიერთობას ვერ შეებრძოლება, მაგრამ მოედანზე გამოვლენ თუ არა, ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, საქართველოს ნაკრები რომ კარგა ხანს ვერ ითამაშებს. არატრადიციული ორიენტაციისკენ მათ გადახრას კანონი იცავს და ამის გამო სადამსჯელო სანქციას ვერავინ გაატარებს.

— ქართულ ფეხბურთზე რას იტყვით? რატომ ხდება, რომ ჩვენი თანამემამულე მწვრთნელი ბრაზილიის ნაკრებთან მუშაობს, ჩვენს საფეხბურთო ნაკრებში კი უცხოელი მწვრთნელის მოყვანაზე საუბრობენ?

— მე ყველას ძალიან ახლოს ვიცნობ, ვინც დღეს ქართულ ფეხბურთს კურირებს. ვიცნობ ფეხბურთელებსაც. ძალიან ნიჭიერი ბიჭები არიან, მაგრამ დისციპლინის გარეშე არაფერი გამოვა. აი ეს არის ჩვენი აქილევსის ქუსლი — პროფესიონალიზმი და დისციპლინა. თუმცა ჩვენი, როგორც ფეხბურთელების ნიჭი, ლიმიტირებულია. ბრაზილიაში იმდენი ტალანტია, რომ შეუძლია, მსოფლიო ჩემპიონატზე თანაბარი შესაძლებლობების 5 ნაკრები დააკომპლექტოს. მე 8 წლის განმავლობაში მოწყვეტილი ვარ ქართულ ფეხბურთს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი ბიჭებიდან ყველაზე „კაი ფეხბურთს" კახა კალაძე თამაშობს, კარგები არიან აგრეთვე — არველაძე, ამისულაშვილი, კვირკველია. რაც შეეხება მოწვეულ მწვრთნელებს, საერთოდ ასეა: იმას, რასაც ადგილობრივ მწვრთნელს უბედავენ, მოწვეულს ვერ გაუბედავენ. უცხოელი უფრო ადვილად ამყარებს გუნდში დისციპლინას.

— რომ მიიღოთ წინადადება, ჩვენთან გააგრძელოთ იგივე საქმიანობა, რასაც ბრაზილიაში მისდევთ, დათანხმდებით?

— ჯერჯერობით, ასეთი რამ არავის შემოუთავაზებია. ეტყობა, აქ არავის ვჭირდები...

— იქ რამდენი გაქვთ ხელფასი?

— 1.000 დოლარი, მაგრამ იქ მიმოქცევაში არ არის დოლარი. იქ ხელფასს ანგარიშზე იღებენ. არის სპეციალური ბარათები და იქაური ფულის ნიშანი — რეალი. თუ პროფესიონალი არ ხარ, ერთ ცენტსაც არავინ მოგცემს უცხოელს, მაგრამ თუ შენი გამოცდილებისა და ცოდნის მაქსიმუმს დებ საქმეში, ამას არავინ დაგიკარგავს. ■

იმ მტაცმი, რომელშიც ვცხოვრობ, მიცნობენ. თუმცა „ვარდების რევოლუციამდე" მაინც ყველას რუსი ვეგონე

„ალა ღაგიკალთ

და, ალბან ვრცხვენია ჩემი სიტყვის გ

...“

როდესაც დღევანდელი „გზავნილების“ თემად იმ დანაშაულზე საუბარი შეგთავაზეთ, რომლის გამხელა საკუთარ თავთანაც გრცხვენიათ, ვიფიქრე, რომ „აღსარების“ სურვილი არცთუ ისე ბევრ მკითხველს გაუჩნდებოდა, მაგრამ თურმე ვცდებოდი. სტატიიანი გამომძიებლების გამოცდილებას თუ გავიზიარებთ, როგორც ჩანს, მართლაც, დამნაშავე ადრე თუ გვიან, დანაშაულის ადგილს აუცილებლად მოინახულებს და უეჭველად უამბობს მის შესახებ თუნდაც ერთ ადამიანს... ამის თქმის საფუძველს მკითხველთა „მესიჯები“ მაძლევს, რადგან ბევრმა მათგანმა ისეთი რამ გაგვიზიარა, რასაც ახლობელსაც ვერ გაანდობ...

მარი Хაფარიძე

„შებინდდებოდა თუ არა, მეძავის სული იღვიძებდა ჩემში...“

„ამ დანაშაულის გამხელის კი არა, გაფიქრებისაც მრცხვენია... 19 წლის ასაკში გავთხოვდი. ერთ თვეში დავქვრივდი. მეუღლის ოჯახში წლისთავამდე დავრჩი, შემდეგ მშობლებთან დავბრუნდი. იმ ხანებში, ჩემი ძმა ქმრიან ქალს „ჰყვარობდა“ და მის ცოლად მოყვანასაც აპირებდა. დედა დაიღალა მასთან ბრძოლით და ფარ-ხმალი დაყარა. მე კი არ შევეპუე და იმდენი ვქენი, ვიდრე მათი ქორწინების საქმე არ ჩავშალე, ვერ მოვისვენე. ბოლო საუბარი მე და ჩემს სარძლოს ჩვენს სახლში გვქონდა. იქიდან წასულმა დამირეკა და მითხრა: შენი საცვალი მოვიპარე, ახლა ჯადოს გაგიკეთებ და „გაგაბოზებო“. სასაცილოდაც არ მეყო. მის ნათქვამზე ყურადღება არ გამიმახვილებია, რადგან ჯადოქრობის არ მჯეროდა. გავიდა ხანი. იმ პერიოდში, პარლამენტში, ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის მდივნად ვმუშაობდი. ერთ საღამოს სამსახურში გვიანობამდე შევრჩი, შემდეგ შინისაკენ მარტომ გავწიე. ქაშუეთის ეკლესიის წინ, გაჩერებაზე დავდექი იმ იმედით, რომ იქნებ, ჩემი სამარშრუტო ტაქსი კიდევ გამოჩენილიყო. ამ დროს, ჩემ წინ „მერსედესმა“ დაამუხრუჭა. ვიფიქრე, ვინმე ჩვენიანი (თანამშრომელი) იქნება, გაჩერებაზე შემნიშნა და შინ მიმიყვანს-მეთქი. კარი რომ გამოვაღე, უცხო მამაკაცი შემრჩა. ბოდიში მოვუხადე და კარის მიხურვას ვაპირებდი, მაგრამ ის კაცი არ მომეშვა: დავჯექი, შინ მიგიყვან, ცოდო ხარ, ასე გვიან რაღას უნდა გაჰყვეო?! ბევრი არ მიფიქრია, დავჯექი. შემდეგ რესტორანში დამპატიჟა, მერე – სასტუმროში და მეც ასე, ბატკანივით დავყვებოდი და უარს არაფერზე ვეუბნებოდი. დილით კი, სინდისის ქენჯნაც არ მიგრძნია. რამდენიმე დღის შემდეგ, უკვე სპეციალურად გამოვედი გვიან, ისევ იმ გაჩერებაზე... შემდეგ კიდევ... მაგრამ ერთი და იმავე ადამიანს კი არ ვხვდებოდი – ვინც გამიჩერებდა, მას ვუჯდებოდი მანქანაში, ოღონდ, „ჟიგულიში“, „ფორდში“ და მისთანებში კი არ ვჯდებოდი, საუკეთესო „ინომარკებს“ ვარჩევდი... არ იფიქროთ, ვინმეს ფულს ვართმევდი. არა, იმითაც კმაყოფილი ვიყავი, მამაკაცის გვერდით რესტორანში რომ ვიჯექი, ჩემთვის ყვავილებს რომ ყიდულობდნენ, შემდეგ სასტუმროში რომ მივდიოდი... ერთი სიტყვით, ჩემს თავს ვეღარ ვცნობდი... არც ერთ მამაკაცს, ვინც ინტიმს შემომთავაზებდა, ხელიდან არ ვუშვებდი. სათვალავმა 80-ს გადააჭარბა... არ გეგონოთ, ვერ ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი. იყო მომენტები, რომ საკუთარი თავი მეზიზღებოდა, სიცოცხლე აღარ მინდოდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, იმავეს ჩავდიოდი. მივხვდი, რომ საკუთარ ქმედებებს ვეღარ ვაკონტროლებდი... ასე გავიდა სამი წელი... წარმოიდგინეთ, დღისით ჩვეულებრივი, სათნო, ნაზი, გულისხმიერი ადამიანი ვიყავი, ოჯახში ვსაქმიანობდი, მეგობრებთან დავდიოდი, სამსახურში პატივისცემით მეპყრობოდნენ; შებინდებოდა თუ არა, მეძავის სული იღვიძებდა ჩემში. დღისით, ჩემი ღამის ცხოვრება არც მახსოვდა. არც ერთმა სულიერმა არ იცოდა იმის შესახებ, რასაც ახლა თქვენ გიყვებით... მახსოვს, 27 აპრილი იყო. თბილი დღე იდგა. ფანჯრები გამოვაღე და ბინის დალაგება დავიწყე... ჩეხური პროექტის ბინებს, მოგეხსენებათ, ე.წ. საშრობი აქვს, სადაც ჩაშენებული კარადა გვქონდა. იმ კარადიდან ყველაფერი გადმოვალაგე და ცარიელ ქილებსა და ძველმანებს შორის რაღაც საეჭვოდ შეფუთული ნივთი შევნიშნე. გავხსენი და... რაღაც ძონძებში გახვეული, ცხიმში ამოვლებული ჩემი ქვედა საცვალი შემრჩა ხელში... ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდა ამ ჯადოს მოსახსნელად. ახლა ისევ პრესტიჟულ ადგილას ვმუშაობ, ყველაფერი კარგად მიდის, უკვე ოთხი წელია, ერთ მამაკაცს ვხვდები, რომელთანაც მალე ოჯახს შევქმნი, მაგრამ ჩემი წარსული არავისთვის გამიმხელია. მე კი მასზე ფიქრიც აღარ მინდა. ჩემი ოცნებაა, „გადავახვიო“ ჩემი ცხოვრება და იმ ადგილზე გავაჩერო,

ქაშუეთის წინ, უცხო მამაკაცს მანქანაში რომ ჩავუხტი...“

დამეთანხმებით, ეს მართლაც ისეთი ამბავია, რომლის გახსენებაზეც უსიამოვნო შეგრძნება გეუფლება ადამიანს... ცხოვრება კი ათასი „სიურპრიზითაა“ აღსავსე და ხანდახან, ჩვენ თვითონაც ვხდებით უსიამოვნო სიტუაციაში საკუთარი თავის ჩაგდების მიზეზი. სწორედ ეს მოუვიდა ჩვენს მორიგ რესპონდენტს – 35 წლის სულხანს.

„ტანისამოსი შემოვახიე და...“

„უცოლო კაცი ვარ და მოგეხსენებათ, ასეთ დროს, ვნებებს მამაკაცები სხვადასხვა ქალთან ურთიერთობით ვიცხრობთ ხოლმე. ჩემს მეგობარ ბიჭს გელფრენდი ჰყავდა. ერთ საღამოს, ამ გოგოს უნდა შეხვედროდა. ვთხოვე – пускай подругу возьмёт-მეთქი, ვიფიქრე, სადმე წავიქეიფებდით, შემდეგ ის თავის გოგოსთან ერთად წავა, მეორეს მე მივხედავ-მეთქი... გადაწყდა, რომ მეგობრის გელფრენდის სახლში შევხვდებოდით ერთმანეთს. თავიდან სამნი ვიყავით. შემდეგ მშვენიერი გოგონა, ლიზი შემოგვიერთდა. ეს გოგონა დალევაზე ვერ დავითანხმეთ, ქცევითაც მოკრძალებულად იქცეოდა. ჩემი ხელის შეხებასა და სიახლოვეს გაურბოდა... უკვე საკმაოდ გვიანი იყო, სამივე (ლიზის გარდა) კარგად შეზარხოშებულები ვიყავით, როცა ჩემმა მეგობარმა თავის მეწყვილეს გარეთ გასეირნება შესთავაზა. მალე დაგვტოვეს და დაგვიბარეს, ერთ საათში დავბრუნდებითო. ბუნებრივია, დროის უქმად დაკარგვა არ მინდოდა და მარტონი დავრჩით თუ არა, მაშინვე საქმეს შევუდექი: ჯერ ხელი გადავხვიე, მიიწია... შემდეგ კოცნა დავუპირე და წინააღმდეგობა გამიწია. გავხელდი. კუთხეში მივიმწყვდიე და ხელების ფათური დავუწყე. ტიროდა, მემუდარებოდა – თავი დამანებეო! – ხომ იცოდი, აქ რისთვისაც მოდიოდი-მეთქი?! – ვუთხარი და მის წინააღმდეგობას არ ვეპუებოდი. ტანისამოსი შემოვახიე და ... მიჭირს ამ სიტყვის თქმა, მაგრამ სიმართლეს სად გავექცევი?! – გავაუპატიურე... ქალწული აღმოჩნდა. ოთახში, ხალიჩაზე მჯდარი და მტირალი მივატოვე და გამოვიქეცი... როგორც ჩანს, არავისთვის გაუმხელია, რაც იქ მოხდა, რადგან ჩემს მეგობარს მინიშნებითაც კი არაფერი უთქვამს ჩემთვის... წელიწადზე მეტი გავიდა. შარშან, აპრილში, ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა. ბათუმში გაიპარნენ. იქ რომ ჩავკითხე და რძალი ვნახე, პირკატა მეცა: ჩემი ძმის რჩეული, ლიზი გახლდათ. ბედნიერი ღიმილი სახეზე შეეყინა, მე რომ დამინახა... ახლა ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, ჩვეულებრივად ველაპარაკებით ერთმანეთს, მაგრამ არასოდეს, არასოდეს ამ საკითხზე სიტყვაც არ უთქვამს... მრცხვენია, მართლა სირცხვილით ვიწვი, მას რომ ვხედავ. ლიზი, მაპატიე, ჩემო... არც კი ვიცი, რა გიწოდო... მინდა გითხრა, რომ იმის მერე, ბოდიშის მოხდის სურვილი ბევრჯერ გამჩენია; რომ მომენდომებინა, მოგძებნიდი კიდეც, მაგრამ ჩემი საქციელის გამო შენს თვალებში ჩახედვის მეშინოდა, ღმერთმა კი სასჯელად მათი ყოველდღე ყურება მომისაჯა. მომიტევე, თუ შეგიძლია. მარტო შენი თვალების კი არა, იმ პატარის თვალებში შეხედვისაც მეშინია, რომელიც შენს სხეულში ცხოვრობს და სულ მალე ქვეყანას მოევლინება...“

ბევრი ჩვენი რესპონდენტის უსაქციელობა სიძე-სიდედრის ურთიერთობას უკავშირდება. ის, რასაც რობისგან შეიტყობთ, შესაძლოა, მართლაც უკბილო ხუმრობად ჩავთვალოთ, მაგრამ...

„სიდედრს ცხვირი გაღუნული დარჩა...“

„გასულ ზაფხულს ცოლ-შვილთან ერთად დასასვენებლად გურიაში, სიდედრს ვეწვიე. ერთ მშვენიერ დღეს, „დედიკომ“ მთხოვა: კურდღლებისთვის პატარა ხის ყუთი შემიჭედეო. შემოვიტანე მასალა ოთახში და დავიწყე ხერხვა, დაჭედება... ამ დროს ჩემი სიდედრი ტახტზე წამოწოლილი ნებივრობდა, იქვე მისი ოთახის ჩუსტები ეწყო. ორივე შეუმჩნევლად იატაკზე მივუჭედე. ვიფიქრე, გავეხუმრები-მეთქი. ცოტა ხანში, სიდედრი წამოდგა, ფლოსტებში ფეხი წაყო და ნაბიჯი რომ ვერ გადადგა, ინერციით, ცხვირით იატაკს დაენარცხა. ცხვირის ძვალი გაუტყდა და საავადმყოფოში დავაწვინეთ. კარგა ხანი დასჭირდა მის გამოჯანმრთელებას, მაგრამ ძვალი არასწორად შეხორცდა და ცხვირი გაღუნული დარჩა. რაღა დაგიმალოთ და... ძალიან მრცხვენია ჩემი საქციელის გამო, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემი სიდედრი სხვის საქმეში ცხვირს ვეღარ ჩაყოფს...“

„ჩემი მეგობრის სიყვარული უნებლიეთ დავანგრიე...“

„20 წლის ვარ და მინდა, ერთი ჩემი სულელური საქციელის შესახებ გიამბოთ. ჩემს მეგობარ გოგონას შეყვარებული ჰყავდა. სამი წელი უყვარდათ ერთმანეთი. მართლა გულით ვხარობდი, როცა მათ ერთად ვხედავდი და ერთი სული მქონდა, როდის დაქორწინდებოდნენ, რადგან მეჯვარე მე უნდა ვყოფილიყავი. ერთ დღეს, რაღაცაზე წაკამათდნენ და სოფო გაებუტა. მე კი მთხოვა: მობილურს გამოვრთავ, სანდრო რომ ვანერვიულო, შენ კი, თუ დაგირეკავს, უთხარი, რომ ერთი თვით სოფელში წავედიო. მეც ვიფიქრე, სანდროს ეჭვიანობით გადავრევ-მეთქი და რომ დამირეკა, ვუთხარი – სოფო გათხოვდა-მეთქი, – მიზეზად კი ის დავუსახელე, რომ მასზე გაბრაზებული იყო და ასეთი ნაბიჯი ცხელ გულზე გადადგა. გავიდა რამდენიმე დღე. სანდრო არ გამოჩენილა. სოფო ნერვიულობდა ამის გამო და მთხოვა, დამერეკა და მათი შერიგება მეცადა. რომ დავრეკე, ისეთი რამ გავიგე, გადავირიე: ის თუ გათხოვდა, მეც ცოლი მოვიყვანეო, – მითხრა. თავდაპირველად არ ვიჯერებდით, მაგრამ სრული სიმართლე ყოფილა. აი, ასე უნებლიეთ დავანგრიე ჩემი მეგობრის სიყვარული. სოფომ მაპატია, რადგან დარწმუნებულია, რომ მართლა არ მინდოდა ცუდის გაკეთება, მაგრამ სინდისის ქენჯნას რა ვუყო?..“

„თავი ვერ შევიკავე და რა მექნა?!“

ახლა კი, ჩვენი მკითხველების მოკლე გზავნილები.

„რა დამიშავებია? არც არაფერი. ერთხელ ჩემს ძმას ასეთი „სიურპრიზი“ მოვუმზადე: ფუნთუშა შუაზე გავჭერი, შუაში ჯემი წავუსვი და დიდი, ცოცხალი ხოჭოც დავსვი. ფუნთუშა ისევ „გავამთელე“ და ძამიკოს მივართვი... წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა? ამის გახსენების მრცხვენია. კოკო“.

„ვანო გ-ს: ვანო, იმის გახსენებისაც კი მრცხვენია, რომ ოდესმე, შენი საყვარელი მერქვა... შენ ვინ ყოფილხარ, ბიჭო?!“

„ერთხელ, ქუჩაში ქალს საჯდომზე ვუჩქმიტე. მობრუნდა და ჩანთა ჩამცხო თავში... დღესაც მრცხვენია, ამაზე რომ ვფიქრობ, მაგრამ... თავი ვერ შევიკავე და რა მექნა?!“

„ნინო მ-ს. ნინო, მართლა მრცხვენია, რომ მოგატყუე, – ცოლი არ მყავს-მეთქი. ნუ დამემდურები, ხომ იცი, რომ უზომოდ მიყვარხარ. რა მნიშვნელობა აქვს, ცოლიანი ვარ თუ უცოლო?! ხომ კარგად გრძნობდი თავს ჩემ გვერდით? მიყვარხარ და მენატრები. შენი „გაბერილი“.

დასასრულ, ერთ რჩევას შემოგთავაზებ: ეცადეთ, არ გადადგათ ისეთი ნაბიჯები, რომელიც შემდგომ სანანებელი გაგიხდებათ.

შემდეგი ნომრის თემად კი გთავაზობთ: როგორ ვასიამოვნე საყვარელ ადამიანს. ველი თქვენს „მესიჯებს“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

მთის უმკაცრეს ტრადიციებზე აღზრდილი მეძა ხანგოშვილი უკვე წლებია, რაც პოლიტიკური ვნებათაღელვის ეპიცენტრში იმყოფება. მართალია, მუსლიმანურ საზოგადოებაში ქალს, მამაკაცთან შედარებით, გაცილებით მოკრძალებული როლი აკისრია, მაგრამ ქალბატონმა მეძამ შეძლო ადამიანები საპირისპიროშიც დაერწმუნებინა. მისი საქმიანობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა, ვინაიდან დღეს ბევრი მიიჩნევს, რომ ქართველებსა და ჩეჩნებს შორის გაჩენილი ბზარის გამთელება, მისი დამსახურებაცაა. მას ხან ჟურნალისტს, ხან პოეტს, ხან კი ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელს უწოდებენ, თუმცა მისი თანამდებობის სწორი ფორმულირება ასეთია — „კავკასიური სახლის“ ჩეჩნურ-ინგუშური სექტორის გამგე.

„რომ არა ჩემი ტრადიციები, ცხოვრების თანამგზავრად მხოლოდ ქართველს ავირჩევდი...“

ემა ტუხიაშვილი

— საერთოდ, მთაში და მით უმეტეს, ვაინახურ ტრადიციებში ქალს მოკრძალებული როლი აკისრია. მაგრამ თუ ქალი აქტიურია და ოჯახის გარდა, სხვა სფეროშიც საქმიანობს, არ განიკითხავენ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩემი საქმიანობით უხუცესების დადებითი შეფასებაც კი დამიმსახურებია.

— ოჯახში თუ გყავდათ საქმიანი ქალბატონები და თუ აქვს ქალს უფლება, უხუცესებთან ერთად, საკუთარი აზრიც გამოხატოს?

— სხვათა შორის, ყოფილა შემთხვევები, როდესაც პაპაჩემის დები უხუცესთა სასამართლოს მსვლელობისას, მედიატორებად დაუნიშნავთ. პაპაჩემის მამას მხოლოდ ეს ორი ქალიშვილი ჰყავდა, ჩვენი ტრადიციების თანახმად კი, თუ კაცს ძე არ ჰყავს, მისი სახელი დაკარგულად ითვლება. ამიტომ ერთ-ერთმა ქალიშვილმა ოთხმოცი წლის მამას მთიანი ჩეჩნეთიდან საცოლედ თექვსმეტი წლის გოგონა ჩამოუყვანა და ამ ქორწინების შედეგად, მათ ტყუპი ვაჟი შეეძინათ. ერთ-ერთი მათგანის შთამომავალი მე გახლავართ.

— აქტიური ბავშვი იყავით?

— პირველობა ყოველთვის მიყვარდა. სკოლაში წარჩინებული მოსწავლე ვიყავი, განსაკუთრებულ ნიჭს კი მათემატიკაში ვამჟღავნებდი. ეს ნიჭი გენეტიკურად გადმომეცა: დედაჩემი მათემატიკის მასწავლებელი გახლავთ, მამამისს კი, მეტსახელად თურმე, გენიოსს უწოდებდნენ, რადგან პირველი სასწორი ჩვენს მხარეში მან გამოიგონა, რომელიც ახლაც მუზეუმში ინახება.

— თქვენი პირველი სამსახური გაიხსენეთ.

— როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, ქვეყანაში ძლიერი ეკონომიკური კრიზისი იყო. სამსახურის შოვნა ძალიან გამიჭირდებოდა, ამიტომ ჩემს დასთან, ჩეჩნეთში წასვლა გადავწყვიტე. გროზნოს უნივერსიტეტში ბიოფიზიკის კათედრაზე მოვეწყვე ასისტენტად. შემდეგ ჩეჩნეთში ომი დაიწყო და საკუთარი თვალით ვნახე, თუ როგორ იბომბებოდა გროზნო. ისევ საქართველოში დავბრუნდი და დავიფიცე, რომ მანამდე არ დავბრუნდებოდი ჩეჩნეთში, სანამ იქ ერთი რუსის ჩექმანი მაინც იქნებოდა. ერთი თვის შემდეგ კი, როდესაც რუსებმა პირველად დატოვეს ჩეჩნეთის ტერიტორია, გროზნოში მივლინებით გავემგზავრე. ერთი თვე დავყავი იქ და დასახიჩრებული ადამიანების შემხედვარეს, თვალზე ცრემლი არ შემშრობია. სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი, როგორც ჟურნალისტის დებიუტი და ინტერვიუები ჩავწერე იჩქერიის პარლამენტის თავმჯდომარესთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან...

— პოლიტიკაში თქვენი მოსვლა რამ განაპირობა?

— საქართველოში დაბრუნებულს, ქართულ მასმედიაში აგორებული ანტიქისტური ისტერია დამხვდა. ამიტომ დავიწყე წერილების ბეჭდვა, სადაც ქისტებისა და ქართველების ისტორიულ ურთიერთობებს ვეხებოდი. მოგვიანებით გამოვაქვეყნე წერილები ნარკობიზნესის შესახებ, სადაც კონკრეტულ პირებს დავუპირისპირდი, რის გამოც უსიამოვნებები შემემთხვა. რამდენჯერმე იარაღის მუქარით ოჯახში ხუთი-ექვსი მამაკაცი შემოგვეჭრა, მაგრამ ამან ვერ შემაჭერა; პირიქით — პოლიტიკურ ასპარეზზე გასვლისკენაც კი მიბიძგა.

— საქმიანი ქალის იდეალი თუ გყავთ?

— ჩემთვის პოლიტიკოსი ქალის იდეალი ქალბატონი ნინო ბურჯანაძეა. განსაკუთრებული სიმპათიით მის მიმართ ამ ხავერდოვანი რევოლუციის დროს განვიმსჭვალე. ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც მეც მომეცა საშუალება, მიტინგის დროს, ფეხზე დამდგარი ქართული ერის წინაშე გამოვსულიყავი. საპროტესტო

რა გვარისა იყო ზურიკელა (ნ. დუმბაძის მიხედვით)				ნაგვრის თვალი, რომელსაც თითქოს გველი ინახავს				ცეცხლსასროლი იარაღი				მამლის ბიბილო				ელექტრული განმუხტვა ღრუბელსა და მიწას შორის				აჭარული ცეკვა				გამის ნოტი		
ტელეკომპანია 202 — სტუდია „...“				სავანის მგაცებელი ცხოველი				ხორცის პროდუქტი				იტყვიან ჩვილ ბავშვზე				კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში				დღის საპირისპირო პერიოდი				გამოუსვლელი, ტლუ				მცირე ზომის არხი				რომელ ქალაქ ოპერის თეატ „ლა სკალა		

აქციები თბილისში მუსლიმანური დღესასწაულის — რამადანის თვეს დაემთხვა, როდესაც ჩვენ მთელი დღის განმავლობაში არაფერს ვჭამთ და მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ ვიხსნილებთ მარხვას. ჩემი გამოსვლის შემდეგ, ჩემმა საქმრომ დასთან ერთად, „ნიკალაში" დამპატიჟა. სწორედ მარხვას ვხსნიდით, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია პრეზიდენტის გადადგომის შესახებ. ყველა რატომღაც მე მილოცავდა და მკოცნიდა, ჩემი საქმრო კი, გაოცებული მეკითხებოდა: როგორ? ყველას იცნობო?

— როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენი მომავალი მეუღლე ეროვნებით ჩეჩენია. ალბათ არ მოეწონება პოლიტიკურად აქტიური მეუღლე...

— ნოემბერში საარჩევნო კამპანიის დროს, სწორედ მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ყველა საარჩევნო პლაკატი და საკუთარი ხელითაც კი აკრავდა მათ. მართალია, ჩეჩენი მამაკაცი ძალიან მკაცრი და ზომიერია და ვიცი, რომ ბევრი რამის დათმობა მომიწევს. ელემენტარულად ახლაც, რომ ვზივარ და თქვენ გესაუბრებით, ვგრძნობ, რომ იმდენი უფლება აღარა მაქვს, რაც ადრე მქონდა...

— იქნებ, უფრო მეტი გვიამბოთ თქვენი საქმროს შესახებ.

— ჩემი საქმრო ჩეჩენი მებრძოლია, სამხედრო ექიმი, რომელსაც ომის პერიოდში რვაასი ოპერაცია აქვს გაკეთებული. როდესაც ის მის თავს გადახდენილ კოშმარებს მიყვება, გაოგნებული ვრჩები. საერთოდ, ძალიან აზიზი პიროვნებაა, თუმცა, „საფილტრაციო ბანაკში" ყოფნისას, თერთმეტდღიანი შიმშილობის შემდეგ, თაგვი შეუჭამია... როდესაც დილეგში იყო გამომწყვდეული, ეს თაგვი მასთან ხშირად მიდიოდა, რადგან ის პურის ნამცეცებით უმასპინძლდებოდა. თორმეტდღიანი შიმშილობის შემდეგ კი, მხოლოდ ის ახსოვს, რომ ხელში თაგვის კუდი ეჭირა... „საფილტრაციო ბანაკში" იგი სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც ღვიძლი გაუსკდა და ბანაკის პირობებში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. სამედიცინო დასკვნაში მისი ჯანმრთელობის შესახებ პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ის სიმსივნითაა დაავადებული და მისი გადარჩენის არანაირი შანსი არ არსებობს. მაშინ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ მთელი გულით გადავწყვიტე, დავხმარებოდი. მახსოვს, მითხრეს: ერთ-ერთი მცენარის ფესვები ღვიძლის ყველა დაავადებას კურნავსო; ეს მცენარე მხოლოდ მაღალმთიან რეგიონებში იზრდებოდა, მაგრამ მისი შოვნა მაინც მოვახერხე. მკურნალობა არანაირ შედეგს არ იძლეოდა, თბილისის თითქმის ყველა კლინიკაში გაკეთებული ანალიზი კი აბსოლუტურად განსხვავებულ პასუხს გვაძლევდა. მოგვიანებით, მას, როგორც ექიმს, ეჭვი შეეპარა ექიმების მიერ დასმულ სიმსივნის დიაგნოზში და იმაშიც, რომ მისი ძმების მიერ ჩამოტანილი ძვირად ღირებული პრეპარატები არანაირ შედეგს არ იძლეოდა. აღმოჩნდა, რომ ძვირად ღირებული წამლის მაგივრად, მას ოცლარიან ანტიბიოტიკს — როციფინს უკეთებდნენ. გამწარებული ომარი ექიმს ფიზიკურად გაუსწორდა, მაგრამ არც ის დარჩა ვალში და რამდენიმე კაცს ტყეში აცემინა... ამგვარად, სიმსივნის დიაგნოზი ცრუ აღმოჩნდა.

— ქართველი მამაკაცები თუ გეტრფოდნენ?

არსად ქალს ისეთ პატივს არ სცემენ, როგორც საქართველოში

— სხვათა შორის, ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ცოლად მხოლოდ ჩეჩენს გავყვებოდი. ამ საკითხისადმი ჩვენთან საკმაოდ მკაცრი მიდგომაა, ამიტომ აქამდე, პაემანიც კი არავისთან მქონია. მახსოვს, ერთმა სვანმა ლექსი მომწერა: „ლამაზ შვილებს გავაჩენთ, სვანურ-ქისტურ მეტისებს და მტერს დედას ვუტირებთ, თუკი იზამს მეტისმეტს". მე კი ასე ვუპასუხე: „ლამაზ პირმშოებს მე შევმატებ ჩეჩენ არწივებს, როს მოვა ჟამი, როს იჩქერიას კვლავ ვიხილავ ლამაზს და გაშლილს..." არსად ქალს ისეთ პატივს არ სცემენ, როგორც საქართველოში. რომ არა ჩემი ტრადიციები, გულახდილად გეტყვით, ცხოვრების თანამგზავრად მხოლოდ ქართველს ავირჩევდი...

— ქორწილი როდის გექნებათ და როგორი იქნება ჩეჩნურ-ქისტური ტრადიციების შესაბამისად მოწყობილი საქორწილო რიტუალი?

— ტრადიციებთან დაკავშირებით, მე და ჩემს საქმროს ყოველდღე ცხარე კამათი გვაქვს. ქისტებმა ქართველებთან ახლოს ცხოვრებით ასიმილაცია განიცადეს, ამიტომ ტრადიციებთან დაკავშირებული ჩვენი შეხედულებები ხშირად, წინააღმდეგობაში მოდის. არა მაქვს პრეტენზია იმის გამო, რომ ქორწილის სუფრას მე და ჩემი მეუღლე ერთად არ მივუსხდებით, მაგრამ ის, რომ ჩემი და არ უნდა იყოს ქორწილში, დაუშვებლად მიმაჩნია... ქორწილს „კავკასიურ სახლში" გადავიხდით, ხოლო ჩემდამი დიდი პატივისცემის ნიშნად, ქორწილის სუფრას საფრანგეთის ყოფილი ელჩის, მირეი მიუსოს პირადი მზარეული გააწყობს, რომელიც სპეციალურად ამ თარიღისთვის ჩამოვა საფრანგეთიდან.

— ქალბატონო მექა, უკვე გამოცხადდა საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარების თარიღი, მიიღებთ მონაწილეობას?

— რა თქმა უნდა, მივიღებ. მართალია, ჩემს მომავალ მეუღლეს საქართველოში სამსახური არა აქვს და შესაძლოა, მომავალში საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადავიდეთ, მაგრამ მან მომცა პირობა, რომ მანამდე არ წავალთ აქედან, სანამ მე დისერტაციას არ დავიცავ და პოლიტიკაში საკუთარ სიტყვას არ ვიტყვი. ჩეჩენი კი თავის პირობას ყოველთვის ასრულებს... ■

თქვა, პირს ალებ, მაგრამ ელს ვაამებო	შავი მინერალი, საიუველირო ქვა	რბილი, უძვლო ხორცი	სიუხვის სიმბოლო — „... მარანი"	ჯეი ლო, იგივე ჯენიფერ ...	საიქიოსთან ურთიერთობის დამყარების რწმენა		დალექილი წმინდა სილა
ორფა ანუ	სამართალდამცავი პირი აშშ-ში		ცხოველის მიტოვებული გვამი ტყეში	ნორვეგიის დედაქალაქი	ადამიანი, რომელსაც მომავალი მუქ ტონებში ესახება		რითი წერდნენ პასტების შემოღებამდე

მორენა მერკვილაძე

ნათლისღება

19 იანვარს წმინდა ეკლესია ნათლისღებას იდღესასწაულებს. ნათლისღების დღესასწაულით, მართლმადიდებლური ეკლესია იხსენიებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას უფალ იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებიდან — იესო ქრისტეს ნათლისღებას...

იესო ქრისტე თავის საღმრთო ძალასა და სიბრძნეს 30 წლის ასაკამდე ხალხისგან ფარავდა, რადგან, იუდეველთა წესით, არ შეიძლებოდა, ოცდაათ წლამდე ვინმეს მიეღო მოძღვრის ან მღვდლის წოდება, ამიტომ არ დაუწყია ქადაგება და არ გამოუცხადებია თავი ღვთის ძედ. იგი ნაზარეთში თავის ყოვლადწმინდა დედასთან და მართალ იოსებთან ერთად ცხოვრობდა, მათთან ერთად შრომობდა და საკუთარი შრომით ირჩენდა თავს. როდესაც ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ოცდაათი წელი შეუსრულდა და დადგა დრო ისრაელის ხალხისადმი უფლის გამოცხადებისა, უდაბნოში მყოფ იოანე წინამორბედს, რომელიც იყო ძე მღვდელმთავარ ზაქარიასი, დაევალა ექადაგა სინანული და ხალხი წყლით მოენათლა. მას ასევე უნდა ეცნო ქვეყნად მოსული მესია — ანუ მხსნელი სოფლისა — უფალი იესო ქრისტე.

იოანე ნათლისმცემელმა შეისმინა ღმერთის სიტყვა. დაიწყო სინანულის ქადაგება და ადამიანებს ნათლობისკენ მოუწოდებდა. იგი ხალხს მდინარე იორდანეში ნათლავდა. ექვსი თვის შემდეგ, მასთან მოსანათლად მივიდა მაცხოვარიც, რათა ნათელ-ეღო იოანესგან. როდესაც უფალი იოანეს მიუახლოვდა, იოანე სულიწმიდის მადლით მიხვდა, რომ მის წინ იდგა მხსნელი ქვეყნისა. იოანე ნათლისმცემელმა უღირსად მიიჩნია თავი საიმისოდ, რომ მოენათლა უფალი და სთხოვა, რომ თავად ქრისტეს მოენათლა იგი, რაზეც უფალმა მიუგო: „...აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“ (მათე, 3. 15). ამ სიმართლის აღსრულება ქრისტეს მიერ მონის სახის მიღებას გულისხმობდა: „სიმართლეში იოანე ოქროპირი შეიმეცნებს ღმერთის მცნებებს, ანუ იესო შემდეგნაირად ამბობს: რამდენადაც მე ყველა მცნება შევასრულე, რომლებიც სჯულშია მოცემული, დარჩა მხოლოდ ერთი — რომელიც ნათლისღებას ეხება, ამიტომაც მმართებს ამის შესრულებაც“ — წერს წმინდა დიმიტრი როსტოველი.

იოანე ნათლისმცემელმა ძრწოლით აღაპყრო მარჯვენა ხელი და შიშით შეახო ქრისტეს თავს. როდესაც მაცხოვარი წყლიდან ამოდიოდა, გაიხსნა ზეცა და გამოჩნდა ურიცხვ ანგელოზთა გუნდი; სულიწმიდა მტრედის სახით გადმოვიდა ზეციდან, იესოს მხარზე დაადგა და მოისმა ზეციური ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვყავ“ (მათე 3. 16-17). ე.ი. ნათლისღების დღეს, ადამიანებს ერთარსება ღმერთის სამგვამოვნება განეცხადა. სწორედ ამიტომ უწოდებენ ნათლისღების დღესასწაულს ხშირად განცხადებას. ამის შესახებ გვაუწყებს უძველეს იადგარში დაცული საგალობლები: „მამისა მიერ სულიწმიდაი, გარდამომავალი ქრისტესა ზედა იხილა იოანე, რომლისა მიერ წმიდაი სამებაი განცხადებულ არს“.

წმინდა იოანე დამასკელის განმარტებით: „უფალმა იმიტომ კი არ მიიღო ნათლისღება, რომ თვითონ საჭიროებდა განწმენდას, არამედ იმიტომ, რომ წყლით წარეხოცა კაცთა ცოდვები, რათა სჯული მორჩილებით აღესრულებინა და წმინდა სამების საიდუმლო განეცხადებინა, და ბოლოს იმიტომ, რომ „წყლის ბუნება“ განენათლებინა და კაცთათვის ნათლისღების სახე და მაგალითი ეჩვენებინა“.

როგორც აღვნიშნეთ, ნათლისღების დღეს, უფალზე სულიწმიდა მტრედის სახით გადმოვიდა. წმინდა დიმიტრი როსტოველი წერს: „მსგავსად იმისა, როგორც ნოეს დროს მტრედმა შეატყობინა წყლის ნაკადის დაკლება, ასევე აქაც, მტრედის მსგავსებამ მიანიშნა ცოდვის ნაკადის დასრულებაზე. ხოლო მტრედის სახით იმიტომ მოევლინა სულიწმიდა, რომ ეს ფრინველი სუფთაა... სულიწმიდა კი არის წყარო სიწმიდისა, განუზომელი სიღრმე კაცთმოყვარეობისა“...

რაც შეეხება იოანე ნათლისმცემელს, იგი იყო წინასწარმეტყველი ძველი და ახალი აღთქმის გასაყარზე, რომელიც უმზადებდა გზას უფალს — იესო ქრისტეს, ამიტომაც ეწოდება მას იოანე წინამორბედი.

ნათლისღების დღესასწაულით მართლმადიდებლური ეკლესია გვიჩვენებს ნათლობის აუცილებლობას, ქრისტეს ყველა ჭეშმარიტი მორწმუნისთვის. ნათლისღების დღესასწაულზე ხდება წყლის კურთხევა ანუ დიდი აიაზმა, რომელსაც უძველესი ტრადიცია აქვს. იგი მოხსენიებულია მოციქულთა დადგენილებებში. წყლის კურთხევა ხდება წყალში ჯვრის სამგზის შთაფვლით და ჯვრის გამოსახვით (რომელიც სიმბოლურად განასახიერებს უფლის სამგზის შთაფვლას იორდანეში), რომელსაც თან ერთვის შესაბამისი გალობანი. ნათლისღების დღესასწაულზე ნაკურთხი წყალი მთელი წლის განმავლობაში უხრწნელად ინახება, ხშირად, ორი ან სამი წლის შემდეგაც ისეთივეა, როგორიც ახალაღებული.

ნათლისღებისას, ზუსტად შუაღამისას, წყალი ყველგან იწყებს ღელვას იმის ნიშნად, რომ ამ დროს იორდანეში შებრძანდა მაცხოვარი. უძველეს ქრისტიანთაგან მოდის ჩვეულება, ღელვის დროს, წყალსატევებიდან, წყაროებიდან, ჭებიდან, მდინარეებიდან წყლის აღებისა, რომელიც წმინდაა და არ ფუჭდება. ნათლისღების დღეს აღებული წყლის ძალით ადამიანი განიწმინდება სულიერ და ხორციელ უძლურებათაგან. წმინდა იოანე ოქროპირი ერთ-ერთ ქადაგებაში ნათლისღების შესახებ ამბობს — ეს არის დღე, როცა ნათელ-იღო იესო ქრისტემ და განწმინდა წყლები. ამის გამო შუაღამისას დღესასწაულზე იღებენ წყალს, მიაქვთ სახლში, უფრთხილდებიან და ინახავენ მთელი წლის განმავლობაში.

ნათლისღების დღესასწაულის დღეს, ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ნათლულები ნათლიებს სტუმრობენ. ეკლესიური სწავლებით, ნათლისღებას ნათლიასთან ნათლულის სტუმრობა აუცილებლობას არ წარმოადგენს — უბრალოდ, ეს არის ხალხური ტრადიცია, რასაც არავითარი ქრისტიანული საფუძველი არ გააჩნია.

■

სასულიერო აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი, 22 წლის ლევან კუტივაძე „ლურჯი მონასტრის“ მედავითნეა. ღვთის მსახურება მან არა ვინმეს გავლენით, არამედ საკუთარი გულის კარნახით აირჩია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, პატარაობიდანვე ღრმა, სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს...

„...ამ სიხარულის გამო მოვიწევდი ეკლესიისკენ“

ნათია ქივიძე

— პირველად როდის და როგორ გააცნობიერე უფლის არსებობა?

— კონკრეტულად არ მახსოვს. ალბათ, რაც ცნობიერება მაქვს, სულ მწამს ღმერთის არსებობა. 4-5 წლის ვიყავი — ოთახში ვიკეტებოდი და ხატების წინ ვლოცულობდი, თუმცა ეს ჩემთვის არავის უსწავლებია... შემდეგ სიზმარი ვნახე: ვლოცულობდი და უცებ ჩემ წინ მაცხოვარი გაჩნდა. მან მასწავლა, თუ როგორ უნდა გადამწერა პირჯვარი... ამ სიზმრის შემდეგ, ჩემში უფრო გაძლიერდა უფლისკენ სწრაფვა.

— ბავშვობაში როგორი სახით წარმოგედგინა ღმერთი და ახლა როგორი წარმოგიდგენია?

— ბავშვობაში დარწმუნებული ვიყავი, რომ უფალი აუცილებლად თეთრწვერიანი მოხუცი უნდა ყოფილიყო, რომელიც სულ სავარძელში იჯდა... სხვათა შორის, რასაც ღმერთს შევთხოვდი, ყველაფერი მისრულდებოდა, რამაც ჩემი რწმენა კიდევ უფრო გააღვივა.

— რამ განაპირობა შენი ეკლესიაში მოსვლა?

— ეკლესიაში სიარული ყოველთვის მინდოდა. ამაში ხელი ჩემმა რელიგიის მასწავლებელმა შემიწყო, რომელმაც „ლურჯ მონასტერში“ მოძღვართან მომიყვანა. მამა ზაქარია (ძინძიბაძე) ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანია. ის ნამდვილად მისაბაძია მრევლისთვის.

— როდის მიხვდი, რომ მზად იყავი, თავი ღმერთისთვის მიგეძღვნა?

— ღმერთისთვის თავის მიძღვნა მხოლოდ ეკლესიაში მსახურებით ან მონასტერში წასვლით არ გამოიხატება. ყოველი ქრისტიანი (მართლმადიდებელი) ადამიანი გარკვეულწილად, თავს უნდა სწირავდეს ღმერთსა და მოყვასს. ეს თავის შეწირვა კი, მაცხოვრის მცნებების დაცვაში გამოიხატება. „გიყვარდეს ღმერთი შენი“, „გიყვარდეს მოყვასი შენი“ — უფალმა მხოლოდ ღვთისმსახურებსა და ბერმონაზვნებს კი არ უთხრა, არამედ — ყველა ქრისტიანს.

— როგორც ვიცი, საკმაოდ პერსპექტიული მოცეკვავე იყავი. არ გაგიჭირდა არჩევანის გაკეთება?

— ცხრა წელი ვცეკვავდი ქართულ ხალხურ ცეკვებს. როდესაც სულიწმიდის მადლი ადამიანის გულს შეეხება და მას ეკლესიისკენ უბიძგებს, მერწმუნეთ, ეს ისეთი სიხარულის მომნიჭებელია, რომ სხვა ვერანაირი მიწიერი სიხარული მას ვერ შეედრება. ღმერთის სიახლოვის სიხარულმა ყველაფერი დამათმობინა.

— თურმე, ბერებთანაც გიცხოვრია...

— დიახ. ხშირად დავდივარ ულუმბოს მონასტერში. იქ ძირითადი საქმიანობა, ყველასთვის ლოცვა და შრომაა, რომელიც ძალზე უწყობს ხელს ქრისტიანს სულიერად განმტკიცებაში. ამ მონასტრის წინამძღვარი მამა გაბრიელია (ტაბატაძე), რომელიც ჩემთვის ეტალონს წარმოადგენს. მასში თავმოყრილია ყოველივე ის, რაც „წმიდა მამათა ცხოვრებიდან“ მისწავლია. ბავშვობიდან მას დავყვებოდი მონასტერში და მიმაჩნია, რომ მისი აღზრდილი ვარ.

— შენმა ოჯახმა როგორ მიიღო ეკლესიაში შენი წასვლის ამბავი?

— თავიდან, რატომღაც ძალზე შეშინდნენ. დედაჩემი სულ ტიროდა... ღმერთთან სიახლოვით მონიჭებულ სიხარულზე დიდი სიხარული არ არსებობს. ამ სიხარულის გამო მივიწევდი ეკლესიისკენ. ჩემმა ოჯახმა წლების შემდეგ დაინახა, რომ კარგია ეკლესიაში სიარული და დღეს დედაჩემი სულ მადლობას სწირავს უფალს, რომ ეკლესიაში ვარ და ამით ათას უბედურებას გადავურჩი, რადგან დღეს, ბევრი ახალგაზრდა ცუდ დღეშია...

— რადგან ახალგაზრდების პრობლემას თავად შეეხე, გვითხარი, როგორია შენი თვალით ეკლესიიდან დანახული დღევანდელი ახალგაზრდობა?

— ძალზე რთული მდგომარეობაა შექმნილი: დაკვირვებული ვარ — ახალგაზრდობა ყოველწლიურად უარესობისკენ იცვლება, ძლიერდება მისი სწრაფვა უარყოფითისკენ... მე მგონი, ამ მხრივ, ცუდ როლს თამაშობს ტელევიზია, რადგან ეკრანზე სისტემატურად გადის ფილმები ძალადობასა და სექსზე. ვფიქრობ, რომ მსოფლიოში არსებობს ძალები, რომლებიც ახალგაზრდების მაქსიმალურ დეგრადირებასა და დაჩლუნგებას ცდილობენ... ერთ-ერთი წმინდა მამა ამბობს: ეს ქვეყანა ჰგავს დიდ, აბობოქრებულ ოკეანეს და ადამიანი უძლურია, რომ ამ ცდუნებებს სძლიოს... ერთადერთი საშუალება, რითიც მას ამ ოკეანის გადალახვა შეუძლია, მართლმადიდებელი ეკლესიაა — ანუ ეს არის ხომალდი, რომელიც ჩაუძირავად მიცურდება მეორე ნაპირზე, ღვთის სასუფეველში.

— ვიცი, რომ გყავს მეგობრები, რომლებიც ეკლესიაში არ დადიან და ცოტა ქუჩურ ცხოვრებასაც კი მისდევენ. როგორ ეწყობი მათ?

— ერთმანეთს კარგად ვუგებთ, რადგან როცა ისინი ჩემთან არიან, ძველბიჭურ ჩვევებზე უარს ამბობენ და ძირითადად, ეკლესიურ საკითხებზე ვსაუბრობთ. ამით ისინი ჩემდამი პატივისცემას გამოხატავენ. ყველა ვერა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ეკლესიაში მოვიყვანე.

— რა არის შენი მიზანი? რას აპირებ მომავალში?

— ჩემი მიზანი ღმერთთან მიახლოებაა. ყველა ქრისტიანმა, რომელიც სულის გადარჩენაზე ფიქრობს, აუცილებლად უნდა დაისახოს ეს მიზანი და ყველა ღონე იხმაროს მის მისაღწევად...

— რა გრძნობა გეუფლება, როდესაც „დავითს“ კითხულობ?

— ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი წუთებია. როდესაც საღმრთო ლიტურგია სრულდება და მასში მეც ვმონაწილეობ, ეს ჩემი სულისთვის უდიდესი შვების მომგვრელია. მაგრამ ჩემში სხვა გრძნობებიც ჩნდება: საკუთარ ცოდვებს განვიცდი, რის გამოც ხანდახან, მოწყენილობა მეუფლება. თუ სულიწმიდის მადლი ადამიანის გულს შეეხება და ეკლესიისკენ მოუხმობს, ეს მის სულს გამოუთქმელი სიხარულით აღავსებს...

■

ზიზუ ყოველთვის თავმდაბალი სუპერვარსკვლავი

ალექსი რეხვიაშვილი

„ფრანს ფუტბოლის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელებას წინ უსწრებდა ფიფას ორგანიზებით ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვა, რომელსაც 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე უნდა გამოევლინა. როგორც ცნობილია, ყოველკვირეული ფრანგული პოპულარული საფეხბურთო გამოცემა გამოკითხვას ტრადიციულად სპორტულ ჟურნალისტთა შორის ატარებს ხოლმე, ფიფა კი, პლანეტის №1 ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების გამოკითხვის შედეგად ავლენს. რამდენჯერმე მოხდა ისე, რომ ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ ერთი და იგივე ოსტატი დასახელდა, მაგრამ გასული წლის მიწურულს ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია — თუ „ოქროს ბურთს“ („ფრანს ფუტბოლის“ მიერ დაწესებული პრიზი) „იუვენტუსის“ ჩეხი ჰავბეკი პაველ ნედვედი დაეუფლა, „ბროლის ბურთი“ (ფიფას მიერ დაწესებული ჯილდო) „რეალის“ ფრანგ ვარსკვლავს, ზინედინ ზიდანს ხვდა წილად.

ზინედინ ზიდანი უკვე მესამედ დაასახელეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად და ამ მაჩვენებლით მან ბრაზილიელი რონალდოს მიღწევა გაიმეორა. შეგახსენებთ, რომ ფრანგ ნახევარმცველს ფიფას მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, „ბროლის ბურთი“ პირველად 1998 წელს გადაეცა, ხოლო მეორედ იგი ამ საპატიო პრიზს 2000 წელს დაეუფლა. შარშან ზიზუმ ტიტულისთვის ბრძოლაში თავისივე თანაგუნდელები დაჯაბნა. ერთ-ერთი მათგანი, საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ფორვარდი ტიერი ანრი მეორე ადგილზე გავიდა, მესამე ადგილი კი, მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელს, რონალდოს ერგო.

გამარჯვებული ვარსკვლავების დაჯილდოების ცერემონია ბაზელში, საკონფერენციო და საგამოფენო დანიშნულების უზარმაზარ კომპლექსს Messe Basel-ში გაიმართა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მასში უზარმაზარი დარბაზებია, ამიტომ, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიის დაწყებამდე, ზიზუს,

„იუვენტუსში“ ასპარეზობისას ზიდანს ჩვენებური კალაძე ხშირად უშრობდა სისხლს

მინიდოსიე:

დაბადების თარიღი: 1972 წლის 23 ივნისი

დაბადების ადგილი: მარსელი

სიმაღლე: 185 სმ

წონა: 80კგ

კლუბები: „კანი“ (1988-1992), „ბორდო“ (1992-1996), „იუვენტუსი“ (1996-2001), „რეალი“ (2001 წლიდან დღემდე).

ტიტულები: მსოფლიო ჩემპიონი (1998); ევროპის ჩემპიონი (2000); ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული (2002); საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის მფლობელი (1996, 2002), იტალიის ორგზის ჩემპიონი (1997 1998); ესპანეთის ჩემპიონი (2003); „ოქროს ბურთის“ მფლობელი (1998); „ბროლის ბურთის“ სამგზის მფლობელი (1998, 2000, 2003).

ტიერისა და რონის დრო უქმად არ დაუკარგავთ და პირდაპირ პიჯაკებში გამოწყობილებსა და ჰალსტუხებით დამშვენებულებს ბურთაობა დაუწყიათ. სხვათა შორის, სამივე მათგანი ჩინებულ ხასიათზე იმყოფებოდა. „აქ რომ ვარ, ეს გარკვეულწილად ზიზუს დამსახურებაა“, — აცხადებდა ტიერი ანრი. „რას ვიზამ, მე სამჯერ დამსახელეს პლანეტის პირველ ფეხბურთელად, ახლა პირველად გავედი მესამე ადგილზე, მაგრამ ესეც სასიამოვნოა... ზინედინმა კი, ტიტული სამართლიანად მოიპოვა,“ — ამბობდა რონალდო.

ბუნებრივია, Messe Basel-ში შეკრებილ საზოგადოებაში იმ საღამოს ყველაზე ბედნიერი, ზინედინ ზიდანი იყო, თუმცა მსგავს ღონისძიებებზე მისი გამარჯვებულად გამოცხადება მისთვის უჩვეულო არაა. „როგორ შეიძლება, ჯილდოების მიღებით კაცი დაიღალოს?! წარმატების მიღწევა და აღიარება არასოდეს მოგბეზრდება. ყოველი ახალი პრიზი — ახალი სიხარულია ჩემთვისაც და ჩემი ახლობლებისთვისაც“ — დასძინა „ბროლის ბურთის“ მიღების შემდეგ „რეალის“ ნახევარმცველმა, რომელიც ახლობლებში, უპირველეს ყოვლისა, მეუღლეს, ვერონიკასა და სამ შვილს — ენცოს,

ლუკასა და ტეოს გულისხმობდა. გარდა ამისა, მას მხედველობაში ჰყავდა მშობლები და და ლილა, რომლებიც მარსელში ცხოვრობენ. ამ ქალაქის მშობლიურ კვარტალში ზიზუს მეგობარი და მეზობელი მრავლად ჰყავს, რომელთა მონახულებაც საფრანგეთში ყოფნისას მას არასოდეს ავიწყდება. როდესაც ზინედინი მარსელში ჩადის, ის ხშირად ფეხბურთსაც ეთამაშება ადგილობრივ ბავშვებს.

აი, მაშინ უნდა ნახოთ, თუ რამდენად ბედნიერია „სამეფოკლუბელი" ვარსკვლავი, რომელიც თავისი პატარა თაყვანისმცემლების გარემოცვაში ლაღობს... ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ პროფესიონალი ფეხბურთელის რანგში მარსელის კლუბებში ზიდანს არასოდეს უთამაშია, თუმცა სპორტული კარიერა მან სწორედ ამ ქალაქის საბავშვო გუნდში – „სენტ-ანრიში" დაიწყო. მაგრამ 6 წლის ასაკში, ზინედინი უკვე „კანის" ღირსებას იცავდა. ზიზუს დღესაც კარგად ახსოვს, პროფესიონალური გუნდის შემადგენლობაში გატანილი თავისი პირველი გოლი: „ეს 1991 წლის 8 თებერვალს მოხდა. გოლი „ნანტის" კარში გავიტანე და საჩუქრად პირველი მანქანაც მივიღე, რომელიც „კანის" პრეზიდენტმა მისახსოვრა. ეს გახლდათ წითელი „რენო". ჩვენმა გუნდმა კი იმ წელს, ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა".

ნიშანდობლივია, რომ სამშობლოში ზინედინ ზიდანს არაფერი მოუგია. სამაგიეროდ იტალიაში, ესპანეთსა და საერთაშორისო ასპარეზზე – „იუვენტუსის", „რეალისა" და საფრანგეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში – მოიპოვა ყველა ტიტული, რომლის დაუფლებაზეც ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. მადრიდული გრანდის ვარსკვლავს კარგად ახსოვს ის დღეც, როდესაც პირველად მოირგო საფრანგეთის ნაკრების მაისური და მეტოქის კარში ორი გოლიც გაიტანა: „1994 წლის 17 აგვისტოს, ბორდოში გამართულ მატჩში, რომელშიც ჩეხეთის გუნდს ვხვდებოდით, 63-ე წუთზე, კორენტენ მორტენი შევცვალე. იმ მომენტისთვის სტუმრები ანგარიშით 2:0 იგებდნენ, მაგრამ მე ორი გოლის გატანა მოვახერხე და შეხვედრა ფრედ დასრულდა.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „რეალი" დღეს სულ სხვა გუნდი იქნებოდა, მის შემადგენლობაში ზიდანს რომ არ ეთამაშა, ხოლო თუ რას შეიძლება დაემსგავსოს საფრანგეთის ნაკრები ზიზუს გარეშე, ეს მთელმა საფეხბურთო სამყარომ უკვე იხილა კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე; შარშან, ფრანგი ვარსკვლავი მართლაც, შესანიშნავად ასპარეზობდა, ამიტომ მისთვის მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, რომ პლანეტის საუკეთესო სამ მოთამაშეს შორის დაასახელეს, ბოლოს კი, „ბროლის ბურთიც" ერგო. „ნამდვილად მქონდა იმის იმედი, რომ სამეულში მოვხვდებოდი. ძალიან არ მეწყინებოდა, თუ მეორე ან მესამე ადგილზე გავიდოდი – პირველ რიგში იმიტომ, რომ ესეც დიდ პატივად მიმაჩნია. გარდა ამისა, რონი და ტიერიც იმსახურებდნენ „ბროლის ბურთს", თუმცა მოხარული ვარ, რომ ჩემს მეგობარ რონალდოს დავეწიე – ამჟამად ორივე ჩვენგანი სამ-სამჯერ ვფლობთ ამ ტიტულს. მიუხედავად ამისა, იგი ჩემზე უმცროსია და კვლავაც ექნება დაწინაურების შესაძლებლობა. რაც შეხეება ანრის, ის კიდევ უფრო ახალგაზრდაა. ამჯერად ტიერიმ მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ მასზე არ ვდარდობ: ის ისეთი ნიჭიერი ფეხბურთელია, რომ მეც და რონალდოსაც უკან ჩამოგვიტოვებს... ჩემი აზრით, 2003 წელს უფრო კარგად ვთამაშობდი, ვიდრე 1998 და 2000 წლებში. ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე, ამიტომ მიღებულ ჯილდოს, პირველ რიგში, დაუღალავი შრომის შედეგად მივიჩნევ. მიღწეულით არასოდეს დავკმაყოფილდები და მსურს, მუდმივად სრულვყო ჩემი ტექნიკა. „მემარჯვენე" ვარ, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, ორივე ფეხით მაღალ დონეზე თამაში შემძლებოდა. ამიტომ ცაცია ფეხის დარტყმის დახვეწაზე სულ ვმუშაობ, რამაც შედეგი უკვე გამოიღო. ამის მაგალითად, 2002 წელს, გლაზგოში გამართულ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში „ბაიერის" კარში ჩემ მიერ გატანილი, გამარჯვების გოლიც გამოდგება. გარდა ამისა, საგოლე პასებითაც ხშირად, მარცხენა ფეხით ვამარაგებ პარტნიორებს", – ამბობს ზინედინ ზიდანი, რომლის მიერ ლევერკუზენელთა გუნდის კარში გატანილი გოლი მართლაც, ჩემპიონთა ლიგის 2002 წლის სეზონის მშვენებად იქცა. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ამ გოლის წყალობით, ზიზუს 2002 წელსაც მოეპოვებინა „ბროლის ბურთი", მაგრამ ფრანგი ვარსკვლავის და სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფალურ გამარჯვებას, კორეა-იაპონიაში ყველასათვის მოულოდნელად განცდილი ფიასკო მოჰყვა, რომელიც ალბათ სამუდამოდ დარჩება „შავ ფურცლად" არა მარტო ზიდანის სპორტულ კარიერაში, არამედ საფრანგეთის ნაკრების ისტორიაშიც. სწორედ ამიტომ, 2002 წლის მიწურულს, „ოქროს ბურთსაც" და „ბროლის ბურთსაც" მუნდიალის გამარჯვებული – რონალდო დაეუფლა.

ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის პირველი ორი მატჩი ზინედინ ზიდანმა მარცხენა ფეხის ტრავ-

მის გამო გამოტოვა, ხოლო მისმა გუნდმა, რომელიც ტურნირის უპირველეს ფავორიტად ითვლებოდა, ამ ორ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და აუტსაიდერად გადაიქცა. ახლა ინჩხონში გამართულ შეხვედრაში საფრანგეთის ნაკრების მეტოქე, დანიის გუნდი გახლდათ. თამაშის დაწყებამდე ორიოდე წუთით ადრეც კი, ვერავინ გეტყოდათ ზუსტად, გამოვიდოდა თუ არა მოედანზე ზინედინი. მასში ფრანგი ქომაგები მხსნელს ხედავდნენ. როდესაც სტადიონზე დიქტორმა სასტარტო შემადგენლობების ჩამოთვლისას ზიზუს სახელიც ამოიკითხა, „მამლაყინწების“ ფანებმა სიხარულით ისეთი ხმაური ატეხეს, მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. მაგრამ სასწაული არ მომხდარა. ზიდანმა თავისი გუნდი ვერ გადაარჩინა და 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონებმა ისე დატოვეს კორეა, რომ ერთი გოლიც არ გაუტანიათ. იმავე დღეს, პარიზის ცათამბჯენებიდან ჩამოხსნეს გიგანტური გამოსახულებები გმირისა, რომელმაც საფრანგეთში გამართულ მუნდიალზე მასპინძლებს სანუკვარი ოქროს მედლები მოაპოვებინა.

ნათქვამია – გვარდია იღუპება, მაგრამ არ ნებდებაო. დანიის ნაკრებთან მატჩში ზიზუმ ისეთი დონის თამაში უჩვენა, როგორსაც არავინ მოელოდა იმ ფეხბურთელისგან, რომელსაც ორი კვირის მანძილზე სრულიად არ უვარჯიშია. ზიდანი შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. „ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ ცხოვრება ამით არ დამთავრდება“, – განაცხადა ინჩხონის „მუნჰაკის“ სტადიონზე ჩატარებული მატჩის შემდეგ ზინედინმა და ყველას მიანიშნა, რომ ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდა.

გარდა იმისა, რომ ზიზუს უკვე სამჯერ აქვს მიღებული „ბროლის ბურთი“, იგი „ოქროს ბურთის“ ლაურეატიც გახლავთ. „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, „რეალის“ სუპერვარსკვლავი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად 1998 წელს დასახელდა. „ვერ ვიტყვი, რომელ ტიტულს ვანიჭებ უპირატესობას; ორივე ძალზე საპატიოა. თუმცა, „ბროლის ბურთის“ მიღება ალბათ, მაინც უფრო მნიშვნელოვანია – მას ხომ ფიფას წევრი სხვადასხვა ნაკრები გუნდის მწვრთნელთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით გადასცემენ. მწვრთნელები კი, ფეხბურთის სპეციალისტები არიან და როდესაც მათი რჩეული ხდები, ეს განსაკუთრებით დასაფასებელია“, – აცხადებს ზიდანი, რომელიც წლეულს, ერთდროულად სამი დიდი ტურნირის – ესპანეთის ჩემპიონატის, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის პირველობის – მოგებას შეეცდება. „როდესაც „რეალისა“ და საფრანგეთის ნაკრების ღირსებას იცავ, არჩევანი აღარ გრჩება: ყველაფერი უნდა მოიგო... ჯერჯერობით საქმე ნორმალურად მიდის: „რეალი“ უპრობლემოდ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ქვეჯგუფიდან მერვედფინალში და ესპანეთის ჩემპიონატშიც ლიდერობს. საფრანგეთის ეროვნულმა ნაკრებმა კი, ევრო-2004-ის შესარჩევი ტურნირის რვავე შეხვედრაში გაიმარჯვა. მეც კარგ ფორმაში ვარ... მთელი სეზონის განმავლობაში, ჩავარდნების გარეშე თამაში შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია, რომ რთულმა მომენტებმა, რომელიც მეც და „რეალსაც“ ალბათ დაგვიდგება, დიდი ზარალი არ მოგვაყენოს“, – აცხადებს ზიდანი.



ზიზუსთვის ბაზელში გამართული საზეიმო ცერემონია ფეხბურთით დაიწყო და ფეხბურთითვე დასრულდა. როგორც ცნობილია, იგი ღარიბი ალჟირელი ემიგრანტების ოჯახში იზრდებოდა და თავის ფესვებს არასოდეს ივიწყებს. მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო კლუბის“ ნახევარმცველი, დღეს მილიონერი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნებაა, იგი თავის „ვარსკვლავურ სტატუსს“ ქცევითა და ცხოვრების წესით არასოდეს უსვამს ხაზს. საქველმოქმედო ღონისძიებებშიც მხოლოდ იმის გამო მონაწილეობს, რომ გაჭირვებულ ადამიანებს დაეხმაროს. „ბროლის ბურთის“ მიღებისთანავე, იმავე საღამოს, სტადიონ „სანტ-იაკობს პარკზე“ ღატაკთა დასახმარებლად საჩვენებელი მატჩი გაიმართა, რომელშიც რონალდოსა და ზიდანის (ორივე მათგანი გაეროს კეთილი ნების პროგრამის ელჩია) გარდა, სხვა ვარსკვლავებიც მონაწილეობდნენ. „კარგად გვესმის, რომ ფეხბურთელები კაცობრიობის ამ დიდ პრობლემებს ვერ გადავწყვეტთ, – ამბობს ფრანგი ვარსკვლავი, – მაგრამ როდესაც ხედავ, რომ ადამიანებისთვის სარგებლობის მოტანა შეგიძლია, ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა. თუ ყოველი ადამიანი, თუნდაც მცირე მასშტაბის კეთილ საქმეს გააკეთებს, ყველა ერთად დიდ სასწაულს მოვახდენთ.

საქველმოქმედო მატჩში მონაწილეობის მისაღებად მიწვევა უპასუხოდ არც ერთ ფეხბურთელს არ დაუტოვებია! უბრალოდ, ის შეხვედრა ორშაბათს გაიმართა, ბევრი მოთამაშე კი, ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული მორიგი ტურის შემდეგ, საკმაოდ გადაღლილი იყო, ზოგი ტრავმებს იშუშებდა, ზოგიერთიც კლუბმა არ გამოუშვა, მაგრამ მე ყოველ მათგანს მადლობას ვუხდი – მათაც, ვინც სოლიდარობა გამოგვიცხადა და მათაც, ვინც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ამ საქველმოქმედო შეხვედრაში. ისე კი, მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამაში ყოველთვის სასიამოვნოა, მით უმეტეს, როდესაც იცი, რომ შემოსული თანხა კეთილ საქმეს მოხმარდება“.

Messe Basel-ში გამართული დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, ფეხბურთელებმა ავტოგრაფები დაარიგეს და „სანტ-იაკობს პარკზე“ ვარსკვლავთა მატჩშიც მიიღეს მონაწილეობა, რონალდო, რობერტო კარლოსი, დევიდ ბექჰემი, ვიტორ ბაია, ედვინ ვან დერ სარი, მიჩელ სალგადო და სხვა ცნობილი მოთამაშეები ბაზელის გრანდიოზულ დისკოთეკაში – Mad Max შეიკრიბნენ და გათენებამდე გვარიანადაც მოილხინეს. მათ შორის, მხოლოდ პლანეტის ნომერ პირველი ფეხბურთელი არ ჩანდა, რომელიც ელიტის „ტუსოვკებსა“ და ღონისძიებებს ყოველთვის თავს არიდებს... ■

რა ღირს შარაპოვასთან ერთად სადილობა?

16 წლის რუსმა ჩოგბურთელმა, მარია შარაპოვამ, რომელმაც უკვე ჩამოართვა ანა კურნიკოვას „კორტის სექსსიმბოლოს ტიტული", საკუთარი თავი ინტერნეტაუქციონზე წარადგინა. მსურველს, რომელიც ყველაზე დიდ თანხას გადაიხდის, 16 მარტს მაიამის ერთ-ერთ რესტორანში შარაპოვასთან ერთად საღამოს გატარების საშუალება მიეცემა. რუსი ლამაზმანის მიერ წამოწყებული აქცია მთელ მსოფლიოში ცნობილ, უმსხვილეს ინტერნეტაუქციონზე eBay-ზე მიმდინარეობს, რომელიც 1996 წლიდან მოქმედებს. მას ათეულობით მილიონი მომხმარებელი ჰყავს. რამდენიმე დღის წინ მარია შარაპოვასთან ერთად სადილობა 33 ათას დოლარად იყო შეფასებული, თუმცა ამჟამად ჩოგბურთელის ფანები მზად არიან, რომ ამ სიამოვნებისთვის 50-100 ათასი დოლარი გადაიხადონ. ■

სექსუალური რევოლუცია მაიერისგულად

გერმანული საფეხბურთო კლუბის, „ჰერტას" მთავარ მწვრთნელს, ჰანს მაიერს მუშაობის ერთობ უცნაური პრინციპი ჰქონია. 61 წლის ფეხბურთის სპეციალისტს მიაჩნია, რომ ვარჯიშებს შორის თავისუფალი დრო მისი გუნდის მოთამაშეებმა სექსს უნდა დაუთმონ. კერძოდ, მაიერის სიტყვებით, შესვენებებზე სიყვარულით ტკბობა ფეხბურთელებისთვის არა მარტო დიდი სიამოვნების მომტანი, არამედ სასარგებლოც იქნება. თურმე, სექსი სპორტსმენს 300 კალორიის „დაწვასა" და ფსიქიკურ განტვირთვაში დაეხმარება. ამასთან, „ჰერტას" თავკაცი მომზადების მისეული, „სექსუალური მეთოდით" დაინტერესებულ ფეხბურთელებს აფრთხილებს, რომ ისინი თავდავიწყებას არ უნდა მიეცნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ისე გამოიფიტონ, რომ მოედანზე გასასვლელად ძალა აღარ დარჩეთ. თავისი თეორიის განსამტკიცებლად კი, გერმანელ მწვრთნელს მექალთანე რონალდოს მაგალითი მოჰყავს, რომელიც მიუხედავად თავისი აქტიური სქესობრივი ცხოვრებისა, მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჰანს მაიერი ბოლოს მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ედგა სათავეში, ხოლო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ტელევიზიაში მუშაობდა და აცხადებდა, რომ თვით მადრიდის „რეალის" მწვრთნელობაც კი აღარ სურდა. რაც შეეხება ბერლინის „ჰერტას", ამ კლუბის ხელმძღვანელობა მიმდინარე საფეხბურთო სეზონის სტარტზე ოქროს მედლებისთვის ბრძოლას გეგმავდა, თუმცა ამჟამად მაიერი და კომპანია მხოლოდ ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლადღა ირჯებიან. ■

გოგონები ვლადიმირის დასაუფლებლად იმრძვიან

გერმანულმა Bild-მა სპეციალური კონკურსი მოაწყო, რომელიც ვლადიმირ კლიჩკოსათვის ღირსეული ცხოვრების თანამგზავრის გამოძებნას ისახავს მიზნად. ამიერიდან ნებისმიერ სიმპათიურ გოგონას გაზეთის ოფიციალურ საიტზე თავისი ფოტოსა და უკრაინელი მოკრივის მიმართ სასიყვარულო გზავნილის გამოქვეყნების შესაძლებლობა ეძლევა. გამარჯვებული კი, ვლადიმირის საკრივო მატჩის ბილეთით დასაჩუქრდება და თავის კერპს პირადადაც შეხვდება. ცხადია, კლიჩკოს თაყვანისმცემლები უკვე აქტიურად მონაწილეობენ ამ კონკურსში (ერთერთი მათგანის ფოტოს კი, ჩვენც გთავაზობთ). რაც შეეხება თავად მოკრივეს, როგორც ამბობენ, იგი მეტისმეტად თავშეკავებული და ძნელად „შესაბმელი" ყოფილა, თუმცა ნათქვამია – ცდა ბედის მონახევრეაო... ■

სპორტსმენი გოგონები შიშვლდებიან

ცნობილმა გერმანელმა ბობსლეისტმა, 1992 და 1994 წლების ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიუზი ერდმანმა საკუთარი თავის ახალ ამპლუაში გამოცდა გადაწყვიტა და „პლეიბოის" ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა, რაშიც გვარიანი თანხაც გამოიმუშავა. სხვათა შორის, დღეს „სპორტული ნუდიზმით" უკვე ვეღარავის გააკვირვებ. ფოტოგრაფების წინ პირველად ჰოლანდიელი სპორტსმენები გაშიშვლდნენ, რის შემდეგაც მათ გერმანელებმაც მიჰბაძეს. გასული წლის შემოდგომაზე თავიანთი ეროტიკული საიტი გახსნეს ჰოლანდიელმა ტანმოვარჯიშეებმა, რომლებიც ფოტოებზე ვარჯიშის პროცესში დედიშობილა იყვნენ აღბეჭდილნი. არ გასულა დიდი ხანი და მსგავსი ფოტოები ჯერ გერმანელმა ხელბურთელებმა, ხოლო შემდეგ ფეხბურთელებმაც გამოაქვეყნეს. ყველაზე დამაინტრიგებელი კი ის გახლდათ, რომ გერმანელმა გოგონებმა ამგვარი საქციელი თავიანთი კლუბებისათვის ფინანსური მხარდაჭერის საბაბით ახსნეს. ■

მსახიობი, რომელიც თავს ღამწვარ სანთელს აღარებს...

„ოცდან ოცდაათ წლამდე ასაკში იმდენად ბევრი ვიშრომე, რომ მართლა ვიგრძენი თავი სანთლად, რომელიც ორივე მხრიდან დაიწვა. ხშირად, სრულებით არ ვარჩევდი როლებს, რომელსაც მთავაზობდნენ, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ რამდენიმე მართლაც საუცხოო ფილმში მონაწილეობა მხვდა წილად“, — თქვა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში 31 წლის ჰოლივუდელმა მსახიობმა გვინეტ პელტროუმ, რომელსაც მიაჩნია, რომ დადგა დრო, „ჩვეულებრივი ქალის“ ცხოვრებით იცხოვროს და საამისოდ, სადღაც ინგლისურ პროვინციაში დაიდოს ბინა.



საინტერესოა, რომ მას ბევრი მიიჩნევდა წარმოშობით ინგლისელად, არადა გვინეტი ლოს-ანჯელესში დაიბადა და კარგა ხანს ცხოვრობდა ნიუ-იორკში, უბრალოდ მას კარგად ეხერხებოდა ისტორიულ ფილმებში ინგლისელი ქალების თამაში, რომლის დროსაც სხვადასხვა აქცენტით ლაპარაკის ნიჭს ავლენდა, რაც მისი ბავშვობიდან მოდის: როგორც თავად მსახიობმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, მეგობარ გოგონებთან ერთად განსხვავებული ხმით ელაპარაკებოდა ტელეფონით ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებს.

მისი სამსახიობო კარიერა ბავშვობიდანვე იყო განსაზღვრული: გვინეტის



„ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ სქელოს დამიძახებდნენ“

მამა გავლენიანი ტელეპროდიუსერი ბრიუს პელტროუ იყო; დედა — მსახიობი, „ოსკარის“ ლაურეატი ბლაიტ დანერია. თუმცა, მათ არ ჰქონდათ მიზნად დასახული, რომ ქალიშვილს უეჭველად მსახიობობა აერჩია, თავად გოგონამ ეს მიდრეკილება ადრეული ასაკიდანვე გამოავლინა. გვინეტის სასცენო დებიუტი 7 წლის ასაკში შედგა. „მის თვალებში ისეთი შუქი დავინახე, როცა სცენაზე მდგომს ტაშს უკრავდნენ, რომ იმწამსვე მივხვდი — მსახიობობისკენ გვინეტის სწრაფვასთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა“, — იხსენებდა შემდგომ ბლაიტი.

მაგრამ მშობლებს არ უნდოდათ, მეტისმეტად ადრე ჩაებათ შვილი კინობიზნესში და როცა ის 11 წლის გახდა, ნიუ-იორკში გადავიდნენ საცხოვრებლად, რათა უსაზღვრო შესაძლებლობების ქალაქში სხვადასხვა სფეროში საკუთარი ძალების მოსინჯვის საშუალება მიეცათ მისთვის, მაგრამ იქაც, ჰოლივუდიდან კარგად მოშორებით, ქერათმიანი გოგონა მსახიობობისკენ აშკარა მიდრეკილებას ავლენდა. ბუნებრივია, მსახიობი — დედა მხარში ამოუდგა მას ამ მისწრაფების განხორციელებაში და ყველანაირად ხელს უწყობდა. გოგონამ საუცხოო განათლება მიიღო კალიფორნიის უნივერსიტეტში და პარალელურად, დედასთან ერთად სცენაზეც გამოდიოდა. მის ოჯახს ნიუ-იორკში ხშირად სტუმრობდნენ სახელგანთქმული ადამიანები, მათ შორის, მამის ახლო მეგობარი — მაიკლ დუგლასი, რომელიც აღფრთოვანებული იყო პატარა გვინეტით და მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ წლების შემდეგ, მასთან ეროტიკული სცენის გათამაშება მოუხდებოდა ფილმის — „იდეალური მკვლელობა“ — გადასაღებ მოედანზე...

ერთხელ მამა-შვილი პელტროუ, ბრიუს კიდევ ერთ სახელგანთქმულ მეგობართან — სტივ სპილბერგთან ერთად კინოში წავიდა. რეჟისორი დაკვირვებით ათვალიერებდა გოგონას და უეცრად წამოიყვირა: „ის ხომ ზედგამოჭრილი ვენდია! ვენდი „პიტერ პენიდან“!“ ასე დაიწყო 18 წლის გვინეტ პელტროუს კარიერა — ფილმით „კაუჭი“ (1991).

თუმცა, მისი პირველი კინოროლები მაინც რამდენადმე შეუმჩნეველი დარჩა. პირველად კი სახელი გაითქვა ფილმით „შვიდი“, სადაც პარტნიორობას ბრედ პიტი უწევდა. ეს კავშირი გვინეტის პირადი ცხოვრებისთვისაც აღსანიშნავი იყო: გადაღებების დროს, მასა და ბრედ პიტს შორის რომანი გაჩაღდა, რომელიც ქორწინებით დაგვირგვინდა. თუმცა, ეს კავშირი ხანმოკლე აღმოჩნდა — 2 წლის შემდეგ წყვილი გაიყარა. გვინეტის პირადი ცხოვრება არ აეწყო, მაგრამ კარიერა აღმასვლით აღინიშნებოდა. 90-იანი წლების მეორე ნახევარში გვინეტ პელტროუ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მსახიობ ქალად იქცა. 1996 წელს მან ბრწყინვალედ ითამაშა ფილმში „ემა“, მას მოჰყვა არანაკლებ წარმატებული როლები სურათებში: „ფრთხილად, კარი იკეტება!“, „დიდი იმედები“ და, ბოლოს, „შეყვარებული შექსპირი“, რომლისთვისაც მსახიობი სანუკვარი პრემიით — „ოსკარით“ დაჯილდოვდა. ქართველ მაყურებელს ემახსოვრება ასევე უკვე ნახსენები „იდეალური მკვლელობა“ და „ნიჭიერი მისტერ რიპლი“, რომელიც შესაბამისად, 1998 და 1999 წლებში გამოვიდა მსოფლიოს ეკრანებზე. ერთი წლის შემდეგ კი, გვინეტ პელტროუს ცხოვრებაში კიდევ ერთი „კინემატოგრაფიული“ რომანი გაჩაღდა: ფილმში — „სხვისი ბილეთი“ — ის ბენ აფლეკს დაუახლოვდა, რომელთან ურთიერთობაც, ისევე, როგორც ბრედ პიტთან, საკმაოდ მალე დასრულდა.

ბუნებრივია, პრესა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა მისი პირადი ცხოვრების მიმართ, რაც მსახიობს ძალზე აღიზიანებდა. თუმცა პელტროუ ირწმუნება, რომ არასდროს კითხულობს მისი პერსონის შესახებ დაწერილ სტატიებს და ამას ასე ხსნის: „ჯერ ერთი, ჟურნალისტები ყოველთვის ისეთ რაღაცებს წერენ, რაც ჩემს ცხოვრებაში არასდროს მომხდარა. მეორეც — ეს წერილები იმას მიმანიშნებს, რომ სახელგანთქმული ვარ, მე კი გამუდმებით ვცდილობ, დავივიწყო ამის შესახებ“. ეს კომენტარი მსახიობმა მაშინ გააკეთა, როცა ფილმი — „ვონ-ბაშეზღუდული ჰელი“ — გამოვიდა, სადაც პელტროუმ საკმაოდ მოსუქებული

ქალის როლი შეასრულა და ამ საბაბით გაზეთები წერდნენ — ვარსკვლავი უსაშველოდ გასუქდაო. „ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ სქელოს დამიძახებდნენ", — წარმოთქვა გაოცებულმა პელტროუმ და მასმედია იმაში დაადანაშაულა, რომ ის ხელოვნურად აღვივებს ქალებში გახდომის სურვილს. — „ნამდვილ საცდელ ვირთხებად ვიქეცით, მოდის ჟურნალების რედაქტორების გამო, რომლებიც გამუდმებით გვჩრიან სრული მაკიაჟით „დამშვენებული" 12 წლის გოგონების სურათებს და გვაიძულებენ, მათ დავემსგავსოთ... — აღშფოთებას ვერ ფარავდა პელტროუ. — ჟურნალის გარეკანზე დაბეჭდილ ფოტოზე სულაც არ ვგავარ საკუთარ თავს. ისინი ხელოვნურად ხვეწენ ჩემს გამოსახულებას, აცლიან მას წვრილ-წვრილ ნაკლს..."

მას არაერთხელ უთქვამს, რომ საკუთარი სხეულიდან ყველაზე მეტად უკანალი არ მოსწონდა, ერთხელ კი, ჟურნალში — Harper,s Bazaar — საკმაოდ გამომწვევი ფოტოების სერია დაიბეჭდა, რომელზეც ის მთლიანად შიშველი ჩანდა. მსახიობი იხსენებდა, რომ საკმაოდ უხერხულად გრძნობდა თავს ფოტოსეანსის დროს, შემდეგ კი, საოცრად გაწბილებული დარჩა, როცა ჟურნალში თავისი ფოტოები ნახა. „ფოტოგრაფმა მომატყუა, — ამბობდა პელტროუ. — მან დამარწმუნა, რომ მხოლოდ წელს ზემოთ გადამიღებდა და მე მას დავუჯერე... ცხადია, ამაში ვერავის დავადანაშაულებ, საკუთარი თავის გარდა, მაგრამ მან მითხრა — ჯობს, მთლიანად გაიხადო, რათა სხეულზე ტანსაცმლისგან ნაკეცები არ დარჩესო, — და დამპირდა, რომ კადრში მხოლოდ წელს ზემოთ გამოვჩნდებოდი... დასანანია, რომ დღემდე, საკუთარ შეცდომებზე სწავლა მიწევს".

გვინეტ პელტროუ გატაცებულია იოგათი, ბევრს კითხულობს და საყვარელ მუზეუმებში სიარული უყვარს. ყველაზე მეტად, ისევ და ისევ, ზედმეტი პოპულარობა და პაპარაცები უშლიან ნერვებს. ის ყველანაირად ცდილობს, ნაკლები ილაპარაკოს საკუთარ პირად ცხოვრებაზე. — „ვგრძნობ, რომ აუცილებელია, შევზღუდო ჩემს ცხოვრებაში სხვა ადამიანების ჩარევა, — ამბობს ვარსკვლავი. — უნდა ვისწავლო „არას" თქმა და მივაღწიო იმას, რომ ჩემი ინტიმური ცხოვრება პუბლიკისთვის ხელმისაწვდომი არ იყოს. მით უმეტეს, რომ ჩემი ეკრანული რომანტიკული თავგადასავლები გაცილებით საინტერესო და სახალისოა!"

მსახიობი ქორწინების დღესაც, თავისი პრინციპის ერთგული დარჩა: მისი მომავალი შვილის მამასთან — კრის მარტინთან მისი შეუღლება ძალზე მოკრძალებულ და უხმაურო ვითარებაში, ახლობელთა ვიწრო წრეში მოწყობილი ვახშმით აღინიშნა...

პასტერის ქ. №2–ში მდემარე ქალთა და მამაკაცთა პრესტიჟული

სალონი „არმანი" გთავაზობთ მრავალფერადან, მაღალხარისხიანი

და ფასემით ხელმისაწვდომ მომსახურებას.

რა გამოგვარჩევს სხვა სალონებისაგან?

– ჩვენთან მუშაობენ თმის უმაღლესი კატეგორიის ქალისა და მამაკაცის სტილისტები, რომლებიც ინდივიდუალურად შეგირჩევენ ყოველდღიურ თუ სადღესასწაულო ვარცხნილობებს.

– ექიმი-კოსმეტოლოგი, მანიკიურის, პედიკიურის სპეციალისტები მუშაობენ მხოლოდ და მხოლოდ სტერილური იარაღებით, რომელიც თანამედროვე, კვარცის ბურთულებიან სტერილიზატორებში 5-15 წამის განმავლობაში სტერილდება 280°C-ზე.

სალონში 3 უახლესი ტიპის სტერილიზატორია!

– სახის გაწმენდის 10-საფეხურიანი სისტემა ხორციელდება ექიმ-კოსმეტოლოგის მიერ ფრანგული, უახლესი ტიპის აპარატ – **„Michelle"**-ის, **„faberlic"**-ის და **„oriflame"**-ის ფირმის კოსმეტიკური საშუალებებით.

– სხეულის ნებისმიერი უბნიდან არასასურველი თმის მყისიერი მოცილება ხდება სხვადასხვა ფირმის სპეციალური ბიოეპილაციის („ლიპუჩკა") საშუალებით სტერილურ პირობებში.

– სალონში წარმატებულად მუშაობს ფსიქოლოგი-ფსიქოთერაპევტი, მასაჟის, ტრენაჟორის კაბინეტები.

მომრთანდით, კმაყოფილი დარჩემით!

სალონი „არმანი" – თქვენი სილამაზის
და მომხიმვლელობის გარანტია!

მის: პასტერის ქ. №2 (რკინიგზელთა სახლის წინ)
☎ 96-48-53 8(99) 53-66-09

თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,2)

მეათეკლასელ გვანცა ჩოხელს ბედი ბავშვობიდანვე მძიმე გამოცდებს უწყობს. ჯერ, ცხრა აპრილის ღამეს, დედა მოეწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. შემდეგ, ცოლის უბედურებით საბოლოოდ თავგზააბნეული მამაც მიატოვებს ოჯახს... გვანცა და მისი პატარა ძმა ბებია-ბაბუის — ამირან და ლამარა ანთაძეების იმედად რჩებიან. ერთადერთი ქალიშვილის უბედურებით გამწარებული ცოლ-ქმარი შვილიშვილებს ცივ ნიავს არ აკარებს, მაგრამ გვანცას ხიფათს მაინც ვერ აარიდებს. ერთ დღეს, გოგონა მასზე ბევრად უფროს მამაკაცს, მხატვარ ირაკლი იაშვილს გაიცნობს და უმალვე მოიხიბლება. ირაკლი კი ამით ბოროტად ისარგებლებს და გამოუცდელ გოგონას ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიწვენს...

მომხდარით თავგზააბნეული გვანცა თბილისიდან კარგა ხნით საერთოდ მიდის. უკან დაბრუნებული კი, შემთხვევით გადაეყრება ირაკლის. მათი შეხვედრის თვითმხილველი აღმოჩნდება ლუკაც, რომელიც მაშინვე მიხვდება, რომ ქალ-ვაჟს შორის რაღაც სერიოზული ხდება. იმავე საღამოს, გვანცას ჯერ ირაკლი დაურეკავს და ყველაფრის გარკვევას შეეცდება, შემდეგ — ლუკა. წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსული გვანცა ორივეს კივილით მოიშორებს...

— რა გაკივლებს, გოგო?! — მაშინვე ოთახში შემოვარდა ლამარა. — მართლა ხომ არ გაგიჟდი?!

— რა მოხდა, ბაბუ? — ლამარას ფეხდაფეხ შეჰყვა ამირანიც.

ლოგინზე პირქვე დამხობილმა გვანცამ თავი ნელ-ნელა ასწია და ბებია-ბაბუას ცრემლიანი თვალები შეანათა:

— თქვენ მაინც დამანებეთ თავი, თორემ მართლა გავგიჟდები! — ისევ იკივლა მან.

— გაგიჟდები და დედაშენის გვერდით ადგილს უცბად მოგითავისუფლებენ! — კივილზე გადავიდა ლამარაც. — რას გვაშინებ?.. ჯერ ამ ოჯახში გიჟი არ გვინახავს თუ რა?!.

— ლამარა! — თვალები გადაუბრიალა ამირანმა ცოლს. — გესმის, ბავშვს რას ეუბნები?!

— რასაც იმსახურებს! — არ ცხრებოდა ლამარა. — არ შეგვიკლა ხელში?.. გეგონება, ამ ოჯახში მაგის გარდა, ნერვები აღარავის ჰქონდეს! ნერვები კი არა, ხანდახან გულიც ხელით მიჭირავს, მაგრამ ნეტავ, ვინაა ჩემი პატრონი?!

— კარგი ახლა, შე ქალო, მართლა არ აგვატირო! — ისევ დაუყვავა ცოლს ამირანმა. — შენზე თუ არა, აბა, ვისზე ვფიქრობთ მთელი ოჯახი?.. მაგრამ ცოტა ჩვენც ხომ უნდა გაგვიგო?

— მაგებინებთ, რა გჭირთ, რომ გაგიგოთ? — უცბად გული ამოუჯდა ლამარასაც. — დადიხართ ორივე ბაბუა-შვილიშვილი ბუებივით და მიდი, შენ, ლამარა და იმკითხავ, რომელი რომელ ფეხზეა დილიდანვე ამდგარი და რა აწუხებს...

— კარგი, მაშინ... გადი ახლა შენ და მიშიკოს მიხედე, გვანცას კი მე დავამშვიდებ. — ორივე ხელი მოხვია და ოთახიდან თითქმის ძალით გაიყვანა ცოლი ამირანმა. შემდეგ გვანცას საწოლზე ჩამოუჯდა და თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა: რა მოხდა, ბაბუ?

— ისეთი არაფერი... — თვალი ველარაფრით გაუსწორა ბაბუას გვანცამ.

— ასეთი?.. ისევ ლუკამ ხომ არ გაწყენინა? — თავისას არ იშლიდა ამირანი.

— არა.

— აბა, შენ აწყენინე?

— ჰო... მე ვაწყენინე...

— რას მეუბნები?.. — შეწუხდა ამირანი. — ძალიან?

— ძალიან... მერე დამირეკა და საქმის გარჩევა დამიწყო. მეც ავდექი და ვუკივლე.

— ეტყობა, ძაან „გებლატავა“ ხომ? — ძველბიჭურად ჰკითხა ამირანმა და თან, ულვაშებში ეშმაკურად ჩაეცინა.

— რა თქვი? — თვალები გაუფართოვდა გვანცას. — ეგეთი სიტყვები საიდან?..

— შენი ლექსიკონიდან, ბაბუ... დრო აღარაა თუ?.. ხომ „გაგისწორდება“, „ბლატნოი“ ბაბუა რომ გყავს?

— კი... — წამით სახე გაუნათდა გვანცას, მაგრამ მალევე მოიღუშა და ამირანს ისევ თვალი მოარიდა.

— კარგი. — ჩაილაპარაკა შემდეგ ამირანმა. — თუ არ გინდა, მეტს ნურაფერს მეტყვი, მაგრამ ვგრძნობ, შენს თავს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ლუკასთან წაკინკლავება ანდა სულაც ჩხუბია. ასე არ არის, ბაბუ?.. —

ნიკაპქვეშ ორი თითი ამოსდო მან შვილიშვილს და ცრემლიან თვალებში აშკარა თანაგრძნობით ჩახედა.

— კი. ასეა... — კვლავ გვერდზე გაიხედა გვანცამ და ყურებამდე გაწითლდა.

— არ მეტყვი, არა?

— ჯერ ვერ გეტყვი... ჯერ არ შემიძლია... — ძლივსღა ამოილუღლუღა გვანცამ და თვალები ისევ ცრემლებით აევსო.

— როგორც შენ გინდა, ბაბუ... — შვილიშვილს შუბლზე ნაზად აკოცა ამირანმა. — როცა შეძლებ, მაშინ მითხარი... მე ყოველთვის მოგისმენ და ყველაფერს მართლა გაგიგებ...

— მაპატიებ კიდეც? — ხმაში იმედი გაუკრთა გვანცას.

— რა თქმა უნდა, — მაშინვე დაეთანხმა ამირანი, — მაგრამ საპატიებელი განა რაღა გჭირს, ჩემო კუდრაჭავ?

— მჭირს... მჭირს... — გული ამოუჯდა გვანცას.

— კარგი, ბაბუ, კარგი... ყველაფერს გაპატიებ... რასაც მე ვერ შევძლებ, ღმერთი მოგიტევებს... ახლა კი დაისვენე... — ფეხზე ნელ-ნელა წამოდგა და ოთახიდან დაფიქრებული გავიდა ამირანი.

მეორე დილით გვანცა ლექციებზე აღარ წასულა, მთელი დღე თავის ოთახში გაატარა და, ამირანს რომ არ ეძალავა, ალბათ, გარეთ სავახშმოდაც არ გამოვიდოდა. მესამე დილით კი, გაიღვიძა თუ არა, მაშინვე ლოგინიდან წამოხტა, ფაცხაფუცხით ჩაიცვა და ის იყო, შინიდან უკანმოუხედავად უნდა გავარდნილიყო, რომ კართან ლამარა დაეწია:

— ამ დილაადრიან საით გაგიწევია, ქალბატონო?

— ლექციებზე. — მშვიდად მიუგო გვანცამ.

— რომელ ლექციებზე?.. გუშინ რომ ყველა ერთად გააცდინე? — დოინჯი შემოიყარა ლამარამ.

— გუშინ სხვა ლექციები მქონდა, დღეს სხვა მაქვს. — ისევ მშვიდად აუხსნა გვანცამ.

— შენი ცხვირი მოატყუე! — გაგულისდა ლამარა. — ერთი ბაბუაშენი დადის ყოველდღე ლექციებზე და მეორე — შენ! თქვენ გგონიათ, მართლა ჭურში ვზივარ და არ ვიცი, რომ მთელი თვეა, უნივერსიტეტში ლექციები წესიერად არ ჩატარებულა? მაგრამ თავში ქვა გიხლიათ! სადაც გინდათ, იქ იარეთ!

გვანცამ ბებიას სიტყვის დამთავრება აცალა, შემდეგ კარი გაიჯახუნა და კიბეზე კისრისტეხით დაეშვა...

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ხალხის ტევა არ იყო. აქ რამდენიმე ოპოზიციური ძალა ერთად მართავდა მიტინგს და სიტყვათ გამოსული ლიდერებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. გვანცას მათი სიტყვები თითქმის არ ესმოდა, რადგან გაუმართავი მეგაფონი გამუდმებით ხრიალებდა და, შიგადაშიგ, ხმა საერთოდაც უწყდებოდა. გვანცამ ხალხის ზღვაში თანაკურსელების ძებნა დაიწყო, მაგრამ შორიახლოს თვალი ვერავის მოჰკრა და ის-ის იყო, უფრო სიღრმეში შესვლა გადაწყვიტა, რომ ყურში ლუკას მშვიდი ხმა ჩაესმა:

— გამარჯობა, გვანცა.

გვანცამ მაშინვე მოიხედა და იქვე მდგარი ლუკა უცნაურად აათვალიერ-ჩაათვალიერა...

— გაგიმარჯოს... — ძლივსღა ამოღერღა შემდეგ და დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით მოიბუზა. — აქ საიდან გაჩნდი?

— კიბეზე ვიდექი და რომ დაგინახე, მაშინვე შენკენ წამოვედი.

— კიბეზე რაღა გინდოდა? — გაეღიმა გვანცას. — არ მითხრა ახლა, ოპოზიციონერებს შევუერთდიო.

— არავის შევერთებივარ და არც ვინმეს მხარეზე გადავსულვარ. — სასწრაფოდ იუარა ლუკამ. — უბრალოდ, იქიდან უნივერსიტეტის მთელი ეზო ხელისგულივით მოჩანს და შენი გამოჩენა აღარ გამომეპარებოდა.

— რატომ მეძებდი?

— საქმე მაქვს.

— რა საქმე?

— მაინტერესებს, გუშინწინ ყურმილი რატომ დამიგდე?

— ცუდ ხასიათზე ვიყავი და იმიტომ... — სასწრაფოდ გაცლა დააპირა გვანცამ, მაგრამ ლუკა წინ გადაუდგა:

— მოიცა!.. ხომ გითხარი, საქმე მაქვს-მეთქი!

— რა საქმე? აღარ იტყვი? — გაღიზიანდა გვანცა.

— ირაკლიმ დამაბარა რაღაც და უნდა გადმოგცე.

— ვი-ინ? — სახეზე მაშინვე სიწითლემ გადაჰკრა გვანცას, მაგრამ სხვა მხრივ არაფერი შეიმჩნია. — რომელმა ირაკლიმ?

— ირაკლი იაშვილმა.

— შენ?.. შენ ირაკლის საიდან იცნობ? — ნერვიულობისგან ენა დაება გვანცას.

— „ტუმბოჩკიდან“, — ისევ მშვიდად მიუგო ლუკამ.

— რა თქვი? — ნერწყვი ძლივსღა გადაყლაპა გვანცამ. — რომელი „ტუმბოჩკიდან“?.. ეგ სისულელე საიდანღა მოიგონე?

— მე არაფერი მომიგონია. ეგეც ირაკლიმ მითხრა. რომ გკითხე, გვანცას საიდან იცნობ-მეთქი, საიდან და „ტუმბოჩკიდანო“, აგდებულად მიპასუხა და თავადაც იქიდან ვარო...

— ლუკა, იცოდე, მე აღარ მეხუმრება! — უცბად გაკაპასდა გვანცა.

— არც მე. — ხმა გაიმკაცრა ლუკამაც. — თბილისი ძალიან პატარა ქალაქია იმისათვის, რომ კაცს იქ ერთი ახვრის პოვნა გაგიჭირდეს. გინდა, მაგ არაკაცის ტელეფონიც გითხრა?

— არ მინდა, ზეპირად ვიცი... — გამწარდა გვანცა.

— ის თუ იცი, შენზე რას ამბობს?

— რას? — ხმა გაებზარა გვანცას.

— ჩემი ქალიაო...

— ვინ არისო?..

— ჰო, ზუსტად ასე მითხრა, უკვე ჩემი ქალია და შენ მაგის ამბავს აღარავინ გეკითხებაო...

— მართლა ეგრე გითხრა? — ტირილს აღარაფერი უკლდა გვანცას.

— ჰო...

— რა ჰო, რა?! — უცბად აფეთქდა გვანცა. — საერთოდ რატომ მოძებნე? ვინ დაგავალა?.. შენ ვინ გეკითხებოდა, ირკალის ქალი ვიყავი თუ პეტრესი?!

— რა ვიცი! — მხრები დამნაშავესავით აიწურა ლუკამ. — უბრალოდ, მეგონა, რომ...

— აღარ მაინტერესებს, რა გეგონა! — ისევ პირში ეცა გვანცა. — მეგონა-გეგონა გრამაფონშია! დღეიდან საერთოდ დაივიწყე ჩემი სახელი! არ გიცნობ, არ მიცნობ და მორჩა! გასაგებია?

— კი. ახლა მართლა ყველაფერი გასაგებია. — ხმაში ისევ სიმშვიდე ჩაუდგა ლუკას. — თურმე, აქამდე მეც არ მცნობიხარ...

ამ სიტყვების შემდეგ ლუკა გვანცას სასწრაფოდ გაეცალა. სახტად დარჩენილმა გვანცამ კი ჯერ თვალი ლუკას უცნაურად მოხრილ ზურგს გააყოლა, შემდეგ ორივე ხელი ისე მომუშტა, თითქოს, ვიღაცასთან მუშტი-კრივის გასამართად ემზადებაო და ადგილს გიჟივით მოსწყდა...

გვანცა გონს მხოლოდ ირაკლის სადარბაზოსთან მოეგო. მართალია, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, მაგრამ კიბე მაინც კისრისტეხით აირბინა და ნაცნობი ბინის კარს მუშტები გამეტებით დაუშინა. კარს იქით ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. გვანცამ წამით შეიცადა და ისევ ბრაგაბრუგი ატეხა.

— ჰო, ახლავე! კარი ნუ ჩამომიღე! — მოისმა უცბად ირაკლის გაღიზიანებული ხმა და კარი ისე სწრაფად გაიღო, რომ კიდევ ერთხელ დასაშენი მუშტები გვანცას ჰაერში გაუშეშდა.

ირაკლი ცალი ხელით კარს აკავებდა, მეორეში კი საღებავებით მოსვრილი ჩვარი ეჭირა. გვანცას დანახვაზე ის წამით ადგილზე გაშეშდა, მაგრამ შემდეგ კარს ხელი უშვა და ხელების შემშრალება მშვიდად განაგრძო. თან, გვანცა ისე არხეინად აათვალიერ-ჩაათვალიერა, თითქოს, მისი დანახვა ოდნავადაც არ გაჰკვირვებოდა:

— სადა ხარ აქამდე?! მაინცდამაინც, განცხადება უნდა გამომეკრა, პატარა გოგო დამეკარგა-მეთქი?! — ბავშვივით დატუქსა მან გვანცა და თან, მაშინვე გულიანადაც გადაიხარხარა.

— მე შენი გოგო არა ვარ! — წუთის წინ ძირს დაშვებული ხელები ისევ სასწრაფოდ მომუშტა გვანცამ.

— რას მეუბნები? — თვალი ისევ არხეინად შეავლო ირაკლიმ გვანცას და შემდეგ განზე გადგა. — აბა, ერთი შემოდი და მერე გავარკვიოთ, ვინ ხარ და, საერთოდ, რა გინდა?

გვანცა ადგილიდან არ დაძრულა.

— რა იყო?.. ხომ არ გეშინია?— აგდებულად ჰკითხა ირაკლიმ, შემდეგ ჩვარი იქვე, შესასვლელში მდგარ სკამზე მიაგდო და ის იყო, გვანცასთვის მხარში ხელი უნდა ჩაევლო, რომ ეს უკანასკნელი განზე მოხდენილად გახტა, ზღურბლს სწრაფად გადააბიჯა და სანამ ირაკლი მოასწრებდა, კარს ფეხიც თავად ჰკრა და ხმაურით მიხურა.

— ოჰ?!.. — კინაღამ ტაში შემოჰკრა ირაკლიმ. — მგონი, შენ მართლა აღარ ხუმრობ, აი?!. შედი, ერთი, ოთახში, დღის სინათლეზე კარგად დაგათვალიერო, მართლა გვანცა ხარ?..

გვანცა ოთახშიც სიტყვის უთქმელად შევიდა და ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს, რაღაცას ეძებსო.

— რა იყო, სიცოცხლევ? — თვალები ეშმაკურად მოჭუტა ირაკლიმ. — რამე ხომ არ დაგეკარგა?

გვანცამ, პასუხად, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და:

— საზიზღარო!.. გველო!.. დამპალო!.. — ტყვიასავით მიაყარა მან ირაკლის სალანძღავი სიტყვები და თან, მკერდში მუშტებიც გამეტებით დაუშინა.

ირაკლიმ გვანცას გულის ოდნავ მოოხება აცალა, შემდეგ ორივე ხელი დაუჭირა და მთელი ძალით შეაჯანჯღარა:

— აბა, ახლავე მორჩი ისტერიკას და დაჯექი! — უყვირა მან და ერთიანად აკანკალებული გოგონა ლამაზად გასწორებულ ლოგინზე თითქმის ძალით დასვა. — შენი ლუკაია ხომ არ გგონივარ, ყველა შენს სისულელეს რომ მორჩილად ისმენს და იტანს?!

— ლუკას თავი დაანებე! — მაინც გაიბრძოლა გვანცამ.

— დავანებო, თორემ კისერზე ვეკიდები, აი?!.

— რა გინდოდა?.. რატომ უთხარი ჩვენი ამბავი, რატომ? — უცბად ქვითინი აუვარდა გვანცას. — რატომ ხარ ასეთი ბოროტი და დაუნდობელი?

— რა ამბავი? — შეცბა ირაკლი.

— ვითომ არ იცი?! — ცრემლიანი თვალები შეანათა მას გვანცამ. — ლუკამ მითხრა, რომ შენთან იყო და შენც...

— აი, თურმე, რა ყოფილა? — სასწრაფოდ გააწყვეტინა ირაკლიმ. — ნამდვილად არ მაინტერესებს, იმ ლაწირაკმა რა გითხრა.

— რატომ არ გაინტერესებს, რატომ? — ქვითინს განაგრძობდა გვანცა.

— იმიტომ, რომ შენი ლუკა, ცოტა რომ გაიზრდება, თვითონვე მიხვდება, რა სისულელეც ჩაიდინა. კაცები ერთმანეთში კაცურად გარჩეულ ამბებს ქალებს არასოდეს უყვებიან და არც მე ვაპირებ შენთვის ახსნა-განმარტების მოცემას, გასაგებია?!

— გასაგებია... — ტირილი სასწრაფოდ შეწყვიტა გვანცამ. — ახლა მართლაც ყველაფერი გასაგებია... ნამდვილი არაკაცი ყოფილხარ... — დააყოლა მან ბოლოს და ის იყო, ფეხზე წამოდგა, რომ შემოსასვლელ კარზე კაკუნიც გაისმა.

ირაკლიმ გვანცა ლოგინზე თითქმის ძალით დასვა, ცრემლიანი თვალები დაუკოცნა, შემდეგ კარის გასაღებად გავიდა და ორიოდ წუთში, ოთახში საკმაოდ სიმპათიურ ახალგაზრდა წყვილს შემოუძღვა. მათ დანახვაზე გვანცა ისევ ფეხზე წამოხტა და თან, დამფრთხალი ჩიტივით მოიბუზა. ირაკლიმ კი მას მაშინვე მხარზე ხელი გადახვია და არხეინად დაიწყო:

— აბა, ბავშვებო, გაიცანით ერთმანეთი: გვანცა, ესენი ჩემი მეგობრები არიან — მაკა და კახა, ეს კი, — მიუბრუნდა ის შემდეგ წყვილს და თან, გვანცა გულში ნაზად ჩაიკრა, — გვანცაა, ჩემი საცოლე...

ბოლო სიტყვის გაგონებაზე, აქამდე ირაკლის მკერდზე მიკრულმა გვანცამ ერთი გაიბრძოლა, მაგრამ ირაკლის მარწუხივით შემოჭდობილ ხელს ვერაფრით დაუსხლტა.

— მართლა? — გაოცება ვერ დაფარა მაკამ და გვანცას ორივე ხელი ჩამოართვა. — რომ იცოდეთ, როგორ მიხარია!.. უკვე თითქმის დავიჯერე, რომ ირაკლი ხელში უცოლოდ ჩაგვაბერდებოდა...

— გილოცავ, ძმაო! — მაშინვე გადაეხვია ირაკლის კახა და შემდეგ მხარზე ხელიც შინაურულად მოუტყაპუნა. — როგორაა ნათქვამი?.. კაცი ბერდებოდაო და...

— ეგ ქალზეა ნათქვამი, შე ჭკუის კოლოფო! — სასწრაფოდ გაუსწორა მაკამ კახას და თან, გვანცას თვალით მამაკაცებზე ანიშნა — ამათ იკითხონ, თორემ ჯერ რა დროს ჩვენი სიბერეა, ხომ?..

— დიახ... ალბათ... — დაიბნა გვანცა და თვალები მორცხვად დახარა.

— მგონი, უდროო დროს შემოგეჭერით... — სასწრაფოდ დაფაცურდა მაკა და თან, კახას თვალით რაღაც ანიშნა. — აქეთ ვიყავით სტუმრად, ჩემს მულთან და კახამ აღარ დაიშალა, ბარემ ირაკლისაც შევურბინოთო... მოკლედ, ცოტა სულს მოვითქვამთ და მაშინვე დაგტოვებთ...

— მოიცა, ერთი, რა დროს წასვლაა? — ხელები საქმიანად მოიფშვნიტა კახამ და ქურთუკის ჯიბიდან კონიაკის ბოთლი ამოიღო. — თუ არ დაგლოცეთ, ისე აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. ჩქარა, ჭიქები მოიტანე! — მიუბრუნდა ის შემდეგ ირაკლის.

ირაკლი მაშინვე სამზარეულოში გავარდა და ჭიქებს ლობიანი და თხლად დაჭრილი ლორის მომცრო ნაჭერიც მოაყოლა.

— გვიქეიფია და ეს არის! — სიხარულით კინაღამ ტაში შემოჰკრა კახამ, მაგრამ მაკამ მაშინვე თვალები გადაუბრიალა, რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ კი, საღერღელაშლილი ქმარი სკამს თითქმის ძალით ააგლიჯა და

წინ გაიგდო.

— ა, ჩემო ირაკლი, ხომ ხედავ, ცოლი რაცაა? — სევდიანად გაშალა ხელები კახამ. — ასე რომ, სანამ გვიან არ არის, იქნებ, გადაგეფიქრებინა...

— გადაფიქრებას გაჩვენებ მე შენ! — მუჯლუგუნები წაჰკრა მაკამ ქმარს. — კაცმა ძლივს დაოჯახება გადაწყვიტა!

მაკას და კახას წასვლის შემდეგ, ირაკლის და გვანცას ხმა კარგა ხანს აღარ ამოუღიათ. ბოლოს, გვანცამ ერთი ნერვიულად ჩაახველა და ფეხზე წამოდგა:

— იმედია, სპექტაკლი დამთავრდა და ახლა სახლში წასვლა მართლა შემიძლია... — დაიწყო მან.

— ვინ მოგახსენა? — მაშინვე ხელში ხელი წაავლო მას ირაკლიმ და მთელი ძალით დაქაჩა. — აბა, ახლავე დაჯექი! მე სიტყვებს ჰაერზე არასოდეს ვისვრი! რაკი ვთქვი, ცოლი მომყავს-მეთქი, ესე იგი, მართლა მომყავს! ასე რომ, დავიწყოთ...

ამის შემდეგ ირაკლიმ გვანცას თავი ორივე ხელით დაუჭირა და ტუჩებში ვნებიანად აკოცა. გვანცას წამით მთელ სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა და გაინაბა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო და ირაკლის ხელიდან დაფეთებული დაუსხლტა:

— იცოდე, ხელი აღარ მახლო, თორემ...

— თორემ რას იზამ? — ლოგინზე არხეინად გადაწვა ირაკლი.

— რას და... ყველაფერს ბაბუაჩემს ვეტყვი! — ბავშვივით დაემუქრა გვანცა.

— ბაბუაჩემსო? — ხარხარი აუტყდა ირაკლის, მაგრამ უცბად გაჩერდა და გვანცას თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა. — ისე, ბაბუაშენი დროზე გამახსენე. ახლავე დავურეკავ და შენს ხელს ოფიციალურად ვთხოვ. იმედია, სიძედ არ დამიწუნებს!

— საკამათო საკითხია... — კბილებში გამოცრა გვანცამ. — თუ გავითვალისწინებთ, რომ პრაქტიკულლად მამად მეკუთვნი...

— მაგაზე ადრე უნდა გეფიქრა, საყვარელო!

— არც ახლაა გვიან.

— ვითომ? მოდი, მაშინ ყველაფერი ბაბუაშენთან გავარკვიოთ. — ტელეფონის ყურმილს მართლა დასწვდა ირაკლი.

— გაგიჟდი? — მაშინვე ხელში ეცა ირაკლის გვანცა. — ბაბუაჩემმა რომ გაიგოს, აქა ვარ, გულიც გაუსკდება.

— ისე, ეგეც საკამათო საკითხია... — მაინც გაიბრძოლა ირაკლიმ და უცბად ტელეფონიც აწკრიალდა. — ა, ბატონო! მგონი, ბაბუაშენი აქეთ მირეკავს და ჩემი შვილიშვილი შეირთეო, მეხვეწება, — იხუმრა მან, შემდეგ გვანცას, როგორც იქნა, ხელი გააშვებინა და ყურმილი აიღო:

— გისმენთ... გამარჯობათ... რომელი ამირანი?.. ა-ა?.. ბატონო ამირან, მოგესალმებით. — გაოცებულმა გადახედა მან შემდეგ გვანცას, თან, ყურმილს წამით ხელი დააფარა და ჩურჩულით გადაულაპარაკა. — მართლა ბაბუაშენია!..

— ეგრევე დაგიჯერე! — ჩურჩულით უპასუხა გვანცამაც.

— მართლა, მართლა, ბაბუაშენია! — კიდევ ერთხელ გაიმეორა ირაკლიმ, შემდეგ ყურმილს ხელი მოაშორა და ისევ ჩასძახა: გისმენთ, ბატონო, ამირან!.. გვანცა?.. ჩემთან?.. არა, აბა საიდან?.. რას ბრძანებთ?.. ლუკამ?.. ა-ა?.. მეც არ გამიკვირდა?.. კი, ნამდვილად დავპატიჟე... ოღონდ, ჩემთან სახლში კი არა, მხატვრის სახლში... იქ ჩემი ნამუშევრების გამოფენა უნდა გამართულიყო... მაგრამ ახლა, იქ კიტოვანმა მგონი, უკვე ტყვიამფრქვევებიც მიაგორა და რაღა დროს გამოფენაა... კი, მხატვარიც ვარ... ოღონდ, მოყვარული... რა ვიცი, ამის თქმა საჭიროდ ნამდვილად არ ჩავთვალე... არა, ბატონო ამირან, ნამდვილად არ ვიცი, სად შეიძლება იყოს... ნახვამდის, ბატონო ამირან... — ირაკლიმ ყურმილი სასწრაფოდ დადო და ძლივსღა ამოისუნთქა: ამდენი ტყუილი ერთად კაი ხანია, არ მითქვამს...

— თავიდან ბოლომდე მატყუარა ხარ... — გააწყვეტინა გვანცამ. — ეტყობა, ზუსტად შენნაირ ცრუპენტელას ელაპარაკებოდი, ასე ოსტატურად რომ აგიბა მხარი.

— ბაბუაშენიც თუ ცრუპენტელა იყო, ნამდვილად არ ვიცოდი...

— მართლა ბაბუაჩემი იყო? — თვალები გაუფართოვდა გვანცას.

— აუ, ჩემი, ეს ვინ არის?! — თავი ხელებში ჩარგო გვანცამ. — კაცი ოფლში გავიწურე, რამე რომ არ შემშლოდა და ეს კიდე რას მეკითხება?

— კი მაგრამ, ბაბუაჩემს შენი ტელეფონის ნომერი ვინ მისცა? — ახლა კი მართლა დაფეთდა გვანცა.

— შენს საყვარელ ლუკას მიუცია. გვანცა ნამდვილად ირაკლისთან იქნება, ეტყობა, თავის ნახატების დასათვალიერებლად დაპატიჟაო...

— სტყუი! — გააწყვეტინა გვანცამ. — ლუკა მაგას არ იზამდა! არც ეგეთი გულღრძოა!

— მაშინ, სახლში რომ მიხვალ, ბაბუაშენს პირდაპირ ჰკითხე, ირაკლის ტელეფონის ნომერი საიდან იცი-თქო და ის გეტყვის.

— კარგი, წავედი! — სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა გვანცა. — თორემ თუ ბაბუაჩემი ისე გადაირია, რომ შენთან მეძებს, ბებიაჩემი ალბათ უკვე კედლებზე დადის...

შინ დაბრუნებულ გვანცას ლამარამ მორიგი კონცერტი მოუწყო, ამირანმა კი, ჩვეულებისამებრ, შვილიშვილის მხარე დაიჭირა. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით დაშოშმინებულმა ანთაძეების მთელმა ოჯახმა ძილს მისცა თავი, მაგრამ დიდხანს ძილი აღარ ეწერათ. გამთენიისას მათი სახლი აფეთქების ხმამ გვარიანად შეაზანზარა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გასაიდუმლოებული ქორწილი და ექსკლუზიური თეთები

ცნობილი მომღერალი 28 წლის ნატალი იმბრულია ცოლად გაჰყვა თავის ძველ მეგობარს, ავსტრალიური ჯგუფის – **Silverchair** ვოკალისტს, 24 წლის დენიელ ჯონსონს.

ქორწინების ცერემონია ახალი წლის ღამეს, ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე კერძო კუნძულის ერთ-ერთ ოტელში გაიმართა. თვითმხილველთა თქმით, ის სისადავით გამოირჩეოდა და მოწვეულ სტუმართა საკმაოდ ვიწრო წრეში ჩაიარა. პატარძალს დიზაინ-

ერ მონიკ ლიულეს მიერ შექმნილი, შიფონის საქორწილო კაბა ემოსა. ნეფე კი, ტრადიციული ფასონის ბაც-ცისფერ კოსტიუმში იყო გამოწყობილი. ქორწილის დრო და ადგილი გასაიდუმლოებული იყო და ამის წყალობით ცერემონიაზე ვერც ერთმა პაპარაციმ ვერ შეაღწია. თუმცა, მაღალი საზოგადოების ცხოვრებისეულ მოვლენებზე მონადირე ჟურნალებს მასალა მაინც აღარ აკლდებათ, რადგან ნატალი და დენიელი თავიანთ ქორწილში გადაღებული, ექსკლუზიური ფოტოების გაყიდვას გეგმავენ, რომლის შემოსავალსაც წყვილი ქველმოქმედებას მოახმარს. ■

კეიტ მოსის სასიმღერო დემოები

მალე ჯგუფთან – Primal Scream („პირველყოფილი კივილი") ერთად როკმომღერლის როლში პირველად მოგვევლინება მოდელი კეიტ მოსი. ახალ ალბომში, რომლის სახელწოდებაც იქნება Velvet Morning, კეიტისა და მისი მეგობრის, ამავე ჯგუფის სოლისტ ბობი გილესპის მიერ შესრულებული სიმღერა შევა. ბუნებრივია, როკერები მხოლოდ კეიტის ვოკალური მონაცემების წარმოჩენით არ დაკმაყოფილდნენ და მისი მშვენიერი გარეგნობაც გამოიყენეს: ალბომის გარეკანზე კეიტი და ბობი საუცხოო სილამაზის ორ უშველებელ პეპელად მოგვევლინება. ■

კატრინ დენევი ფოლოწამყვანი გახდა



ფრანგული კინოს ვარსკვლავი, რომელიც საკმაოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას მისდევს, ძველი ხელოვნებისა და ანტიკვარიატის დიდ მოყვარულადაა ცნობილი. სწორედ ამით ხსნიან იმ მხარდაჭერას, რომელიც მსახიობმა გაუწია სატელევიზიო პროექტს – „ვერსალის სასახლეთა კომპლექსის შესახებ". მისი ავტორების თქმით, დოკუმენტური ციკლის მიზანია, ხელი შეუწყონ იმ ოსტატების საქმიანობას, რომლებიც დღეს, ვერსალის შემქმნელთა გზას მისდევენ. მათ შორის არიან: მოქანდაკეები, ავეჯისა და ხეზე ჭრის ოსტატები, მესაათეები, ჭედური ხელოვნების ოსტატები. ავტორებს ჩაფიქრებული აქვთ 10 სერია, რათა სათითაოდ ყველა ხელობის შესახებ მოუთხრონ მაყურებელს.

ვერსალი საუკუნეების მანძილზე ითვლებოდა სილამაზისა და მოხდენილობის ეტალონად. აღნიშნული პროექტით, ხელოვნებათმცოდნეები, დაინტერესებული ბიზნესმენები და კატრინ დენევი მიზნად ისახავენ ვერსალის სტილისადმი საყოველთაო ყურადღების მიპყრობას, რათა ამ სტილში შესრულებული თანამედროვე ნამუშევრებიც მომხმარებელთა პოპულარობით სარგებლობდეს. ■



ჯასტინ ტიმბერლეიკი ავტობიოგრაფიას წერს

ტიმბერლეიკი ოფიციალური ავტობიოგრაფიის გამოცემას აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ 22 წლისაა, მის ცხოვრებაზე რამდენიმე წიგნი უკვე დაიბეჭდა. თუმცა, მომღერლის აზრით, მათი შინაარსი ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჯასტინმა ყველა ჭორის გაფანტვა და საზოგადოებისთვის „სრული სიმართლის" თქმა, განსაკუთრებით – მომღერალ ბრიტნი სპირსთან რომანსა და გაყრაზე, რაც აგერ უკვე მეორე წელია, დიდი მითქმა-მოთქმის საგანია. სავარაუდოა, რომ ტიმბერლეიკის წიგნი კომერციულად მომგებიანი იქნება. ■

კლაუდია შიფერს კვლავ დათესლმძიმემა სურს

გერმანელ მოდელს კლაუდია შიფერს სურვილი აქვს, თავის ვაჟიშვილს კასპარ მეთიუს, რომელსაც 30 იანვარს 1 წელი უსრულდება, რაც შეიძლება მალე აჩუქოს დაიკო ან ძამიკო. „კვლავ მინდა ბავშვის გაჩენა. ვოცნებობ იმაზე, რომ მართლა დიდი ოჯახი მქონდეს", – ამბობს 33 წლის მოდელი. ოცნების ასასრულებლად კი, კლაუდია ლონდონში ახალ ბინას ეძებს. რაც შეეხება ძველს, რომელიც ლონდონის პრესტიჟულ უბანში, ნოტინგ-ჰილში მდებარეობს, ის უკვე ძალზე პატარად ეჩვენება.

მოდელის თქმით, ოჯახურმა ცხოვრებამ იგი საგრძნობლად შეცვალა. კლაუდია სწორედ შვილისა და ქმრის წყალობით მიხვდა, რომ სრულყოფილებისკენ სწრაფვა და პუნქტუალობა სულაც არ არის მთავარი ცხოვრებაში. შიფერის აზრით, ეს თვისებები წინათ, შესაძლოა წარუმატებლობის შიშით იყო განპირობებული და აღიარებს, რომ ხშირად შეძრწუნებულა იმაზე ფიქრით, სამოდელო ბიზნესისთვის შეუფერებელი არ გავხდეო. ახლა ის მხოლოდ ისეთ სამუშაოზე თანხმდება, რომელიც 3 დღეზე მეტი ხნით არ მოსწყვეტს საყვარელ ოჯახს.

კიდევ ერთი ინფორმაცია – კლაუდია თოფიდან სროლას ეუფლება. მას თურმე გადაუწყვეტია, მონადირის მოწმობა აიღოს, რათა შემდგომ, ქმართან, მეთიუ ვონთან ერთად სანადიროდ ხშირ-ხშირად იაროს. ■

ერიკ კლაპტონი კომანდორი გახდა

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეტ მეორემ ბრიტანეთის იმპერის ორდენის საპატიო კომანდორის წოდება უბოძა ორ მუსიკოსს – სახელგანთქმულ გიტარისტს ერიკ კლაპტონსა და ჯგუფის – **Kinks** შემქმნელს რეი დევისს. ამის გამოცხადებისას, ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამთავრობო წოდებების მისანიჭებლად წარდგენილ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წინანდელთან შედარებით, გაცილებით გამჭვირვალე იქნება და დასძინა, რომ ეს გადაწყვეტილება განაპირობა ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის არაკეთილსინდისიერებამ: თურმე, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ტიტულებსა და ჯილდოებზე წარსადგენთა სპეციალურ სიაში ესა თუ ის მოღვაწე ჩინოვნიკებს ანგარების მიზნით შეჰყავდათ. ■

ერთადერთმა თუ ავი ნიშანი?

ჯენიფერ ლოპესმა კინაღამ მეორედ დაკარგა საქორწილო ბეჭედი და თანაც – ისევ ნიუ-იორკში. ადრე ჯენიფერს იგი ფეშენებელური რესტორნის – **The Ivy**-ს ქალთა ოთახის ნიჟარაში ჩაუვარდა, რომელიც „უსასრულობაში" ჩაიკარგა. ამჯერად კი, მომღერალს ძვირფასი სამკაული ოტელში დარჩა. ჯენიფერს ბეჭედი მხოლოდ აეროპორტის გზაზე გაახსენდა. მან შძღოლს უკან დაბრუნება უბრძანა და სასტუმროს ვესტიბიულში ისეთი სისწრაფით შევარდა, რომ შვეიცარი იძულებული გახდა, გვერდზე გამხტარიყო, რომ ვარსკვლავი მას არ დასჯახებოდა. ჯეი ლო რამდენიმე წუთის განმავლობაში ისე ხმამაღლა და არეულად უხსნიდა პორტიეს – ძალზე ძვირფასი ნივთი დამრჩაო, რომ ეს უკანასკნელი კარგა ხანს ვერ ახერხებდა სიტყვის ჩაკვეტებას და მსახიობისთვის იმის თქმას, რომ მოსამსახურემ ბეჭედი იპოვა და ის საიმედოდ, სეიფში შეინახეს... ასეა თუ ისე, ბეჭედი კვლავ ვარსკვლავის ხელს ამშვენებს და მის ახლობლებს ის აფრთხობს, რომ ნიშნობის ბეჭდის უადგილო ადგილას ორჯერ მიტოვება მთლად სასიკეთო ნიშანი არ უნდა იყოს. ■



გამოჩენილი ადამიანემი მაღაზიის ვიტრინაში

ინგლისელი მწერალი ქალი ელისონ ჯექსონი უჩვეულო აქციებით იპყრობს ხოლმე პუბლიკის ყურადღებას. რამდენიმე წლის წინ, პრინცესა დაიანასა და მისი მეგობრის დოდი ალ-ფაიედის ორეულების მონაწილეობით მოაწყო წარმოდგენა, რომლის დროსაც წყვილი ფერადკანიანი ჩვილით ხელში წარდგა მაყურებლის წინაშე. 2003-2004 წლების მიჯნაზე, ელისონ ჯექსონმა კიდევ ერთხელ გააკვირვა საზოგადოება, როცა თავისი ახალი წიგნის – Private („პირადი") – პრეზენტაცია ლონდონის ერთ-ერთი პრესტიჟული მაღაზიის ვიტრინაში, ცნობილი ადამიანების მანეკენების გამოფენის მეშვეობით გამართა. მაყურებელთა წინაშე „წარდგნენ" საცურაო ტრუსებში გამოწყობილი ტონი ბლერი და დევიდ ბექჰემი (სურათზე), ვიქტორია ადამსი, სვენ-გორან ერიქსონი და შოუბიზნესისა თუ სპორტის სხვა ვარსკლავები. ■

ჯავშანი ახალი BMW-სთვის

გერმანული კონცერნი კომპაქტური მოდელის – 330i-ს დაჯავშნული ვარიანტის გამოშვებას აპირებს. ავტომობილს, რომელსაც BMW 330i Security დაერქვა, ქარხნის კონვეიერიდანვე დაჯავშნული გადმოვა. როგორც კონცერნის პრესსამსახური იუწყება, მანქანას უსაფრთხოების ე.წ. B4 კლასი აქვს მინიჭებული, რაც სახელმწიფო ექსპერტებმაც დაადასტურეს. ამ კლასის მანქანები, როგორც პისტოლეტის, ასევე ავტომატური იარაღის ტყვიებს უძლებს. მასზე მეტად უსაფრთხოა B6 და B7 კლასები, რომელიც მსხვილკალიბრიანი იარაღისგანაც იცავს მანქანაში მსხდომთ.

მიუნხენში ჩატარებულმა ცდებმა უჩვენა, რომ კომპაქტური BMW არ უფრთხის 5 მეტრიდან ნასროლ ტყვიას. კონცერნის ინჟინერთა აზრით, ავტომობილის უშუალოდ მწარმოებელ ქარხანაში დაჯავშნა გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე მზა სერიულ მოდელზე უსაფრთხოების საშუალებების დაყენება.

ბუნებრივია, რომ მოდიფიკაცია 330i Security გაცილებით მძიმეა, ვიდრე ჩვეულებრივი – მათ შორის, 200-კილოგრამიანი სხვაობაა; სწორედ ამდენს იწონის სპეციალური ფოლადისგან დამზადებული ფირფიტები, კარების დამსხვილებული შარნირები, ტყვიაგაუმტარი მინები (21 მმ სისქის), საწვავის ავზისა და აკუმულატორის ჯავშანი და საკომუნიკაციო სისტემა. ყოველივე ამის მიუხედავად, 330i Security დინამიკური მახასიათებლებით არ ჩამოუვარდება თავის სერიულ „თანამოძმეს“; 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 7,3 წმ-ში ავითარებს, მაქსიმალური სიჩქარე კი, 210 კმ/სთ აქვს. მანქანა 6-ცილინდრიანი, 3 ლ მოცულობის ბენზინის ძრავათია აღჭურვილი, რომელიც 231 ცხ.ძ. სიმძლავრეს უზრუნველყოფს. საწვავის ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე 9,9 ლ-ს შეადგენს, რაც მხოლოდ ნახევარი ლიტრით აღემატება ანალოგიური აგრეგატის მქონე სერიული 330i-ს იმავე მაჩვენებელს.

საინტერესოა, რომ ჯავშანს უარყოფითად არც მანქანის მანევრულობაზე უმოქმედია: მოდიფიკაცია Security მკვეთრ მოსახვევებსაც იოლად უმკლავდება და ე.წ. „პოლიციურ ბრუნსაც“.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ დაჯავშნული მანქანის სერიული წარმოების ბაზად, მექსიკურ ქალაქ ტოლუკაში მდებარე BMW-ს ქარხანა გვევლინება. მოდელი წინასწარი შეკვეთით აიწყობა; როგორც ვარაუდობენ, მისი ტირაჟი წელიწადში 200 იქნება. კომპაქტური BMW Security, ჩვეულებრივ, სერიულ 330i-ზე დაახლოებით ორჯერ მეტი – ე.წ. 70.400 დოლარი ეღირება. ■

გაუმჯობესებული, დაპატარავებული Hummer

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, Hummer H3T ლოს-ანჯელესის წლევანდელი მოტორშოუს ერთ-ერთი ჰიტი იქნება. ის სახელგანთქმული ამერიკული საარმიო ავტომობილის სახეობას წარმოადგენს, რომელსაც კორპორაცია General Motors უშვებს. პიკაპის ფორმის ძარის მქონე H3T-ს სიგრძე 4,44 მ-ია; ის კლასიკურ „ჰამერზე“ 20 სმ-ით მოკლეა. ტექნიური თვალსაზრისით, ყველგანმავალ Chevrolet Colorado-ს უახლოვდება.

კომპაქტური „ჰამერი“ 5-ცილინდრიანი, 3,5 ლ მოცულობის, ტურბოდაბერვიანი ძრავათია აღჭურვილი. სადგომზე მანქანის დაყენების გასაადვილებლად, უკან მას ვიდეოკამერა აქვს დამონტაჟებული, რომლის გამოსახულებას მძღოლი, სალონში მოთავსებულ დისპლეიზე მიიღებს.

ახალი „ჰამერი“ ჯერჯერობით, მხოლოდ კონცეპტუალური მოდელის სახით არსებობს. სერიულ წარმოებაში მისი ჩაშვების საკითხი მომხმარებელთა რეაქციაზეა დამოკიდებული. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ის დადებითი იქნება.

საარმიო ავტომანქანა ლამისაა, საკულტოდ იქცეს ბევრ ქვეყანაში. თუმცა, ევროპის დიდ ნაწილშიც შედარებით ნაკლებპოპულარულია. მაგალითად, გერმანიაში ის უბრალოდ, არ ეტევა ფარეხებში, რომელიც ამ ქვეყანაში არსებული მკაცრი სტანდარტების მიხედვითაა აშენებული. ამის გამო, ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ H3T სწორედ იმისთვის იქმნებოდა, რომ ევროპულ ბაზარზე ამ მარკის მდგომარეობა გააუმჯობესოს.

■

Saab იაპონური აქცენტით

შვედური ფირმა Saab, რომელიც ცნობილია, როგორც ბიზნესკლასის საიმედო ავტომობილების მწარმოებელი, ახლა კომპაქტური მანქანების სეგმენტში აპირებს საკუთარი ძალების მოსინჯვას. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება მოდელის – Saab 9-2X – შექმნა, რომლის პრემიერა დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე გაიმართება. ახალი „სააბი“ 5-კარიან, სრულამძრავიან ჰეჩბეკს წარმოადგენს.

მას მთლად შვედურს ვერ უწოდებ, რადგან მანქანა იაპონური Subaru Impreza-ს ბაზაზეა აგებული. მისი მწარმოებელი – კომპანია Fuji Heavy Industries – ცნობილია მსოფლიოში, როგორც სრული ამძრავის საუკეთესო მწარმოებელი, „სააბისთვის“ კი, მსგავსი ტექნიკა შედარებით ახალი ხილია.

9-2X 4-ცილინდრიანი, 2,5 ლ სამუშაო მოცულობის ძრავათია აღჭურვილი, რომლის სიმძლავრე 165 ცხ.ძ-ს შეადგენს; 2 ლ-იანი, ტურბოდაბერვაინი აგრეგატი 227 ცხ.ძ-ს ავითარებს. ორივე ვერსია შეიძლება დაკომპლექტდეს 5-საფეხურიანი მექანიკურ ან 4-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით.

მომხმარებელს ეს მანქანა უპირველესად, პრაქტიკულობით მიიზიდავს: მისი საბარგულის მოცულობა 790 ლ-ს აღწევს, დაკეცილი უკანა სავარძლის შემთხვევაში კი – 1744 ლ-ს. მსხვილგაბარიტიანი ტვირთების გადასაზიდად, სავარძლის ნაწილის დაკეცვაც შეიძლება.

ახალი „სააბის“ რეალიზაცია თავდაპირველად, აშშ-სა და კანადაში, წლეულს ივლისშია დაგეგმილი. მწარმოებლის დაპირებისამებრ, საბაზო ვერსიის ფასი 25.000 დოლარს არ გადააჭარბებს. ფირმას ჯერჯერობით არ გამოუცხადებია, გამოჩნდება თუ არა ეს მოდელი ევროპის ბაზარზე. შესაძლოა, ის პირველი მომხმარებლების რეაქციას ელოდება. ■

Seat ჯიჩგ სპორტული ფორმას უჩვენებს

„ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შემავალი ესპანური ფირმა Seat სპორტული მოდიფიკაციის Ibiza-ს გამოშვებას იწყებს. ის ბოლო ხანებში ცდილობს, ჩქაროსნული ავტომობილების სეგმენტში დაიმკვიდროს ადგილი. მაგალითად, ესპანელებმა შექმნეს 500 ცხ.ძ-ის ძრავათი აღჭურვილი კონცეპტუალური მოდელი – Cupra GT, 2003 წელს კი, ჟენევის ავტოსალონზე ექსპერიმენტული მოდელი – Ibiza Cupra R წარმოადგინეს, რომლის აგრეგატის სიმძლავრე 180 ცხ.ძ-ს შეადგენს.

რაც შეეხება სერიულ წარმოებას – ფირმა ამჟამად, ცოტა უფრო მოკრძალებული – 150-ძალიანი Ibiza FR-ის (Formula Racing) გამოშვებას იწყებს. ის 1,8 ლ მოცულობის ძრავათია აღჭურვილი. მის საკიდარსა და დიზაინზე კომპანიის სპორტული ქვედანაყოფის – Seat Sport-ის სპეციალისტები მუშაობდნენ. გარეგნულად მანქანა მსუბუქშენადნობიანი, 16-დუიმიანი დისკების წყალობით იპყრობს ყურადღებას. რაც შეეხება მის ტექნიკურ მახასიათებლებს – 100 კმ/სთ სიჩქარემდე ის 8,4 წმ-ში აღწევს, მაქსიმალური სიჩქარე კი – 216 კმ/სთ-ს შეადგენს. ამასთან, Ibiza FR-ის ძრავა დიდი „მადით“ არ გამოირჩევა: ყოველ 100 კმ-ზე ის საშუალოდ, 6,1 ლ საწვავს ხარჯავს.

ბაზარზე ეს ავტომობილი წლეულს მარტში გამოჩნდება. მისი მინიმალური ფასი 18.360 ევრო იქნება. ცოტა მოგვიანებით, ქარხნის კონვეიერიდან გადმოვა 180 ცხ.ძ-ის მქონე Ibiza Cupra R. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ესპანური მანქანები ამავე სამრეწველო ჯგუფის პროდუქტის – სპორტული Golf GTI-ს რეალურ კონკურენტად შეიძლება იქცეს, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელის გამოშვება მხოლოდ 2004 წლის შემოდგომისთვისაა დაგეგმილი. ■

Nissan-ის ჯაბჩიოლეტი



იაპონური კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კომპაქტური კუპე-კაბრიოლეტის – Micra C+C-ს სერიული წარმოება დაიწყოს. ამჟამად ეს ელეგანტური მანქანა ლონდონში, „ნისანის“ დიზაინ-ცენტრში იწონებს თავს. მას გერმანიის ქალაქ სანდერლენდში მდებარე, იაპონური კომპანიის საწარმოში გამოუშვებენ – სწორედ ამ ქარხნის კონვეიერიდან გადმოდის ახლა ჩვეულებრივი Micra. კუპე-კაბრიოლეტის წარმოებაში გერმანული ფირმა – Karmann-იც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც საქვეყნოდაა ცნობილი ღია მანქანებისთვის განკუთვნილი, დასაკეცი სახურავებისთვის შემუშავებული მექანიზმებით.

„ნისანის“ გეგმის თანახმად, წელიწადში 20 ათასი კუპე-კაბრიოლეტი უნდა გამოუშვან. საამისოდ 140 მლნ ევროს ინვესტიციაა საჭირო. სერიული წარმოების მომზადებას თითქმის 2 წელს მოანდომებენ. დილერებთან პირველი ღია Micra სავარაუდოდ, 2005 წლის დამლევისთვის მოხვდება. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის

უბის წიგნაკიდან:

1. ფერადი ტელევიზორი 1968 წელს გამოიგონეს.

2. ოქსფორდის უნივერსიტეტი 1167 წელს დაარსდა.

3. ერგაკ-ტარგაკ-ტაიგა ქედია კრასნოდარის მხარეში.

4. სიტყვა „პერიოდი“ ბერძნულად „წრიულ გზას“ ნიშნავს.

5. ველოსიპედის შექმნის იდეა ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის.

6. ყველაზე დიდი ანბანი კამბოჯელებს აქვთ, იგი 72 ასოს შეიცავს.

7. რობინზონ კრუზომ უკაცრიელ კუნძულზე 28 წელიწადი გაატარა.

8. ღვინის ღმერთის, დიონისეს სადიდებელ სიმღერას დითირამბი ერქვა.

9. სავალდებულო განათლება პირველად, პრუსიაში, 1717 წელს შემოიღეს.

10. ცნობილი ინგლისელი მწერალი აფრა ბენი სადაზვერვო საქმიანობასაც ეწეოდა.

11. ვიეტნამის ომში ამერიკელი ჯარისკაცები მტერს პირობითად ჩარლის ეძახდნენ.

12. ინდურ ფილმებში არათუ ინტიმური სცენის — კოცნის გადაღებაც კი აკრძალულია.

13. ჰონორარის ოდენობა არ უნდა დაასახელო — ღაღადებს შოუბიზნესის დაუწერელი კანონი.

14. სამხრეთამერიკული ტელესერიალების გამხმოვანებლებს გივი ბერიკაშვილი „გამხმომავნებლებს“ ეძახის.

15. ანტიკურ ხანაში, შაქრის როლს თაფლი და დაპრესილი ფინიკისაგან გამოწურული წვენი ასრულებდა.

16. მულტიპლიკაციური ფილმები — „ჩხიკვთა ქორწილი“ და „წუნა და წრუწუნა“ — აკაკი ხინთიბიძის შექმნილია.

17. 1980 წელს, ვლადიმირ ვისოცკის პანაშვიდზე მოსული ხალხის ყველაზე გრძელი რიგის გამო, მომღერალი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

18. პიზის კოშკის მახლობლად ასფალტზე მონიშნულია წერტილი, სადაც ტურისტები ხელაწეულები იღებენ სურათს, ფოტოზე კი ისე ჩანს, თითქოს ისინი გადმოხრილ კოშკს ხელით იჭერენ.

19. ობობას ქსელზე უფრო გამძლე მასალა დედამიწაზე არ არსებობს, რის გამოც მომავალში, მასთან მიმსგავსებუ-

რეალურ ბანკნოტებისთვის ნაყალბი და ყალბი დოლარი?

ყალბი დოლარის დამზადების ტექნიკური ხერხები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში შედის ბანკნოტების ნაწილობრივ შეცვლა. ყველაზე იოლია ზედმეტი ნულის დახატვა ერთ ან ორდოლარიანზე. გამყალბებლებისათვის არც ხუთ და ორმოცდაათდოლარიანის გადაკეთება წარმოადგენს სირთულეს: მათზე გამოსახული ორივე მოღვაწე წვეროსანია და გამოუცდელ ადამიანს იოლად ერევა ერთმანეთში.

დოლარის შესამოწმებლად ჯერ ერთ მარტივ მეთოდს შემოგთავაზებთ:

— ბანკნოტის კუთხეებში გამოსახული ნომინალი უნდა ემთხვეოდეს პრეზიდენტის პორტრეტის გვერდით გამოსახულ სახაზინო ბეჭდის ქვედა ნომინალს და კუპიურის ქვედა მხარის წარწერას.

გაითვალისწინეთ, რომ სახაზინო ბეჭდის ქვეშ ციფრებით მითითებული ბანკნოტის ნომინალი მხოლოდ ასდოლარიან კუპიურას აქვს.

ყალბ კუპიურებს რეპროგრაფიის (ქსეროქსი, ლაზერული და ლენტური პრინტერები) და პოლიგრაფიის (ბრტყელი, ოფსეტური ბეჭდვა) მეთოდით ამზადებენ. ნამდვილი კუპიურისგან მათი გარჩევა მხოლოდ დეტალების ცუდი დამუშავების შედეგადაა შესაძლებელი: ხშირად არ იკითხება მიკროტექსტი, გამოსახულება ყალბ კუპიურებზე მთლიანად არცთუ ისე მკაფიოა და პასტელს გვაგონებს. მცირე შტრიხების დაკარგვა, როგორც წესი, პორტრეტზე სახის გამომეტყველების შეცვლას იწვევს. ასე რომ, თუ მოგეჩვენათ, რომ ფრანკლინს ოდნავ „მოწყენილი“ სახე, „ვადმობრუნებული“ ნესტო ან ნახევრად მოხუჭული თვალი აქვს, საგულდაგულოდ შეამოწმეთ კუპიურა.

ადამიანი, რომელსაც ხშირად აქვს შეხება ბანკნოტებთან, იერშეცვლილ პორტრეტს მაშინვე ამჩნევს, მაგრამ ჩვეულებრივი მყიდველისთვის — განსაკუთრებით, თუ კუპიურა ძველია, — ეს ნაკლი შეუმჩნეველი რჩება. ნამდვილი დოლარის განმასხვავებელი ნიშნების — ცისფერი და წითელი ბოჭკოების რეპროდუქცირება ასლგადამღები აპარატის საშუალებით ხორციელდება. დამცავი ხაზიც მხოლოდ 1988 წლის შემდეგ გამოსულ კუპიურებს აქვს. ყალბ კუპიურებს კი, ხაზს ბანკნოტის უკანა მხრიდან უკეთებენ. ადამიანების უმრავლესობა დოლარს ამ ხაზის საშუალებით ამოწმებს.

რაც შეეხება რელიეფურ ტვიფრს, მის გაყალბებაში აპრობირებულ მეთოდად, ჩვეულებრივი სანთლის გორგოლაჭის გამოყენებას მიიჩნევენ.

1988 წლის საშემოდგომო სეზონის „ჰიტად“ მოგვევლინა ე.წ. „ბუტერბროდი“ (ერთმანეთზე დაკრულ ორ ქაღალდს შორის მოთავსებული იყო დამცავი ზოლის იმიტაცია, მიკროტექსტით). ასეთი ყალბი დოლარის დაბეჭდვა უმაღლესი ხარისხის ფერადი ქსეროქსის საშუალებით ხდება. შრიფტის რელიეფურობის იმიტირებას კი, ტექსტის ზედაპირზე უფერო ლაქის თხელი ფენის წასმის შედეგად აღწევენ.

ყალბი დოლარების დიდი რაოდენობა ძველი გამოშვების (1990-1995) ასდოლარიანებზე მოდის. სპეციალისტები გვირჩევენ: თუკი არ გვინდა, რომ გაბრიყვებულნი აღმოვჩნდეთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ყალბი კუპიურების ნამდ-

ვილისგან განმასხვავებელ შემდეგ ნიშნებს:

დამცავი ხაზი

ყალბ დოლარზე ხაზი ქაღალდს სცილდება ან ამ ადგილს ქაღალდი გაცრეცილია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ბანკნოტის უკანა მხარეს. ყალბი ხაზის სიგანე 1 მმ-ია, ნამდვილი დოლარის დამცავი ხაზის სიგანე კი, ჩვეულებრივ, 1,5-2 მმ-ია.

დამცავი ბოჭკოები

ნამდვილ ბანკნოტზე ცისფერი და წითელი (იშვიათად – ყვითელი) დამცავი ბოჭკოები ორივე მხარესაა განთავსებული, ყალბ კუპიურაზე კი ხშირად, მწვანე ბოჭკოები გვხვდება. სხვათა შორის, ყალბი ფულის მკეთებლებს ეზარებათ იმიტირების გაკეთება ბოჭკოების კუპიურის მეორე მხარეზეც. ყალბ კუპიურაზე ბოჭკოები ნემსის საშუალებით შეიძლება მოვაშოროთ ქაღალდის ზედაპირს. ყალბ ბანკნოტზე ბოჭკოები რეპროგრაფიის მეთოდით არის გაკეთებული და ქაღალდის ზედაპირიდან მისი მოცილება ფრჩხილითაც შეიძლება.

რელიეფური შრიფტი და ნახატი

რელიეფის იმიტირებასაც ბანკნოტის შედარებით გამობურცულ ელემენტზე აკეთებენ. ასე რომ, ყურადღებით დააკვირდით პორტრეტის მარჯვნივ მოთავსებულ სერიულ ნომერს, განცხადებას გადახდისუნარიანობის შესახებ, მარჯვნივ ზემოთ კი – სახაზინო ხელმოწერას.

სურათი ბანკნოტის უკანა მხარეს

მიაქციეთ ყურადღება, რომ Independence Hall-ის შენობის უკან, ცაში ღრუბლები მოჩანს; რეპროგრაფიის მეთოდით შექმნილი ბანკნოტის სურათზე ღრუბლები არ ჩანს, ცა ერთფეროვანი და დაბინდულია.

პორტრეტი

ფრანკლინის სურათის ოვალური ჩარჩო ნამდვილი კუპიურის ყველაზე საიმედო ინდიკატორია. ნამდვილ ბანკნოტზე ფრანკლინის სახეზე ხაზები მხოლოდ ერთ ადგილას წყდება – შუბლზე, მარცხენა წარბთან. თავის დროზე, ამ პატარა „ეშმაკობით" გრავიორმა პორტრეტს მოცულობა შემატა. ყალბ დოლარზე პორტრეტის შტრიხები ბევრ ადგილას წყდება: ცხვირის ქვეშ, შუბლზე მარჯვნივ, კისრის ნაოჭებთან.

ყალბი და ნამდვილი დოლარების შედარებისას, პორტრეტების განსხვავება იოლი შესამჩნევია, გამადიდებელი შუშით პორტრეტის ირგვლივ მიკროტექსტსაც ამოიკითხავთ, მისი გაკეთება რეპროგრაფიის მეთოდით ჯერჯერობით შეუძლებელია. თუმცა, სხვა, მაღალი ხარისხის საბეჭდი მოწყობილობით ყალბ დოლარზე მიკროტექსტის გადატანასაც ახერებენ.

„სუპერდოლარები"

ასე უწოდებენ ისეთ დანადგარზე დამზადებულ ბანკნოტებს, რომელიც ფულის ნიშნების ბეჭდვის ნამდვილ ტექნოლოგიასთანაა მიახლოებული. ამ ბანკნოტებზე კუპიურის დამცავი ყველა ძირითადი ნიშანია გამოყენებული.

ექსპერტებმა ათეულობით ნიშანი იციან, რომლითაც ყალბი „სუპერდოლარების" გამოვლენა ხდება. მაგალითად, ყალბ დოლარებზე ფრანკლინი ოდნავ ელამია, ზოგიერთ ადგილას დამცავი ფერადი ბოჭკოები ერთმანეთს კვეთს და ა.შ. მათი შემჩნევა შეუიარაღებელი თვალით თითქმის შეუძლებელია. ცნობილია ისეთი ყალბი კუპიურებიც, რომელზეც არც ერთი დეფექტი არ ჩანს, ამიტომ მათი გამოვლენა საკმაოდ რთული ფიზიკურ-ქიმიური ანალიზით ხდება.

სპეციალისტები ყალბი „სუპერასდოლარიანების" დაახლოებით თერთმეტ ნიმუშს ასახელებენ, რომელიც 1988, 1990, 1993 და 1995 წლების სერიითაა გამოსული. შედარებით იშვიათია ორმოცდაათდოლარიანი და ათდოლარიანი ბანკნოტების გაყალბება.

სპეციალისტების მონაცემებით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბრუნვაში არსებული „სუპერდოლარები" მთელი ამერიკული ვალუტის 15-20%-ს შეადგენს. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალი

უშის ნიგნაკიდან:



ლი მასალისაგან ჯავშანჟილეტების დამზადებას აპირებენ. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ფანქრის სისქის ობობის ქსელს შეუძლია, თვითმფრინავიც კი შეაჩეროს.

20. არსებობს ხვლიკი, რომელიც საფრთხის მოახლოებისას, საკუთარ წნევას მაღლა სწევს და თავდამსხმელს თვალის გუგიდან სისხლის ნაკადს ასხამს, რომლის სიგრძეც 1 მეტრამდე აღწევს. ხვლიკს 20-ჯერ შეუძლია, ასეთი მანევრი გაიმეოროს.

21. „ნურასდროს გაუკეთებთ თქვენს ახლობლებს იმას, რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებდით: ხომ შეიძლება, მათ განსხვავებული გემოვნება აღმოაჩნდეთ", – ამბობდა ბერნარდ შოუ.

22. ერთი რომაელი ცოლს ეყრებოდა. მეგობრები ცდილობდნენ, მისთვის აზრი შეეცვლევინებინათ: „განა ის მშვენიერი არ არის?! ან იქნებ, უშვილოა?!" – ეკითხებოდნენ ისინი. ამის პასუხად, რომაელმა საკუთარ ფეხსაცმელზე მიუთითა: „განა მშვენიერი არ არის ჩემი ფეხსაცმელი? მაგრამ ჩემ გარდა, არავინ იცის, რა ადგილას მიჭერს".

23. ათენელებზე გამარჯვების შემდეგ, ფილიპე მაკედონელი სიამაყემ შეიპყრო და იმისათვის, რომ ამპარტავნებას სულ არ დაებრმავებინა, მსახურს უბრძანა, ყოველდღე შეეხსენებინა მისთვის, რომ ის უბრალო მოკვდავი იყო.

24. ამერიკის შეერთებულ შტატებში არის რესტორნების ქსელი – „ჰუტერსი", სადაც ოფიციანტებად მხოლოდ მკერდსავსე ქალები მუშაობენ. 1997 წელს, იმის გამო, რომ სამუშაოზე არ მიიღეს, შვიდმა მამაკაცმა „ჰუტერსის" მეპატრონეს უჩივლა და საქმეც მოიგო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას სქესობრივი ნიშნით და მეპატრონეს კომპენსაციის სახით, „დაზარალებული მხარისთვის" 3 მილიონ დოლარზე მეტი გადაახდევინა.

25. ერთმა დამწყებმა ავტორმა ო'ჰენრის გაუგზავნა თავისი მოთხრობა ასეთი მინაწერით: „მისი შექმნით მე დავიბადე, როგორც მწერალი". – „მისი წაკითხვით მე გარდავიცვალე, როგორც მკითხველი", – უპასუხა ო'ჰენრიმ. ■

თქვენი დაბადების დღე

ადამიანის ბიორიტმები, სარკულებში ჩაბეჭდილი ფსიქოლოგია და ფიზიკური ცვლილებები

დაბადების დღე მუდამ ითვლებოდა ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად და არა მარტო იმიტომ, რომ ის ამქვეყნად ახალი ადამიანის მოვლინების თარიღია. უპირველეს ყოვლისა, ეს დღე მთელი წლით განსაზღვრავს ახალდაბადებულის ცხოვრებისეულ რიტმებს. გარდა ამისა, ოდითგანვე მიაჩნდათ, რომ ადამიანის ამქვეყნად მოვლინებაცა და იმ ქვეყნად წასვლაც ურთიერთკავშირშია. ე.ი. პირველი თარიღი მეორეს განსაზღვრავს. სწორედ ამას უკავშირდება უამრავი ცრურწმენა და ჩვეულება, რომლის თანახმადაც, ამ დღეს რაღაც-რაღაცების გაკეთება დაუშვებელია.

დაბადების დღის აღსანიშნავად, არ იწვევენ ბევრ სტუმარს, როცა უსრულდებათ:

1) მოზარდს – 13 წელი,
2) ქალს – 53 წელი,
3) მამაკაცს – 40 წელი.

ყველა ეს ასაკი გარდამტეხადაა მიჩნეული და ამდენად, ადამიანისთვის არახელსაყრელია. ის ცვლის ადამიანის ბიორიტმს, წარმოშობს არასტაბილურ მდგომარეობას, ამიტომ ამ ასაკის მოახლოებისას, იუბილარს იოლად ეცემა თვალი და ზიანი შეიძლება მიადგეს. სწორედ ამიტომაა სასურველი ამ თარიღების მხოლოდ ახლობელთა ვიწრო წრეში აღნიშვნა – ე.ი. იმ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც ნამდვილად უყვართ იუბილარი.

ბევრი სტუმრის მოწვევა არც მაშინაა მიზანშეწონილი, როცა დაბადების დღე შაბათს ემთხვევა. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ შაბათს იოლად ხდება პირადი ბიორიტმის ამოვარდნა, რადგან შაბათი, ეზოტერიკოსთა აზრით, ადამიანმა საკუთარ თავზე მუშაობას უნდა დაუთმოს (რაც საზეიმო ღონისძიებებს არაფრით უკავშირდება). თუ ბიორიტმების დარღვევა დაბადების დღეს, შაბათს ხდება, საქმე მთლად კარგად არ უნდა იყოს, რადგან სწორედ ის „უკვეთს მუსიკას“ ორგანიზმს მთელი წლით და ამდენად, „შაბათის იუბილარს“ ხან დეპრესია შეაწუხებს და ხან – სისუსტე...

ნუ მოიწვევთ დაბადების დღის წვეულებაზე ავი თვალის მქონე ადამიანებს, მაგრამ თუ ამას თავი ვერ აარიდეთ, ეცადეთ, რომ სტუმრებმა რაც შეიძლება მეტი კარგი სურვილი გამოთქვან იუბილარის მიმართ; ჩამოთვალონ ყველაფერი, რაც კი გაახსენდებათ – რაც მეტი კეთილი სურვილი იქნება, მით უკეთესი, ასეთია ბევრ ხალხში დამკვიდრებული ჩვეულება. შესაძლოა, ყველას არა, მაგრამ მრავალ ადამიანს ეს ნამდვილად შველის.

ხალხში გავრცელებული ჩვეულების თანახმად, შეძლებისდაგვარად, უნდა მოვერიდოთ დაბადების დღის აღნიშვნას თარიღამდე ადრე ან თარიღის შემდეგ – უმჯობესია, წვეულება სწორედ დაბადების დღეს მოაწყოთ. ძველ დროში ადამიანებს მიაჩნდათ, რომ დაბადების დღეს იუბილარს ანგელოზებიც ეწვევიან და გარდაცვლილი ახლობლების სულებიც და როცა ისინი იუბილარის მისამართით გამოთქმულ სურვილებს გაიგონებენ, უეჭველად შეუწყობენ ხელს მათ ასრულებას, მაგრამ თუ ზეიმი სხვა დღეს მოეწყობა, მათ ყურამდე გამოთქმული სურვილები ვერ მიაღწევს და ის წელი უფერული და ნაკლებშედეგიანი იქნება.

ამბობენ, უტყუარია პრინციპი – როგორც გაატარებ დაბადების დღეს, ასევე იცხოვრებ მთელი წლის მანძილზე. თუ იუბილარი იმ დღეს მხიარულობს და მხნედ გრძნობს თავს, ე.ი. მისი ბიორიტმების გადართვამ წარმატებით ჩაიარა და მთელი წელი საუკეთესოდ ჩაივლის მისთვის.

საქმე სულ სხვაგვარადაა, თუკი დაბადების დღეს ადამიანი ავად გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ბიორიტმები სათანადოდ არ გადაეწყო და ადამიანი თავის ახალ წელს დასუსტებული ხვდება და ხშირად იავადმყოფებს.

ამბობენ, რომ დაბადების დღის აღსანიშნავ სუფრას არ უნდა უჯდეს ცხრა, ცამეტი, თვრამეტი, ოცდაერთი, ორმოცდაათი, ოთხმოცდაცხრამეტი და ასი ადამიანი. მოარული ხმებით, სტუმრების ასეთი რაოდენობა, იუბილარის ცხოვრების უარესობისკენ შემობრუნების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ასეთივე ცრურწმენა უკავშირდება სუფრაზე დადგმული სანთლების რაოდენობას: ის არ უნდა შეადგენდეს სამს, ცხრას, თორმეტსა და თვრამეტს. ამდენად, შესაბამისი თარიღების აღნიშვნისას, ნუ გამოიტანთ სანთლებს, ნუ ჩაარჭობთ მათ ტორტში, ამით ზედმეტ უსიამოვნებას თავს აარიდებთ. სრულიად

წამალი „მთავარმინდა“

მკურნალობამდე და შემდეგ

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნაოჭების გასწორება, მცენარეული საპნები.

მკურნალობა მორიგეობით

მის: ჭავჭავაძის გამზ. 2/2, ჩაის სახლთან, სამეცნიერო პოლიკლინიკაში, მიღება ყოველდღე 11-18 სთ-ზე, მეჭედლიძე, ბეგაშვილი

☎ 30-94-73; 34-35-16 (საღამოს)

დაუშვებელია დაბადების დღის აღსანიშნავ სუფრაზე შავი სანთლების დადგმა. ეს უბედურების ხელშემწყობ ფაქტორად ითვლება: შავ სანთლებს ხომ, ჯადოქრები ადამიანებისთვის ვნების მისაყენებლად ან პირიქით — მის მიერ ადრე ჩადენილი ბოროტების უკან დასაბრუნებლად იყენებენ. რაკი ადამიანის ენერგეტიკა მის დაბადების დღეს არამდგრადია, ის ერთსაც და მეორესაც ძალზე ადვილად ექვემდებარება.

დაბადების დღის აღსანიშნავი ზეიმის დროს, იუბილარმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიცვალოს ტანსაცმელი. ეს კი მაშინ ხდება საჭირო, როცა სამოსი ისვრება. მისტიკოსების აზრით, სამოსი მაშინ ისვრება, როცა იუბილარის აურაში აღწევს სხვისი ნეგატიური ენერგია, რომელიც ჩვეულებრივ ჭუჭყსაც იზიდავს. ერთიცა და მეორეც იუბილარისთვის სახიფათოა. იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ მავნე ზემოქმედება, იმ მომენტში, როცა ტანსაცმელი დაგესვრებათ, კი არ უნდა გამოიცვალოთ იგი. არამედ სამჯერ გადააფურთხოთ მარცხენა მხრიდან, უკან და ჩურჩულით წარმოთქვათ — „ჭირი იქა, ლხინი აქა“.

დაბადების დღეს იუბილარმა არც უნდა ისესხოს და არც გაასესხოს ფული.

რასაკვირველია, დაბადების დღეს არც ერთ ლარნაკში არ უნდა იყოს კენტი რაოდენობის ყვავილი — ამ რაოდენობის ყვავილი სასაფლაოზე მიაქვთ ხოლმე. ბევრმა არ იცის, თუ რას ნიშნავს ეს აღნიშნულ შემთხვევაში. ამგვარად, თქვენ იმ ქვეყნად „მშვიდ ძილს“ უსურვებთ გარდაცვლილს. აი, ყვავილის ლუწი რაოდენობა კი, როდესაც მას იუბილარს უძღვნიან, მისი ცხოვრების უკეთესობისკენ შემობრუნებისა და დაბრკოლებების წარმატებით გადალახვის სიმბოლოს წარმოადგენს.

იმისათვის, რათა უნებლიეთ არ ვავნოთ იუბილარს, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ნივთების ჩუქება არაა რეკომენდებული ამ დროს:

- ცრემლის მომასწავებელია, როცა საჩუქრად ვუძღვნით საპონს, შამპუნსა და სხვა სარეცხ საშუალებებს, აგრეთვე — ცხვირსახოცს;
- ჩხუბის მომასწავებელია ბასრი ნივთები, განსაკუთრებით — დანები;
- სიცრუისა და სიმუხთლის მომასწავებელია ყვითელი ყვავილები;
- ღალატის მომასწავებელია თავსაბურავი.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც იმთავითვე, სასიკეთოდ კი არა, არამედ ვნების მოსატანად მოდიან განზრახ. ასეთი მავნებლებისგან თავდასაცავად, უძველესი რიტუალი არსებობს. ავისმომტანი საჩუქრის ნეგატიური ზემოქმედებისგან თავდასაღწევად, ის რაღაცნაირად უნდა გამოისყიდოთ, თითქოს შეიძინოთ და ამის საფასურად, ერთი ან რამდენიმე — ოღონდ, უეჭველად კენტი რაოდენობის მონეტა მისცეთ სტუმარს. უკუქმედების გასაძლიერებლად, შეგიძლიათ საკუთარ თავს უთხრათ: „რაც მომიტანეს, საკუთარი თავისთვის უკან წაიღეს“.

თუ წვეულებაზე ჭურჭელი დაგემსხვრათ, ნატეხების გადაყრა ბოლო სტუმრის წასვლამდე უნდა დააყოვნოთ. ეს ჩვეულება იმასთანაა დაკავშირებული, რომ დამსხვრეული ჭურჭელი, დაპნეული მარილი ან სუფრაზე დაღვრილი წყალი ნიშნავს — ერთ-ერთ სტუმართაგანს თქვენს სახლში უბედურება „გამოჰყვა“. ამიტომაც, როგორც კი ბოლო სტუმარი დაგეშვიდობებათ, შინიდან გაიტანეთ ჭურჭლის ნატეხები, რათა მათთან ერთად, ოჯახიდან ყველა უსიამოვნება წავიდეს. ■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე

1. ვინ არის თბილისში, კონკასთან დადგმული ქანდაკების — „ბერიკების“ ავტორი?

ა) დავით ბერძენიშვილი;
ბ) ავთო მონასელიძე;
გ) ზურაბ წერეთელი.

2. ჩამოთვლილთაგან რომელ ქართულ ფილმში არ თამაშობდა კირა ანდრონიკაშვილი?

ა) „მთვარის მოტაცებაში“;
ბ) „ჯარისკაცის მამაში“;
გ) „ვედრებაში“.

3. ქრისტიანული რელიგიის კანონებიდან გამომდინარე, რა შემთხვევაში არ ითვლება აბორტი უდიდეს ცოდვად?

ა) როცა მშობელმა წინასწარ იცის, რომ ბავშვი დიდი ფიზიკური ნაკლით დაიბადება;
ბ) როცა ბავშვი გაუპატიურების შედეგად ჩაისახა;
გ) ნებისმიერ შემთხვევაში უდიდეს ცოდვად ითვლება.

4. რას უწოდებენ საქართველოში ამერიკული ვაზის ჰიბრიდს — „იზაბელას“?

ა) „ადესას“;
ბ) „ალადასტურს“;
გ) „ციცქას“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ჩვეულებრივ მავნე ჩვევა, რომელსაც თქვენთვის ზიანი მოჰყავს

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლება ქალებს უფრო მეტად უჭირთ, ვიდრე მამაკაცებს. საერთოდ, როცა მავნე ჩვევაზე მიდგება საქმე, ყველა უმალ ნიკოტინისა და ალკოჰოლის ჭარბ მიღებაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა, არსებობს უამრავი სხვა რამ, რაც თქვენს ორგანიზმზე უარყოფით გავლენას ახდენს. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდაც ასეთი ჩვევა:

საათის ან ვიწრო სამაჯურის მარცხენა ხელზე ტარება

ამერიკის ჯანმრთელობის სტატისტიკის ნაციონალური ინსტიტუტის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ მარცხენა ხელსა და გულს შორის უძლიერესი რეფლექტორული კავშირი არსებობს. ამიტომ მარცხენა ხელზე გაკეთებული სამაჯური კორონარული სისხლძარღვების სპაზმებს იწვევს. როგორც კარდიოლოგები ამბობენ, ეს მამაკაცებისთვის უფრო მავნეა, ვიდრე ქალებისათვის, მაგრამ მაინც ორივე სქესის წარმომადგენლებს ურჩევენ, საათი და სამაჯური მარჯვენა ხელზე ატარონ. სპეციალისტების რჩევით, რეკომენდებულია მარცხენა ხელზე მხოლოდ და მხოლოდ მსუბუქი სამაჯურის გაკეთება, რომელიც მაჯაზე თავისუფლად იმოძრავებს.

ბეჭდის ტარება

მედიცინის მუშაკთათვის დიდი ხანია, ცნობილია, რომ ხელზე უამრავი



მგრძნობიარე წერტილია, რომლის სტიმულაცია სხვადასხვა ორგანოსა თუ ორგანოთა სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მაგრამ ცდებით დადასტურდა, რომ მათ მუდმივ სტიმულაციას უარყოფით შედეგამდე მივყავართ. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ბეჭდის ტარება არცთუ ისე უვნებელი ყოფილა.

ფრანგი მეცნიერების გამოკვლევის თანახმად, ბეჭდისგან ნეკი თითის გათავისუფლებით, თორმეტგოჯა ნაწლავის პათოლოგიურ დაავადებებს ავარიდებთ თავს; თუ შუა თითიდან მოვიხსნით ბეჭედს — ათეროსკლეროზსა და ჰიპერტონიას ავიცილებთ თავიდან; საჩვენებელი თითის გათავისუფლებით, შევამცირებთ ოსტეოქონდროზისა და რადიკულიტის განვითარების შესაძლებლობას, ხოლო საქორწინო ბეჭდისგან გამოთავისუფლებული არათითით — საგრძნობლად შევამცირებთ ენდოკრინოლოგიური და მასტოპათიური დაავადებების რისკს.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალბატონებმა საერთოდ უარი თქვან სამკაულებზე — ექიმები უბრალოდ, გვირჩევენ, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ხელი ბეჭდებით ზედმეტად დახუნძლული არ გვქონდეს, ერთდროულად არ ავისხათ ისინი ყველა თითზე, აუცილებლად მოვიხსნათ ღამით და კვირაში ორი დღე მაინც, მათ გარეშე გავატაროთ.

ტელეფონზე „დაჯიდება"

ბევრ მანდილოსანს ძალზე მოსახერხებლად ეჩვენება ერთდროულად ტელეფონით საუბარი და ფრჩხილებზე ლაქის წასმა. ბუნებრივია, ეს რომ შეძლო, მხარზე ლოყით უნდა შეიმაგრო ტელეფონის ყურმილი. როგორ ფიქრობთ — რას ამბობენ ამის შესახებ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორები? მათი აზრით, ეს ჩვევა ქრონიკულ თავის ტკივილს იწვევს, რომელსაც თურმე ვერაფერს შველის ისეთი ტრადიციული ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები, როგორიცაა ანალგინი, ასპირინი, ციტრამონი. ამერიკელი სპეციალისტები გვირჩევენ — როცა ტელეფონით ვსაუბრობთ, ვიდგეთ სწორად, გამართულად და თავაწეულები; რაც მთავარია, ტელეფონით ლაპარაკს ბევრი დრო არ უნდა დავუთმოთ.

ფეხზე ფეხის გადადება და ვიწრო ტანსაცმელი



ტკივილი ფეხის არეში, მტვრევის შეგრძნება, ვენების ვარიკოზული გაგანიერება — ეს, იმ არასრული დაავადებების ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს არასწორად ჯდომის ჩვევამ, რომელიც მანდილოსნებისთვისაა დამახასიათებელი და ფეხზე ფეხის გადადებით გამოიხატება. სხვათა შორის, იძავე შედეგამდე მივყავართ ვიწრო ტანსაცმელსაც: შემოტმასნილი შარვლები და კოფთები აუარესებს სხვადასხვა ორგანოში სისხლის მიმოქცევას. ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საზიანოა მკერდზე შემოტმასნილი ტანსაცმელი. როცა სხვადასხვა მავნე ფაქტორი (სტრესები, მაღალი ან დაბალი წნევა) ერთმანეთს ემთხვევა, ვიწრო ტანსაცმელი შეიძლება შინაგანი ორგანოების დაავადების პროვოცირების მიზეზი გახდეს.

ფანქრის ღრღნა

ალბათ, ხშირად გინახავთ ჩაფიქრებული ადამიანი, რომელსაც პირში ფანქარი, ავტოკალამი ან ასანთის ღერი უდევს და სადღაც სივრცეში იყურება. ეს ჩვევა მთლად უწყინარი არ ყოფილა. როგორც სტომატოლოგები ამბობენ, მას სოკოვანი დაავადების, აქტინომიკოზის განვითარებამდე მივყავართ, რაც კბილების დაშლასა და ღრძილების დაავადებას იწვევს.

საუნაში ხშირი სიარული

მეცნიერებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ორთქლი ქალის ორგანიზმის მტერია – იგი აფერხებს ოვულაციის პროცესს, მენსტრუაციის დროს ზრდის სისხლის დანაკარგს და მრავალ გინეკოლოგიურ დაავადებას იწვევს. ალბათ, ამიტომ არის, რომ ევროპაში საუნა მოდიდან გადის და ადგილს ე.წ. „ხამამებს“ უთმობს.

გულმკერდზე ჩამოკიდებული მობილური ტელეფონი

კამათი იმის თაობაზე, მავნეა თუ არა მობილური ტელეფონი, ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ყველას გვსმენია, რომ ფიჭური ტელეფონი უარყოფითად მოქმედებს თავის ტვინზე. ბოლო დროს კი, იმძლავრა აზრმა, რომ ტელეფონი მავნე გავლენას ახდენს აგრეთვე გულსა და ფილტვებზე; არადა, გულმკერდზე დაკიდებულ ტელეფონს, როგორც წესი, მანდილოსნები ატარებენ, რომლებსაც ვურჩევთ, ტელეფონი ხელჩანთით ატარონ.

ძილი ჩართულ ტელევიზორთან

მძინარე ადამიანის ორგანიზმს არა აქვს იმის უნარი, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს გამოსხივებას. თუ არ შეგიძლიათ ამ ჩვევის დაძლევა, შეიძინეთ ტაიმერიანი ტელევიზორი, რათა დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ, ტელევიზორი თავისით გამოირთოს. თუმცა, ეს ჩვევა, სტატისტიკის თანახმად, თურმე მამაკაცებს უფრო ახასიათებს (72%).

კუთხეში ჯდომა

ფენ-შუის სპეციალისტები გვირჩევენ, რომ მოვერიდოთ კუთხეებს (კედლის, მაგიდის, სახლის, კარადის) და არავითარ შემთხვევაში ხანგრძლივად არ ვისხდეთ კუთხეში. მათ აზრს ეკოლოგებიც იზიარებენ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი კუთხე მოქმედებს როგორც მომართული ანტენა და ელექტრომაგნიტური გამოსხივების ნაკადს წარმოშობს. ამ მავნე გამოსხივების განსაკუთრებით დიდ დოზას ის ქალბატონები იღებენ, რომლებიც ნაკადის ცენტრში ხვდებიან და ამის შედეგად, იმუნიტეტი უსუსტდებათ. ■

ჟანჯი, ცეცხლი და მილოსანი...

● ქვაბის ან ტაფის ძირი ძნელად მოსაშორებელი ჭვარტლით რომ არ დაიფაროს, ოდნავ გაათბეთ და გარედან წაუსვით საპონი.

● არასასიამოვნო სუნს თერმოსს ადვილად მოაცილებთ, თუკი მას ძმრიანი წყლით გარეცხავთ (1 ჩ/კ 1 ჩ/ჭ წყალში).

● მონიკელებული ჭურჭლიდან ცხიმის მოცილება გაგიადვილდებათ, თუ ცხელ წყალს დაამატებთ ნიშადურის სპირტს (1 ჩ/კ 1 ლ წყალში).

● თუ ალუმინის ჭურჭელი გაგიშავდათ, ფერშეცვლილი ადგილი გაწმინდეთ ძმრის სუსტ ხსნარში ან სარეცხი სოდის 10%-იან ხსნარში დასველებული ტილოთი, შემდეგ კი კარგად გარეცხეთ და გაამშრალეთ.

● ალუმინის ქვაბები ბზინვარებას შეინარჩუნებს, თუ სუსტი ნიშადურის-სპირტიანი წყლით გარეცხავთ.

● ნიკელის ჭურჭელი კარგად იწმინდება ხსნარით, რომელიც 1 ს/კ ძმრისა და 1 ჩ/კ მარილისაგან შედგება.

● მონიკელებულ ჭურჭელს მუქი ლაქების მოსაცილებლად უნდა წაუსვათ ნებისმიერი სახის ცხიმი, დატოვოთ რამდენიმე დღე და მხოლოდ ამის შემდეგ გულდასმით გაწმინდოთ ნიშადურის სპირტში დასველებული ჩვრით.

● თუ ქვაბში სადილი მიგეწვათ და ფსკერს მიეკრო, გაავსეთ ქვაბი მარილიანი წყლით და მეორე დღეს ადუღეთ.

● მომინანქრებული ჭურჭელი დიდხანს გამოგადგებათ, თუ შეძენისთანავე მასში მარილწყალს (5 ჩ/კ 1 ლ წყალში) აადუღებთ. ახალი ტაფა გამოწვით ცხიმთან ერთად, შემდეგ კი საგულდაგულოდ გაწმინდეთ მსხვილი სუფრის მარილით. ამ პროცედურის შემდეგ ის აღარ მიიწვავს.

● მომინანქრებულ ჭურჭელს კარგად წმენდს საჭმელი სოდა, რომელიც ნამიან ქსოვილზე უნდა დაყაროთ და ჭურჭელს წაუსვათ. ცხელ, მომინანქრებულ ჭურჭელში არ შეიძლება ცივი წყლის ჩასხმა – მინანქარი დასკდება; მომინანქრებულ ქვაბში თუ მიგეწვათ საჭმელი, მოაყარეთ საჭმელი სოდა, გააჩერეთ 24 საათი და შემდეგ გარეცხეთ.

● ალუმინის ჭურჭელში რეკომენდებული არ არის მჟავე პროდუქტების (კომპოტი, მურაბა და სხვა) მომზადება. ძმარი და ორგანული მჟავები შლის დამცველ ოქსიდურ აფსკს მეტალზე.

● ყავის და ჩაის ჭიქებიდან ყავისფერ ლაქებს ისევ ძმრით, მარილით ან საჭმელი სოდით ამოიყვანთ.

● ცხიმიანი ჭურჭელი, სამზარეულოს ჩვარი და ჯაგრისები კარგად ირეცხება ძმრიანი წყლით.

● ახალშეძენილი მეტალის ტაფა ასე დაამუშავეთ: ჯერ ძმრით დაასველეთ და გახეხეთ ზუმფარით, შემდეგ გარეცხეთ, გააშრეთ და თხელ ფენად მცენარეული ზეთი წაუსვით. ტაფა გააჩერეთ გაცხელებულ ჰაერღუმელში მანამ, სანამ არ გაქრება ბოლი. წარმოქმნილი აფსკი მას დაიცავს დაჟანგვისაგან და აღარც ცომი მიეკრობა მის ფსკერს. ■



ჭაბორდნილი აღაქილანგაჭის ბოსწრგაგული ჭაბონათქვაგაჭი

დუელი

ფრანგი მეცნიერი, თანამედროვე მიკრობოლოგიისა და იმუნოლოგიის ფუძემდებელი ლუი პასტერი თავის ლაბორატორიაში ყვავილის გამომწვევ ბაცილებს სინჯავდა. მოულოდნელად მასთან ვიღაც კაცი გამოცხადდა, რომელიც მეცნიერისაგან რაღაც მიზეზის გამო განაწყენებულ წარჩინებულ ბატონს სეკუნდანტად გამოეგზავნა. პასტერმა მშვიდად მოუსმინა და უთხრა:

— რადგან გამოწვეული ვარ, იარაღის არჩევის უფლება მე მენიჭება. აი, აქ მინის ორი კოლბაა. ერთში ყვავილის გამომწვევი ბაცილებია, ხოლო მეორეში — სუფთა წყალი. თუკი ის ბატონი, ვინც ჩემთან გამოგგზავნათ, თავისი არჩევანით ერთ-ერთს მიირთმევს, მეორეს მე დავლევ.

დუელი აღარ შემდგარა.

„მოგზაური“ ლექსი

ალბათ, გახსოვთ გოეთეს საყოველთაოდ ცნობილი ლექსი — „შემოღამებული მგზავრის სიმღერა“.

ჩამოეშვა ციდან ღამე,
სძინავთ ზვიად მთებს,
მდუმარეა არემარე,
სიო კეცავს ფრთებს,
ხეზე ჩიტი ნაბავს თვალებს,
განაბულა ტყე.
დაიცადე და სულ მალე
დაისვენებ შენც.

ამ ლექსის თარგმანი მრავალ ენაზეა და მათ შორის — იაპონურზეც, ჰოდა, ერთ ფრანგს იგი იაპონური ორიგინალური ნაწარმოები ეგონა და მშობლიურ ენაზე თარგმნა. მერე კი გერმანელმა პოეტმა ფრანგულიდან კვლავ გერმანულად გადათარგმნა და აი, ბოლოს გოეთეს ლექსმა როგორი სახე მიიღო:

ნეფრიტის პავილიონში
გამეფებულა სიწყნარე.
ბლის თეთრი ხეებისაკენ
ყვავების გუნდი
მიფრინავს.
მე მთვარის შუქზე უჩუმრად
ვზივარ და
ცრემლად ვიღვრები.

გოეთე და სტუდენტები

სამოგზაუროდ მყოფმა გოეთემ სასტუმროში ერთი ბოთლი ღვინო შეუკვეთა და თან ჭის ცივი წყალიც მოატანინა. გვერდით მაგიდასთან ოთხი მხიარული სტუდენტი ღვინოს შეექცეოდა. მათ შეამჩნიეს, რომ გოეთე ღვინოში წყალს ურევდა და სიცილი დააყარეს:

— ასეთ კეთილშობილურ სასმელს რატომ აფუჭებთ?

პოეტმა მათ ირონიულად შეხედა და მიუგო:

— ვინც მარტო წყალს სვამს,
არის მდუმარე,
დაგიდასტურებს
თევზი უმალვე.
ვინც მარტო ღვინოს —
იქცევა ხელად.
შეგხედავთ კაცი
რწმუნდება ხელად.
მე არც ერთი მსურს
და არც მეორე,
და ამიტომაც, ღვინოს წყალს ვურევ.

ანექდოტები

***

მამაკაცი ეკითხება თავის თანამშრომელს, რომელიც ქორწინებისთვის ემზადება:

— შენი საცოლის შიშველი ფოტოსურათები გაქვს?

— რა თქმა უნდა, არა.

— გინდა, რამდენიმე მოგცე?



***

— ალო, ეს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაა?

— დიახ, ვინ გაწყენინათ?

***

ჭიჭიკიას თავზე აგური ადევს. ნაცნობი ეკითხება:

— რატომ გადევს აგური?

— მომეცი 10 ლარი და გეტყვი.

მისცა დაინტერესებულმა კაცმა ათლარიანი.

— ისე მიდევს, უბრალოდ.

— გაგიჟდი?!

— გიჟი შენ ხარ! მე დღეს 200 ლარი გავაკეთე.

***

შანტაჟისტმა ბიზნესმენის ოფისში დარეკა:

— ასი ათას დოლარს თუ არ გადაიხდი, ან შენს მანქანას ავაფეთქებ, ან ცოლს მოგტაცებ და გაგიუპატიურებ, ან აგარაკს გადაგიწვავ...

— იცი, რას გეტყვი, ჯერ გაარკვიე, რა გინდა და მერე დამირეკე...

***

— რა უცნაური ქვეყანაა ბელორუსია.

— რატომ?

— აბა, სად გაგიგონიათ, სახელმწიფოს ტრაქტორის სახელი ერქვას?

***

მითხარი, რას ფიქრობ ჩემზე და გეტყვი, ვინ ხარ როგორც შენ, ასევე ყველა შენი წინაპარი...

***

— ალო, კომისარიატია?

— დიახ.

— შეგიძლიათ, მეც წამიყვანოთ ჯარში?

— რა თქმა უნდა, სად იმყოფებით?

— ციხეში.

სასიცოცხლოდ აუცილებელი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ვიტამინი B2 უსახელოდ რჩებოდა ან სხვადასხვა „ფსევდონიმით“ მოიხსენიებოდა. მისი არსებობის შესახებ ვარაუდი ჯერ კიდევ 1879 წელს გამოითქვა. მაგრამ საკუთარი დასახელება B2-მა მხოლოდ 1932 წელს მიიღო, მანამდე კი მას ხან C ვიტამინს და ლაქტოფლავინს (რძის შრატიდან მიღებულს), ხანაც ჰეპატოფლავინს (ცხოველთა ღვიძლიდან მიღებულს) უწოდებდნენ. როცა დაადგინეს, რომ ამ დასახელებათა მიღმა ერთი და იგივე ნივთიერება იგულისხმებოდა, მას „რიბოფლავინი“ ანუ „ძველი ყვითელი ფერმენტი“ დაარქვეს, ყვითელი შეფერილობის გამო („ფლავუს“ ლათინურად ყვითელს ნიშნავს).

B2 ხელს უწყობს ჩვენს ორგანიზმში ცხიმებისა და ნახშირწყლების ენერგიად გარდაქმნას. მონაწილეობს ცილების დაშლაში; შეუცვლელია ტვინისა და ნერვული სისტემის ფუნქციონირებისთვის; ხელს უწყობს უჯრედებს შორის კავშირსა და ენერგიის ცვლას; იცავს თვალის ბადურას ულტრაიისფერი სხივებისაგან; A ვიტამინთან ერთად უზრუნველყოფს ფერისა და სინათლის ნორმალურ აღქმას, აუმჯობესებს ღამის მხედველობას; ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ რკინის ათვისებას, საჭიროა ნორმალური სისხლწარმოქმნისათვის; პასუხს აგებს კანის, ლორწოვანის, ღვიძლის და ყველა იმ ქსოვილის რეგენერაციაზე, რომელიც მდიდარია წვრილი სისხლძარღვებით.

ზამთრის დეფიციტი

მუდმივი დაღლილობა, გაღიზიანება, ძილისა და ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა, თავბრუსხვევა, სტომატიტი, ნახეთქები პირის კუთხეებსა და ტუჩებზე, კანის აქერცვლა პირის ირგვლივ, ცხვირის ნესტოებზე, ყურებზე, კანის დაზიანებათა შეხორცების შეფერხება; სინათლის შიში, ცრემლდენა, მხედველობის დარღვევა სიბნელეში (ჰემერალოპია), თმის ცვენა — ალბათ ხშირად აღმოგიჩენიათ ამ სიმპტომებიდან რამდენიმე მაინც საკუთარ ორგანიზმში. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ნახევარი B2 ვიტამინის ქრონიკულ დეფიციტს განიცდის. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ რიბოფლავინზე ორგანიზმის დღიური მოთხოვნილება (1,7 მგ) მნიშვნელოვნად მატულობს სტრესის დროს, აგრეთვე ანტიბიოტიკებისა და ანტიდეპრესანტების მიღებისას, ნაწლავური დაავადებების, ინფექციების, ფიზიკური დატვირთვის, სიგარეტის მოწევის დროს, ქალებში — ორსულობის, მეძუძურობის და ორალური კონტრაცეპტივების მიღებისას; ბავშვებში — აქტიური ზრდის პერიოდში; და ყველა ორგანიზმში — ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში, რადგან რიბოფლავინი ხილისა და ბოსტნეულის ხანგრძლივი შენახვისას თანდათანობით იშლება.

B2 ვიტამინის ღრმა დეფიციტი უვითარდებათ ხოლმე ჰიპერთირეოზით (ფარისებრი ჯირკვლის მომატებული ფუნქციით) დაავადებულ ადამიანებს, აგრეთვე მათ, ვინც კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობის გამო ხანგრძლივად სვამენ ანტაციდებს (სოდიან წყალს, ალმაგელს). სხვათა შორის, დიასახლისებმა, რომლებიც ხშირად იყენებენ საჭმელ სოდას ცომეულის მოსამზადებლად, უნდა იცოდნენ, რომ ფქვილი ამით კარგავს B2 ვიტამინს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რიბოფლავინი ძალზე არამდგრადი და „ჟინიანია“, ვერ იტანს მზის სინათლესა და თერმულ დამუშავებას, გასაგები გახდება, რომ მენიუში მისი არსებობისათვის ყველამ უნდა იზრუნოს.

ჰარმონიის ძიებაში

B2 ვიტამინს ძირითადად, შეიცავს: ღვიძლი, ძროხის ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, ისპანახი, პარკოსნები, ხორბლის, შვრიისა და ჭვავის მარცვლების გარეკანი. რიბოფლავინს შეიცავს აგრეთვე წყალმცენარეები (ყველაზე მეტია ლამინარიის ფოთლებში), ქაცვის ნაყოფი, ტყის მარწყვი, შავი მოცხარი, ფორთოხალი. B2 ბევრია ბაბუაწვერის ბალახსა და ყვავილში.

B2-ის დღიურ დოზას შეიცავს 3 ფორთოხალი ან ერთი კვერცხი, 100 გ ძროხის ღვიძლი, 50 გ ყველი, ერთი ულუფა ჰერკულესის ან წიწიბურის ფაფა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მომზადებულია ახალი და არა დაძველებული ბურღულეულისაგან.

სინთეზური რიბოფლავინი ბუნებრივის იდენტურია. მას იღებენ სოკო EREMOTHERCIUM ASHBYI-ს მეშვეობით, რომელიც მას ისეთი სიჭარბით გამოიმუშავებს, რომ ვიტამინი კრისტალდება და წარმოიქმნება ყვითელი ნემსისებური კრისტალები.

B2 ვიტამინის ჰიპერვიტამინოზი (სიჭარბე) საკმაოდ იშვიათად ვითარდება მისი დღიური დოზის 50-ჯერ და მეტად გადაჭარბებისას. ამ დროს, შარდი უჩვეულოდ მუქ ყვითელ ფერს ღებულობს.

გარეგანი ხმარებისათვის

რიბოფლავინი (მალამოს, კრემის, ლოსიონის, დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევის და აეროზოლის სახით) აქტიურად უწყობს ხელს ჭრილობების შეხორცებას, ამიტომ გამოიყენება დამწვრობების სამკურნალოდ, სხვადასხვა ოპერაციის (მათ შორის, პლასტიკურის) შემდგომ. შინაურ პირობებში შესაძლებელია მისი დამატება კოსმეტიკურ კრემებში — ამგვარად ადვილად აღდგება დეფექტები, შეხორცდება ნახეთქები, გაივლის კანის აქერცვლა. ■

სტომატოლოგიური კლინიკა
ჩიჭო-დენტი

1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.
მის: თავისუფლების მოედანი №4ა
(ახალაშენებული სასტუმრო „მერიოტის“ ეზოში)
☎ 98-64-83

პროსტატის ადენომა



პროსტატის ადენომა წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიაა (უჯრედული ელემენტების ჭარბი წარმოქმნა), რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ასაკოვან მამაკაცებში. პროსტატა შარდის ბუშტის ქვეშ მდებარეობს და გარს აკრავს შარდსადენ მილს. ჯირკვალი ნორმალურ ზომას სქესობრივი მომწიფების ასაკში აღწევს. იგი გამოიმუშავებს მამაკაცის სასქესო ჰორმონებსა და ე.წ. პროსტატის წვენს, რომელიც ერევა სპერმას, ააქტიურებს მას და განაყოფიერებისათვის ვარგისს ხდის.

რა იწვევს დაავადებას?

პროსტატის ადენომის მიზეზად მამაკაცის კლიმაქსური პერიოდი ითვლება. იგი უკავშირდება ორგანიზმში მიმდინარე განსაკუთრებულ ბიოლოგიურ პროცესებს, სქესობრივი ფუნქციის გაქრობას, ასაკის მატებასთან დაკავშირებულ ჰორმონულ დარღვევებს. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ჯირკვლის გადიდებას იწვევს, რაც ადენომის ჩამოყალიბების მიზეზი ხდება.

დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორების ზემოქმედება, როგორიცაა: ნაწლავებისა და შარდის ბუშტის პათოლოგიები, ცხოვრების მჯდომარე წესი, თამბაქოს მოწევა, სპირტიანი სასმელების სისტემატური მიღება.

მკვლევარებმა მამაკაცის ორგანიზმში გამოყვეს ფერმენტი 5-ალფა-რედუქტაზა, რომელიც ხელს უწყობს წინამდებარე ჯირკვლის გადიდებას. დადგინდა, რომ ასაკის მატებასთან ერთად, მამაკაცს უძლიერდება ამ ფერმენტის გამოყოფა. სწორედ მის ბლოკირებას ემყარება ადენომის სამკურნალო პრეპარატთა უმრავლესობის მექანიზმი.

კლინიკური ნიშნები

დაავადების საწყის ეტაპზე ჯირკვალში რამდენიმე კვანძი წარმოიქმნება. ეს კვანძები წლების განმავლობაში იზრდება და თანდათან კეტავს შარდის გამომყოფ სადინარს, რაც აძნელებს შარდის გამოყოფას და თირკმლების ფუნქციის მოშლას იწვევს. შარდის გამოყოფა თანდათან ძნელდება, მცირდება მისი ნაკადი და გამოყოფილი შარდის რაოდენობაც.

პროსტატის ადენომის დროს, ღამით მატულობს შარდვის მოთხოვნილება. მამაკაცები ამას ასაკობრივ ცვლილებად მიიჩნევენ, უყურადღებობას კი დაავადების გამწვავება მოსდევს: შარდის გამოყოფა ძნელდება, მუცლის კუნთები დაჭიმულია და ამიტომ მოშარდვა მხოლოდ შესვენებებით არის შესაძლებელი. თუ შესაბამისი მკურნალობა არ ჩატარდა, შესაძლებელია, განვითარდეს თირკმლის უკმარისობა, რომელსაც ახასიათებს თავის ტკივილი, წყურვილი, პირის სიმშრალე, საერთო სისუსტე, გაღიზიანებადობა. მიუხედავად იმისა, რომ შარდის ბუშტი გადავსებულია, შარდი ძალიან ცოტა გამოიყოფა...

დაავადების მახასიათებელი სიმპტომია შარდის შეუკავებლობა: შარდი გამოიყოფა წვეთწვეთობით, ჯერ ღამით, ხოლო შემდეგ მთელი დღის მანძილზე.

დროთა განმავლობაში შარდის ბუშტის კედლის კუნთოვანი შრე სრულფასოვნად ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციას. ვითარდება შარდის ბუშტის მოდუნების კლინიკა, რაც ვლინდება შარდის ქრონიკული შეკავებისა და „ნარჩენი შარდის" სიმპტომის გამოვლინებით. „ნარჩენი შარდი" შარდის ის რაოდენობაა, რომელიც მოშარდვის შემდეგ რჩება ბუშტში. დაავადების დასაწყისში იგი 50-100 მლ-მდეა, შემდგომ მისი რაოდენობა მატულობს და აღწევს 400-500 მლ-ს. ასეთ დროს ავადმყოფს აქვს გახშირებული და გაძნელებული შარდვა, გამოყოფილი შარდის ულუფა კი, თანდათან მცირდება. მოშარდვის შემდეგ ადგილი აქვს შარდის წვეთების უნებლიე დაღვრას, რაც უარყოფით ემოციებს იწვევს.

დაავადების მიმდინარეობაში არცთუ ისე იშვიათია შარდის მწვავე შეკავება, რის გამოც შარდის ბუშტის დაცლის მიზნით, აუცილებელია კათეტერიზაცია. კათეტერიზაციის შემდეგ მოშარდვის აქტი შეიძლება რამდენადმე აღდგეს, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შარდის მწვავე შეკავება გრძელდება. შარდის მწვავე შეკავების განვითარებას ხელს უწყობს გაცივება, არასრულფასოვანი კვება, ალკოჰოლის ჭარბად მიღება, შარდის ხელოვნურად შეკავება. ასეთ დროს ზოგჯერ აუცილებელი ხდება სასწრაფო ქირურგიული ჩარევა.

ადენომის სერიოზულ გართულებად ითვლება ჰემატერია — შარდში სისხლის არსებობა. მისი მიზეზია შარდის მომატებული წნევის გამო შარდის ბუშტის ვენების დაზიანება. ჰემატერიისას სასწრაფოდ უნდა მიმართოთ უროლოგს.

მკურნალობა

იმის მიხედვით, თუ განვითარების რომელ სტადიაზეა დაავადება, მკურნალობის მეთოდი შეიძლება იყოს მედიკამენტური, ფიზიოთერაპიული ან ოპერაციული. მკურნალობა ყოველთვის იწყება დიეტით, იკრძალება ალკოჰოლური სასმელები; ყურადღება უნდა მიექცეს კუჭ-ნაწლავის მოქმედების ნორმალიზებას. ყაბზობის შემთხვევაში, ინიშნება ჰიგიენური ოყნა, მსუბუქი საფაღარათო საშუალებები. ავადმყოფი ყოველნაირად უნდა ერიდოს გაცივებას. პერიოდულად ტარდება ანტიბიოტიკოთერაპია.

კონსერვატიული მეთოდების უეფექტობის შემთხვევაში, მკურნალობა ოპერაციულია.

ხანდაზმულ მამაკაცებს ვურჩევთ

- იკვებეთ სწორად. სასარგებლოა: რძის ნაწარმი და მცენარეული ზეთები; ერიდეთ: ცხარეს, მჟავეს, კონსერვებს, შებოლილ ხორცს, ალკოჰოლს.
- ყურადღება მიაქციეთ სითხის დღიურ რაოდენობას. მისი ჭარბად მიღება არ არის სასურველი.
- მოიწესრიგეთ კუჭ-ნაწლავის ფუნქციონირება.
- სისტემატურად ივარჯიშეთ დილაობით, ისეირნეთ ყოველდღე.
- არავითარ შემთხვევაში ხელოვნურად არ შეიკავოთ შარდი.
- დაუშვებელია პროფილაქტიკის მიზნით ადენომის სამკურნალო პრეპარატების მიღება.
- 50 წელს გადაცილებული ყოველი მამაკაცი კონსულტაციისათვის წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ეწვიოს უროლოგს.

როცა ბავშვი მორიდებულია

ჩუმი და მორიდებული ბავშვი გულის ამაჩუყებლად გამოიყურება და ზოგჯერ, შეიძლება ამით მოგვხიბლოს, მაგრამ ცხოვრებაში მას ბევრი სირთულე ელის, თუ დროულად არ დავეხმარებით და ხასიათის ამ თვისების კორექტირებას არ მოვახდენთ.

დამმალეთ!

ყველას გვინახავს, თუ როგორ გამოიყურება მორცხვი ბავშვი: მხრები აწურული აქვს, თვალებში არ გვიყურებს, ხელში რაღაცას ნერვიულად ათამაშებს. იგი ყველანაირად ცდილობს, თავიდან აიცილოს სტუმრად წასვლა, თუ იცის, რომ იქ უცხო ადამიანები იქნებიან: როდესაც უცნობი ელაპარაკება, მოკლე პასუხებს აძლევს ან საერთოდ დუმს. უფროსებს აშფოთებს მისი ქცევა: როგორი მფრთხალია?! როგორ უნდა დაიცვას თავი? მაგრამ ისინი არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა უდევს საფუძვლად ბავშვის, ყველასაგან დამალვის სურვილს – ეს, როგორც წესი, უკიდურესი ეგოცენტრიზმია.

როდესაც ადამიანი დარწმუნებულია, რომ მასზე კონცენ-



ტრირებულია გარშემომყოფთა ყურადღება, იგი მეტისმეტად ღელავს იმის გამო, თუ როგორ გამოიყურება, როგორ მოძრაობს, როგორ ლაპარაკობს. ასეთი ადამიანი შიშობს, რომ ვერ მოაწონებს ხალხს თავს, ვერ გაამართლებს სხვების ინტერესს საკუთარი პერსონის მიმართ და ამ განცდებს საკუთარ მორიდებულ ქცევაში ავლენს.

მორცხვი ბავშვი ორ დიდ შეცდომას უშვებს: ჯერ ერთი, მას ჰგონია, რომ ყველა ადამიანი მხოლოდ მას უყურებს, მეორეც – უცხოთა მზერაში იგი მხოლოდ განსჯასა და დაცინვას ხედავს.

რატომ მიყურებენ?

ბავშვის ცნობიერების გასათავისუფლებლად ფსიქოლოგები გვირჩევენ, ასეთი ექსპერიმენტი ჩავატაროთ: ორი ადამიანი ზის მეტროს ვაგონში; ერთი მიაჩერდება მეორეს; პატარებს სთხოვენ, განასახიერონ ეს სცენა და ხმამაღლა გამოთქვან ის აზრები, რომელიც ამ დროს მოსდით; უკომპლექსო ბავშვი, რომელიც მომზირალის როლშია, იტყვის:

– მას მაგარი ჯინსი აცვია, კოვბოის ჰგავს. მხრებიც განიერი აქვს, ეტყობა, სპორტსმენია. ასეთთან ვიმეგობრებდი.

მორცხვი პატარა კი, რომელსაც უყურებენ, იტყვის:

– რას მიყურებს (თვალებს ხრის)? ალბათ, შარვალი მაქვს გახეული (იშმუშნება). ნიკაპზეც მუწუკი მაქვს (ხელით ნიკაპს იფარავს და უახლოეს გაჩერებაზე „ჩამოდის" ვაგონიდან)!

ბავშვები გულწრფელად ასრულებენ თავიანთ როლებს. მორცხვი პატარა კი ვერ გებულობს ერთ უბრალო რამეს: თუ გიყურებენ, ე.ი. მოსწონხარ; სწორედ ეს აზრი უნდა ჩაუნერგოთ თქვენს დამფრთხალ პატარას და მისი ფსიქიკა თანდათანობით შეიცვლება – იგი თავდაჯერებული და თამამი გახდება. ■

დაავადების ახალი მხარეები

ჰიპერტონია სურდოს გამო

ფრანგმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ სურდო მამაკაცებში ჰიპერტონიის განვითარების რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. აღმოჩენილია მჭიდრო ურთიერთკავშირი სასუნთქი სისტემისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს (მათ შორის, ჰიპერტონიასა და ათეროსკლეროზს) შორის. ახალმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მაღალი არტერიული წნევა უფრო ხშირად აქვთ სურდოიან მამაკაცებს (35,7%), საკონტროლო ჯგუფში კი წნევიანთა რაოდენობა 15,6% აღმოჩნდა. ქალებში მსგავსი ურთიერთკავშირი არ დადგინდა. შესაძლოა, ეს იმით აიხსნება, რომ ქალები მენოპაუზამდე, უკეთ არიან დაცულნი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისაგან.

მცირეწონიან ბავშვებს მეტი საფრთხე ემუქრება

ბავშვებს, რომლებიც დაბადებისას მცირეწონისანი არიან (ნაადრევად შობილნი) ან მატერიალურად ცუდად უზრუნველყოფილ ოჯახებში იბადებიან, მოზრდილობისას უფრო ხშირად უვითარდებათ ჰიპერტონია – დაადგინეს ბრიტანელმა მეცნიერებმა. მათ არაერთი ექსპერიმენტი ჩაატარეს 3634 ჰიპერტონიით დაავადებულზე. ექსპერიმენტის მონაწილეებს, დაბადებიდან მოყოლებუ-

ლი, სისტემატურად იკვლევდნენ, უზომავდნენ არტერიულ წნევას. აღმოჩნდა, რომ იგი მკვეთრად მატულობდა 36-დან 53 წლამდე ასაკში და ჰიპერტონია უპირატესად უვითარდებოდა იმ ადამიანებს, რომელთა წონა დაბადებისას ნორმაზე ნაკლები იყო (მონაწილეთა საერთო რაოდენობის 8,4%). გამოსაცდელებს, რომელთა ბავშვობამაც ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებში განვლო, ასევე აღმოაჩნდათ მიდრეკილება არტერიული წნევის დონის მატებისადმი (საერთო რაოდენობის 35,1%). გარდა ამისა, აღნიშნა, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის მქონე ადამიანებს შედარებით იშვიათად აწუხებთ წნევა, რადგან ისინი სათანადო ყურადღებას აქცევენ თავიანთ ჯანმრთელობას და წონას.

მკვლევართა მიერ გაკეთებული დასკვნა ასეთია: წონის მუდმივი კონტროლი დაბადებიდან, მთელი ცხოვრების განმავლობაში, მნიშვნელოვანი წინაპირობაა, შუახნის ასაკში ჰიპერტონიისაგან თავდასაცავად. ■

ასტროლოგიური პროგნოზი

კვირის (19 – 25 იანვარი)

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: წარმატებული კვირა გელით. საკუთარი მოხერხებულობის წყალობით, ბევრ მნიშვნელოვან საქმეს თქვენთვის სასიკეთოდ გადაწყვეტთ. საქმიანი მოლაპარაკებები სასურველია, არაოფიციალურ ვითარებაში აწარმოოთ.

მამაკაცი: იღბლიანი დროა ხელოვანთათვის. ამ კვირაში თხის რქა მამაკაცები საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს განსაკუთრებით ხიბლავენ. ასე რომ, იაქტიურეთ და შამპანური სასიამოვნო ქალბატონთან ერთად დალიეთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: თქვენი შრომისმოყვარეობა შეუმჩნეველი არ დარჩებათ იმ ადამიანებს, ვისზეც არის დამოკიდებული თქვენი ფინანსური მდგომარეობა. მიეცით თავს უფლება დრო მეგობრებთან ერთად სასიამოვნო ატმოსფეროში გაატაროთ.

მამაკაცი: შესაძლოა, კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, მაგრამ თუ მართებულ გადაწყვეტილებას მიიღებთ, უახლოეს მომავალში თქვენი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ოჯახის წევრებთან უსიამოვნო საუბარი არ აგცდებათ, თუკი არ იქნებით მომთმენი და მიმტევებელი. სამაგიეროდ, სიმშვიდის შენარჩუნების შემთხვევაში, ახლობლები აღიარებენ, რომ თქვენ ოჯახის სტაბილურობის გარანტი ხართ.

მამაკაცი: მოემზადეთ ახალი სასიყვარულო ურთიერთობისთვის. მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ამ კვირაში მრავალ სასიამოვნო სიურპრიზს შემოგთავაზებენ, ნურც თქვენ დარჩებით ვალში. ჯანმრთელობასაც მიხედეთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: მშვენიერი დროა ფინანსური საქმეების მოსაგვარებლად. ზედმეტად ნუ მოხვდებით თვალში მოშურნე ადამიანებს. ნაკლები ილაპარაკეთ საკუთარ წარმატებებზე და მეტი იშრომეთ. დასვენების დღეები უახლოესი ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ შემთხვევითი კავშირებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდებით. ნუ შეეკამათებით ხელმძღვანელობას. ამ კვირაში შეცდომების დაშვების დიდი შანსი გაქვთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: დროის უმეტესი ნაწილი დაუთმეთ ბავშვებს, საცხოვრებელი ინტერიერის შეცვლას და საოჯახო საქმიანობას. სამსახურში ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და პრობლემებიც არ შეგექმნებათ.

მამაკაცი: შეიძინეთ მანქანა, ბინა ან ძვირფასი ავეჯი. მოკლედ, აისრულეთ დიდი ხნის ოცნება. მანდილოსნებთან იყავით კორექტული, დაუფიქრდით ყოველ სიტყვას, რათა საყვარელი ადამიანი არ გაანაწყენოთ.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას. ახლობელ ადამიანებს ნუ გადატვირთავთ საქმიანი საუბრებით. გახსოვდეთ, რომ ამ კვირაში თქვენ ენერგოვამპირივით იქნებით.

მამაკაცი: გიმართლებთ სიყვარულში. შეეხმიანეთ თქვენთვის სანუკვარ ქალბატონს და დაპატიჟეთ მისთვის სასურველ ადგილას. თუ ოჯახის წევრებთან რაიმე გაუგებრობას ეჭნება ადგილი, უსიამოვნო საუბრის თემას ნუ განავრცობთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში დეპრესიისკენ ხართ მიდრეკილი. მარტოობის განცდა დიდხანს გაგყვებათ, თუკი დროზე არ მიიღებთ ზომებს. შეეცადეთ, თქვენ გარშემო მხიარულ ადამიანებს მოუყაროთ თავი.

მამაკაცი: აზარტული თამაშების მოყვარულები განსაცდელის წინაშე დგანან. შეიძლება უკანასკნელ კაპიკამდე გაკოტრდნენ. მათთვის არასახარბიელო კვირაა, თუმცა ეს მდგომარეობა დიდხანს არ გასტანს.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ამ კვირაში თქვენი წარმატება თქვენსავე აქტიურობაზეა დამოკიდებული. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობას ძალზე ადვილად მოაგვარებთ და ეს თქვენს საქმიან თუ პირად ურთიერთობებზეც მალე აისახება.

მამაკაცი: წარმატებას მხოლოდ საოცარი გამბედაობის წყალობით მიაღწევთ. წინ ძალზე საინტერესო დღეები გელით. იმოქმედეთ მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით და თამამად გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის მიმართ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: უიმედობამ არ შეგიპყროთ თუ საყვარელ ადამიანთან სკანდალს თავიდან ვერ აიცილებთ. საკუთარი სიამოვნებისათვის დაუზოგავად დახარჯეთ ფული, შეიცვალეთ იმიჯი ან შეიძინეთ ნივთი, რომლზეც დიდი ხანია ოცნებობთ.

მამაკაცი: ოჯახის წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობა მუშაობისა და ცხოვრების სტიმულს გმატებთ. არ ღირს ყველაფერს ფილოსოფიურად მიუდგეთ, უბრალოდ, დატკბით იმ ბედნიერებით, რასაც ოჯახური მყუდროება ჰქვია.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ყველაფერს, რაც თქვენ გარშემო ხდება პრაქტიკულად მიუდექით. არსებულ რეალობას თუ თვალს გაუსწორებთ, მომავალს უკეთესად დაგეგმავთ. კარგი დროა სამსახურის მაძიებლებისთვის, ასე რომ, იაქტიურეთ.

მამაკაცი: ქალების საქმეში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოთ. ჯობს, დროის უმეტესი ნაწილი მეგობრების წრეში გაატაროთ და მხოლოდ იმ საქმეებით დაკავდეთ, რომლის მოგვარებაც მხოლოდ მამაკაცების საქმეა.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: მშვენიერი დროა ურთიერთობების მოსაგვარებლად იმ ადამიანებთან, რომლებთანაც წარსულში პრობლემები შეგექმნათ. ასევე შეგიძლიათ საყვარელ ადამიანს დაუფარავად უთხრათ რასაც მასზე ფიქრობთ.

მამაკაცი: ჯობს, მეტი დრო დაუთმოთ ფიზიკურ აქტივობას და ჯანმრთელობას. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ფინანსურ საქმიანობას უკავშირდება, შემდეგი კვირისთვის გადადოთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ნურავის მისცემთ უფლებას თქვენს პირად ცხოვრებაში ჩაყოს ცხვირი. ნაკლები ილაპარაკეთ იმ პრობლემებზე, რომელთა მოგვარებაც დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ. ამ კვირაში გამოიჩინეთ ყურადღება ოჯახის წევრების მიმართ.

მამაკაცი: უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად, ძალზე ხელსაყრელი პერიოდია. ასე რომ, თუ სახლის ან აგარაკის შეძენას (ან გაყიდვას) ფიქრობთ, აუცილებლად მიხედეთ ამ საქმეს.



ცრუ-მოძრაობა სპორტში
ბუბა
ვულკანი სიცილიაზე
მდინარე ეგვიპტეში
ტიბეტური ხარი
ლითონი
„მომენტი“, „სუპერ-ცემენტი“
კონსტანტინე გამსახურდიას მეულე
ადამიანის „მნათი“ გარსი
დაწნული ფურჭელი
ქორის მსგავსი ფრინველი
მოლდაველი საესტრადო მომღერალი
იაპონური თეატრი
მსახიობი ფილმში „შესანიშნავი“
პრესტიჟული საათი
ის ვინც სხვის ბავშვებს ძუძუს აწოვებს
ფრანგი იმპრესიონისტი
ცხენების ჯოგი
„ვაზ 2121“ ... მაჰმად ხანი
საზაფხულო ფეხსაცმელი
ძვირფასი ქვა
მიტროფანე ...
ესპანელი სურრეალისტი
დინნეის ბატი
თვალისებრი ძვალი
მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
გამოსახულებიანი ქვა ბროშში
იგივეა, რაც კულული
ინგლისელი ადმირალი
პატარა ლირიკული არია
ზოლას ეპოპეა „...-მაკარები“
მომავალი ბრილიანტი
სასიმინდე
იაპონური ფირმა
ნაზებეწვიანი მატყლი
პორტუგალიელი მეზღვაური
გარდნერი
სააკვარიუმო თევზი
ვოლგის შენაკადი
იაპონური პოეზიის ჟანრი
ელიავა
კორეული ავტომობილი
შეადგინა რამაზ ალანიამ



53-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-გ; 4-ა.

ჰოლივუდური ტემპით გადაღებული, ევროპული დონის ქართული ფილმი

ნათია თენიეშვილი

„გასეირნება ყარაბაღში“ — ასე ეწოდება ლევან თუთბერიძის ფილმს, რომლის გადაღებებიც უკვე დასრულდა და ქართველი მაყურებელი გაზაფხულზე იხილავს. „ფილმი მოგვითხრობს ტყვეობაზე — იმ უხილავ ტყვეობაზე, რომელშიც ფაქტობრივად ყველანი ვიმყოფებით... ეს ტყვეობა გამოიხატება ჩვენში გაბატონებულ სოციალურ მდგომარეობაში, ნარკომანიაში, სხვა მოვლენებში, რომელიც ჩვენ გარშემო ხდება“ — ამბობს რეჟისორი, რომელმაც ფილმი აკა მორჩილაძის რომანის — „მოგზაურობა ყარაბაღში“ — მიხედვით გადაიღო. სცენარზე, რეჟისორთან და ავტორთან ერთად, გიორგი ხარაბაძე, ლევან კორინთელი და ირაკლი სოლომონაშვილი მუშაობდნენ. „არსებობს იტალიური სკოლა — სასცენარო ტრადიცია, როდესაც რამდენიმე ადამიანი მუშაობს სცენარზე. იტალიური კინოს მთელი ნეორეალიზმი ამ ხერხზე დაყრდნობით იქმნებოდა. ჩვენც ამ მეთოდით ვმუშაობდით“ — გვითხრა ლევან თუთბერიძემ.



— ეს მთლიანად ქართული პროექტია. პროდიუსერები ლევან კორინთელი, გიორგი ხარაბაძე და ნიკა ბერიძე გახლავან, მე — რეჟისორი ვარ. ინტერნაციონალური გადამღები ჯგუფი გვყავდა — მასში შედიოდნენ: ჰოლივუდელი კინოოპერატორი, ჩეხი ხმის ოპერატორი, უკრაინელი გამნათებლები, იუგოსლავიელები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები...

— მაინცდამაინც საზღვარგარეთელი ოპერატორები და გამნათებლები რატომ მოიწვიეთ?

— ჩვენ თვისებრივად მაღალი დონის ფილმს ვქმნით. უკვე 15 წელია, რაც კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დაიშალა და აღარ მუშაობს. ტექნიკური საშუალებებიც აქ ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ჩვენ ტექნიკური თვალსაზრისით ევროპული დონის ფილმის გადაღება გვინდოდა, ამისთვის კი მაღალი დონის აპარატურა იყო საჭირო. ჰოდა, აპარატურას, რომელიც უნდა გვექირავა, სპეციალისტები „მოჰყვნენ“...

— ეი. ტექნიკური თვალსაზრისით, მაღალი დონის ფილმს უნდა ველოდოთ...

— კი — როგორც ტექნიკური, ასევე შემოქმედებითი თვალსაზრისით. ფილმი ჰოლივუდური ტემპით — ორ თვეში გადავიღეთ. ხმა „დოლბის“ სისტემით იქნება ჩაწერილი.

— როგორც თქვით, სცენარზე აკა მორჩილაძეც მუშაობდა. ალბათ რომანთან შედარებით, რაღაც-რაღაცები შეიცვალა. ავტორი არ გეწინააღმდეგებოდათ?

— არა, აკა ჩვენი მეგობარია, ერთმანეთს ვენდობით და ამ სიტუაციაშიც, შეთანხმებულად ვმუშაობდით. რასაკვირველია, გადაღებების პერიოდშიც ბევრი რამ შეიცვალა — ეს ყოველთვის ხდება, მაგრამ თუ ადამიანებს შორის ნდობის ფაქტორი არ არსებობს, შეუძლებელია, რაიმე გააკეთო... ძალზე საინტერესო რომანია — თემაც, პრობლემებიც და ამბავიც. ფილმის წარმატებას ხომ ამბავი, სიუჟეტი 70%-ით განსაზღვრავს.

— როგორც ვიცი, ერთ-ერთი როლი ამ ფილმში ამერიკელ მსახიობს — ნიკ ნოლტს უნდა ეთამაშა. რატომ აღარ შედგა ეს შეთანხმება?

— ნიკ ნოლტი დაინტერესდა ამ ფილმით და კონკრეტულად ერთ-ერთი როლით. ძალიან უნდოდა ამ როლის შესრულება, მაგრამ ბოლო მომენტში, ამაზე უარის თქმა მოგვიხდა: როცა გადაღებები უნდა გვქონოდა, ზუსტად იმ დროს ნიკ ნოლტს არ ეცალა. ასე რომ, მას უარი კი არ უთქვამს — უბრალოდ, დროში ჩვენი თანხვედრა არ მოხდა და ეს როლი მსახიობმა გიორგი გურგულიამ შეასრულა. რასაკვირველია, ნიკ ნოლტი რომ ყოფილიყო, კომერციული თვალსაზრისით, უფრო მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ თვით ფილმისთვის შეიძლება, ასე უკეთესიც იყოს. გიორგი გურგულიას ძალზე საინტერესო სახე გამოუვიდა...

— სხვა უცხოელი მსახიობი ხომ არ მონაწილეობს ფილმში?

— კი, არიან აზერბაიჯანელი, სომეხი, ქართველი და რუსი მსახიობები. ერთ-ერთ როლს თანამედროვე რუსი მსახიობი — დაშა დროზდოვსკაია ასრულებს. ფილმში მონაწილეობენ: გოგი ხარაბაძე, მიშა მესხი, „უცნობი“, რობერტ სტურუა, ნინო კასრაძე, ნუცა კუხიანიძე და ბევრი სხვა ქართველი მსახიობი.

— ფილმის რეჟისორი თქვენ ხართ და ალბათ რობერტ სტურუას, როგორც მსახიობს მითითებებსაც აძლევდით გადასაღებ მოედანზე, რამდენად გემორჩილებოდათ?

— ადამიანი რაც უფრო დიდი ხელოვანია, მით უფრო დამყოლია შემოქმედებაში. მან იცის საქმე და არაჯანსაღი ამბიცია არ აწუხებს. 26 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი პირველი ფილმი — „ლაზარეს უკანასკნელი ლოცვა“ გადავიღე; მასში რამაზ ჩხიკვაძე და გურამ ფირცხალავა მონაწილეობდნენ; ისინი ისე მისმენდნენ, როგორც პატარა ბავშვები, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩემზე ნაკლები იცოდნენ, საქმე ელემენტარულ კულტურასა და პროფესიონალიზმს ეხება.

— როგორ მიმდინარეობდა გადაღებების პროცესი? როგორ გრძნობდნენ თავს უცხოელი ოპერატორები?

— პროფესიონალიზმმა არავითარი ბარიერი არ იცის — არც ენობრივი, არც ეროვნული. როცა საქმე კეთდება და ხედავ, რომ შენ შენი საქმე იცი და სხვამ — თავისი, იმწუთასვე პოულობთ საერთო ენას. განსხვავება საჰონორარო თანხებსა და პირობებშია, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. ჩვენ არ გვქონია უმაღლესი დონის, ყველანაირად აღჭურვილი და ყველაფრით გავსებული ფურგონებიანი მანქანები, როგორც ეს ჰოლივუდშია, მაგრამ ვფიქრობ, მაინც ევროპულ დონეზე იყო ყველაფერი... ■

მათთვის, ვინც დაოჯახებაზე ფიქრობს

ეს ტესტი მათაც გამოადგება, ვინც დაოჯახებაზე ფიქრობს და მათაც, ვისაც ამ საკითხზე ჯერ სერიოზულად არ უფიქრია.

1) თქვენი აზრით, რა ნიშნით უნდა შეარჩიოს ადამიანმა მომავალი მეუღლე?

ა) გარეგნობით, თავის დაჭერისა და საუბრის მანერით – 2;

ბ) ხასიათით და ადმიანების მოხიბვლის უნარით – 3;

გ) დაოჯახების დროა და კანდიდატების დიდი არჩევანი არ არის, ამიტომ განსაკუთრებული პრეტენზიების გამოვლენა რეკომენდებული არ არის – 1.

2) როგორ იქცევით იმისთვის, რომ თქვენი ურთიერთობა განამტკიცოთ?

ა) ყველაფერს უთმობთ და თავისუფლად, ძალდაუტანებლად იქცევით – 1;

ბ) ცოტაოდენ ინტრიგას მიმართავთ და აგრძნობინებთ, რომ გიყვართ – 2;

გ) წარმოაჩენთ თქვენს განათლებას და ინტელექტს, ეცდებით, უფრო დააინტერესოთ იგი – 3.

3) რას დაარქმევდით იმ გრძნობას, რაც ცხოვრების მომავალ თანამგზავრთან შეხვედრის წინ გიპყრობთ?

ა) სითბოსა და მღელვარებას – 2;

ბ) კმაყოფილებას იმით, რომ საყვარელ ადამიანთან შეხვედრა გელით – 1;

გ) ცნობისმოყვარეობას – რა მოხდება დღეს თქვენ შორის ახალი – 3.

4) როგორ იქცევით, როცა რაიმე დასახული მიზნის მიღწევა გსურთ?

ა) დაბრკოლება არ გაშინებთ – 1;

ბ) ცდილობთ, მიაღწიოთ მიზანს, ოღონდ არა ყველანაირი საშუალებით – 3;

გ) თუ გამოვა – ძალიან კარგი, თუ არადა, ვერაფერს იზამთ – 2.

5) რატომ გაგიჩნდათ დაოჯახების სურვილი?

ა) იმიტომ, რომ საკმაოდ კრიტიკულ ასაკში ხართ და ამ ნაბიჯის გადადგმას მშობლები გაიძულებენ – 2;

ბ) მარტოობა მოგწყინდათ – 1;

გ) თქვენ ის გიყვართ და მის გარეშე ცხოვრება აღარ გსურთ – 3.

6) რა მიზნით აპირებთ დაოჯახებას?

ა) გსურთ, გქონდეთ თბილი, მყუდრო ოჯახი – 3;

ბ) გსურთ, გადაჭრათ ფინანსური პრობლემები და მოიწყოთ უზრუნველი ცხოვრება – 1;

გ) რაც შეიძლება მალე დამთავრდეს თქვენი მარტოობა – 2.

7) გსურთ თუ არა შვილების ყოლა?

ა) არავითარ შემთხვევაში – 1;

ბ) აუცილებლად – 2;

გ) ამ საკითხის შესახებ თქვენი მეუღლის აზრს აუცილებლად გაიზიარებთ – 3.

8) როგორ მოიქცევით კამათის დროს?

ა) არაფერს დათმობთ, რადგან კამათის დროს ყოველთვის მართალი ხართ – 1;

ბ) ნებისმიერი გზით მოაგვარებთ კონფლიქტს – 3;

გ) დათმობთ, ოღონდ შემდეგ აუცილებლად გააანალიზებთ კამათის მიზეზს – 2.

9) თქვენი აზრით, რა არის ოჯახის სიმტკიცის საფუძველი?

ა) ურთიერთგაგება და სიყვარული – 3;

ბ) კარგი მატერიალური მდგომარეობა – 2;

გ) ჯანსაღი ინტიმური ცხოვრება – 1.

10) ხართ თუ არა ეჭვიანი?

ა) არა, რადგან ოჯახში მთავარი ურთიერთნდობაა – 3;

ბ) მხოლოდ მაშინ ეჭვიანობთ, როცა ამის სერიოზული საბაბი გაქვთ – 2;

გ) იცით, რომ ეჭვიანობა მავნე სენია, მაგრამ საკუთარ თავთან გამკლავებას ვერ ახერხებთ – 1.

დაანჯამეთ ქულები

10-16 ქულა: შეიძლება გატაცებული ხართ, მაგრამ ეს ნამდვილი სიყვარული არ არის. საყვარელ ადამიანს მხოლოდ გარეგნობით აფასებთ და თითქმის არ აქცევთ ყურადღებას მის შინაგან სამყაროს. ოჯახური ცხოვრება მომხიბვლელი ზღაპარი გგონიათ და არ ფიქრობთ იმაზე, რომ რამდენიმე თვეში საყვარელ ადამიანთან ერთად რეალური, მკაცრი ყოველდღიურობის წინაშე აღმოჩნდებით.

17-23 ქულა: დარწმუნებული ხართ, რომ მიზანს უკვე მიაღწიეთ და მომავალი მეუღლე კლანჭებში გყავთ მოქცეული. დაფიქრდით, ეს ილუზია ხომ არ არის. თუ ტესტის შეკითხვებს გულწრფელად უპასუხეთ, მაშინ კიდევ ერთხელ გმართებთ დაფიქრება — ნუთუ, ეს არის ყველაფერი ის, რაზეც ოცნებობდით?

24-30 ქულა: ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც თქვენი მეუღლეობა ხვდება წილად. საკუთარ არჩევანს კრიტიკულად უდგებით და არც ოცნებების კოშკების აგება გჩვევიათ. თქვენი ხასიათიდან გამომდინარე, ყველაფერს კარგად აწონ-დაწონით ხოლმე და ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს არ იღებთ. მეუღლისთვის მუდამ შეუცვლელი ადამიანი და საიმედო დასაყრდენი იქნებით.

გამოყენებული საფენებით იაფფასიანი ელექტროენერგიის მოპოვებაა შესაძლებელი

გერმანიაში ელექტროენერგიის მისაღებად საკმაოდ ორიგინალურ ხერხს მიმართეს: იქაური ინჟინრები ალტერნატიული ენერგიის მიღების წყაროდ, გამოყენებულ საფენებს გვთავაზობენ. ქალაქ ბრემენში შესაბამისი ექსპერიმენტიც ჩატარდა. ადგილობრივი ნაგვის გადამამუშავებელ სადგურში ამ ხერხით უკვე დიდი ხანია, იღებენ ელექტროენერგიას. „ეს ეკოლოგიურად სუფთა და ბუნებრივი ენერგიის წყაროა“, — განმარტავს ბრემენის ნაგვის გადამამუშავებელი სადგურის დირექტორი ტომას ლეშჩე. მან მოხუცებულთა სახლთან უკვე გააფორმა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, 100 ტონა გამოყენებულ საფენსა და ერთჯერად ცხვირსახოცს შეისყიდის. ეს ზღვაში წვეთია (გადამუშავებული ნაგვის დაახლოებით 1%), მაგრამ როგორც ლეშჩე ირწმუნება, მალე ყველაფერი შეიცვლება: „საფენების წვის შედეგად მიღებულ მასას გაცილებით ნაკლები ზიანი მოაქვს გარემოსთვის, ვიდრე მაზუთსა და ნახშირს, ამავე დროს, მათი შიგთავსი უამრავ ენერგიას მოგვცემს,“ — აღნიშნავს ლეშჩე. ■

ᲯᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲝᲕᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲯᲐᲕᲔᲡ

კანადის ქალაქ ედმონტონში 69 წლის ქალბატონი ერთი დღით იმის გამო დააკავეს, რომ უარი თქვა თავისი სახლის წინ ქუჩის მონაკვეთი თოვლისგან გაეწმინდათ: ქვეყნის კანონმდებლობით, ეს ყველა მოქალაქეს ევალება. ქალბატონმა ასევე უარი განაცხადა ჯარიმის — 85 კანადური დოლარის გადახდაზე. იგი უკმაყოფილოა, რომ კანონი არ ითვალისწინებს შეღავათებს მოხუცებისა და მარტოხელა ადამიანებისთვის და ამბობს, რომ თავისი ქმედებით უნდოდა, ხაზი გაესვა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოჩენილი უსამართლობისთვის. ■

ᲘᲐᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲭᲘᲯᲭᲘᲯᲛᲐ 2 ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲘᲮᲡᲜᲐ



ირანის ქალაქ ბამში იადონებმა ნანგრევებში ცოცხლად ჩამარხული 2 ბავშვის სიცოცხლე იხსნა. როგორც ცნობილია, ბამში დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად 50000 ადამიანია დაღუპული. ეს ამბავი, აი, როგორ მოხდა: ორი ბავშვი შენობის ნანგრევებში იყო მოყოლილი. მათ გვერდით ჩიტების გატეხილი გალია ეგდო. ფრინველთა გალობამ მაშველთა ყურადღება მიიპყრო, რის შემდეგაც მათ ბავშვების გადარჩენა შეძლეს. მაშველებმა ჩიტებიც ამოიყვანეს და გაუშვეს. ■



ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲡᲝᲑᲘᲗᲘᲕᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲜᲕᲘᲐ

ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა განაცხადა, რომ 2021 წლამდე ხელისუფლებაში ყოფნა გადაიფიქრა და გადადგომას აპირებს. ტრადიციულ ტელეპროგრამაში — „ალო, პრეზიდენტო!“ — გამოსვლისას მან ასევე აღნიშნა, რომ გადადგომის გადაწყვეტილების მიღებისას ჰამაკიც კი მოიმზადა... პრეზიდენტის სიტყვებზე ტელესტუდიაში მყოფნი მოულოდნელობისგან სავარძლებიდან გადმოცვივდნენ. თუმცა, პრეზიდენტმა დამსწრეები უმალ დაამშვიდა — ეს ყველაფერი ხუმრობით ვთქვიო. იმ დღეს, ვენესუელაში „წმინდა ბრიყვების დღე“ აღინიშნებოდა (ჩვენებური 1-ელი აპრილის სამხრეთამერიკული ანალოგი) და ჩავესს თანამოქალაქეებთან ამგვარად გახუმრება გადაუწყვეტია.

ჩავესის ხუმრობას სიმძაფრე იმანაც შემატა, რომ რამდენიმე დღით ადრე, ვენესუელას ხელისუფლებას ოპოზიციამ 3,4 მილიონი ხელმოწერა გადასცა, რომლითაც პრეზიდენტის ვადამდე გადადგომასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვდნენ. ■

ფოტოკუიიოზები





დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის

დოკუმენტური მოთხრობების კრებული

65/2

F1224
2004



იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში

ფასი 2,5 ლარი